ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 1-2, 2016

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бараташвили Е., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; E. BARATASHVILI; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2016

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

შალვა ჩიხლაძე, ამზა ჩარგაზია - პროექტი „აბრეშუმის გზა ეკონომიკური სარტყელი“ და მისი სამომავლო პერსპექტივები ------- 7
შორენა ფარჯიანი - საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე---------- 20

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ირმა ჩხაიძე - მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში---------- 28
ლელა ბოჭოიძე, მაია ჩინჩალაძე, ნინო დარსაველიძე - მეცნიერება და ტექნიკა როგორც გლობალიზაციის ფაქტორები ---- 37
მანანა ბერუაშვილი - კულტურათაშორისი ურთიერთობები გლობალურ ბიზნესში---------- 42
ეთერ თაკალანძე - საზოგადოებრივი კულტურის ზღვრული დონის ეტაპობრივი ამაღლება პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის შემოქმედება - შენარჩუნების წინაპირობაა ---------- 49
შორენა ფარჯიანი - საქართველოში ეკონომიკურ ზრდასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირ-ურთიერთობა სექტორულ დონეზე ---------- 69
გიორგი სუბელიანი - მდგრადი განვითარების გლობალური რეგულირება და კონცეფცია---------- 78

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ალეკო ქუთათელაძე, ზურაბ ჩხაიძე - კომერციულ ბანკებში აქტივების ხარისხის ეკონომიკური ანალიზი ---------- 92

რეგიონული ეკონომიკა

ნინო ხახუბია - აჭარაში ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის პერსონალის მოტივაციის კვლევის მოკლე მიმოხილვა ----- 104

დარგობრივი ეკონომიკა

ილია ჯიმშელეიშვილი, ეთერ ხარაიშვილი -
კონკურენცია ქართულ ავიაბაზარზე და მისი რეგულირება--------- 116
სოფიო სტეფანიშვილი - ტურისტული კომპანიის განვითარების
შესაძლებლობები საქართველოში კომპანიის „City Sightseeing
Tbilisi“ სტრატეგიული ანალიზის მაგალითზე---------- 128
თამარ დუდაური - აგრობიზნესის რისკების დაზღვევის
სისტემა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში ---- 143
ნინო შაფათავა - რეკრეაციული რესურსები და
რეკრეაცული კომპლექსების ფორმირების პირობები ---------- 155

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ანა წულაია - ფირმის ბიზნეს-გეგმა და მისი
კავშირი მარკეტინგულ პროგრამასთან---------- 163
გიორგი ქაშიბაძე - ონლაინ და ოფლაინ მარკეტინგის
არსი და მათი როლი თანამედროვე ბიზნესში ---------- 174
Мераб Келенджеридзе, **Расим Абдуллаев** -
СТРАНА ЛИДЕР В ЗАКАВКАЗИИ ПО ЭНЕРГОНОСИТЕЛЯМ---- 185
Mikheil Kiknadze - El estado actual de las pequeñas
y medianas empresas en América Latina (The Current State
of Small and Medium Business in Latin America) ---------- 193
ალეკო ქუთათელაძე, თემური მატუა - საინვესტიციო
პროექტი, როგორც მართვის ობიექტი---------- 199
ქეთევან კიწმარიშვილი - ორგანიზაციის კულტურის ფორმირება - 212
გიორგი ცინცაძე - მიგრაციული პროცესების
მართვის საკანონმდებლო ბაზა საქართველოში ---------- 218

მსოფლიო ეკონომიკა

გიორგი ხიდეშელი, გოჩა ლობჟანიძე - ინდუსტრიალიზაციის
მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური
სიძლიერის უზრუნველყოფაში საერთაშორისო პოლიტიკური
ეკონომიკის ნაციონალისტური ხედვის მიხედვით ---------- 229

სალომე ონიანი, ზურა გამთენაძე, ამზა ჩარგაზია,
თამთა კავლელაშვილი, თინათინ ბეშკენაძე - საერთაშორისო
ურთიერთობების ახალი ეკონომიკური აქტორი:
BRICS მოქმედებაში, მისი პოტენციალი და პერსპექტივები --------- 239
მიხეილ კიკნაძე - მცირე და საშუალო ბიზნესი ბრაზილიაში-------- 252
ნათია დაღელიშვილი-ქართული ფირმების
ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის სტრატეგიები ---------- 265
ნანა ლობჟანიძე, ქრისტინე ჯინჭველეიშვილი,
ანი კენჭაშვილი, სალომე ლომსაძე - გლობალური უთანასწორობა:
მოდერნიზაციისა და დამოკიდებულების თეორიის ანალიზი-------- 279
სალომე ონიანი, ზურა გამთენაძე,
თამთა კავლელაშვილი - ტრანსნაციონალური კორპორაციების
როლი ე.წ. სამხრეთის ქვეყნების განვითარებაში. ქეისი:
ჩინური კორპორაციები აფრიკაში ---------- 294

სტატიის გამოქვეყნების სარედაქციო მოთხოვნები---------- 305

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Shalva Chikhladze, Amza Chargazia - "Silk Road Economic Belt" Project and its Future Perspectives ---------- 7

Shorena Pharjiani - Foreign Direct Investment on Economic Growth in Georgia ---------- 20

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Irma Chkhaidze -The Demographic Problems of the Population, and Their Solutions in Georgia ---------- 28

Lela Bochoidze, Maia Chinchaladze, Nino Darsavelidze - Science and Technology - as the Globalization Factors ---------- 37

Manana Beruashvili - Intercultural Relations in the Global Business ---- 42

Eter Takaladze - Gradual Raising of the Marginal Level of Public Culture is a Prerequisite for the Creativity and Preservation of the Political - economic History ---------- 49

Shorena Pharjiani - The Relationship between Foreign Direct Investment and Economic Growth by Sectors in Georgia ---------- 69

Giorgi Subeliani - Global Regulation of Sustainable Development and the Concept ---------- 78

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Aleko Kutateladze, **Zurab Chkhaidze -** Economic Analysis of Quality of the Assets in Commercial Banks---------- 92

REGIONAL ECONOMY

Nino Khakhubia - The Short Review of Survey about Personnel Motivation in the field of Tourism and Hospitality of Adjara ---------- 104

SECTORAL ECONOMY

Ilia Jimsheleishvili, Eter Kharaishvili - Competition in the Georgian Aviation Market and Its Regulation ---------- 116

Sophio Stephanishvili - The Development Opportunities of the Tourist Company in Georgia on the Example of the Strategic Analysis of the Company „City Sightseeing Tbilisi" ----- 128

Tamar Dudauri - The Agribusiness Risk Insurance System and Its Perspectives of Development in Georgia ---------- 143

Nino Shapatava -Recreation Resources
and Conditions for Forming Recreational Complexes---------- 155

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Anna Tsulaia - The Firm's Business Plan and its
Relation to Marketing Program---------- 163
Giorgi Kashibadze - The Essence of Online and Offline
Marketing and their Role in Modern Business ---------- 174
Merab Kelendjeridze, Rasim Abdulaev - Leader Country
in Energy Resources in Caucasus---------- 185
Kiknadze Mikheil - El estado actual de las pequeñas y medianas
empresas en América Latina (The Current State of Small
and Medium Businesses in Latin America) ---------- 193
Aleko Qutateladze, **Temuri Matua -**
Investment Project, as the Object to Manage ---------- 199
Qetevan Kitsmarishvili - Formation of Organizational Culture ---------- 212
Giorgi Cincadze - Legislation Bases of Management
of the Migration Processes in Georgia ---------- 218

WORLD ECONOMY

Giorgi Khidesheli, Gocha Lobjanidze - The Significance
of Industrialization in the Provision of the Political and Economic
Strength of a Country According to the Nationalistic
Idea of the International Political Economy---------- 229
Salome Oniani, Zura Gamtenadze, Amza Chargazia,
Tamta Kavlelashvili, Tinatin Beshkenadze - The New Economic
Actor of International Relationships: BRICS in Action,
its Potential and Prospects ---------- 239
Mikheil Kiknadze - Small and Medium Business in Brazil ---------- 252
Natia Daghelishvili - The Market Penetration Strategies
of Georgian Firms to the EU Market---------- 265
Nana Lobzhanidze, Kristine Jinchveleishvili, Ani Kenchashvili,
Salome Lomsadze - Global Inequality: The Analysis
of Modernization and Dependency Theory ---------- 279
Salome Oniani, Zura Gamtenadze, Tamta Kavlelashvili -
The Role of Transnational Corporations in the Development
of the Southern Countries. Case: Chinese Corporations in Africa --------- 294
PUBLICATION REQUIREMENTS ---------- 305

პროექტი "აბრეშუმის გზა-ეკონომიკური სარტყელი" და მისი სამომავლო პერსპექტივები

შალვა ჩიხლაძე, ამზა ჩარგაზია
თსუ ბაკალავრიატის მე-3 კურსის სტუდენტები.

რეზიუმე

ახალი აბრეშუმის გზის პროექტი 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი პროექტია, რომელიც ითვალისწინებს ძველი აბრეშუმის გზის მარშრუტის თანამედროვე რეალობაში გადმოტანას. მოცემული გეგმა, რომელიც 2013 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სი ძინპინმა გააჟღერა, დიდ სამომავლო პერსპექტივებს სახავს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და პოზიციების განსხვავებულობისა, სამხრეთ კავკასიისთვის და აზიის კონფლიქტური რეგიონებისთვის ეს იქნება მშვიდობის გარანტია, რადგან ეკონომიკურ პროცესებში ჩართვა შეამცირებს კონფლიქტის აქტუალობას. თანაც მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთის გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება არა მხოლოდ აზიაში, არამედ ევროპის რეგიონშიც. შესაძლოა პოლიტიკური კონფიგურაციის შეცვლაც, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მოცემული გეგმის რეალობაში აღსრულებას გლობალურ კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: აბრეშუმის გზა, OBOR, ჩინეთი, ბაზარი, სი ძინპინი, ტრასეკა, ევროკავშირი, სამხრეთ კავკასია, რკინიგზა.

შესავალი

ახალი აბრეშუმის გზის პროექტის განხორციელებაზე საუბარი ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენს და რეალობაში განხორციელების საკმაოდ სერიოზულ პერსპექტივებს სახავს. სი ძინპინის ინიციატივა დადებით მოლოდინებთან ერთად ანალიტიკოსების მხრიდან ვარაუდებსა და კითხვის ნიშნებს აჩენს. მიუხედავად გასულ წლებში არსებული გეგმებისა, აღედგინათ აბ-

რეშუმის გზის მარშრუტი და მიეცათ მისთვის უწინდელი მნიშვნელობა, რეალობაში ეს გეგმები ვერ განხორციელდა და სწორედ ორი წლის წინ არსებული ინიციატივა, რომელიც ფინანსურადაც ძლიერია და უკვე ჩანს მისი შედეგები, ყველაზე ქმედითუნარიანია.

ძირითადი ტექსტი

აბრეშუმის გზის შექმნის ისტორია უკავშირდება ძვ. წ. II საუკუნესა და ცინის დინასტიას, როდესაც იმპერატორს ჩჟან ციანის წარგზავნილმა მოხელეებმა მას ანგარიში ჩააბარეს ცენტრალურ აზიაში არსებული პოლიტ-ეკონომიკური პროცესების შესახებ. ამის შემდგომ გადაწყდა, შექმნილიყო მარშრუტები, რომელიც ხანის იმპერიას დააკავშირებდა დასავლურ სამყაროს ცენტრალური აზიის სახელმწიფოების გავლით. უნდა ითქვას, რომ მარშრუტი არ ყოფილა ერთგვაროვანი და მას რამდენიმე განშტოება ჰქონდა. ერთ-ერთი იყო ე.წ. „ჩრდილოეთის მარშრუტი“, რომელიც იწყებოდა ჩინეთის დედაქალაქ ჩანიანიდან, იყოფოდა ლანჯოუში და შემდეგ სან-ტაშის უღელტეხილის გავლით გადადიოდა თანამედროვე ყაზახეთის ტერიტორიაზე, იქიდან სამარყანდზე, ბუხარაზე და პართიის გავლით ხვდებოდა დასავლეთში. ამ მარშრუტების დახმარებით, დასავლეთს ძირითადად მიეწოდებოდა მაღალხარისხიანი ჩინური აბრეშუმი, ფაიფური, დენთი და სხვადასხვა ნაკეთობანი. სავაჭრო მარშრუტი ფუნქციონირებდა ცინის, ხანის, ძინის, სუის, თანის, მინის დინასტიების დროს, ასევე მონღოლთა ბატონობის დროსაც. დასავლეთში ამ დინასტიების თანამედროვე შემდეგი იმპერიები დომინირებდნენ: რომის იმპერია, პართია, ბიზანტიის იმპერია, არაბთა სახალიფო, სელჩუკები და ა.შ. მონღოლთა ბატონობისგან განთავისუფლების შემდეგ, უფრო ზუსტად კი კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ განვითარებულმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა სხვა მარშრუტები გაკვალა დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის სავაჭრო თუ პოლიტიკური ურთიერთობების განსავითარებლად. თავად ტერმინი „დიდი აბრეშუმის გზა“ გერმანელმა ისტორიკოსმა, ფერდინან რიჰტჰოფერმა 1870 წელს გამოიყენა, მაშინ, როცა აღნიშნული გზისგან მხოლოდ ისტორიული ნარჩენები იყო შემორჩენილი (8).

მოცემული გზის მნიშვნელობა უდაოდ დიდი იყო. უკვე მე-20 საუკუნეში ჩინეთი, როგორც ახალი, მძლავრი პოლიტიკური აქტორი, იწყებს გარკვეული ქმედებების რეალობაში მოყვანას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 1949 წლის პირველ ოქტომბერს გამოცხადდა, რომელიც იდეაში კომუნისტური საბჭოეთის მოკავშირე უნდა ყოფილიყო, მაგრამ სტალინის გარდაცვალებისა და ნიკიტა ხრუშჩოვის, ასევე ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობისას ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები სულ უფრო გაუარესდა, ამის შედეგი კი 1960-იანი წლებიდან ჩინეთის აშშ-თან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება გახდა. რაც შეეხება აბრეშუმის გზას, საინტერესოა, რომ შეერთებული შტატების კონგრესში 1961 წელს არსებობდა აქტი, რომლის მიხედვითაც კონგრესი მხარს უჭერდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას (9). ამ აქტის საფუძველზე 1999 წელს სენატორმა სემ ბრაუნბენკმა კონგრესს წარუდგინა ანგარიში (Silk Road Strategy Act), რომელიც ითვალისწინებდა აბრეშუმის გზის პროექტის აღდგენას და ამ ყველაფერში შეერთებული შტატების ხელშეწყობას. ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ

- პროექტის განხორციელება გამოიწვევდა ცენტრალური აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდას, რაც უნდა ყოფილიყო მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი მეტად რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში;
- თავისუფალი ბაზრისა და ლიბერალური ეკონომიკის პრინციპების გაზიარება და ამავდროულად გლობალურ პროექტში ზემოთხსენებული სახელმწიფოების ჩართვა გაზრდიდა აღნიშნული რეგიონის გავლით ეკონომიკური თანამშრომლობის ხარისხს მსოფლიოში;
- აღნიშნულ სივრცეში მნიშვნელოვანი იყო მუსულმანური სახელმწიფოების სეკულარული ხელისუფლების მხარდაჭერა და დახმარება;
- პროექტის ხელშეწყობით შესაძლებელი იყო აშშ-ის დამოკიდებულება სპარსეთის ყურის ნავთობზე შემცირებულიყო და ნა-

წილობრივ ჩანაცვლებულიყო კასპიისპირეთის ნავთობით.

ამ ყველაფრის განსახორციელებლად სენატორი კონგრესს სთავაზობდა გეგმას, რომელიც მისი თქმით შტატებს უნდა შეესრულებინა:

- აშშ-ს ხელი უნდა შეეწყო სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დემოკრატიული განვითარებისთვის, ასევე ადამიანის უფლებების სფეროში ვითარების გაუმჯობესებისთვის;
- ხელი უნდა შეწყობოდა პოლიტიკურ პლურალიზმს და უნდა შემცირებულიყო რასიზმისა და ანტისემიტიზმის ნიშნები;
- ხელი უნდა შეწყობოდა კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებასა და თავისუფალი ბაზრის მშენებლობას;
- მოწესრიგებულიყო საბანკო და სადაზღვეო სისტემები;
- შტატები უნდა დახმარებოდა ამ სივრცის ქვეყნებს თანამშრომლობის გაღრმავებასა და ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სატრანსპორტო კორიდორის მშენებლობა. (1)

მიუხედავად შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერისა და გარკვეულწილად ზოგიერთი რეგიონთაშორისი პროექტის წარმატებით განხორციელებისა (ნაგულისხმევია მილსადენებისა და გაზსადენების გაყვანა), ფაქტია, რომ სენატის ამ ანგარიშმა რეალური შედეგი ვერ გამოიღო და ამ მოვლენიდან 16 წლის შემდეგაც კონფლიქტები გაყინულია და ადამიანის უფლებების კუთხით საქართველოს გარდა დანარჩენ სახელმწიფოებში დიდი ცვლილება არ არის.

მოცემულ აქტამდე ცოტა ხნით ადრე, 1990 წელს ვლადივოსტოკში გაიმართა აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების საერთაშორისო კონფერენცია. ეს ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა კავშირს ძირი გამოთხრილი აქვს და მთელი მსოფლიო ხდება მონაწილე იმისა, თუ როგორ იშლება ერთ დროს უდიდესი და ძლიერი იმპერია ნაწილებად. მიუხედავად ამ ყველაფრისა, კონფერენციაზე სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა წამოაყენა ახალი იდეა, რომელიც ითვალისწინებდა ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენას ახალი აზროვნების კონტექსტში. ამ ყველაფერზე ედუარდ შევარდნაძე

წერს: „საკითხი იმთავითვე მაინტეგრირებელ ასპექტში დაისვა, გეოგრაფიული სივრცე + ეკონომიკური სივრცე + სამართლებრივი სივრცე. ვაყენებდით ამ უზარმაზარი სივრცის ხალხთა საერთო აზრის იდეას (9). თუმცა ფაქტია, რომ ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი დაიშალა 15 დამოუკიდებელ რესპუბლიკად და ამ პერიოდში არათუ ახალდამოუკიდებელი ქვეყნების მშვიდობიანი განვითარება არ მომხდარა, არამედ რუსეთის ფედერაციასა და სსრკ-ში გაერთიანებულ მოკავშირე ქვეყნებს შორის დაწყებულმა სამხედრო-ტერიტორიულმა კონფლიქტებმა კარგა ხნით გათიშა ერთმანეთისგან ერთ დროს ინტეგრირებული მხარეები.

გარდა ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო აქტორებისა, ევროპა-აზიის დაკავშირების ალტერნატიულ გზებზე ევროგაერთიანებაც საკუთარ გეგმებს სთავაზობდა. 1993 წლის მაისში, ბრიუსელში ჩატარდა სამიტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მაშინდელი დსთ-ს წევრი სახელმწიფოები ცენტრალური აზიიდან და სამხრეთ კავკასიიდან და ასევე მასპინძელი ევრიკავშირის წევრი ქვეყნები. სამიტმა საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო პროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა ტვირთების გადაზიდვას ცენტრალური ევროპიდან შავი ზღვის, სამხრეთ კავკასიისა და კასპიის ზღვის გავლით ცენტრალური აზიის ქვეყნებისკენ და ასევე შორეულ აღმოსავლეთში. ლოჯისტიკური და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსებას ევროკავშირი თავის თავზე იღებდა, ასევე პროექტის ინვესტორები იქნებოდნენ „მსოფლიო ბანკი“, „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“, „ისლამური განვითარების ბანკი“, ხოლო აზიის მხრიდან იაპონია განახირციელებდა ინვესტირებას „აზიის ბანკის“ მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ იაპონიის ხელისუფლება გამოთქვამდა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მისი მხრიდან აბრეშუმის გზის აღდგენის იდეა განპირობებული იყო ე.წ გენეტიკური სურვილით. ზემოთხსენებულ პროექტებს შორის შეიძლება თამამად ითქვას, რომ „ტრასეკას“ (TRACECA) პროგრამამ ყველაზე კარგად იმუშავა და რეალურად ის აღმოჩნდა ეფექტური პროექტი რეგიონთაშორისი თანამშრომლობისა და სავაჭრო დერეფნები დღეს ნამდვილად მოქმედი და შემოსავლიანია. „ტრასეკას“ პროექტი არ იყო მხოლოდ სამარშრუტო

დერეფნის განვითარების შესაძლებლობა, ეს გახლდათ საბაჟო, სამართლებრივი და ასევე სხვა მიმართულებითაც ერთობლივი კომუნიკეების არსებობა და შემუშავება. მაგ. ბაქოს კომუნიკე, რომელიც აწესრიგებდა ურთიერთობებს სარკინიგზო, საბაჟო და სხვა სივრცეში სამოქმედოდ. იმავე პერიოდში გამართულ ჰელსინკის კონფერენციაზე საქართველოს მხარემ წარმოადგინა ე.წ პან-ევროპული სატრანსპორტო არეალის სტრატეგია „PETRA". სტრატეგიის თანახმად შეიქმნა შავი, ადრიატიკის, ბარენცისა და ხმელთაშუა ზღვის პან-ევროპული ოთხი სატრანსპორტო არეალი, რომელიც უფრო შიდა მნიშვნელობის იყო, თუმცა საერთო გლობალურ კონტექსტში უფრო გაამარტივებდა ურთიერთობებს სახელმწიფოთა შორის. ახალი აბრეშუმის გზის შესახებ არ შემწყდარა მოსაზრებებისა და პოზიციების დაფიქსირება ბოლო პერიოდში. მიუხედავად „ტრასეკას" აქტიური მუშაობისა, ამ ყველაფერში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის როლი მცირე იყო, რაც აკნინებდა პროექტის მნიშვნელობასა და ასევე მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა ფინანსური თვალსაზრისითაც.

ახლა უშუალოდ ვისაუბროთ სი ძინპინის ინიციატივის, Belt and Road პროექტის შესახებ. 2013 წლის სექტემბერში, ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ნურსულთან ნაზარბაევის სახელობის უნივერსიტეტში გამოსვლისას, მან გააჟღერა იდეა ახალი აბრეშუმის გზა - ეკონომიკური სარტყელის შესახებ. ზემოთ აღნიშნული ინიციატივა საინტერესოა იმ მიზეზის გამო, რომ გლობალური პოლიტ-ეკონომიკური აქტორი გამოთქვამდა სურვილს, შექმნილიყო კონტინენტალური მასშტაბის პროექტი, რომელსაც ზურგს გაუმაგრებდა ფინანსური კაპიტალიც. ჯრეზიდენტი სი სთავაზობდა ევრაზიულ სახელმწიფოებს თანამშრომლობის ახალ მოდელს, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო აბრეშუმის გზის ერთიანი კორიდორი, საერთო ეკონომიკური ზონებითა და გამართული, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული ცენტრებით (Fodorenko, 2013).

პროექტი არ ითვალისწინებდა არანაირი სახის პოლიტ-ეკონომიკურ კავშირებს, მაგალითად, როგორიც იყო ევროკავშირი ან თუნდაც ევრაზიული კავშირი. ჩინური ინიციატივის თანახმად,

პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს ათეულობით სახელმწიფოს, რომელიც ჩართული იქნება მასში, განვითარდნენ ეკონომიკურად და მოახდინონ თავიანთი ქვეყნების სტაბილიზაცია. პროექტი შედგება ორი ნაწილისგან: სახმელეთო გზა და საზღვაო მარშრუტები. იგი დამუშავების სტადიაშია და განიხილება ბევრი ვარიანტი, თუმცა გარკვეული წარმოდგენები უკვე არსებობს. როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური ტელევიზია cctv აანონსებს, პროექტი ჩინეთს ცენტრალური აზიის გავლით აკავშირებს ირანთან და თურქეთთან, რომლის გავლითაც ის უკავშირდება ევროპას. ასევე არსებობს სხვა მარშრუტიც, რომელიც რუსეთის გავლით ბალტიისპირეთთან და დანარჩენ ევროპასთან დაკავშირებას გულისხმობს. საზღვაო აბრეშუმის გზა აღმოსავლეთ ჩინეთის პორტებს აკავშირებს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებთან და იქიდან ორი მომართულებაა — ერთი მარშრუტი მიდის აღმოსავლეთ აფრიკაში, კერძოდ კენიაში, ხოლო მეორე მარშრუტი სუეცის არხის გავლით ხმელთაშუა ზღვაში შემოდის და იქიდან დანარჩენ ევროპაში ვრცელდება.

OBOR – ONE BELT ONE ROAD — ასეთია პროექტის აბრევიატურა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ევრაზიული სახმელეთო ხიდის განვითარების მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მრავალმხრივი მუშაობით ხასიათდება. მათ შორის გამორჩეულია პაკისტანში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რომელიც 14 000 კმ-იან მარშრუტს (რომელიც სჭირდება სპარსეთის ყურიდან ენერგოტვირთების გადატანას) შეამცირებს ფაქტობრივად 7-ჯერ. ამავე კონტექსტში საინტერესოა, რომ ჩინური მულტინაციონალური კორპორაციები მზადყოფნას გამოთქვამენ, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაში მიიღონ მონაწილეობა და გასცენ მთლიანი დანახარჯის 60%-იანი კრედიტები (Hongzhou, 2015).

პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის უკვე გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები. კერძოდ, შექმნილია Silk Road Fund, რომელშიც პირველ ეტაპზე აკუმულირებული იქნება 40 მილიარდი დოლარი. აღნიშნული ფონდი ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებასა და საერთო მარშრუტების მოწესრი-

გებას. ამავდროულად საინტერესოა "აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის" შექმნა, რომლის 45-ე წევრად საქართველო ფიქსირდება. ის ორიენტირებული იქნება განვითარებად ქვეყნებში ინვესტირებაზე. ბანკის საერთო კაპიტალი ამ ეტაპისთვის $100 მილიარდს აღწევს (Sahbaz, 2014).

სი ძინპინის ინიციატივამ მსოფლიოში სერიოზული გამოხმაურება ჰპოვა რამდენიმე მიზეზის გამო:

- პროექტის განხორციელებას იწყებს გლობალური აქტორი და არა რომელიმე მცირე რეგიონული მოთამაშე;
- პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილია მილიარდობით ამერიკული დოლარი და ის ქმედითია, განსხვავებით სხვა ინიციატივებისა;
- გეოპოლიტიკური თვალსაზრისით შესაძლოა, აღნიშნულმა ინიციატივამ გარკვეული გადაადგილებები გამოიწვიოს მოთამაშეებს შორის.

ახალი აბრეშუმის გზის პროექტზე საუბრისას, აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ საერთაშორისო აქტორების პოზიციები ინიციატივის მიმართ. აშშ-ის დაინტერესება აბრეშუმის გზის აღდგენისადმი კარგად გამოჩნდა 1999 წელს სენატში სენატორი ბრაუნბეკის მიერ წარდგენილი ანგარიშით. თუმცა, მას შემდეგ, უკვე 2011 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა, ინდოეთში ვიზიტისას გაახმოვანა იდეა, რომ შტატები მხარს უჭერდა ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისა და ინდოეთის მრავალ ფორმატში თანამშრომლობას, მათ შორის აბრეშუმის გზის ფორმატშიც, როომელიც გულისხმობდა სავაჭრო ურთიერთობების გამყარებას, სავაჭრო-ენერგეტიკული დერეფნის კეთილმოწყობასა და ამუშავებას. ეს ცენტრალური აზიის ქვეყნებს, ავღანეთს, პაკისტანსა და ინდოეთს ჩართავდა რეგიონული თანამშრომლობის ფორმატში. უფრო მეტიც, ის აქტიურად უჭერდა "ტაპის" პროექტს, რომელიც გულისხმობდა თურქმენული გაზის საბადოდან მილსადენის აშენებას ავღანეთისა და პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის გავლით ინდოეთისკენ. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მიზეზი, რომლის გამოც შტატების ხელისუფლებას მსგავსი პოზიცია უჭირავს:

➢ მისი სურვილია, ავღანეთი ჩართული იყოს რეგიონულ ეკონომიკურ პროექტებში და ავღანეთში მოქმედებდეს რამდენიმე რეგიონული აქტორი, რომელიც დაინტერესებული იქნება მშვიდობისა და სტაბილიზაციისთვის, რაც პოსტ-აისაფის მისიის პერიოდში გაზრდის ავღანური მშვიდობის შესაძლო შანსებს;

➢ მისი სურვილია, პასუხისმგებლობა ავღანურ და სხვა ზოგად რეგიონულ კონტექსტში გადაუნაწილოს ჩინეთსაც და ინდოეთსაც. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შტატები აქტიურად ცდილობდა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება დაერწმუნებინა, რომ ისინი ჩართულიყვნენ ავღანურ სამშვიდობო მისიაში, თუმცა ეს ვერ მოხერხდა.

ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა აშშ-ს პროექტზე, თუმცა ჯერჯერობით უცნობია OBOR ინიციატივას როგორ შეხვდა შტატების ხელისუფლება. ამერიკულ ანალიტიკურ გამოცემებში უკვე გამოჩნდა კრიტიკული მოსაზრებები სის ინიციატივის მიმართ და ის შედარებულია სხვადასხვა, უკვე კარგად ნაცნობ პროექტებს, რომელთა მიზეზი გეო-ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში მსოფლიო ძალთა ბალანსის ცვლილება იყო (Swanström, 2011).

რაც შეეხება თურქეთს, მისმა ხელისუფლებამ 2008 წელს საკურორტო ქალაქ ანტალიაში გამართულ ფორუმზე ვაჭრობისას გამოთქვა სურვილი, აბრეშუმის გზის ფორმატში უფრო გაღრმავებულიყო თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის თურქეთიდან სამხრეთ კორეამდე, მათ შორის საერთო სარკინიგზო ქსელის ჩამოყალიბებით. ამის შემდგომ მსგავსი ფორმის შეხვედრებს უმასპინძლეს ბაქოს ქარავანსარაის ფორუმმა და ასევე ბათუმის "ტრასეკას" ფორუმმაც. ოფიციალური ანკარა როგორც მაშინ, ახლაც პრეზიდენტ სი ძინპინის პროექტშიც ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშეა.

საინტერესოა ევროკავშირის პოზიცია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩინეთამდე აბრეშუმის გზის აღდგენის იდეას ევროკავშირი აშკარად ლობირებდა და სწორედ ის იყო რეგიონული აქტორი, რომელიც ფინანსებს არ იშურებდა "ტრასეკას" პროექტის აღსადგენად. "ტრასეკას" შემთხვევაშიც და OBOR-ის განხორციელებისას დანიშნულების ადგილი ევროპული სახელმწიფოებია,

აქედან გამომდინარე ევროკავშირის წევრი და არაწევრი სახელმწიფოები აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა ფორმატში საერთო ქმედებების დასახვეწად. ერთ-ერთი ასეთი ფორმატია 16+1, სადაც ევროპული სახელმწიფოები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მართავენ შეხვედრებს ზემოთ ხსენებულ პროექტზე. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ შედგა 16+1 ფორუმი, რომელზეც მიღწეულ იქნა კონკრეტული შეთანხმებები, მაგ. ჩინეთის მხარე ააშენებს ბელგრადსა და ბუდაპეშტს შორის ჩქაროსნულ სარკინიგზო მაგისტრალს.

ცენტრალური აზიის სახელმწიფოები საკმაოდ აქტიურად არიან ნებისმიერ პროექტში ჩართული, რომელიც ეხება მათი გავლით რაიმე სახის პროექტის განხორციელებას. მათ შორის ყველაზე მეტად აქტიურობს ნურსულთან ნაზარბაევი, რომლის ევრაზიული საერთო ეკონომიკური ზონის შექმნის ინიციატივები არ არის ახალი პოლიტიკოსებისთვის. თურქმენეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის ხელისუფლებებიც ანალოგიურ მხარდაჭერას აცხადებენ. განსაკუთრებით თურქმენეთისა და ყაზახეთის ენერგეტიკული ვაჭრობაა საინტერესო, როგორც ევროპის სახელმწიფოებთან, ასევე ჩინეთთან, პაკისტანთან და ინდოეთთან (Riduan & Cem, 2014).

აუცილებელია, აღინიშნოს სამხრეთ კავკასიური სახელმწიფოების ინტერესები მოცემული პროექტის მიმართ. ისინი საკმაოდ აქტიურად და ენერგიულად ელიან და ერთვებიან ნებისმიერ პროექტში, რომელიც მათზე გაივლის და ეკონომიკურ სტაბილურობასთან ერთად მშვიდობის გარანტიც იქნება რეგიონში. ევროკავშირის "ტრასეკას" პროექტი დღესდღეობით მუშაობს, სამხრეთ კავკასიური ქვეყნები აქტიურად ატარებენ ევროპულ, თურქულ, რუსულ, ირანულ, ყაზახურ, თურქმენულ და სხვა ახლომდებარე სახელმწიფოების ტვირთებს, თუმცა ფაქტია — ერები ელიან თანამშრომლობის ახალ ფაზებს, უფრო განვითარებულსა და კოორდინირებულს. თურქეთის, როგორც წამყვანი რეგიონული სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა და ის აქტიურად ლობირებს ე.წ "რკინის აბრეშუმის გზის" კონცეფციას, რომელიც გულისხმობს სარკინიგზო ქსელის გამართვას ჩინეთიდან თურქეთამდე და შემდეგ უკვე ევროპაში. ამ პროექტის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა. საინტერესოა საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაცია (რომელიც ჯერჯერობით არ დასტურდება ოფიციალურ დონეზე), რომლის თანახმადაც ჩინეთი მზად არის კასპიის ზღვაზე ააშენოს გრანდიოზული ხიდი. მოცემული გეგმის შესრულების ალბათობა სათუოა, თუმცა ფაქტია, რომ პროექტის ნებისმიერი სახით განხორციელება სარგებელს მოუტანს საქართველოსა და აზერბაიჯანს უპირობოდ, რადგან ეს ორი სახელმწიფო ჩართული იქნება საუკუნის მეგა-პროექტში, რომელზეც ინტერესები ექნებათ გლობალურ და რეგიონულ აქტორებს. დიდი ალბათობით ეს არის მშვიდობისა და სტაბილურობის უპირობო გარანტია (Cecire, 2015).

დასკვნა

ახალი აბრეშუმის გზა, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ არის 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მეგა-პროექტი, ძალებს იკრებს. გარდა ეკონომიკური გავლენისა, არაა გამორიცხული, რომ მან გამოიწვიოს პოლიტიკური პოზიციების ცვლილება. პროექტს ზურგს უმაგრებს უზარმაზარი ფინანსური კაპიტალი, რომელიც დიდი ალბათობით გაზრდის ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩინური კაპიტალის მოცულობასა და შესაბამისად მის გავლენას. რეალურად, რამდენად ნაყოფიერი იქნება პროექტი, შეასრულებს იგი "ჩინური მარშალის გეგმის" ფუნქციას თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს. ფაქტია, რომ მასშტაბები კონტინენტთაშორისია და პოზიტიურ შედეგებზეა ორიენტირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bereuter, D. (1999, March 17). *H.R. 1152 (106th): Silk Road Strategy Act of 1999*. Retrieved from govtrack.us: https://www.govtrack.us/congress/bills/106/hr1152

2. Cecire, M. (2015, May 06). *China's Growing Presence in Georgia*. Retrieved from The Diplomat: http://thediplomat.com/2015/05/chinas-growing-presence-in-georgia/

3. Fodorenko, V. (2013). *The New Silk Road Initiatives in Central*

Asia. Washington DC: Rethnik Institute.

4. Hongzhou, Z. (2015). *Building The Silk Road, Road Economic Belt, Problems and Priorities in Central Asia.* Nanyang: S.Saracutnam School of International Studies.

5. Riduan, S., & Cem, K. S. (2014). *Bridging Civilization from Asia to Europe, The Silk Road.* Ankara: Chinese Bussines Review.

6. Sahbaz, U. (2014). *The Modern Silk Road, One Way or Another?* Bucharest: The Black Sea Trust for Region and Coopoeration.

7. Swanström, N. (2011). *China and Greater Central Asia: New Frontiers?* Singapore: Institute for Security and Development Policy.

8. კალანდია, ა. (2015). *ჩინეთის ტრანსფორმაცია 21-ე საუკუნეში.* თბილისი: მწიგნობარი.

9. შევარდნაძე, ე. (2002). *დიდი აბრეშუმის გზა.* თბილისი: მეცნიერება.

REFERENCES:

1. Bereuter, D. (1999, March 17). *H.R. 1152 (106th): Silk Road Strategy Act of 1999*. Retrieved from govtrack.us: https://www.govtrack.us/congress/bills/106/hr1152

2. Cecire, M. (2015, May 06). *China's Growing Presence in Georgia*. Retrieved from The Diplomat: http://thediplomat.com/2015/05/chinas-growing-presence-in-georgia/

3. Fodorenko, V. (2013). *The New Silk Road Initiatives in Central Asia.* Washington DC: Rethnik Institute.

4. Hongzhou, Z. (2015). *Building The Silk Road, Road Economic Belt, Problems and Priorities in Central Asia.* Nanyang: S.Saracutnam School of International Studies.

5. Riduan, S., & Cem, K. S. (2014). *Bridging Civilization from Asia to Europe, The Silk Road.* Ankara: Chinese Bussines Review.

6. Sahbaz, U. (2014). *The Modern Silk Road, One Way or Another?* Bucharest: The Black Sea Trust for Region and Coopoeration.

7. Swanström, N. (2011). *China and Greater Central Asia: New Frontiers?* Singapore: Institute for Security and Development Policy.

8. Kalandia, A. (2015). The Transformation of China in the 21th Cen-

tury. Tbilisi: "Mcignobari" (In Georgian Language).

9. Shevardnadze, E. (2002). The Great Silk Road. Tbilisi: "Mecniereba" (In Georgian Language).

„SILK ROAD ECONOMIC BELT" PROJECT AND ITS FUTURE PERSPECTIVES

Shalva Chikhladze, Amza Chargazia
TSU, Bachelor Students , Third Year.

RESUME

The project of *"New Silk Road"* is one of the most wide-scale projects of XXI century, which intends to bring the route of the old *Silk Road* to modern reality. This plan, which was offered by the President of the People's Republic of China, Xi Jinping in 2013, provides the wide perspectives. Although there are various viewpoints and different positions, this project will be the guarantee of peace for South Caucasus and for the confrontational regions of Asia, as involving them into economic processes will reduce the actuality of conflicts. Also it's important that the influence of China will increase not only in Asia, but in Europe too. There is a possibility of changing political configuration and that makes fulfilling this plan more interesting in the global context.

Key Words: Silk Road, OBOR, China, Market, Xi Jinping, TRACECA, European Union, South Caucasus, Railway.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

შორენა ფარჯიანი
თსუ, დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია 2000 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) და უმუშევრობის დონის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე კორელაციურ-რეგრესული ანალიზის გამოყენებით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ზოგადად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში და მათ შორის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მოიაზრება, თუმცა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.

მოცემულ სტატიაში, არსებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებით, ემპირიული კვლევის საფუძველზე, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ურთიერთკავშირი ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებულ მთლიან შიდა პროდუქტს და ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებულ საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ასევე ერთ მცხოვრებზე მშპ-ს და უმუშევრობის დონეს შორის კავშირი არის მნიშვნელოვანი და დადებითი. ამდენად, პუი დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე და იმავდროულად უმუშევრობაზე.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, მთლიანი შიდა პროდუქტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, უმუშევრობის დონე, კორელაციურ-რეგრესული ანალიზი.

შესავალი

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მსოფლიო მასშტაბით არსებულ ემპირიული ლიტერატურას თუ გადავხედავთ, შეფასება

არაერთგვაროვანია, არ არსებობს ცალსახა პასუხი იმასთან დაკავშირებით თუ კონკრეტულად რა გავლენას ახდენს პუი ეკონომიკურ ზრდაზე, რამდენადაც ის თავის მხრივ სხვა მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში თითქმის ყველა მთავრობის მთავარი სამოქმედო გეგმის მიხედვით ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პუი-ს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთან. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი მეტად აქტუალურია საქართველოს შემთხვევაში.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირ-ურთიერთობების განსაზღვრისთვის ჩვენ გამოვიყენეთ კორელაციურ-რეგრესული ანალიზის მეთოდი და მის საფუძველზე ვაჩვენეთ კავშირის ფორმები და რაოდენობრივ დახასიათება ორ ფაქტორიანი რეგრესიის მოდელის გამოყენებით.

მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი, თავისი შინაარსით, ეს არის მრავალფაქტორიანი მაჩვენებელი. ჩვენი ანალიზის ამოცანაა მასზე მოქმედი მრავალი ფაქტორიდან გამოვყოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და უმუშევრობის დონის მაჩვენებლები.

იმის დასადგენად თუ რა გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკურ ზრდაზე, ჩვენ მაკრო (საქართველოს მასშტაბით) დონეზე, შევარჩიეთ შემდეგი მაჩვენებლები: მთლიანი შიდა პროდუქტი 1 მცხოვრებზე (აშშ დოლარი), საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1 მცხოვრებზე (აშშ დოლარი) და უმუშევრობის დონე (%). ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე მოვიცავით 2000-2014 წლები. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კვლევისთვის საჭირო ინფორმაცია სრული სახით არ მოიპოვებოდა, გავიანგარიშეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1 მცოვრებზე და მივიღეთ შემდეგი მონაცემები:

ცხრილი №1.

	მშპ 1 მცხოვრებზე ($)	პუი 1 მცხოვრებზე ($)	უმუშევრობის დონე (%)
2000	**689.7**	29.6	**10.3**
2001	**731.8**	25	**11.1**
2002	**777.3**	38.3	**12.6**
2003	**919.0**	78.3	**11.5**
2004	**1,187.6**	115.7	**12.6**
2005	**1,483.5**	104.1	**13.8**
2006	**1,763.5**	270.5	**13.6**
2007	**2,314.6**	458.5	**13.3**
2008	**2,921.1**	356.9	**16.5**
2009	**2,455.2**	150.1	**16.9**
2010	**2,623.0**	183.6	**16.3**
2011	**3,230.7**	250	**15.1**
2012	**3,523.4**	202.7	**15.0**
2013	**3,599.6**	210.1	**14.6**
2014	**3,676.2**	391.6	**12.4**

წყარო: საქსტატი

ამდენად, ჩვენს მიერ გამოყენებული რეგრესული განტოლება მოიცავს ერთ დამოკიდებულ ცვლადს – მშპ-ს 1 მცხოვრებზე, და 2 დამოუკიდებელ ცვლადს – პუი-ს 1 მცხოვრებზე და უმუშევრობის დონეს. თუ შევხედავთ თითოეული მათგანის დინამიკაში განვითარების ამსახველი გაბნევის დიაგრამას, განვითარების ტრენდის ხაზით, ვნახავთ რომ ისინი წრფივი ფუნქციით არიან გამოსახული (დიაგრამა №1).

კორელაციურმა ანალიზმა, პირსონის კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით, შერჩეულ ცვლადებს შორის შემდეგი ურთიერთკავშირი გვიჩვენა (ცხრილი №2).

როგორც მოცემული კორელაციის მატრიცა გვიჩვენებს, კავ-

დიაგრამა №1



ცხრილი №2

	მშპ 1 მცხოვრებზე *($)*	პუი 1 მცხოვრე-ბზე *($)*	უმუშევ-რობის დონე *(%)*
მშპ 1 მცხოვრებზე ($)	1		
პუი 1 მცხოვრებზე ($)	0.71	1	
უმუშევრობის დონე (%)	0.66	0.39	1

შირი მშპ-სა და პუი-ს შორის დადებითი და საკმარისად მაღალია (71%). რაც შეეხება მშპ-ს და უმუშევრობის დონეს შორის 66%-იან დადებით კორელაციას, გულისხმობს, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასთან ერთად არ მცირდებოდა უმუშევრობის დონე საქართველოში, ხოლო უმუშევრობის დონესთან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39%-იანი დადებითი კორელაცია შეგვიძლია განვაზოგადოთ, როგორც უმუშევრობასა და პუი-ს შორის არსებული არც თუ ძლიერი, თუმცა დადებითი კავშირით, რაც ცალსახად არ მიუთითებს ეკონომიკის რეალურ გაჯანსაღებაზე განხილულ პერიოდში.

იმის დასადგენად თუ კონკრეტულად რა მიზეზ-შედეგობრივი

კავშირი გამოვლინდა მოცემულ სამ ცვლადს შორის, მოვიყვანოთ რეგრესული ანალიზის შედეგად მიღებული განტოლება:

$$\hat{y} = -2154.2 + 4.4X_1 + 251.3X_2$$

რეგრესიის თითოეული კოეფიციენტის ინტერპრეტაცია შემდეგი იქნება:

b_1=4.4, აქედან, 4.4 აშშ დოლარი არის 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული მშპ-ს მოსალოდნელი მატება, რომელიც შეესაბამება 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული პუი-ს ზრდას ერთი ერთეულით, როდესაც უმუშევრობის დონე უცვლელია. ანალოგიურად, რადგან b_2=251.3, 251.3 აშშ დოლარით 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული მშპ-ს მოსალოდნელი მატება დაკავშირებულია უმუშევრობის მაჩვენებლის ერთი პროცენტით ზრდასთან, როდესაც 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული პუი უცვლელია.

კორელაციურ-რეგრესული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა დავადგინოთ, რამდენად ადექვატურად ასახავს ჩვენს მიერ შერჩეული განტოლება ემპირიული მონაცემების განვითარების სურათს. ამ მიზნით ვახდენთ მნიშვნელოვნების ტესტირებას. გამოვიყენებთ F-ტესტს და t-ტესტს.

F-ტესტი გამოვიყენოთ ჩვენი რეგრესიის ამოცანაში

$H_0: \beta_1 = \beta_2 = 0$,

$H_a: \beta_1 \neq \beta_2 \neq 0$

F სიდიდე ტოლია 12.11-ს და მისი p მნიშვნელობა არის 0.0013. ჩვენი რეგრესული კვლევის ნულოვანი ჰიპოთეზაა რეგრესული განტოლების სიდიდეების α=0.05 და p მნიშვნელობა=0.0013, გამოყენება იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენ შეგვიძლია უარვყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა, რადგან p მნიშვნელობა α=0.05-ზე ნაკლებია.

ჩვენს რეგრესიაში თითოეული პარამეტრისთვის მოცემულობით $\alpha = 0.05$, p მნიშვნელობები 0.01 (პუი) და 003 (უმუშევრობის დონე) გვიჩვენებს, რომ ჩვენ შეგვიძლია უარვყოთ რეგრესიის ამოცანით გათვალისწინებული ნულოვანი ჰიპოთეზა, შესაბამისად ორივე პარამეტრი მნიშვნელოვანია.

ჩვენი რეგრესიის შემთხვევაში, დეტერმინაციის კოეფიციენტი 66.8%-ია, ამდენად, 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული მთლიანი

შიდა პროდუქტის ვარიაციის 66.8% შეიძლება აიხსნას შეფასებული მრავლობითი რეგრესიის განტოლებით

დასკვნა

როგორც კვლევამ გვაჩვენა, 2000-2014 წლებში, 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული მშპ-ს და პუი-ს მაჩვენებლები (აშშ დოლარებში) დადებით ურთიერთკავშირშია. შესაბამისად 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის გადიდებას 1 მცხოვრებზე, რასაც ვერ ვიტყვით ქვეყანაში დასაქმების დონის მაჩვენებელზე. ამდენად, კვლევის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდაზე მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდით, თუმცა, ის დადებით კორელაციაშია უმოშევრობის დონესთან. თავის მხრივ, უმუშევრობის დონის გადიდება (შესაბამისად, დასაქმების დონის შემცირება) ასევე ზრდის მშპ-ს 1 მცხოვრებზე, რაც ვერ ჩაითვლება ქვეყნის ეკონომიკაში სასარგებლო ეფექტად.

ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. თბილისი, 2011;

2. დევიდ რ. ანდერსენი, დენის ჯ. სვინი, თომას ა. უილიამსი., სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისთვის, მე-11 განახლებული გამოცემა, თარგმნილი. თბილისი 2014.;

3. ლოკიე ფ., ბლეიდსი დ., ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ. მეორე გამოცემა, OECD, 2014. თარგმანი ინგლისურიდან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, 2015; https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf;

4. მარშავა ქ., მ. მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა /თეორია, პრაქტიკა, ანალიზი/ სახელმძვანელო. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009;

5. ფარჯიანი შ. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური ანალიზი, ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", №3, გვ. 151-162, 2015;

REFERENCES:

1. Gabidzashvili B., "Statistics for Economics, Business and Management". Tbilisi, 2011 (In Georgian Language);

2. David R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas A. Williams, "Statistics for Business and Economics", Edition Number 11, Copyright © 2012; Tbilisi State University, 2014 (In Georgian Language);

3. François Lequiller, Derek Blades., "Understanding National Accounts", Second Edition, OECD, 2014 (In Georgian Language);

4. Marshava K., Mindorashvili m., "System of National Accounts / Theory, Practice, Analyze/" Tbilisi, 2009 (In Georgian Language);

5. Pharjiani Sh., "Foreign Direct Investment in Georgia and its Statistical Review" Journal "Economics and Business", №3 2015, pp151-162 (In Georgian Language);

FOREIGN DIRECT INVESTMENT ON ECONOMIC GROWTH IN GEORGIA

Shorena Pharjiani
TSU, PhD Student

RESUME

The present empirical paper investigates the relationship between Foreign Direct Investment (FDI) and economic growth in Georgia, from the period 2000 to 2014. The correlation-regression analysis was used to explore the connection between Foreign Direct Investment and economic growth and Unemployment Rate.

In general, Foreign Direct Investment in transitional economies, including in Georgia, is considered as one of the important factors which impacts on economic growth.

Moreover, based on the official statistical information in Georgia we present that the relationship between Gross Domestic Product per capita and Foreign Direct Investment per capita and at the same time Relationship between GDP per capita and unemployment rate is positive and significant enough. The correlation between FDI and unemployment rate is also positive and quite enough. So, FDI positively affected on economic growth and at the same time on the unemployment rate in Georgia.

Keywords: Economic Growth, Gross Domestic Product, Foreign Direct Investment, Unemployment Rate, Correlation-Regression Analysis.

მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში

ირმა ჩხაიძე
ედ, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

დემოგრაფიული პრობლემები თანამედროვე ეტაპზე უმნიშვნელოვანესია და აღიარებულია მსოფლიოს წინაშე მდგარ ხუთ (მშვიდობის შენარჩუნება; ყოფილ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა; კაცობრიობის უზრუნველყოფა ენერგიის წყაროებით; გარემოს დაცვა და დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდა) გლობალურ პრობლემათა შორის. დემოგრაფიული პრობლემები რეალური საფრთხის წინაშე აყენებს ცალკეულ ერებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია მოსახლეობის რაოდენობის ყოველწლიური შემცირება, შობადობის კრიზისულ ზღვრამდე დაცემა, სიკვდილიანობის და მკვდრადშობადობის მაღალი დონე, მოსახლეობის ბუნებრივი მატების კლება, შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება და მოსახლეობის დაბერების ზრდის ტენდენცია, შიდა და გარე მიგრაციული პროცესების ფათო მასშტაბები. სწორედ ორი ათეული წელია, რაც ასეთი საფრთხის წინაშე იმყოფება საქართველო.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში და მათ შორის აჭარაში დაფიქსირდა მოსახლეობის რიცხოვნობის კლება. 1990-2008 წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 19,5%-ით, 1990- 2010

წლებში 22.72 %-ით, 2013 წელს 2012 წელთან შედარებით 0.31%-ით მაშინ, როდესაც მათი რიცხვი 1975-1990 წლებში გაიზარდა 11%-ით.

აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2013 წელს აჭარის მოსახლეობა შეადგენდა საქართველოს მოსახლეობის 8,5%-ს. 2008 წელს აჭარის მოსახლეობამ შეადგინა 380,2 ათასი კაცი, აქედან, ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში ცხოვრობდა 166,9 ათასი კაცი, ანუ მოსახლეობის საერთო რაოდენობის 43,9%-ი. წინა წლების ტენდენციებით 2006-2008 წლებში აჭარის მოსახლეობა გაიზარდა 7,2 ათასი კაცით, რასაც განაპირობებდა ბუნებრივი მატება.

საერთო დემოგრაფიული მაჩვენებლების გაანალიზების საფუძველზე დადგინდა, რომ 1990 წლიდან 2013 წლამდე საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური შემცირების მიზეზად სახელდება როგორც სიკვდილიანობის მაღალი დონე და შობადობის დაბალი მაჩვენებელი ,ასევე 18-50 წლის ასაკის მოსახლეობაში ფათო მასშტაბიანი მიგრაციული პროცესები, მიმდინარე მიგრაციულმა პროცესებმა 1989-2002 წლებში განაპირობა ქართველების რიცხვის 126 ათასზე მეტით შემცირება.

საქართველოში 2010 წელს გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდის მიერ ჩაატარებული კვლევებით 2050 წლისთვის საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება, ქვეყნის მოსახლეობა 28%-ით, ანუ 1 170 000 კაცით მცირდება. USAID-ის მონაცემებით, 232 ქვეყანას შორის საქართველო მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტემპით მე-16-ე ადგილზეა.

საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების გათვლებით, საქართველო შობადობის მიხედვით მსოფლიოს 196 ქვეყანას შორის 164-ე ადგილზეა, ხოლო USAID-ის მონაცემებით, 232 ქვეყანას შორის საქართველო შობადობის შემცირების ტემპით მე-174-ე ადგილზეა. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (ერთი ქალის მიერ სიცოცხლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა) 1,4-1,7-ის ფარგლებშია,

ანუ საქართველოში შვილების თაობა მათი მშობლების თაობის დაახლოებით 70-80%-ს განაახლებს.

საქართველოში დაბადებულთა რიცხოვნობა 2011 წელს 2010 წელთან შედარებით შემცირდა 7,30%-ით, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მოსახლეობის ათასს სულზე დაიბადა 40 ბავშვი, 1913 წელს-28, 1960 წელს-24, 1990 წელს-17, 2007 წელს-11 ბავშვი. ჩვენს ქვეყანაში ყოველ 100 ქალზე 1960 წელს მოდიოდა 259 და 2007 წელს-173 ბავშვი, მაშინ როდესაც მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია ეს მაჩვენებელი იყოს 210 ბავშვი. ქართულ მოსახლეობაში შობადობის კოეფიციენტი თითქმის 1,5-ჯერ დაბალია შესაბამის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. შობადობის შემცირების მიზეზებია სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური, ფსიქოლოგიური, და ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც აისახება ოჯახის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაში. აქვე აღსანიშნავია ქართველი დემოგრაფების მოსაზრებებიც იმის შესახებ, რომ ხელისუფლების მოწოდებები არ ზრდის შობადობას, და მათ მოეთხოვებათ იზრუნონ საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებაზე.

აღსანიშნავია ევროპის ქვეყნების საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, გერმანიის საპირისპირო მაგალითი, სადაც ერთი მხრივ მაღალია დასაქმებულთა რაოდენობა, ცხოვრების მაღალი დონეა და, მეორეს მხრივ ამ ქვეყნებში ყველაზე დაბალი შობადობაა. აღნიშნული მაგალითის საფუძველზე გამოდის, რომ თითქოს შობადობაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს ეკონომიკური პირობები. მაგრამ ეს არასწორი წარმოდგენაა, აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკური პირობები მნიშვნელოვანია (ბავშვის აღზრდის ხარჯები ოჯახის ბიუჯეტში უცხოეთშიც და საქართველოშიც დიდ ადგილს იკავებს.) რასაც თან ერთვის ცხოვრების დაძაბული რიტმი.

საქართველოში შობადობასთან ერთად სიკვდილიანობის მაჩვენებელი ტრადიციულად დაბალი იყო (ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები), როგორც უშუალოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით.

საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი, რომელიც გენდერული მდგომარეობის არსებითი მაჩვენებელია, დაახლოებით 5-ჯერ აღემატება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ დონეს. ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია ქალის რეპროდუქციული უფლებების დაცვასთან, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის არსებულ მდგომარეობასთან და სამედიცინო მომსახურების დაბალ დონესთან.

გაეროს მონაცემებით სიკვდილიანობის დონე 2000-2005 წლებში შეადგენდა წელიწადში საშუალოდ 49 ათასს, ხოლო 2005-2010 წლებში წელიწადში საშუალოდ 52 ათასამდე გაიზარდა. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვლილთა რაოდენობამ საქართველოში 2010 და 2012 წლებში შესაბამისად შეადგენდა 701 და 703 ბავშვი. არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა და შეადგინა 104 ათასი ბავშვი. 1960-1990 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, ხოლო 1991-2010 წლებში შემცირდა და წელიწადში საშუალოდ 55 ათასი შეადგინა. 2005-2010 წლებში წელიწადში დაახლოებით 53 ათასამდე დავიდა. შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო. კვლევებით დგინდება, რომ მუსულმანურ ქვეყნებში (აზერბაიჯანი და სხვა) გაზრდილია შობადობა, კერძოდ თუ ჩვენთან 1000 კაცზე იბადება 10 ბავშვი, იქ იბადება 20, 30, 40 ბავშვი. შობადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებელთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შობადობის შემცირების და სიკვდილიანობის ზრდის (ან სტაბილურია) პარალელურად მოსახლეობის ბუნებრივი მატება დაცემის ტენდენციით ხასიათდება. მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ საქართველოში 2012 წელს 2010 წელთან შედარებით იკლო 44,32%-ით. სტატისტიკური მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში დაიბადა 2000-2009 წლებში 502 296 ბავშვი, 1960-1969 წლებში 850 908 ბავშვი, 1963 წელს 106000 ბავშვი, ანუ მოსახლეობის ბუნებრივი მატების თვალსაზრისით საქართველოსთვის აღნიშნული წელი სარეკორდო იყო, ეს მაშინ, როცა საქართვე-

ლოს მოსახლეობა არსებულთან შედარებით მილიონნახევრით ნაკლები იყო. შესაბამისად წინა წლებთან შედარებით, ბოლო წლებში საქართველოში ბუნებრივი მატება 10-ჯერ შემცირდა.

აჭარაში 2011 წელს 2010 წელთან შედარებით დაბადებულთა რიცხოვნობა შემცირდა 9,3%-ით, გარდაცვლილთა რაოდენობა გაიზარდა 1,9%-ით. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვლილთა რაოდენობამ რეგიონში 2010 და 2011 წლებში შეადგინა 68 და 81 ბავშვი.

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს თან ერთვის ფერტილურ ასაკში ახალგაზრდობის უცხოეთში გადინების პრობლემაა. საერთოდ, ბავშვთა დაბადების ძირითადი - 60% მოდის 20-29 წლის ასაკის ქალებზე და საქართველოდან ემიგრაციაში შრომითი პირობების გასაუმჯობესებლად მიდის სწორედ 20-დან 40 წლამდე ახალგაზრდა.

ექსპერტთა შეფასებით საქართველოში დღეისათვის ერთდროულად დგას როგორც მოსახლეობის შემცირების, ისე ერის დაბერების ზრდის ტენდენცია, რომლის შეჩერებისა და შემცირებისათვის მიზანშეწონილია აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება, რაც უპირველესად მოითხოვს შობადობის სტიმულირებას, და ამასთან, მოკვდავობის შემცირებას. ერის დაბერების ზრდის პრობლემა განვითარებული ეკონომიკური ქვეყნების მახასიათებელიცაა. გაეროს ექსპერტთა შეფასებით ბევრი განვითარებული ქვეყნების მსგავსად იტალიაში, გერმანიაში და საფრანგეთში შობადობის კლების პარალელურად შეინიშნება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით, 65 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წილი საფრანგეთის მოსახლეობაში 25%-ს აღწევს, 2050 წელს მოსალოდნელია, რომ მიაღწიოს 50%-ს.

სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აჭარის რეგიონის მოსახლეობა, საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით, უფრო ახალგაზრდაა, რადგან აჭარაში შრომისუნარიან ასაკზე უფროსია მოსახლეობის საერთო რაოდენობის 10,6%-ი, საქართველოს მიხედვით ეს მაჩ-

ვენებელი 16,5%-ს შეადგენს. მოსახლეობის დაბერების მიმდინარე პროცესი ცხადყოფს, რომ დღეისათვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 19%-ზე მეტი 60 წლის ასაკს გადაცილებულია და ეს პროცესი მომდევნო ათწლეულებში უფრო დაჩქარდება.

საკითხისადმი პრობლემატურ მიდგომას განაპირობებს მზარდი მიგრაციული პროცესები. გაეროს მონაცემებით 2000-2005 წლებში საქართველოდან მიგრაციის რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 62 ათასამდე, ხოლო 2005-2010 წლებში 50 ათასამდე შემცირდა. ექსპერტთა შეფასებით 1992-2003 წლებში მზარდი გარე მიგრაცის შედეგად მათმა რაოდენობამ ნახევარ მილიონ ადამიანს გადააჭარბა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით 2002 წელს მიგრაციულმა სალდომ შეადგინა -27,8 ათასი კაცი და იგი 2000 წელთან შედარებით შემცირდა 7,4 ათასი კაცით. მიგრაციული სალდო 2007 წლისათვის შემცირდა -20,7 ათას კაცამდე, ხოლო 2008 წლისათვის-10,2 ათას კაცამდე. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე საქართველოს მსგავსად მიგრაციის პრობლემა მოქმედებს ყველა განვითარებად ქვეყნებში, სადაც ყოველი მეათე ადამიანი მიგრანტია. ჯოზეფ შამის (გაეროს მოსახლეობის განყოფილების დირექტორი) შეფასებით 1975 წლიდან დღემდე მსოფლიოში მიგრანტთა რაოდენობა გაორმაგდა და მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 3%-ი, ანუ 175 მილიონი ადამიანი დღეს არ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა, რაც მეტყველებს მიგრაციის მასშტაბების ზრდაზე.

აჭარიდან მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წავიდა 50 ათასზე მეტი კაცი, ანუ აჭარის მოსახლეობის 13,1%-ი. აღნიშნულ წლებში არსებული საყოველთაო კრიზისის პირობებში ცხოვრების დონის დაცემამ განაპირობა, ერთი მხრივ ,რეგიონში ემიგრაციული პროცესების განვითარება, და, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის შემცირების პარალელურად შრომითი რესურსების რიცხოვნობის 4%-ით შემცირება. 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოდან მიგრაციის მასშტაბი, მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით იმდენად მაღალი იყო, რომ

2007 წელს მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველო, მისი მოსახლეობის ხვედრითი წილის მიხედვით მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიგრაციულ ქვეყნად დასახელდა, რომლის ტენდენცია დღესაც შესამჩნევია.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო მასშტაბით მოქმედი მიგრაციის გამომწვევი პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური, ასევე ნებაყოფლობითი, იძულებითი, მუდმივი და დროებითი მიგრაციის მიზეზების შედეგად მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების მსგავსად საქართველოდან გადინება მოხდა მეტწილად შრომისუნარიანი და რეპროდუქციული ახალგაზრდებისა, რამაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის და რიცხოვნობის ფორმირებაზე. 2008 წელს (1 იანვრის მდგომარეობით) აჭარის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 24%-ი 15-წლამდე ასაკისაა, რაც 5,2%-ით აღემატება საქართველოს მიხედვით გაანგარიშებულ ანალოგიურ მაჩვენებელს და აიხსნება აჭარაში შობადობის შედარებით მაღალი დონით და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილით. აჭარის მოსახლეობის 48,2%-ს კაცები შეადგენენ, 51,8%-ი ქალია. ხანდაზმულთა კატეგორიაში ქალების რიცხვი 1,6-ჯერ აღემატება კაცებისას (მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგებით, 65 წლისა და უფროსი ასაკის 33 ათასი პიროვნებიდან 20 ათასი ქალი იყო). აჭარა ასევე გამორჩეული რეგიონია უხუცესთა რაოდენობითაც: 2002 წლის აღწერით, აჭარაში 90 წელს გადაცილებული 790 პიროვნებაა, ხოლო 100 წელს გადაცილებული-113 პიროვნება ცხოვრობდა. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა (შესაბამისად, 76,1 და 81,4%) ქალები იყვნენ.

აჭარის მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის, ბუნებრივი მატებისა და ემიგრაციის პროგნოზული შეფასებებიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში და საშუალოვადიან პერსპექტივაში არ უნდა ველოდოთ რეგიონის მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას და მხოლოდ საჭირო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაშია შესაძლე-

ბელი, რომ აჭარამ შეინარჩუნოს „დემოგრაფიული დონორის„ მისია საქართველოს სხვა რეგიონებისათვის. ამასთან, დემოგრაფიული დაბერების პროცესის ინტენსივობის გაზრდა (რასაც განაპირობებს მრავალრიცხოვანი თაობების გადასვლა საპენსიო ასაკში) გამოიწვევს შრომითი რესურსების რაოდენობის კლებას და შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას. აჭარის მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურაში მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებები უაღრესად აქტუალურს ხდის ამ რეგიონის შრომითი პოტენციალის განვითარება-გამოყენების საკითხს. შრომითი პოტენციალის გამოყენება არსებითად არის დამოკიდებული რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და შრომის ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებაზე.

დასკვნა

საქართველოში და ასევე აჭარის რეგიონში მოქმედი სისტემური კრიზისის ხასიათის დემოგრაფიული პრობლემების (კერძოდ, მოსახლეობაში შრომისუნარიანი ასაკის პირთა კლება და დაბერების ზრდის ტენდენცია) გადაჭრისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მიერ შემუშვდეს დემოგრაფიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები, რასაც ცხადყოფს მსოფლიო ქვეყნების პრაქტიკა. განსახორციელებელ დემოგრაფიულ პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს, ერთი მხრივ საქართველოში და აჭარის რეგიონში არსებული დემოგრაფიული პრობლემების შესწავლა, გაანალიზება და მისი მასშტაბების განსაზღვრა, ხოლო, მეორე მხრივ, დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავების შეჩერება და არსებული სიტუაციის სტაბილიზება, შემდეგ კი საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის შექმნით არსებული ვითარების გაუმჯობესება (უფასო მშობიარობა; მშობიარობისას შვებულებისა და ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება, დახმარება მრავალშვილიან ოჯახებზე), რაც ხელს შეუწყობს დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტის გზების დასახვას და ღონისძიებების შემუშავებას.

THE DEMOGRAPHIC PROBLEMS OF THE POPULATION, AND THEIR SOLUTIONS IN GEORGIA

Irma Chkhaidze
PhD, Associative Professor,
Batumi Shota Rustaveli State University

RESUME

At the modern Stage individual nations are facing the real threat, for which on the one hand is characterized the problem of the physical continuity and on the other hand, the annual decline of the population. Two decades has been such a threat to Georgia and its separate administrative - territorial division of the core units - Georgia, which outward appearance is different by the natural conditions and industrial areas.

This article discusses Georgia and Achara, which is one of the administrative - territorial unit in the demographic problems, which finds its expression in the main demographic indicators: the significant reduction in the number of population, falling of birth rate to the critical thresholds, the significant increase in mortality; the natural population growth has almost stopped; ageing of the population; indoor and outdoor wide-scale migration.

The role of demographic problems of the state is determinated. That will be resolved by implementing and developing the demographic effective programs consistently.

მეცნიერება და ტექნიკა - როგორც გლობალიზაციის ფაქტორები

ლელა ბოჭოიძე, ედ. სტუ. ასოცირებული პროფესორი.
მაია ჩინჩალაძე, ედ. სტუ. ასისტენტ-პროფესორი
ნინო დარსაველიძე, ედ. სტუ. ასისტენტ-პროფესორი.

რეზიუმე

გარიგებათა ტრადიციული ფორმა, რომელიც დამახასიათებელია მსოფლიო ეკონომიკისათვის ადრეულ სტადიაზე, დღეისათვის არააქტუალურია. საქონლისა და მომსახურების ნაკადების უმეტესობა, რომელთაც სამეურნეო სუბიექტები განაგებენ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებიდან, ერთიანდებიან სტრუქტურაში, რათა, გლობალური მასშტაბებით, მოახდინონ საქონლისა და მომსახურების მომხმარებლამდე მიწოდება. მრავალეროვნული კორპორაციის მონაწილენი, ერთიან სისტემას ქმნიან. ცალკეულ ელემენტთა ნაციონალობას მნიშვნელოვანი როლი აღარ აკისრია. მთავარია არა ის, თუ ვის მიერ ხდება ახალი ტექნოლგიის შემუშავება, არამედ მისი დროული განხორციელება, პრაქტიკაში დანერგვა, საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის რაციონალიზირების მიზნით. გლობალიზაციას კაცობრიობისთვის მრავალი სიკეთე მოაქვს, მაგრამ, ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს. ისინი, ვინც მხარს არ უჭერენ გლობალიზაციას, თვლიან: პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ ვინ მართავს პროცესებს, ვის ინტერესებს იცავს გლობალიზაცია, ვის წინააღმდეგ იბრძვის იგი.

საკვანძო სიტყვები: გლობალური მასშტაბები; საერთაშორისო ალიანსები; გლობალიზაციის საკითხები; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში ადვილი ხელმისაწვდომია მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური კვლევები. ახალი იდეები და საქონელი სცდება ქვეყნის საზღვრებს. ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა მონაწილენი ცდილობენ მათ ეფექტურ გამოყენებას

და ამ გზით ბაზარის გარკვეულ სეგმენტზე დამკვიდრებას. ამ პროცესმა, გამოიწვია კონკურენტული ბრძოლის ახალი სახეობის წარმოქმნა, რომელშიც მონაწილეობს არა ცალკეული ეროვნული კომპანიები, არამედ, საერთაშორისო ალიანსები, რომლებიც ფორმირდებიან წარმოების რაციონალიზაციის, ახალი ბაზრის სეგმენტების ფლობის მიზნით.

ნებისმიერ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია მისი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის აქტიური ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკურ პროცესში, შრომის საერთაშორისო დანაწილება ახალი, გლობალური ეკონომიკის პრინციპით. ამ შემთხვევაში, სამამულო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსი მიიღებს აუცილებელ ფინანსურ იმპულსს, შემდგომი განვითარებისათვის და მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის ცენტრთა შორის საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად.

ძირითადი ტექსტი

მხედველობაში მივიღებთ რა საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებს, რომლებიც აერთიანებენ უდიდეს ეკონომიკურ საშუალებებს, მართავენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, ადვილი მისახვედრია, რომ, გვკარნახობენ კიდეც საკუთარი თამაშის წესებს, რომლებიც ემსახურებიან განვითარებულ და ძლიერ ქვეყნებს, და ამით, „მეორე რანგის“ ქვეყნებს თავს ახვევენ საკუთარ ნებასა და პოლიტიკას. ამგვარი დამოკიდებულების ფონზე, ყალიბდება უზარმაზარი ანტიგლობალური მოძრაობა მსოფლიოში. მათი ზეგავლენით საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების რიტორიკა შეიცვალა სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის სასარგებლოდ.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციას აქვს ობიექტური საფუძველი საერთაშორისო ცოდნისა და ტექნოლოგიური პრინციპების სახით. ეკონომიკური თვალსაზრისით, იგი ორი მიმართულებით ვითარდება: კომერციული ანუ, შიდასაფირმო და არაკომერციული, როდესაც ხდება სხვადასხვაგვარი აკადემიური ხელშეკრულებების და არაკომერციული ხასიათის გლობალური სახელმწიფოთაშორისი პროექტების რეალიზება.

სადღეისოდ, ცალკეული ქვეყნები, რომლებიც ერთვებიან

მსოფლიო შრომის დანაწილების პროცესებში, იზოლირებულად ველარ არსებობენ. ნაციონალური ეკონომიკები მსოფლიო ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებელ ელემენტად აღრ მოიაზრება. მათ შორის დამყარებული მჭიდრო კავშირები საფუძვლად დაედო ახალი ეკონომიკური ბლოკების და თავისუფალი ვაჭრობის ზონების წარმოქმნას. შეიცვალა მსოფლიო ეკონომიკის ტრანზაქციის ხასიათიც. ადრე გარიგებები დგებოდა საქონლისა თუ მომსახურების მომხმარებელსა და სხვა ქვეყნის მიმწოდებლებს შორის, დღეს მნიშვნელოვან ტრანზაქციას აქვს ადგილი გეოგრაფიულად დაშორებულ რეგიონებს შორის, მაგრამ, ისინი ერთიანებიან საწარმოო-სამეურნეო პროცესში. პირველ შემთხვევაში, ოპტიმიზაციის მიზნით, ტრანსნაციონალური კორპორაციები მნიშვნელოვან რესურსებს გადაანაწილებენ საკუთარ ქვედანაყოფებში, ან ქმნიან რა, გლობალურ ბაზრებს, კავშირებსს ამყარებენ ერთმანეთთან.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დამსახურებით, ხდება ახალი ტრანსნაციონალური საქონლისა და მომსახურების დანერგვა. გამოიკვეთა ტრადიციული საქონლის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შემცირების ღონისძიებები. იქმნება პრინციპიალურად ახალი პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს. მაგალითად, მცირდება დეტალების მექანიკური დამუშავების მოცულობა, კვანძების რაოდენობა, დეტალების მასა, მარტივდება ექსპლოატაციის პროცესი და ტექნიკური მომსახურების პირობები. მაგრამ, ამასთანავე, გარემოს დაცვის მიმართულებით, მწარმოებელთა მიმართ იკვეთება პრინციპიალურად ახალი მოთხოვნებიც: საკმარისი არ არის ახალი საქონლის კონსტრუქციის და მისი უსაფრთხო ექსპლოატაციის წესების შემუშავება. განსაკუთრებული მოთხოვნები ეხება ექსპლოატაციიდან გასული პროდუქციის უტილიზაციის საკითხებსაც.

დასკვნა

მსოფლიო სამეურნეო კავშირების განვითარებამ ნაციონალური ეკონომიკის სპეციალიზაციის გაძლიერება, ინტეგრაცია, და მის სხვადასხვა სექტორებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი

გამოიწვია. შეიქმნა მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობათა ახალი სუბიექტები, - ტრანსნაციონალური კომპანიები, საერთაშორისო ბიზნეს-ორგანიზაციები, ფრანშიზული ქსელები და ა.შ. ვინაიდან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მხოლოდ იდეების პრაქტიკულ განხორციელებას არ ეხება. მისი პირდაპირი დანიშნულებაა საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ძირითადი გამოგონებანი, რომელთაც კაცობრიობის განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს, უკვე მიკვლეულია. მაგრამ, ტექნიკური სისტემის ლოგიკა ისეთია, რომ, ტექნოლოგია, იქმნება რა საზოგადოების ცალკეული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შემდეგ პოულობს სხვა, უფრო ფართო მასშტაბიან გამოყენებას და მალე ახალი ამოცანების გადასაწყვეტად იქნება ტრანსფორმირებული.

REFERENCES:

1.Bolysheva NN The development of language in the context of globalization (social-philosophical aspect: Abstract / NN Bolysheva - Krasnoyarsk., 2006.

2. Kamieva AA Globalization of the world economy: problems and prospects // Actual problems of science, economics and education of XXI century: Materials of the II International Scientific and Practical Conference, March 5 - 26 September 2012.

3. Nesmachniy, OV To the question about the type of the modern economy / OV Nesmachniy, VV Litovchenko // International Journal of Applied and Basic Research. - 2014. - № 4. - S. 185-186.

SCIENCE AND TECHNOLOGY - AS THE GLOBALIZATION FACTORS

Lela Bochoidze, PhD, GTU, Associated Professor
Maia Chinchaladze , PhD, GTU , Assistant -professor
Nino Darsavelidze , PhD, GTU, Assistant -professor

RESUME

The traditional form of deal that was characteristic to the world economy at the earliest stages, does not play the important role today. That's why goods and services are being managed by enterprises from different parts of the world and are united in one structure. Their goal is to ensure the provision of goods and services to the customers. These enterprises can be the parts of Multinational Corporation or network of contractors. Taking into consideration the fact that, the nationality of separate elements is not essential, the most important is developing of technologies and putting them into practice in timely manner. These are the keys to rationalization of viability of modern society.

Keywords: The Global Scale; International Alliances; Globalization of the Issues; Scientific and Technical Progress.

კულტურათაშორისი ურთიერთობები გლობალურ ბიზნესში

მანანა ბერუაშვილი
სტუ, დოქტორანტი

რეზიუმე

ბიზნესი კარგა ხანია გავიდა ეროვნული ჩარჩოებიდან და მოიზიდა განსხვავებული კულტურული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანები. წარმოიქმნა საქმიანი სფეროს მულტიკულტურული პრობლემები, რომლებიც გამოიხატება ახალ კულტურულ და სოციალურ პირობებში არსებული წინააღმდეგობის ზრდაში. ადამიანების შემეცნების ფორმირება მიმდინარეობს ცოდნის, რწმენის, მორალის, კანონების, ღირებულებების, ნორმებისა და იმ ჩვევების საფუძველზე, რომლებსაც ისინი იძენენ საზოგადოებრივი თანაცხოვრების განვითარების პროცესში. საერთაშორისო ბიზნესში კულტურული გარემოს ფაქტორების არასწორი ინტერპრეტაცია ქმნის ყველაზე დიდ სირთულეებს. განსხვავებული ეროვნული კულტურების ობიექტური შეფასება ბიზნესისათვის ხდება სულ უფრო მნიშვნელოვანი.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ურთიერთობები, ფორმირების პროცესი, გლობალური ბიზნესი, საზოგადოებრივი ცხოვრება.

შესავალი

კულტურა არის მრავალი განსხვავებული ნიშნის მატარებელი. ის თაობიდან თაობას, ეპოქიდან ეპოქას, ქვეყნიდან ქვეყანას გადასცემს სოციალურ გამოცდილებას. საზოგადოება იმდენად ინტელექტუალურია ,რამდენადაც ის იყენებს მის კულტურულ გენოფონდში დაგროვილ ცოდნას.

კულტურა არის მრავალფუნქციური მოვლენა, მაგრამ ყველა მისი ფუნქცია ორიენტირებულია ადამიანის განვითარებაზე. ნებისმიერი სახის ბიზნესი დაკავშირებულია ადამიანებს შორის ურთიერთობათა სისტემაზე და იმისთვის, რომ წარმატებული ვიყოთ

საერთაშორისო ბაზარზე, რომელიც შედგება ადამიანებისაგან, უნდა გავაანალიზოთ ადამიანის პიროვნული თვისებების ფორმირების პროცესი, რაც გამომდინარეობს მისი კულტურული თავისებურებებიდან.

ძირითადი ტექსტი

უცხოელ მეწარმეთა უმრავლესობას, საქართველოს ბაზარზე შემოსვლის ან ადილობრივ მეწარმეებთან ერთობლივი პროექტების განხორციელების სურვილები ამოძრავებთ. საქართველოში ან ქართველ პარტნიორებთან ბიზნესის წარმოებით დაინტერესებული მხარეები უნდა გაეცნონ ნაციონალური სოციოკულტურის თავისებურებებს. რთულია მაღალკვალიფიციურ ხელმძღვანელებზე ზემოქმედება და გადაუმოწმებელი ისტორიებით მათი მოტყუება. საქართველო გარდამავალი ქვეყანაა, მიმდინარეობს სისტემური ტრანსფორმაციის პროცესები, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს ღირებულებების ფორმირებაზე. აუცილებელია გადმოცემულ იქნეს ნაციონალური სოციოკულტურული ცვლადები და მათი ბიზნესპროცესებთან ინტეგრირება ქართულ რეალობაში.

მეწარმეები, რომლებიც არ გაითვალისწინებენ იმ ქვეყნების ნაციონალური კუტურული გარემოს სპეციფიკას, სადაც აპირებენ საქმიანობის გაფართოებას, სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან.

სოციოკულტურულ გარემოს ქმნის გარკვეული სოციალური ჯგუფის ფარგლებში გაზიარებული ფასეულობების, ქცევის მოდელების, ზნე-ჩვეულებებისა და განწყობების ერთობლიობა. ბიზნესის სოციოკულტურული გარემოს ამოსავალი ელემენტია ადამიანების ფასეულობები, შეხედულებები, განწყობები. მართალია, ბიზნესისთვის მთავარია მოგებისა და დანაკარგების ანალიზი, მაგრამ წარმატების მიღწევა შეუძლებელია სოციოკულტურული გარემოს ელემენტების შეფასების გარეშე.

საქართველო ცდილობს გლობალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეში სრულფასოვან და კონკურენტულ სუბიექტად ინტეგრირებას. საგარეო ფაქტორი ქვეყნის სოციალური და

ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად არის მიჩნეული. უცხოური კომპანიების საქმიანობის საქართველოში წარმართვისა და აქტივობისათვის აუცილებელი პირობაა საქართველოს კულტურული გარემოს თავისებურებების შესწავლა და გაცნობა.

საერთაშორისო ბიზნესის სუბიექტები საქართველოში ხვდებიან საკმაოდ სპეციფიკურ კულტურას, რომელიც ზოგჯერ გაუთვალისწინებელ სიტუაციებს წარმოშობს. ყოველ ქვეყანას აქვს გამორჩეული კულტურა. ცალკეული ქვეყნის შიგნით შეიმჩნევა კულტურული განსხვავებანი. გლობალიზაციის პროცესების გავლენით კულტურული საზღვრები ქვეყნებს შორის მკრთალდება.

ყველაზე ფართოდ აღიარებული მეცნიერული გამოკვლევა სოციოკულტურული ცვლადების ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროზე ზემოქმედებისა ეკუთვნის გ. ჰოფსტედეს. მისი კვლევის შინაარსი ეყრდნობა მოსაზრებას, რომ ადამიანები არიან მატარებელნი ერთგვარი „მენტალური პროგრამისა“ , რომელიც მათ ოჯახისგან შეიძინეს და შემდეგ იგი გაძლიერდა სკოლასა და ორგანიზაციებში. გ. ჰოფსტედეს მიერ შემოთავაზებული კულტურის განზომილებანი ახასიათებს კულტურებს და არა ინდივიდებს, ამიტომ ჰოფსტედეს კვლევა ნაციონალური კულტურის ანალიზს ემსახურება.

თეორიული და სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე გ. ჰოფსტედემ გამოყო ჯერ ოთხი, ხოლო შემდეგ ხუთი განზომილება. ეს განზომილებებია :

ძალაუფრებრივი დისტანცია - რომელიც გვიჩვენებს ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში ნაკლები ძალაუფლების მქონე ადამიანებისთვის რამდენად მისაღებია ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილება. ძირითადი კატეგორიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძალაუფლებრივი დისტანციის ასახსნელად, არის : თანასწორობა- უთანასწორობა, პრივილეგიები, სოციალური რანგი, სოციალური სტატუსი, სოციალური როლები, დამოუკიდებლობის დონე, იერარქია, ძალაუფლების საფუძველი და წყაროები, ძალაუფლების ლიგიტიმაცია, ძალაუფლების გამოვ-

ლენის გზები, სოციალური ფენები, უფლებები-მოვალეობები, კონკურენტუნარიანობა- სოლიდარობა-კოოპერაცია, მენეჯმენ-ტის სტილი და სხვა.

განუსაზღვრელობის აცილება - გვიჩვენებს საზოგადოების წევრები უჩვეულო, წინასწარ განუსაზღვრელ გარემოში რამ-დენად განიცდიან დისკომფორტს. ძირითადი კატეგორიები, რომლებიც ამ საზომის გამოყენებით ამა თუ იმ კულტურის და-ხასიათების შესაძლებლობას მოგვცემს, არის : უსაფრთხოება-საფრთხე, მღელვარება-სიმშვიდე, შიში-ფსიქოლოგიური კომ-ფორტი, აგრესია, კონფლიქტები, სტაბილურობა-ცვლილებები, რისკი, დრო, დროის მნიშვნელობა-პუნქტუალურობა, მოქმედე-ბა-უმოქმედობა, სტანდარტული-არასტანდარტული-ინოვაციუ-რი და სხვა.

ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი განსაზღვრავს, ინდივიდე-ბი დამოუკიდებელნი არიან თუ ჯგუფთან ინტეგრირებულნი. ამ ორ პოლუსს შორის ადგილის მოძებნა არის პრობლემა , რომლის წინაშე ყველა საზოგადოება დგას. ძირითადი კატეგორიები, რომ-ლებიც ახასიათებს საზოგადოებას მოცემული განზომილების მიხედვით შეიძლება იყოს: ჩაკეტილი-ღია ჯგუფები, უფლებე-ბის, მოვალეობების, პასუხისმგებლობის ობიექტები, ინდივიდის მნიშვნელობა, ჯგუფების მნიშვნელობა, ინტეგრირება-გამოცალ-კევება, დამოკიდებულება-დამოუკიდებლობა, თანასწორობა-ინ-დივიდის თავისუფლება, სოციალური გარემო, ჰარმონია და სხვა.

მასკულინურობა ფემინურობა - ახასიათებს ემოციურ დამოკი-დებულებებს და ერთმანეთს უპირისპირებს მტკიცე მასკულინურ და ნაზ ფემინურ საზოგადოებებს . მნიშვნელოვანი კატეგორიე-ბია: ღირებულებები, სოციალური სამართლიანობა, ქცევის მო-დელები, მოკრძალება-ამბიცია, თანასწორობა-სამართლიანობა, კოოპერაცია-კონკურენცია, ურთიერთობები-შრომა, ძალა-სი-სუსტე, ადამიანები-ურთიერთობები-ფული და სხვა.

მოკლევადიანი-გრძელვადიანი ორიენტაცია-განსაზღვრავს რამდენ ხანს დაელოდება საზოგადოება მატერიალური, სოცი-ალური და ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. გ.ჰოფსტედე აღნიშნავს, ამ ორი ორიენტაციის წინ წამოწევა

კონფუციანურ მოძღვრებაზეა დაფუძნებული. მისთვის დამახასიათებელია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა გამძლეობა და მომჭირნეობა, პირადული სტაბილურობა და ტრადიციების პატივისცემა. ჰოფსტედეს ნაშრომში წარმოდგენილია ორგანიზაციული კულტურისა და ნაციონალური კულტურის ურთიერთმიმართების სფეროები. ორგანიზაციული კულტურის დასახასიათებლად შემუშავებულია რამდენიმე საზომი, ესენია: პროცესზე- შედეგზე ორიენტირებული, დასაქმებულზე- სამუშაოზე ორიენტირებული, პაროქიალური - პროფესიონალური, ღია-დახურული სისტემა, სუსტი-ძლიერი კონტროლი, ნორმატიული - პრაგმატული. გ.ჰოფსტედეს ნაშრომს არაერთი კრიტიკოსი ჰყავს, მაგრამ კულტურათაშორის ურთიერთობებში მისი მოდელები გასათვალისწინებელია.

ჰოფსტედეს ნაშრომს აქვს საერთაშორისო მენეჯმენტის სფეროზე უზარმაზარი გავლენა და ის კულტურის გავლენების შესწავლის პროცესში რჩება მნიშვნელოვან გზამკვლევად. მისმა ბოლო გამოკვლევებმა განამტკიცა აზრი ჰოფსტედეს კულტურული დეტერმინანტების მეცნიერული ღირებულებისა და გამოყენებითი ხასიათის შესახებ. ბიზნესლიდერები პრიორიტეტს ანიჭებენ იმ მიზნებს, რომლებშიც აირეკლება მათი ეროვნული კულტურა. ბიზნესმენები მაღალი ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების მქონე ქვეყნიდან აფასებენ პირად პატიოსნებას, ოჯახის ინტერესებს და ძალას მეტად, ვიდრე ბიზნესმენები დაბალი ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების მქონე ქვეყნებიდან.

დასკვნა

კულტურის არსის გაგება შესაძლებელია ადამიანური საქმიანობის პროცესში. კულტურა არ არსებობს კაცობრიობის გარეშე და პირიქით, საზოგადოება, სოციალური ჯგუფი, ადამიანი, კულტურის გარეშე. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამ სამყაროში არსებობს, ითვისებს იმ კულტურის ელემენტებს, რომლებიც თაობათა მიერ იქმნებოდა და ამით იძენს იმ სოციალურ გამოცდილებას, რომელიც წინა თაობებმა შექმნეს. ყველაზე მნიშვნელოვანია მსოფლიო და ეროვნულ კულტურაში არსებული განსხვავებების

სწორი აღქმა და ინტერპრეტაცია. ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდა საქონლის და მომსახურების რეალიზაცია დიდ ტერიტორიებზე, ამიტომ აუცილებელია გავითვალისწინოთ ის კულტურული განსხვავებანი, რომლითაც ხასიათდებიან მომხმარებლები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლელა ჯამაგიძე, ნინო პაპაჩაშვილი, შოთა შაბურიშვილი, დავით სიხარულიძე. საერთაშორისო ბიზნესის სოციო-კულტურული გარემო საქართველოში. გამომცემლობა "უნივერსალი" თბილისი 2011.

2. თეიმურაზ შენგელია, საერთაშორისო მენეჯმენტი, გამომცემლობა "ახალი საქართველო 2012"

3. გირტ ჰოფსტედე და გერტ იან ჰოფსტედე, კულტურები და ორგანიზაციები, გონების პროგრამული უზრუნველყოფა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 2011 წელი.

4. საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 28 თებერვალი, 2011 წელი, გამომცემლობა "უნივერსალი".

REFERENCES:

1 Lela Jamagidze, Nino Papachashvili, Shota Shaburishvili, Davit Sikharulidze.The Socio-Cultural Environment of International Business in Georgia. Publishing House "UNIVERSAL" Tbilisi 2011 (In Georgian Language).

2. Teimuraz Shengelia, International Management, Publishing House "Akhali Sakartvelo 2012 " (In Georgian Language).

3. Geert Hofstede and Gert Jan Hofstede, Cultures and Organizations, Software of the Mind. Ilia State University Press. Tbilisi 2011 year (In Georgian Language).

4. The Socio-Cultural Environment of International Business, Resources of the International Scientific Conference, February 28, 2011, Publishing House "UNIVERSAL".

INTERCULTURAL RELATIONS IN THE GLOBAL BUSINESS

Manana Beruashvili
Georgian Technical University, PhD Student

RESUME

Businesses have long passed the national framework and attracted people with the different cultural outlooks. The multicultural problems of business sphere have been arised that are expressed in the growth of obstacles existing in the new cultural and social conditions. The formation process of cognition of Peoples is based on the knowledge, belief, moral, laws, values, norms and habits that they acquire in the development process of community life. In the international business, the misinterpretation of the factors of cultural environment pose the most difficulties. The objective evaluation of the different national cultures in business becomes increasingly important.

Keywords: Cultural Relations, Formation Process, Global Business, Community Life.

საზოგადოებრივი კულტურის ზღვრული დონის ეტაპობრივი ამაღლება პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის შემოქმედება - შენარჩუნების წინაპირობაა[1]

ნაწილი პირველი. არამატერიალისტური საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაცია ახალი ე რ ა თ ი (მერწყული) განპირობებული სოციალური მოთხოვნაა.

ეთერ თაკალანძე
ეკონომიკის დოქტორი

რ ე ზ ი უ მ ე

ნაშრომში **წარმოჩინებულია** სამყაროს თვითშემოქმედების უზენაესი (ასტრო-ფიზიკური) კ ა ნ ო ნ ი -„ლ ა ზ ა რ ე“, როგორც სოციალური ენერგიის შემოქმედების 2-ათასწლიანი პერიოდულობით განახლებადი, კანონზომიერი პროცესი; **ახსნილია,** რომ ეს პროცესი ფიზიკისა და სხვა, საბუნებისმეტყველო მეცნიერულ კანონებზეა აგებული; -რომ ამგვარი ენერგია ასტრო-ფიზიკური სხეულებისა თუ მათი სისტემების თვითმყოფადი მოძრაობა-თვითგანვითარების კვალდაკვალ, ასტრო-ფიზიკურ სივრცეში მიწიერი და არამიწიერი სოციალური ენერგია იქმნება; - რომ იქმნება იგი ამ „ციურ“ არსთა ურთიერთთან სულიერი ანუ მ ა ნ ძ ი ლ ზ ე მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს ძალთა (+ , -) შორის მხოლოდ დადებითი ბალანსის ფორმირების პირობებში; სტატიაში **ნაჩვენებია**, რომ 2-ათასწლეულის დასასრულს, ამგვარი მიმართების ძალთა ბალანსის აქტივობის ზღვრული ნიშნულის ქვეყნების მიხედვით ათვისებაგადალახვაში გამოიხატება ამ ქვეყნების მკვიდრი ეროვნებებისა და, შესაბამისად, დედამიწაზე, მთლიანი კაცობრიობის თვითგანვითარების მორიგ 2-ათასწლეულში გახანგრძლივების სულიერი პოტენციალი; **გამოაშკარავებულია** რომ სოციალური კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ა-„ლ ა ზ ა რ ე“, რომელიც ამ კანონითაა განსაზღვრული, განახლებულ სოციალურ მოთხოვნებს განუსაზღვრავს დე-

1 იბეჭდება ავტორის დაჟინებული მოთხოვნითა და სტილის დაცვით.

დამიწას, სწორედ, 2-ათასწლიანი პერიოდულობით; **წარმოჩინებულია** ახალი - მერწყულის ერას - სოციალური მოთხოვნები, რომლებიც, წარმოადგენენ სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერულ საფუძვლებს დამდეგ 2-ათასწლეულში ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეოლოგიის განახლებისათვის; ახსნილია ამ საქმის, ე.ი. არამატერიალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში, ეროვნულ--დემოკრატილი პოლიტიკურ - ეკონომიკური თეორია- პრაქტიკის სისტემური განახლების საქმიანობის ქვეყანა - საქართველოში დაწყების ქართული ეროვნული მისია.

საკვანძო სიტყვები: სამყაროს თვითშემოქმედების უ ზ ე ნ ა ე ს ი კ ა ნ ო ნ ი -„ლ ა ზ ა რ ე “; სოციალური კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბა-„ლ ა ზ ა რ ე“; საზოგადოებრივი განვითარების საერთო-საკაცობრიო ზ ღ ვ რ უ ლ ი დ ო ნ ე; საერთო-საკაცობრიო დ ე დ ა-ე ნ ა - „ლაზარე“; ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი ე ნ ე რ გ ი ა.

შესავალი

სოციალურ-მეცნიერული საინფორმაციო ახალ წყაროდ **უზენაესი კანონით,** ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ი ს განსაზღვრულობის წარმოჩინება - გ ა ს ა ჯ ა რ ო ე ბ ი ს მიზანი, ჩვენ ამისწინა ღია წერილში [8,62] გამოვავლინეთ. იგივე წერილი, სრულიად საქართველოს **ეროვნული ყრილობის** პრეზიდიუმის სახელით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ადრე (14, 10, 2014) წარედგინა; მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მხრიდან ამ თემის გასაჯაროებისათვის, ამ ახალი ს ი ტ ყ ვ ი ს შესახებ მოკვლევებისა და, მეტადრე, მათი პუბლიკაციისათვის ხარჯების შიდაუწყებრივი უზრუნველყოფის აუცილებლობა აშკარაა. ეს გამოკვეთილია კრიზისულ, მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკურ რეალობაში, რომელიც, როგორც ეს ქრისტე-ს ი ტ ყ ვ ი ს მიხედვით არის დამოწმებული, ამ ეტაპზე ჰქმნის დედამიწაზე ადამიანის (ერი, კაცობრიობა) თვითგანადგურების წინაპირობას: ადამიანის თვითგანვითარება მოიცავს, 1) ასტრო-ფიზიკურ სივრცეში დედამიწის გაწონასწორების უწყვეტობას (არამიწიერი, თვითმყოფადი გ ო ნ ი - ენერგიის წყარო [5,47]), და, 2) დედამიწაზე სოციალური ენერგიის ანუ ადამიანური გ ო ნ ი ს წარმოება-განვითარების სისტემურ ორგანიზებას; ქვეყნების ფიზიკურ-გეოგრაფიულ საზღვრებში განხორ-

ციელებადი, ეროვნული სოცალური ენერგიის შემოქმედების ამ საქმიანობაში, ადამიანური ენერგიის ძალთა (+, -) შორის დადებითი თანაფარდობა განსაზღვრავს არამიწიერი სოციალური ენერგიის სასიცოცხლო ძალის დედამიწაზე **მოზიდვის** (დედუქცია) საერთო-საკაცობრიო სასიცოცხლო შედეგს [5, 30]; ანუ, ქვეყანაში ეროვნული გ ო ნ ი ს თვითგანვითარების ინდუქციურ-დედუქციური პროცესების ბალანსირება-შეფასება დროში (2-ათასწლეული და მისი შემადგენელი ერთეულები), არის ზოგადსაკაცობრიო გ ო ნ ი ს ევოლუციური თვითგანვითარებისათვის გარდაუვალი ეკონომიკური პირობა [10,44-დან]. დედამიწაზე ამ პირობის დაცვის, (ე.ი. ხსენებული, ბალანსირება-შეფასების), პროცესები თანმიმდევრლობით წარიმართება, სწორედ, 2-ათასწლიანი პერიოდული უწყვეტობით [3,30] ; წარიმართება იგი კავკასიონის წყალგამყოფ მთიანეთზე მდებარე, ლ ა ზ ა რ ე - ენის ქვეყნიდან დაწყებული, ყველა დანარჩენ, დედამიწისეულ სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში [3, 41; უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ]. მოკლედ, საერთო- საკაცობრიო სოციალურ-ეკონომიკური პირობა (ინდუქციურ-დედუქციური პროცესების ბალანსირება-განახლების 2-ათასწლლიანი პერიოდულობა და, ამასთან ერთად, საკუთარი ქვეყნის ა დ გ ი ლ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა და დ ე დ ა ე ნ ა-ლ ა ზ ა რ ე) განუსაზღვრავს ქართველს თავის სადღეისო მისიას; - იმას, რომ პირველმა ეროვნებებს შორის, გაიცნობიეროს ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ა, როგორც ახალი რელიგიური ცნობიერება, რომელიც ამ ეტაპზე უკვე სამეცნიერო-საინფომაციო წყაროს შემცველიც არის; - გააცნობიეროს მშობლიური ენის, იგივე, დ ე დ ა-ენის სოციალურ-მეცნიერული არსი.

ძირითადი ტექსტი.

ერისა და, შესაბამოსად, კაცობრიობის ისტორიის შემოქმედება-განვითარება 2-ათასწლიანი, ეტაპობრივ-საფეხურებრივად განხორციელებადი, ეროვნულ-სახელმწიფობრივი საქმიანობაა. მისი სოციალური დანიშნულებაა ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის (მოსახლეობა) ზოგადსაკაცობრიო კულტურის ანუ კეთილგონიერების დონის იმ ზღვრული ნიშნულის გადალახვა, რომელიც , როგორც ამას ადრე აღვნიშნავდით, განისაზღვრება კანონზომიერება-„ლაზარეს“ მიხედვით; განესაზღვრება იგი ადამიანს (ერი, კაცობრიობა) ახალი 2-ათასწლეულისათვის, თვით

ამ 2-ათასწლეულის დასაწყისში. ანუ, ქვეყანის პოლიტიკურ-ეკონომიკური თვითგანვითარების საქმიანობის ახალი 2-ათასწლიანი პერიოდით გახანგრძლივების სოციალურ-მეცნიერული საკითხი განსაზღვრულია გასულ 2-ათასწლეულში მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკული შედეგებიდან გამომდინარე. ეს, არის რა კონკრეტული ასტრო-ფიზიკური სოციალურ-კანონზომიერი მოთხოვნა, ჰქმნის ქვეყნების მიხედვით და, შესაბამისად, მთლიანად დედამიწაზეც, პირობებს ადამიანის (ერი, კაცობრიობა) კულტურული განვითარების საშუალო დონის ევოლუციურად, 2-ათასწლიანი ეტპობრივობით ამაღლებისათვის;
- იმისათვის, რომ ამ გზით (კეთიგონივრული ანუ ადამიანური ძალისხმევა!) განხორციელდეს ჩვენი პლანეტის სოციალურ-ეკონომიკური გაწონასწორებულობის თანმიმევრული დაცვა. ამგვარი, წინმსწრები, 2-ათასწლიანი სოციალური მოთხოვნა ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში, პრაქტიკულადა გამოცდილი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი საზოგადობრივი ეკონომიკური ფორმაცის სახით. ანუ, დღეისათვის ეს გამოცდილება საყრდენია, საფუძველია განახალებული ფორმაციისა და, პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორია-პრაქტიკის შემოქმედებისა და, - მაშასადამე , ამ ქვეყნისა და ერის ისტორიის გახანგრძლივების საქმისათვის; იგი სულიერი პოტენციალური ძალაა ერისა და მთლიანად კაცობრიობის პოლიტიკურ-ეკონომიკური კულტურის დონის 2-ათასწლიანი ეტაპობრიობით ამაღლებისათვის; ეროვნული პოლიტიკურ- ეკონომიკური კულტურა ანუ კეთილგონიერების დონე (წილი) ეროვნულ სოციალურ ენერგიაში, რაც მოცემულ ქვეყანაში 2-ათასწლეულის დასრულების ჟამს, ამგვარი დონის საშუალო-საკაცობრიო ზღვრულ მაჩვენებელთან მიმართებაში ფაქტიურად დაფიქსირდება, გამოხატავს რა თავის მრიდან, ზღვრული საშუალო საკაცობრიო მაჩვენებლის შესრულების მდგომარეობას, განსაზღვრავს ამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსირებული განვითარების ახალ 2-ათასწლეულში გახანგრძლივების საკითხს.

სხვა სიტყვებით: გამომდინარე იქიდან, რომ ისტორიის შემოქმედებას ემსახურება მეცნიერების ყველა დარგის [დემოგრაფია (ეროვნულ-დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მიზანი!), სოციოლოგია, პოლიტიკა, ეკონომიკა და, ა.შ.] განვითარება, ცხადია, ქვეყანაში სახელმწიფო აპრატისაგან მოითხოვება ადამიანურ

გონში კეთილი ძალის წილის (სალდო) საშუალო-საკაცობრიო ზღვრული დონის დაცვის თვალსაზრისით, ყველა ამ დარგში კაცობრიობის პრაქტიკული მიღწევების სისტემური კეთილგონივრულობით გამოყენებაზე ორიენტირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზება; - მსოფლიო პრაქტიკით დამოწმებული მეცნიერულ თეორიებზე წვდომა, მათი გამოყენებითა და, რაც მთავარია, ადგილობრივი სულიერი თუ მატერიალური რესურსების ათვისება-გამდიდრების საქმიანობის სოციალურ- მეცნიერულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, თავისი ერის თვითგანვითარების პოლიტიკურ- ეკონომიკური ორგანიზაციამართვა; სახელმწიფოებრივ აპარატს მოეთხოვება ამ თვალსაზრისით, ერისა და კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობა .

ერის თვითშენარჩუნების ამგვარი სოციალურ-ეკონომიკური პირობა, უპირველესად, ქვეყანაში ადამიანური გონის, ე.ი. ეროვნული გენის, სახელმწიფოებრივად დაცვაა, რომელიც, თავისთავად, ქვეყნის გეოგრაფიული საზღვრების სახელმწიფოებრიბრივად დაცვას უპირველესად მოითხოვს; ეს საზღვრები ჰქმნიან ადმიანის (ერი) საზოგადოებრივი განვითარებისათვის - მოსიყვარულე ხასიათებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ადგილობრივი საწარმოო რესურსების სისტემური ერთიანობის ბუნებრივ (სოციალლურ - კანონზომიერ) მასშტაბს, რაც აუცილებელია თვითონ ქვეყნის სპეციფიური პირობების გათვალისწინებით სოციალურ-ეკონომიკური ბალანსირების ორგანიზებისათვის [9, 29 -39]; ამასთან, რაც, ასევე არსებითია, ეს საზღვრები იცავენ ამ პირობებს, რაც უპირველესია, ქვეყნის სულიერ-მატერიალური განვითარების საქმიანობისა და ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს თანმიმდევრული განვითარების, ხოლო ამ ნიადაგზე, ერთაშორისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების მშვდობიანი რეგულირების თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მეტად საგულისხმოა, ის რეალობა, რომ ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ი ს სასძლო კაცის (ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ჯორჯაძე) ინსტიტუტის მეშვეობით გამოაშკარავებულია უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური და საზოგადოებრივ- ეკონომიკური მეცნიერული სიახლეები; ისინი, რობლებიც გამოვლინებულია (ცხადია, ნაწი-

ლობრივად) ჩვენს კვლევაში, ეხება მერწყულის ერას სოციალურ მოთხოვნებს; ჩვენ ისინი გა მოვიკვლიეთ ქრისტე-სიტყვაში მოცემული რელიგიური მინიშნებების მეცნიერულ-ლოგიკური გააზრების კვალობაზე და, მიგვაჩნია, რომ ამ სიახლეებით უნდა განისაზღვროს ძირითადი სოციალური მოთხოვნები და მიმრთულება დამდეგ ახალ 2-ათასწეულში კაცობრიობის თვითგანვითარების იდეოლოგიის განახლების, - ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემოქმედება- განვითარების თვალსაზღისით.

აღნიშნული სიახლეების ძირითადი, არასრული ჩამონათვალი, რომლებზედაც, ჩვენი აზრით, აიგება საზოგადოებრივი მეცნიერების მორიგი, 2-ათასწლიანი ეტაპობრივი განვითარების არამატერიალისტური საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაცია, ასეთია:

1) ორიათასწლეული, როგორც კაცობრიობის ისტორიის შემოქმედებაში დროისა და სივრცის ერთიანობის კომპონენტი და, შესაბამისად, - როგორც სახელმწიფოებრივი აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი, წარმოჩინდება იმ დრო-ჟ ა მ ი ს სახით, რომლის დაწყებისა და დასრულების თარიღები ასტრო-ფიზიკურ სივრცეში ზოდიაქოს ნიშნის თორმეტი თანავარსკვლავედიდან თითოეულის (ამ ეტაპზე, მერწყულის), გარემო-სივრცეში ჩვენი პლანეტის ბრუნვის დროის ხანგრძლივობას ასახავს ; სხვა სიტყვებით, აშკარავდება ის, რომ თავისი ღერძის გარშემო დედამიწის ბრუნვის **დრო**, **სიჩქარე**, **რიტმულობა** ის ეკონომიკურ-მეცნიერული კატეგორიებია, რომელთა ზეგავლენა დედამიწაზე ქვეყნის ადგოლმდებარეობიდან გამომდინარე შეიგრძნობა ცოცხალი ორგანიზმების მიერ; შეიგრძნობს ამას ადამიანი (ერი) თავის ქვეყანაში, ხსენებული კონკრეტული, (მოცემულ შემთხვევაში მერწყულის), გარემო-სივრცის მის ფსიქიკაზე სულიერი ზეგავლენის შედეგად { 9, 31 -37]. ხოლო, თავად ეს შეგრნებები, რაც ფიზიკის კანონის შესაბამისად, ორ პლანეტას შორის (დედამიწასთან - სხვა პლანეტების) მიმართებების მანძილის შესაბამისად განისაზღვრება, აისახავს (მოიცავს) ურთიერთისაგან განსხვავებული სპეციფიციურობით, ამ ქვეყნის ტერიტორიის მდებარეობას (განშორება) ზღვის დონიდან, ამ ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრსფიულ საზღვრებში **ჰავის**, **მიწის**, **წყლის**, **სოციუმის, (თითოეულისა**

ცალ-ცალკე) ფიზიკურ-ქიმიურ შედგენლობათა სახესხვაობების გავლენას. ანუ ბუნებრივია, - ეროვნულ-დემოკრატიულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემას, უპირველესად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და, აქედან გამომდინარე, მთლიანად დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობის დამცველის ფუნქციური დანიშნულება აქვს; შესაბამისად, ეს სისტემა არის კონკრეტული ქვეყნის შიდა, ე.ი. ეროვნული ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობების სამსახური; დაფუძნებულია იგი ადგილობრივი მკვიდრი მაცხოვრებლების - ადამიანების, გვარების, ტომების - ეროვნული უფლება-მოვალეობის ბალანსირების გზით, ქვეყნის სოციალურ-ეკონონიკური ბალანსირების ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე; ე.ი. ორიენტირებულია ეს სისტემა, ადამიანის საზოგადოებრივი თვითშეგნების საერთო-საკაცობრიო ზღვრული დონის ქვეყნის მოსახლეობის მიერ ათვსება-გადამეტებაზე, - დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობის დაცვაზე, - ამ ზოგად-საკაცობრიო მისიის შესრულებაზე.

2) ასტროლოგიაში მიღებული და ცნობილი ინფორმაცია ასტრო-ფიზიკურ სივრცეში ზოდიაქოს თორმეტი თანავარსკლავედის თანმიმდევრული რიგითობით მოძრაობის კანონის შესახებ, რომელიც დიდმა მეცნიერმა, ევგენი ხარაძემ ასტრონომიული მეცნიერების თვალსაზრისით, მე-20 საუკუნეში ახსნა [1, 140], დღეს უკვე ქრისტე-ს ი ტ ყ ვ ის მიხედვითაა დადასტურებული; სასძლო კაცის (აკაკი ჯორჯაძე) საჯარო განცხადების თარიღი საქართველოში ქრისტე-ს ი ტ ყ ვ ი ს მოსვლის შესახებ - 1995 წ. 14 საათი, არა მხოლოდ ადასტურებს, არამედ, აზუსტებს საათებისა და წუთების მიხედვით, იმ ინფორმაციას, რომელიც ამის შესახებ ასტროლოგიაში, ზემოხსენებული რიგითობის შესახებ, ოდითგანაა აღიაღრებული; ამასთან, - აზუსტებს ამას, იმით, რომ ეს თარიღი მთელი სიზუზტით ემთხვევა ქრისტეშობის თარიღს, გამოთვლილს ბიბლიური ცნობების მიხედვით. სასძლო კაცის ინსტიტუტმა საქართველოში ადამიანების რწმენაზე დაყრდნობით და, პარალელურად, ჩვენი მეცნიერულ-ლოგიკური ანალიზის ბაზაზე, ამხილა რა რიგი საიდუმლოებისა, აშკარავდება ახალი ს ი ტ ყ ვ ი ს მცნებების მეშვეობით, ის კონკრეტული ბუნებრივი პირობები, რომელთა შემეცნებაც თანამედროვე ადამიანს საფუძველს დედამიწაზე სოციალური ენერგიის ქმნადობა-განვითარების

2-ათასწლიანი ეტაპობრივობით განსაზღვრული კანონის-„ლაზარე“, საზოგადოებრივი ეკონომიკურ -მეცნიერული თვალსაზრისით გააზრება-შემეცნებისათვის.

3) ძ ი რ ი თ ა დ ი საქმიანობა ერისა და, შესაბამისად, კაცობრიობის ისტორიის შემოქმედება-განვითარების თვალსაზრისით, არის ადამიანური გ ო ნ ი ს, მისი აზროვნების კეთილგონივრული განვითარების მეცნიერული პოლიტიკუ-ეკოომიკური სისტემური ორგანიზაცია- მართვა; ამ ეტაპზე, ესაა კ ე თ ი ლ გ ო ნ ი ე რ ე ბ ი ს განვითარების საერთო-საკაცობრიო ზ ღ ვ რ უ ლ ი დ ო ნ ი ს გადალახვაზე ორიენტირებული 2-ათასწლიანი ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფ ო რ მ ა ც ი ი ს ეროვნულ-დემოკრატიულ პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორია-პრაქტიკა; მისი ორგანიზება, ქვეყნების მიხედვით თანმიმდევულობით, დაფუძნებულია დედამიწაზე დროისა და სივრცის ერთიანობის კანონზე, რომელიც განაპირობებს კაცობრიობის, როგორც ეკონომიკური ობიექტის, შიგნიდან, ე.ი. ეროვნებებად, ორგანიზაცია - მართვის ობიექტურ აუცილბლობას; ეს კი, ცხადია, მოიცავს მეცნიერულ თეორიასთან პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისობის სახელმწიფოებრივად დაცვას - საზოგადოებრივ ურთიერთობებში მ ა რ თ ლ ი ს მადიდებლობას.

4) ერის ისტორიის შემოქმედების 2-ათასწლიანი განსაზღვრულობა (ვადა), რაც დედამიწის ბრუნვის 24-ათასწლიან ციკლში მეორდება 12-ჯერ [5,47] და, შესაბამისად, დედამიწაზე ეკოლოგიური წონასწორობის შემოქმედი ერების ვ ი ნ ა ო ბ ა ს დედამიწაზე ასეთივე პერიოდულობით ცვლის, საფუძველია იმისათვის, რომ ასტრო-ფიზიკური მიმართებების კვალობაზე, ადამიანის ქვეცნობიერში ცნება „ თანავარსკლავედი“ აღიქმება და, შესაბამისად, გამოიხატება ქართულ სიტყვაში - „ე რ ა“ [2, 480]. როგორც ეს ჩვენი კვლევიდან ირკვევა, ცნება - „ე რ ა“, თავისი არსით, გამოხატავს იმ ერების ერთობლიობას, რომლებიც მორიგი ახალი 2-ათასწლეულის დასაწყისში შეინარჩუნებენ (გამოავლენენ) თვითგანვითარების უნარს და, შესაბამისად, არიან (რჩებიან, ხდებიან) კაცობრიობის, როგორც ერთსულოვანი არსის, შემოქმედნი ; ან/და, ასე თუ ვიტყით, - რომლებიც, თავის ქვეყანაში ამგვარი (ეროვნულ-კაცობრიული) ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ე ბ ი ს შემოქმედების გზით მსახურებენ და, საბოლოო ჯამში, აღასრულებენ დედამიწის სო-

ციალურ-ეკონომიკური გაწონასწორებულობის მუდმივად შენარ-ჩუნების საკაცობრიო მიზანს (მისია).

5) ქრისტე-სიტყვის მოსვლის შესახებ სასძლო კაცის (ქართველი კაცი!) მიერ გაცხადების ზემოხსენებული თარიღი, თავისთავად, როგორც რელიგიური მცნება, არა მხოლოდ ადასტურებს არსებულ ასტროლოგიურ აზრს თანავარსკვლავედთა ურთიერთჩანაცვლების 2-ათასწლიანი განრიგის შესახებ, რომელიც ქართველმა ა ს ტ რ ო ნ ო მ მ ა, აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ ახსნა, არამედ საათებისა და წუთების სიზუსტით მიანიშნებს კაცობრიობას საქართველოს ტერიტორიაზე მერწყულის ერას დაწყების დროს. ანუ, ამ მცნების შესაბამისად, მერწყულის ერაში ქრისტიანული წელთაღრიცხვა დედამიწაზე, კონკრეტულად საქართველოში, ახლავე, უფრო სწორად, 1995 წლის 9 იანვრის 14 საათის დასრულების წამიდან, უკვე უნდა დაიწყოს. უნდა დაიწყოს იგი საქართველოში, ცხადია, ქრისტიანული (ჩვენი) წელთააღრიცხვის პარალელურად; (ეს პარალელური წელთააღრიცხვა სასძლო კაცის ინტიტუტის მიერ დაწყებულია გაზეთებში - „ მეტი სინათლე“ და „მძლეველი“). ცხადია, რომ ასეთი, -პარალელური აღრიცხვა ზედმეტი გახდება მაშინ, როცა ქართველი ერის სახელით გაცხადებული იქნება და, საკაცობრიო დონეზე წარმოჩინდება მერწყულის ერაში ქართველი ერის თვითგანვითარებისუნარიანობა, ხოლო ამის კვალობაზე კი, სხვა ერების მხრიდან ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ი ს სარწმუნოება, როგორც მეორედ მოსული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერება, იქნება აღიარებული; ანუ, ამ, განახლებულ, ქრისტიანულ- მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე (ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ა) დაყრდნობით, ადამიანის ეროვნულ-საზოგადოებრივი თვითშეგნების განვითარების პროცესი, რაც თავად მერწყულის ერას ხანაში საქართველოდან დაწყებული, განხორციელდება (მიმდინარეობს!), შექმნის საფუძველს საერთაშორისო ურთიერთობებში, ე.ი. კაცობრიობაში, ახალი - მერწყულის- ერას წელთააღრიცხვის დამკვიდრებისა და მისი მოთხოვნების რეალიზებისათვის.

6) დროის ერთეულლების მიხედვით (მოცემულ შემთხვევაში ე რ ა ს) დინების (და, ზოგადად, ვადების დაცვის თვალსაზრისით დროის) ა ღ რ ი ც ხ ვ ი ს **სიზუსტე** ქრისტიანული წელთააღრიცხვის მიხედვით, ასახავს რა,(როგორც ეს ქრისტე- სიტყვიდან ირკვევა),

დედამიწის მხრიდან დანარჩენ ასტრო-ფიზიკურ სხეულებთან თუ მათ სისტემებთან მანძილზე, ე.ი. სულიერი, მიმართების ს ტ ა ბ ი ლ უ რ ო ბ ი ს (დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობა!) მდგომარეობას, ცხადია, არის სოციალურ-კანონზომიერი მოთხოვნა; ამგვარი სტაბილურობა, [რომელიც დედამიწის თავის ღერძის გარშემო ბრუნვის რიტმის დაცვის მდგომარეობის გამომხატველია და, მაშასადამე, რომელთან შესაბამისობითაც განისაზღვრება მედიცინის მეცნიერებაში ყოველი კონკრეტული ადამიანის (ზოგადად სოციუმის) ფიზიკური ჯანმრთელობის დაცულობის მდგომარეობა], ცხადია, არის სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერული კატეგორია. ეს უკანასკელი ქვეყნების თვითმყოფადობისათვის ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ძირითად შემადგენლად განსაზღვრავს რა სოციუმს, (რომელსაც თაოსნობს საზოგადოება!), მოითხოვს სწორედ ეროვნული საზოგადოებრიობისაგან (ოჯახი, გვარი, ტომი) მშობლიურ ქვეყანაში ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისა და, ამასთან, ყველა დამახასიათებელი სახეობის სოციუმის ჯანმრთელობის დაცვას; ეს კი, სოციუმის განვითრების ბუნებრივი პირობების ქვეყნისშიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემურობის ორგანიზებას გულისხმობს.

7) დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმის ქმნადობა-განვითარების საქმიანობაში დროის ხარჯვის ნორმირება და ამ ნორმების შესაბამისად ადამიანის (ერი, კაცობრიობა) ქ ც ე ვ ა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერულ-სისტემური ორგანიზების საგანი, უპირველესად, არის ადამიანის თვითგანვითარების კონკრეტულ საქმიანობათა სისტემური ორგნიზაცია; ამ საქმიანობის ძირითადი ორგანიზაციული ჯგუფები კი, როგორც ამას სოციალური ბუნება (კანონზომიერება-„ლაზარე“) მოითხოვს და, რომელიც ყოველი კონკრეტული ადამიანის სიცოცხლის სახელმწიფოებრივად დაცვას გულისხმობს, ა ს ე თ ი ა: ადამიანის ჩასახვა-დაბადება, ჩვილისა და მოზარდის კეთილგონივრულად, შრომისმოყვარეობის თვისებებითა და შრომისუნარიანებად აღზრდა, განათლება-დასაქმება, შრომის საზოგადოებრივი დანიშნულების პროპაგანდა-რეალიზაცია, საზოგადოებრივი შრომის სოციალურ-მეცნიერული და საზოგადოებრივ -მეცნიერული სისტემატიზაცია, ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის თანმიმდევრული და სისტემური დაცვა, კვალიფიკაციის კვალი-

ფიკაციის სისტემატიზაცია და, ა.შ.. ამ ყველაფრის განხორციელ-ების გზაა სოციალური კანონზომიერება--„ლაზარე"; ეს უკანას-კნელი, სწორედ შრომის ევოლუციური, 2-ათასწლიან ეტაპობრივ/ საფეხურებრივი, დარგობრივ-მეცნიერული განვითარების სოცი-ალური შედეგის (სოციალური ენერგიის დადებითი ძალა) ზღვრუ-ლი დონის ათვისება-გადამეტებას განსაზღვრავს ორიენტირად სახელმწიფოებრივ- ეკონომიკურ საქმიანობაში; - განსაზღვრავს ამას, როგორც პოლიტიკურ მიზანს, - როგორც შრომითი და წარ-მოებითი ურთიერთობების საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორ-მაციის ორგანიზაციულ საფუძველს, -ძირითად მიმართულებას ქვეყანაში ადამიანური გ ო ნ ი ს კეთილად განვითარების თვალ-საზრისით; შესაბამისად, დამდეგ 2-ათასწლეულში ეროვნულ- დე-მოკრატიული პოლიტიკურ ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებად განსაზღვრულია შრომის ორგანიზაციის ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაცია. ეს უკანასკნელი საქმიანობა კი, რომელიც შესაბამისი მეცნიერ-ული თეორიისა და პრაქტიკული საქმიანობის სისტემურ ორ-განიზაციას გულისხმობს, ამჯერად, ქართულ სახელმწიფოსთან მიმართებაშია სადღეისო სოციალური მოთხოვნა; მისი აღსრულე-ბა კი ჰქმნის დედამიწის თვითმყოფადობის, - მისი სოციალურ-ეკ-ონომიკური წონასწორობის გახანგრძლივების წინაპირობას.

ზემოხსენებული ს ტ ა ბ ი ლ უ რ ო ბ ი ს დაცვა, ე.ი. ერის თვითგანვითარების საქმიანობის აქ ჩამოთვლილი დჯგუფებე-ბის მიხედვით დროის ხარჯვის ნორმირებისა და ამ ნორმების დაცვა-შეფასების ორგანიზაცია-მართვა, (რაც, ცხადია, შრომის პირობების განვითარების დარგობრივ-მეცნიერული სიახლეებ-ის შესაბამისად მოითხოვება), არის სახელმწიფოს, როგორც პო-ლიტიკური სუბიექტის, სარეიტინგო მახასიათებელი ადამიანური შრომის მეცნიერული ორგანიზაცია-მართვის თვალსაზრისით; აქ არსებითია უპირველესად, ის რეალობა, რომ ამგვარი რეიტინგის საფუძველი - ადამიანის საზოგადოებრივი თვითშეგნების დონის ზღვრული, საკაცობრიო ნიშნულის დ ა ც ვ ა-გ ა დ ა მ ე ტ ე ბ ი ს მდგომარეობა ტენდენციურად იყოს შენარჩუნებსული თვითონ ეროვნებაში - მშობლიურ ქვეყანაში. ეს კი, რომელიც ქვეყანაში ეროვნული გენის კეთილგონივრული განვითარების ზღვრული დონის ნიშნულის 0,6 -მდე ამაღლების მიზნით, ქვეყანაში ა რ ა მ ა

ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ეკონომიკური ფორმაციის ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერული თეორიის ბაზაზეორგანიზებულმა სისტემამ უნდა უზრუნველჰყოს; ეს საქმიანობა ადამიანს (ერი, კაცობრიობა) ჩვენს პლანეტაზე დროის დინების, მხოლოდ ამ მოცემულ ეტაპზე ანუ მიმდინარე, მერწყულისა და, ასევე, მომდევნო, თხის რქას ერაში აქვს განსაზღვრული; ანუ, თანამედროვე ადამიანს უწევს გასცეს პასუხი დროის ამ ეტაპზე, უკვე ახალ სოციალურ მოთხოვნას, - გადაიტანოს ეროვნული გონისა და, მაშასადამე, ზოგადად, ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს კონცენტრაცია (პრიორიტეტი), არამატერიალური ფასეულობების წარმოებით ურთიერთობებზე; - გააკეთოს აზროვნების, ე,ი, შრომის (ეკონომიკა) ორიენტირება ადამიანური გონის და, მაშასადამე, - ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი ე ნ ე რ გ ი ი ს კ ე თ ი ლ ი ძ ა ლ ი ს - პრიორიტეტულ განვითარებაზე;

8) ქვეყანაში არამატერიალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის, როგორც კანონზომიერება-„ლაზარეს“ სოციალური მოთხოვნის, გაცნობიერება, თავისთავად, ამ ახალ სამეცნიერო- საინფორმაციო წყაროსთან ზიარებაა. ესაა შემეცნება იმ სიახლისა, რომ : **ა)** კანონზომიერება-„ლაზარე“ კაცობრიობის ისტორიის გასული 10-ათასი წლის განმავლობაში ადამიანს (ერი, კაცობრიობა) ქ ც ე ვ ი ს (თვითგანვითარება) წესად, შრომის (წარმოება) ორგანიზაციის მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას განუსაზღვრავდა; **ბ)** მომავალ 4-ათასწლეულში (მერწყულის ერა + თხის რქას ერა) კი, იგი მისგან შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და, მაშასადამე, ზოგადად ადმიანის ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს კონცენტრაციის ცენტრად, კვლავაც თავისი ოჯახის, გვარის, ტომის ზნეობრივ-მორალური პრინციპების, (ამ არამატერიალური არსი-ფასეულობების!), პრიორიტეტულად წარმოება-განვითარებას მოითხოვს; ამასთან ერთდროულად, იგი, თავად წარმოჩინდება ამ ფასეულობათა საზოგადოებრივი წარმოება-განვითარების ახალ სამეცნიერო ინფორმაციის წყაროდ; ეს ეხება, მაგ., სოციალური ენერგიის ქმნადობის არამიწიერი და მიწიერი პროცესებისა და მათი შედეგების ფორმირების ბუნების შესაბამისად პოლიიკურ- ეკონომიკური ურთიერთობების შემეცნებას, ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი, მ.შ. პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერული თეორია - პრაქტიკის სისტე-

მურ ორგანიზაცია- მართვას; **გ)** თავად, სოციალური კანონზომიერება-„ლაზარე“, რომელიც დედამიწის თავისი ღერძის გარშემო ბრუნვის 24-ათასწლიან ციკლში, 14-ათასწლიანი (2-ათასი x14=24- ათას) პერიოდულობით განესაზღბრება [7, 42, სქემა] და, მაშასადამე, **დ)** რომელიც ჩვენი დროიდან, 4-ათასი წლის შემდგომ , მ შ ვ ი ლ დ ო ს ნ ი ს ერას სოციალური მოთხოვნების შესაბამისად რომ უნდა განახლდეს, ცხადია, ასეთივე (14- წლიანი) პერიოდულობით ექვემდებარება განახლებას, ცვლილებას, შესწორებას ; ანუ, **ე)** განახლდება იმ დროისათვის, ასტრო-ფიზიკური ზემოქმედების ძალა დედამიწასთან მიმართებაში, ცხადია, იმის გათვალისწინებით, თუ რა შედეგი დაფიქსირდება იმ დროს, ამ ჩვენს პლანეტაზე ადამიანის (კაცობრიობა) საზოგადოებრივი თვითშეგნების შესაბამისი ზღვრული დონის (0,7) ათვისება-გადამეტების თვალსაზრისით; ანუ, - შესრულდება თუ არ შესრულდება დამდეგ 4-ათასწლეულში, დედამიწაზე კაცობრიობის ეროვნულ-საკაცობრიო მისია. აქედან გამომდინარე, **ვ)** ზემოხსენებული, საერთო-საკაცობრიო ზღვრული დონის ნიშნულთან შესაბამისობის მიღწევის ნიადგზე ქვეყანაში ეროვნული დემოკრატიულობის ხარისხის დაცვა, [რაც იგივე ზღვრული დონის ნიშნულთან (0,7) ქვეყანაში ფომირებული ნიშნულის შესაბამისობის მიხედვითაა შეფასებადი], არის კონკრეტული სოციალური მოთხოვნა ყოველი ქვეყნის (პოლიტიკურ-ეკონომიკურ სუბიექტი) მიმართ. ანუ, ეს მოთხოვნა, თავისთავად არის მსოფლიოში სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემური ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა და სახელმწიფოთა თ ა ნ ა ბ ა რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ი ს პრინციპის (არა სხვა, ე.წ. ძლიერ, დაინტერესებული სახელმწიფოების ზეგავლენით, არამედ), შიდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურებიდან, ე.ი. ზოგად-სახელმწიფოებრივი ფუნქციური დანიშნულების პოზიციიდან, განხორციელების გარდაუვალობის წარმოჩინება. ისნი (სტრუქტუეები) უნდა განახორციელებდნენ ამას, ცხადია, ადგილობრივ, ძირითად და პრიორიტეულ დარგებში მეცნიერებისა და ტექნიკა-ტექნოლოგიების განვითარების პროგრესული, ზოგადსაკაცობრიო მიღწევებისა თუ პროგნოზების ათვისება-დანერგვის პოზიციიდან; ამასთან, ეს პროგნოზები, რომელიც თავისთავად, უნდა ეფუძნებოდეს ხსენებულ, შიდასახელმწიფოებრივ სტრუქტურებში დარგისშიდა და დარგთაშორსი მეცნირულ-სისტემური ერთიანობის ეროვნულ პო-

ლიტიკურ-ეკონომიკურ თეორიას, გულისხმობს ერთაშორისო სამეცნიერო და სხვა სახის კეთილგონივრული კავშირების ორგანიზებას; ეს კი. რაც, ზოგადად, ე რ ი ს, როგორც უმსხვილესი თვითგანვითარებადი სოციალური ერთეულის, თვითგანვითარებაში თანმინდევრულობის (ამ საერთო - საკაცობრიო კეთილგონიერების) დაცვას გულისხმობს, გამორიცხავს ერთაშორის ინტეგრირებას, (რომელსაც იცავს კაპიტალიზმი); პირიქით: ერის თვითგანვითარების საქმიანობაში ქვეყნის მკვიდრი მოქალაქეების ერთსულოვნების შემოქმედება არის განმსაზღვრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობა; ეს არის მამაკაცური გენის მემკვიდრეობითობის პოლიტიკურ-ეკონომიკური დაცვა, რომლის აღსრულებაც, სწორედ, ამგვარი ერთსულოვნების გამოვლინებისუნარიანობაში ვლინდება. ამგვარი უნარიანობა, გამოიხატება რა ქვეყანაში ეროვნული დემოკრატიის სახელმწიოებრივად დაცვაში, დაფუძნებულია სახელმწიფო სახელისუფლო აპარატისა ქვეყნის მოსახლეობის ერთსულოვებაზე; ე.ი. ქვეყნის სახელმწიფოებრივ საარჩევნო სისტემაში ადამიანის ეროვნულ-დემოკრატიული (არა ე.წ. „თავისუფალი დემოკრატიული“) უფლებების დაცვა არის გ ა ნ მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი სოციალურ-ეკონომიკური პირობა კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს, როგორც ერთსულოვანი არსის, თვითგანვითარებათვითშენარჩუნების საქმეში. **ზ)**გამოიკვეთება სახელმწიფოებრივ სახელისუფლო ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ შ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს (50% + 1 კაცი) მონაწილეობის მოქალაქეობრივი უფლების დაცვაში პოლიტიკურ და იურიდიულ მეცნიერული პოზიციებიდან სისტემურობის მოწესრიგების აუცილებლობა; -მოწესრიგებისა ქვეყანაში შრომის, ასევე, საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობის, ზოგადად, მოქალაქეობრივი უფება- მოვალეობის ბალანსირების, ეროვნული დემოკრატიის პირობების, ასევე ადამიანის (ერი, კაცობრიობა) სულიერი წონასწორობის დარღვევის სხვა, მსგავსი მიზეზემისაგან დაზღვევის, ე.ი. ქვეყანაში თუ, დედამიწაზე სოციალურ-ეკონომიკური ბალანსირების, იგივე, ე კ ო ლ ო გ ი უ რ ი წონასწორობის შენარჩუნების, თვალსაზრისით. **თ)** აშკარაა, რომ ზემოხსენებული, ზღვრული დონის გასული 2-ათასწლეულის ს ა შ უ ა ლ ო - საკაცობრიო მაჩვენებლის - 0,5 -ის შესრულების ფაქტიური მდგომარეობა დედამიწაზე დადასტურებულია; დადასტურებულია იგი, თავად ახალი (ქრის-

ტე) ს ი ტ ყ ვ ი ს მოსვლით (სასძლო კაცის გაცხადება, როგორც ასტრო-ფიზიკური სოციალური მოვლენა); მაგრამ, ეს მაჩვენებელი (0,5), საშუალო-საკაცობრიოა და, ცხადია, არ გამოხატავს კონკრეტულად ქართველი ერის მხრიდან აღნიშნული მისიის შესრულების მდგომარეობას, - ქვეყანაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან 50% + 1 კაცის კეთილი ნების სახელმწიფოებრივ არჩევნებში დაცვის მდგომარეობას. ასეთი მდგომარეობა, რაც საქართველოს სახელმწიფოში ქრისტე-ს ი ტ ყ ვ ი ს, როგორც მეორედ მოსული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ცნობიერების, აღიარებაში უნდა გამოიხატოს, დღესდღეობით, ჯერ კიდევ არის ქართველი ერის პირველი რიგის ამოცანა; თუმცა, ეს ამოცანა ერის მხრიდან, ფაქტიურად, შესრულებულიცაა. ეს უკანასკნელი არის ის რეალობა, რომელიც 4-გზისაა დადასტურებული სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის დონეზე [8,44], და, რომელიც ოფიციალურ აღიარებას ქვეყნის სახელმწიფო ხელისულების მხრიდან, ჯერ კიდევ ელოდება; აშკარაა ისიც, რომ **ი)** ხსენებული, საერთო-საკაცობრიო ზღვრული დონის ნიშნული, როგორც ეროვნული ენერგიის წარმოების დადებითი ძალის სალდოს ფარდობითი მახასიათებელი, წარმოჩინდება, როგორც ორგანიზაციული საფუძველი, შიდასახელმწიფოებრივი, ასევე ერთაშორისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების მშვიდობიანად რეგულირებისა და, შესაბამისად, საერთაშორისო სამარლიანობის წარმობა-განვითარებისათვის; - ამ ურთიერთობების რეგულირებისათვის თვითონ დაინტერესებული სახელმწიფოს მიერ, -გამომდინარე, უცილობლად, იმ პოზიციიდან, რომ შენარჩუნებული იყოს ქვეყნების ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებისა, კონტინენტური ერთიანობისა და, შესაბამისად, დედამიწის კონტინენტთაშორისო მთლიანობის სისტემურად დაცვის სოციალური მოთხოვნები, - რომ დაინერგოს კაცობრიობის შ ი გ ნ ი დ ა ნ (არა ზემოდან!), ე.ი. ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკურ თეორიაზე აგებული, ორგანიზაცია-მართვის პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობები. **კ)** ქვეყანაში საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაციის არამატერიალისტურად გარდაქმა, ქართული ტრადიციული ეროვნული ცნობიერებისა და ასევე, რაც არსებითია, კანონზომიერება-„ლაზარეს“ მიხედვით, მოიცავს ქვეყნის მოქალაქის მიერ საკუთარი მ ა მ ი ს ე უ ლ ი გვარისა და სამშობლო-ქვეყნის მუდმივ

საცხოვრებლად არჩევა-აღიარებას; ანუ, იგი მოიცავს ეროვნულ შეთანხმებას ამ ქვეყნის მომავალზე; - მოიცავს ჩვენი მოქალაქეების მიერ ინდივიდუალურ და, ასევე საკუთარი არასრულწლოვანი შთამომავალებისა გამო, ერის წინაშე პასუხისმგებლობის გათავისების თვალსაზრისით. ამგვარი შეთანხმება, ანუ შეთანხმება ქართველი ერის თვითგანვითარების საქმიანობის მორიგი ეტაპობრივი გახანგრძლივების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების თაობაზე, (ამაზე ზემოთ ვისაუბრეთ), უკვე არის გაკეთებული არაერთგზის; გაკეთებულია იგი სასძლო კაცის ინტიტუტის ძალისხმევით, ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების საარჩევნო პერიოდების მონაცვლეობის კვალდაკვალ [3,35]. ამიტომ, მოკლედ თუ ვიტყვით, ქრისტე-ს ი ტ ყ ვ ის, როგორც სარწმუნო და ახალი სამეცნიერო-საინფორმაციო წყაროს შემცველი რელიგიური ცნობიერების, აღიარება, ბუნებრივია, საქარველოს სახელმწიფო ხელისუფლებისთვისაც მიუღებელი არ უნდა იყოს; მან ქვეყანაში ეროვნულ ყრილობაზე 4-გზის მიღებული გადაწყვეტილება **უნდა მიიღოს . ლ)** ეკონომიკური ურთიერთობების კონკრეტული შედეგი - პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია შრომითი ურთიერთობების მეცნიერულ ორგანიზაციას მოიცავს. ეს პროცესი სოციალური მეცნიერულ-ლოგიკური თეორიული წარმოსახვით იწყება; იგი, როგორც **დროის**, ასევე, **ადამიანური** და **მატერიალური** რესურსების ნორმირებისა და ამ ნორმების დაცვის მდგომარეობის გამოხატულება, ცნობილმა ქართველმა ეკონომისტმა, პროფესორმა გ.ვ. პ ა პ ა ვ ა მ, (რომელიც ჩემი სადისერტაციო შრომის ხელმძღვანელი იყო), გასული საუკუნის 70- იან წლებში ჩაწერა [4, 16], ფორმულით:

$$K_{pn}=1-\frac{\sum \Delta q_{ijt} p_i}{V_{no}}$$

V_{no} — სასაქონლო პროდუქციის მიწოდების (გადაზიდვა) გეგმური მოცულობა.

Δq_{ijt}-i-ური სახის პროდუქცის რაოდენობა, რომელიც j მომხმარიბელს არ მიეწოდაt — დროში.

p_i - საწარმოს საბითუმო ფასი i-ური სახის პროდუქცის ერთეულზე.

მოგვიანებით, წარმოებითი ურთიერთობების შედეგების ანალიზისა და შეფასების საქმეში ამ მეთოდით კვლევის გაღრმავების [6, 41], კვალობაზე და, მეტადრე, დღეს, როცა ზემოხსენებული ზ ღ ვ რ უ ლ ი დონის ნიშნულის (0,6) ზოგად-საკაცობრიო სოციალური დანიშნულება შემეცნებულია (ეს უკანასკნელი წარმოჩინებულია, თუნდაც წინამდებარე კვლევაში), ცხადია, აშკარავდება აღნიშნული ფორმულისა, თვითონ ამ ზღვრული მაჩვენებლის ფორმირების ტექნიკურ- ეკონომიკური მეთოდური შესაბამისობა. ანუ, ეს ზღვრული დონე ასახავს წარმოებითი (ზოგადად, ეკონომიკური) ურთიერთობების იმ შედეგს, რომლითაც **1)** დროის, **2)** მუშა-ძალისა (სოციალური ენერგიის დადებითი და უარყოფითი ძალა) და, ამათთან ერთად, **3**) მატერიალური რესურსების დანახარჯების (შრომის მეცნიერული, ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის კვალობაზე, წარმოების დანახარჯების სტრუქტურის!) ნ ო რ მ ი რ ე ბ ი ს ა და ამ ნორმების დაცვის ნ ო რ მ ა ლ უ რ ი (ახალი დროით ანუ კანონზომიერებით-„ლაზარე“ განსაზღვრული) მდგომარეობა გამოიხატება. ეს მდგომარეობა , უფრო კონკრეტულად, ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს განვითარების საშუალო-საკაცობრიო დ ო ნ ე (0,6) , არის შრომითი საქმიანობისა და, აქედან გამომდინარე, თვითონ ადამიანის ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ორიენტირი; იგი ადამიანურ ქმედებებში აზროვნების დადებითი მიმართულების ზღვარის მინიშნებაა და **მ)** განსაზვრავს, თვით ამ მაჩვენებელის ნიშნულს, როგორც შეფასების კრიტერიუმს, ქვეყანაში შრომისა თუ, ზოგადად, ეროვნულ-საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზაცია-მართვის დემოკრატიულობის დაცვის საქმეში; სხვა სიტყვებით, ამგვარი (შესამეცნებელი) ფორმითაა მინიშნებული ახალ ს ი ტ ყ ვ ა შ ი ის კონკრეტული სოციალური მოთხოვნა, რომლითაც მერწყულის ერაში დემოკრატიულობის ხარისხის ამაღლების, ან/და ზოგადად, ეკონომიკური შეფასებისათვის, სწორედ ამ კრიტერიუმით ხელძღვანელობის აუცილებლობაა გამოხატული; ამ აუცილებლობის შემეცნებამ თვით სამუშაო ადგილებზე თუ, ზოგადად, ეკონომიკაში, უნდა განაპირობოს საზოგადოებრივ ურთიერთობების სოციალურ-ეკონომიკური ბალანსირების თანმიმდევრულობა. **ნ)** ბუნებრივია, აღნიშნული საქმიანობის მატერიალისტური მახასიათებლის ამ ზღვრილი დონის სათანადო ნიშნულის მიხევით [10,

53] შესწორების პირობებშიაც მიიღება იგივე საქმიანობის არამატერიალისტური კრიტერიუმით შეფასების განზოგადებული (მიახლობითი) მაჩვენებელი. **ო)** ცხადია, აღნიშნული ზღვრული დონის 2-ათასწლიანი პერიოდულობით ამაღლება, რაც დედამიწის სოციალურ -ეკონომიკური განვითარების ორგანიზების გაადვილებისა და ყოფა-ცხობრების პირობების მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესების წინაპირობაა, შესაბამისად არის ჩვენს პლანეტაზე ადმიანის **სიცოცხლის** საშუალო ხანგძლივობის ზრდის წინაპირობაც.

ლიტერატურა

1. ხარაძე ე.“ასტრონომიის საფუძვლები“, ნაწილი 1, გამომც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , 1971 წ.

2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი პირველი. თბილისი, 1990 წ.

3. თაკალანძე ე. ქვეყანაში სისხლის მემკვიდრეობითობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციული საფუძველი მამისეული გვარის მუდმივად შენარჩუნებაა, ჟურნალი „ეკონომიკა“ N 5 -6, 2015.

4. Такаландзе Э. Совершенствование системы учета и анализа поставок продукции производственно-технического назначения (на примере электротехнической промышленности Грузинской ССР), Киев,1982г.

5. თაკალანძე ე., საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური საქმიანობა დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას განსაზღვრავს, ჟ. „ეკონომიკა“ N9-10, 2011წ.

6. პაპავა გ. ვ. , პაპავა ვ. გ., სამრეწველო საწარმოს ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა. გამომცემლობა „განათლება“, 1985 წ.

7. თაკალანძე ე., თაქთაქიშვილი მ., გონისა და, ზოგადად, არსის განვითარების ობიექტური კანონზომიერება - სახელმწიფოში ეროვნულ-ეკონომიკური რეფორმის საფუძველი, ჟურნ. „ეკონომიკა“ , N 7– 8, 2004 წ.

8. თაკალანძე ე. სოციალურ-ეკონომიკური თეორიის პრობლემებზე მრავალწლიანი კვლევითი მუშაობის შედეგების შესახებ, ჟ. „ეკონომიკა“ N 7 – 9, 2015 წ.

9. თაკალანძე ე. , დედამიწაზე სოციალური სამართლიანობის

გარდაუვალობა ... , ჟ. „ეკონომიკა“ , N 7 - 8 2012 წ. .

10. თაკალანძე ე. საქართველო - მორალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შექმნისა და ქრისტიანული წელთაღრიცხვის დაზუსტების ინიციატორი, ჟ. „ეკონომიკა“, N 9-10, 2004 წ.

REFERENCES:

1. Kharadze E. “Astronomy Basics “Part 1, published by Tbilisi State University, 1971y.

2. Georgian explanatory dictionary, single-part, the first plot, Tbilisi, 1990y.

3. Takalandze E. The continuity of the political and economic organizational basis to constantly maintain the father’s family name, journal “Economics” N 5– 6, 2015y. (In Georgian Language).

4. Takaladze E. The Improvement of the system of accounting and analysis of technical products of the Enterprise. (On the example of electrotechnical industries of Georgian USSR. example), Kiev, 1982y.

5. Takaladze E. The political - economic activity determines the earth’s ecological balance, J. “Economics” N9-10, 2011y. (In Georgian Language).

6. Papava G.V. , Papava V.G. Industrial enterprise organization, planning and management. Publishing House “Ganatleba” , 1985y. (In Georgian Language).

7. Takaladze E. , Taktakishvili M. , the objective regularity of mind and in general, of the development of its nature - the basis for the national-economic reform in the state, Journal “Economics” , N7-8, 2004y. (In Georgian Language).

8. Takaladze E. About the many years research findings on the socio - economic theory problems , J. “Economics” N7-9, 2015y. (In Georgian Language).

9. Takaladze E. , The inevitability of social justice on the earth.. , J. “Economics”, N7-8, 2012y. (In Georgian Language).

10. Takaladze E. , Georgia – as an initiator of the creation a moralistic social - economic formation, and of specifying the Christian BC, J. “Economics” N 9-10, 2004y. (In Georgian Language).

GRADUAL RAISING OF THE MARGINAL LEVEL OF PUBLIC CULTURE IS A PREREQUISITE FOR THE CREATIVITY AND PRESERVATION OF THE POLITICAL - ECONOMIC HISTORY[1]

Eter Takaladze
Doctor of Economic Sciences

R E S U M E

The paper presents the creative world of the Supreme (Astro - physical) law – "Lazare" , as social energy creation - 2 Thousand Development Regularly updated process; There is explained the process of physics and other natural scientific laws based on an objective system, the Astro - physical bodies, if their systems unique movement - self footsteps, Astro - physical space earthly and unearthly social energy is formed; That was created in collaboration with the "celestial" spiritual entities (range, - intangible) Relation of forces (+ , -) between the positive balance in terms of the formation; The article demonstrates that the relation of forces in the country in a positive balance (net asset or, more specifically, - the asset Astro - physical limit utilization - power), The 2 - At the end of the millennium, the indigenous people of this country and, therefore, in the next millennium, humanity 2 - extension of the spiritual potential of self-expression; It exposes the social regularity - "Lazare" , Defined by the supreme law, the social demands of the earth will be renewed, as well as 2 Thousand determined; Represented by new (Aquarius) Era basic social requirements, which are the social - scientific basis for intervening - 2 millennium National political - economic ideology of the renewal; Also there is explained, that this case is not materialistic society - formation of economic conditions, the National - Democratic political - economic theory - the practice of systematic renewal of Georgian National Mission.

K e y w o r d s: Creative supreme law of the universe - "Lazare"; Social regularity "Lazare"; the human overall marginal level of public development; the human Native language "Lazare"; National social energy (national consciousness).

1 **Printed on the author's persistent demand and her style is followed.**

საქართველოში ეკონომიკური ზრდასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირ-ურთიერთობა სექტორულ დონეზე

შორენა ფარჯიანი
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია 2007-2014 წლებში საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელსა (მშპ) და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (პუი) შორის კავშირ-ურთიერთობა სექტორულ დონეზე.

ხელმისაწვდომი ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებით, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ერთ-ერთი მეთოდის (გამოყენების, იგივე დანახარჯების) მიხედვით, ემპირიული კვლევის საფუძველზე ჩვენ წარმოვადგინეთ ეკონომიკის კონკრეტული სექტორების დონეზე ურთიერთკავშირი საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ექსპორტის, იმპორტის და დანახარჯების გავლენა მთლიან შიდა პროდუქტზე.

საკვანძო სიტყვები: მთლიანი შიდა პროდუქტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ექსპორტი, იმპორტი, დანახარჯები, კორელაციურ-რეგრესული ანალიზი.

შესავალი

იმ ფონზე, როდესაც სამთავრობო გუნდის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პერმანენტულად სახელდება ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად, საინტერესოა ეკონომიკის კონკრეტული სექტორების მიხედვით თუ როგორ მოქმედებს პუი მშპ-ზე.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა (FDI-პუი) და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული კავშირი არაერთი სამეცნიერო კვლევის თემაა, მხოლოდ რამოდენიმე ნაშრომი იყენებს ინდუსტრიების დონეზე მიდგომას, რისი მთავარი

მიზეზიც შესაბამისი მონაცემების ნაკლებობაა.

შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის არ არსებობა, მით უფრო ინდუსტრიების დონეზე, ასევე პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე საქართველოში. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღრიცხვა საქართველოში წარმოებს განსხვავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც იწვევს მონაცემების შეუსაბამობას. კონკრეტულად, მშპ-ს აღრიცხვა მიმდინარეობს ეროვნულ ანგარიშთა სისტემას - SNA-93-ის მიხედვით, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების ევროპული სტანდარტის NACE rev.1.1 ბაზაზე, ხოლო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღრიცხვა წარმოებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ სტატისტიკური გამოკვლევის ფარგლებში, ეკონომიკის სექტორების ჭრილში.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენ შევეცადეთ არსებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების გამოყენების (დანახარჯების) მეთოდით და კორელაციურ-რეგრესული ანალიზის საშუალებით, გამოგვევლინა კავშირ-ურთიერთობა პუი-სა და მშპ-ს შორის.

ძირითადი ნაწილი

კვლევის ფარგლებში, შევარჩიეთ ეკონომიკის ხუთი სექტორი. დავაკვირდით მშპ-ს სტატისტიკურ მაჩვენებლებს საქმიანობის ცალკეული სახეობების ნაწილში და 2007-2014 წლის მონაცემების მიხედვით შევარჩიეთ შემდეგი 5 დარგი:

- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
- დამამუშავებელი მრეწველობა;
- სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა;
- ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა;
- მშენებლობა;

როგორც დიაგრამა №1 გვიჩვენებს, 2007-2014 წლებში ჩვენს მიერ შერჩეული ხუთი სექტორის მაჩვენებელი მშპ-ს საერთო

მაჩვენებელში ლიდერობს შემდეგი ორი სახეობის შემდეგ:

- ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
- სახელმწიფო მმართველობა.

დიაგრამა №1
მშპ-ს მაჩვენებლები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2007-2014 წწ.



შესაბამისად, იმის დასადგენად ეკონომიკური საქმიანობის აღნიშნულ ხუთ კატეგორიაში არის თუ არა, ან როგორია კავშირი, მშპ-სა და პუი-ს შორის, ჩვენ გავაანალიზეთ მათი შესაბამისი მაჩვენებლები, როგორც წლიურ, ასევე კვარტალურ დინამიკაში.

პირსონის კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლით, კვარტალურ ჭრილში, მივიღეთ შესაბამისი მაჩვენებლები იხ. ცხრილი №1.

ამდენად, 2007 წლის პირველი კვარტლიდან 2014 წლის მეოთხე კვარტლის ჩათვლით, შერჩეული მონაცემების მიხედვით განხილული კორელაციური ანალიზი, ცალსახად მეტყველებს საქართველოს ეკონომიკის მეტად მნიშვნელოვან დარგებში მშპ-ს და პუი-ს შორის სუსტ კორელაციურ კავშირზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არსებობის პირობებში, აღნიშნული თემის უფრო ღრმა

ცხრილი №1

	მოდელის მნიშვნელოვნება -F	ცვლადის საიმედობა -P			
		პუი	ექპორტი	იმპორტი	ხარჯები
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზ-ჭერა, მეთევზეობა	0.0073	0.24	0.02	0.97	0.07
დამამუშავებელი მრეწველობა	0.000039	0.52	0.00	0.01	0.46
მშენებლობა	0.00019	0.01	0.04	0.01	0.00
ტრანსპორტი და კავ-შირგაბმულობა	0.0051	0.74	0.21	0.65	0.52
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	0.0080	0.04	0.68	0.03	0.98

მეცნიერული კვლევა, მეტად მნიშვნელოვანია, მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების პროცესში, პუი სამთავრობო გუნდის მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად პერმანენტულად სახელდება.

ინდუსტრიების დონეზე კავშირ-ურთიერთობის უფრო ღრმა ანალიზისათვის, განვახორციელეთ კორელაციურ რეგრესული ანალიზი.

ზოგადად, მშპ-ს გაანგარიშების სამი მეთოდი არსებობს: (1) წარმოების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს; (2) საბოლოო მოთხოვნის, რომელიც გულისხმობს მოხმარების, ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტის ჯამს და (3) შემოსავლების მეთოდი, რომელიც მოიცავს დაქირავებულთა შრომის ანაზღაურებას, მთლიან საოპერაციო მოგებას და მთლიან შერეულ შემოსავლებს.

ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მეორე, იგივე გამოყენების მეთოდით და არსებული სტატისტიკური ინფორმაციიდან შევარჩიეთ შესაბამისი მონაცემები. დამოკიდებულ ცვლადად ავიღეთ მშპ მიმდინარე ფასებში, დამოუკიდებელ ცვლადად ავიღეთ პუი, ექსპორტი, იმპორტი და ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე რომელიც მოიცავს შინამეურნეობების და შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების მოხმარებას და სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარებას.

აგებული რეგრესული ანალიზის მოდელმა საიმედობის მაღალი დონე აჩვენა კვლევისთვის შერჩეულ ხუთივე სექტორისათვის, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, როგორც დამოუკიდებელი ცვლადის საიმედობა დაფიქსირდა მხოლოდ მშენებლობის და უძრავი ქონების სექტორებში. ამდენად, კვლევისთვის შერჩეული ხუთი სექტორიდან, რეგრესული ანალიზის შედეგების მიხედვით, კონკრეტულ სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მოცემული ეკონომიკური საქმიანობის სახეობაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე გამოვლინდა მხოლოდ მშენებლობის და უძრავი ქონების სექტორში:

ცხრილი №2

	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	დამამუშავებელი მრეწველობა	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	მშენებლობა
კორელაციის კოეფიციენტი (32 კვარტლის მონაცემების მიხედვით)	-0.05	-0.21	0.31	-0.02	0.28

განვიხილოთ რეგრესული ანალიზის შედეგები ამ ორი სექტორში:

მშენებლობის სექტორისათვი კორელაციის მატრიცას აქვს შემდეგი სახე:

	მშპ	პუი	ექპორტი	იმპორტი	ხარჯები
მშპ	1.00				
პუი	0.33	1.00			
ექპორტი	0.89	0.27	1.00		
იმპორტი	-0.59	-0.01	-0.43	1.00	
ხარჯები	0.97	0.17	0.84	-0.50	1.00

მატრიცის მიხედვით, მოცემულ სექტორში მშპ-სა და პუის შორის კავშირი დადებითი და საშუალოზე დაბალი, თუმცა არა სუსტია და შეადგენს 33%-ს.

რეგრესული განტოლება მოცემულ სექტორში შემდეგი ფორმისაა:

$$Y_{\text{მშპ}} = 888{,}02 + 0{,}48 * X_{\text{პუი}} + 2{,}55 * X_{\text{ექსპორტი}} - 5{,}42 * X_{\text{იმპორტი}} + 6{,}52 * X_{\text{ხარჯები}}$$

მოდელის მიხედვით, მშენებლობის სექტორში 1 მილიონი აშშ დოლარის უცხოური პირდაპირი ინვესტიცია, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში, გამოიწვევს აღნიშნულ სექტორში მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდას 0.48 მილიონი ლარით.

რაც შეეხება უძრავი ქონების სექტორს, კორელაციის მატრიცა შემდეგნაირია:

	მშპ	პუი	ექპორტი	იმპორტი	ხარჯები
მშპ	1.00				
პუი	-0.20	1.00			
ექპორტი	0.84	-0.22	1.00		
იმპორტი	0.93	0.15	0.80	1.00	
ხარჯები	0.91	0.01	0.89	0.94	1.00

მატრიცის მიხედვით, მშპ-ს და პუი-ს შორის კორელაცია უარყოფითი და სუსტთან მიახლოებულია და შეადგენს -20%-ს.

კონკრეტულად, იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ზემოქმედებს განხორციელებული პუი მშპ-ს მაჩვენებელზე ეკონომიკური საქმიანობის ისეთ სეგმენტში, როგორიცაა ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა, წარმოვადგინოთ რეგრესული ანალიზის შედეგად მიღებული მოდელი:

$$Y_{\text{მშპ}} = 16.12 - 1.54 * X_{\text{პუი}} - 0.30 * X_{\text{ექსპორტი}} + 9.60 * X_{\text{იმპორტი}} - 0.026{,}52 * X_{\text{ბარვალი}}$$

მოდელის მიხედვით, უძრავი ქონების სექტორში 1 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში, გამოიწვევს აღნიშნულ სექტორში მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას 1.54 მილიონი ლარით.

დასკვნა

ამდენად, 2007-2014 წლებში, კვლევისთვის შერჩეული ხუთი სექტორიდან, რეგრესული ანალიზის შედეგების მიხედვით, კონკრეტულ სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მოცემული ეკონომიკური საქმიანობის სახეობაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე გამოვლინდა მხოლოდ მშენებლობის და უძრავი ქონების სექტორში, აქედან პუი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე დადებითად მოქმედებს მხოლოდ მშენებლობის სექტორში.

ლიტერატურა:

1. გაბიძაშილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. თბილისი, 2011;

2. დევიდ რ. ანდერსენი, დენის ჯ. სვინი, თომას ა. უილიამსი., სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისთვის, მე-11 განახლებული გამოცემა, თარგმნილი. თბილისი 2014.;

3. ლოკიე ფ., ბლეიდსი დ., ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ. მეორე გამოცემა, OECD, 2014.

თარგმანი ინგლისურიდან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, 2015; https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf;

4. მარშავა ქ., მ. მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა /თეორია, პრაქტიკა, ანალიზი/ სახელმძრვანელო. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009;

5. ფარჯიანი შ. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური ანალიზი, ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", №3, გვ. 151-162, 2015;

REFERENCES:

1. Gabidzashvili B., "Statistics for Economics, Business and Management". Tbilisi, 2011y.(In Georgian Language);

2. David R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas A. Williams, "Statistics for Business and Economics", Edition Number 11, Copyright © 2012; Tbilisi State University, 2014;

3. François Lequiller, Derek Blades., "Understanding National Accounts", Second Edition, OECD, 2014;

4. Marshava K., Mindorashvili m., "System of National Accounts / Theory, Practice, Analysis/" Tbilisi, 2009.(In Georgian Language);

5. Pharjiani Sh., "Foreign Direct Investment in Georgia and its Statistical Review" Journal "Economics and Business", №3 2015, pp.151-162(In Georgian Language).

THE RELATIONSHIP BETWEEN FOREIGN DIRECT INVESTMENT AND ECONOMIC GROWTH BY SECTORS IN GEORGIA

Shorena Pharjiani
PhD Student, TSU

RESUME

This empirical paper investigates the relationship between Foreign Direct Investment (FDI) and economic growth by 5 selected sectors of economics in Georgia from the period 2007 to 2014. For the correlation-regression analysis there were chosen GDP growth, FDI, Export, Import and Costs for consumption to explore the connection between FDI and economic growth.

The obtained empirical results lead the main consequences: the linkage between FDI and GDP growth from the selected industries just in two industries where positive and significant enough to suggest that foreign firm's participation enhanced the GDP growth of the industries they occupied. This two industries were: Construction and Real Estate sectors.

Keywords: Gross Domestic Product (GDP), Foreign Direct Investment (FDI), Export, Import, Costs for consumption, Correlation-Regression Analysis.

მდგრადი განვითარების გლობალური რეგულირება და კონცეფცია

გიორგი სუბელიანი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მდგრადი განვითარების არსი, მისი მნიშვნელობა და აქტუალურობა თანამედროვე ყოფაში. ნაჩვენებია ის პრობლემატური საკითხები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია მდგრადი განვითარების მისაღწევად. მაგალითად, ეკოლოგიური პრობლემები. სამწუხაროდ, მსოფლიოს მრავალი პროგრამისა და მცდელობის მიუხედავად, ცალსახაა, რომ მსოფლიო ეკოლოგიური მდგომარეობა არა გამოსწორების, არამედ გაუარესებისაკენ მიდის. ეკონომიკური და სოციალური განვითარება, ასევე გარემოს დაცვა არის მდგრადი განვითარების ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგამამტკიცებელი ღერძები. იმისათვის, რომ გადავჭრათ არა ერთი პრობლემა, რომელიც ჩვენ გარემომცველ სამყაროშია და ავაშენოთ ისეთი საზოგადოება, სადაც ყველა, მომავალი თაობების ჩათვლით, შეძლებს იცხოვროს დაცულობის გრძნობით, უნდა ვეცადოთ განვვითარდეთ ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს სოციალურ სამართლიანობასა და ბუნებრივი გარემოს დაცვაზე. ბუნებრივი რესურსების გაუფრთხილებელმა და არაგონივრულმა გამოყენებამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ და მასთან დაკავშირებულმა გარემოს ძლიერმა დაბინძურებამ გამოიწვია იმ ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა ბუნებასა და საზოგადოებას შორის, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა. 21-ე საუკუნის დასაწყისში მძიმე სტრესის ქვეშ აღმოჩნდა მსოფლიო ეკონომიკის, გარემოს დაცვის და სოციალური სისტემები. სწორედ ამიტომ მდგრადი განვითარების გლობალური რეგულირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კაცობრიობის სამომავლო ყოფისათვის.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, გლობალიზა-

ცია, რეგულირება, პოლიტიკა, წონასწორობა, ეკოლოგია, სოციალური სისტემა, ეკონომიკა.

შესავალი

ტერმინი „მდგრადი განვითარება“ ადრე არც ისე საყოველთაო იყო, მაგრამ ახლა იმდენად აქტუალურია, რომ უკვე ისწავლეს მისი გამოყენება, როგორც ერთობლივი განვითრების პროცესის აღმნიშვნელი.

„XXI ს-ის დღის წესრიგი“ გახდა საკითხის შემობრუნების დოკუმენტი, რომელსაც 1987 წლის „მსოფლიო შეხვედრაზე“ ხელი მოაწერა რიო-დე-ჟანეიროში შეკრებილმა ყველა ლიდერმა ქვეყანამ.

„XXI ს-ის დღის წესრიგში“ ჩართული მიზნები ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს: დაჭაობებული მიწებისა და უდაბნოების დაცვას, ჰაერის და წყლის დაბინძურების დონის შემცირებას, ენერგიის წყაროების გამოყენების სრულყოფას და ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენებას, ტოქსიკური ქიმიური ნივთიერების და რადიაციული ნარჩენების უფრო ეფექტიან უტილიზაციას (განადგურება, გაუვნებელყოფა), აგრეთვე ბრძოლას დაავადებების და შიმშილის წინააღმდეგ. მოიცავს რა ბუნების დაცვის და სოციალურ ამოცანათა ყველაზე ფართო დიაპაზონს, „XXI ს-ის დღის წესრიგი“ ასახავს პრობლემათა მთელ სპექტრს, რომელთანაც შეხება აქვს კაცობრიობას. თუმცა ამ მიზნების უსაზღვრო ამბიციურობამ მოგვიყვანა მისი ეფექტიანობის შემცირებასთან, რადგან იგი მთავრობების და საერთაშორისო სააგენტოების შეზღუდულ შესაძლებლობებს აჭარბებდა.

პოლიტიკა პრინციპით ,,მოხდეს რეგულირება და გამოსწორდეს“ უშედეგო აღმოჩნდა, ხოლო პოლიტიკა პრინციპით ,,წინასწარ განიჭვრიტოს და აღმოიფხვრას“ – ერთადერთი რეალური მიდგომაა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაერთიანება, რომელიც მოცემულ მსოფლიო შეხვედრის ჩარჩოებში წარმოიშვა, გახდა გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების კომი-

სია; ეს კომისია შეიქმნა „ XXI ს-ის დღის წესრიგის“ დებულებათა შესასრულებლად ეროვნულ დონეზე, ასევე მოქმედებათა კოორდინაციის ჩასატარებლად გაეროს სხვადასხვა პროგრამებს შორის გარემოს დაცვისა და განვითარებისთვის.

ძირითადი ნაწილი

მდგრადი განვითარება ნიშნავს საზოგადოების მზადყოფნას, უარი თქვას რომელიმე ეკონომიკურ დოვლათზე ეკოლოგიური შედეგების მიღწევის სასარგებლოდ. მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დაცული იქნება პარიტეტი ბუნების დაცვის დანახარჯებსა და სხვა ეკონომიკური დოვლათის მოხმარების ზრდას შორის.

„XXI ს-ის დღის წესრიგის“ შესაბამისად, ყოველმა ეროვნულმა მთვარობამ უნდა გამომიმუშავოს მდგრადი ეროვნული განვითარების სტრატეგია. ამჟამად 130-ზე მეტ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული კომისიები, რომელთაგან ბევრმა გააერთიანა მრეწველობის, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ასევე სამთავრობო ოფიციალური ორგანოების წარმომადგენლები. 1992 წელს დაახლოებით 51 ქვეყნის 1500-მა ქალაქმა შეიმუშავა თავისი საკუთარი „XXI ს-ის დღის წესრიგი“.

მსოფლიო ბანკმა, რომელიც ყოველწლიურად განვითარებადი ქვეყნებისათვის დახლოებით 50 მლნ აშშ დოლარს გამოყოფს, დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიოში გარემოს დაცვის პრობლემების გადასაჭრელად. რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ მსოფლიო ბანკმა დიდი ყურადგება მიაპყრო ბუნების დაცვის საკითხს და რიგი მაღალშემოსავლიანი პროექტების მხარდაჭერა შეწყვიტა, რომლებიც, კრიტიკოსთა აზრით, გამფლანგველი ან დესტრუქციული იყო. საუბარია, მაგალითად, არუნის კაშხალზე ნეპალში. ჯეიმს ვულფენსონმა, რომელიც 1995 წელს 50 წლიანი ისტორიის მქონე ბანკის (იგულისხმება მსოფლიო ბანკი) პრეზიდენტი გახდა, საქვეყნოდ აღიარა მდგრადი განვითარების აუცილებლობა.

გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შესახებ მოკლედ შეიძლება ითქვას:

1) ეკოლოგია - ეს არის მეცნიერება, რომელიც დედამიწაზე კაცობრიობის და ბუნების სიცოცხლისა და გადარჩენისათვის უსაფრთხო წესების შემუშავების პრობლემებითაა დაკავებული.

2) განსაკუთრებით მძაფრ გლობალურ-ეკოლოგიურ პრობლემებს წარმოადგენს კლიმატის დათბობა, ოზონის ფენის ნგრევა, ბიოლოგიური მრავაფეროვნების შემცირება და გარემოს დაბინძურება.

3) ოზონის პრობლემების გადასაწყვეტად კოორდინირებულმა ძალისხმევამ პრაქტიკულად მიგვიყვანა მის გადაჭრამდე და გვიჩვენა გზა სხვა გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად.

4) მდგრადი განვითარება - კაცობრიობის და ბუნების კოევოლუციური, ერთობლივი განვითარების უზრუნველყოფა - გახდა საყოველთაოდ აღიარებული მიზანი, რომელის მისაღწევადაც მიმართულია მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევა.

XXI ს-ის დასაწყისში ძალისხმევათა გაერთიანების აუცილებლობა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიზნით უკვე მრავალი სახელმწიფოს მიერ იქნა გაცნობიერებული.

ადამიანთა საზოგადოების განვითარება ბუნებასთან უწყვეტ ურთიერთობაში ხორციელდება. ადამიანს ესაჭიროება სხვადასხვა მატერიალური რესურსი, რომელიც ბუნებაზე ზემოქმედებით უნდა მიიღოს. ბუნებასა და საზოგადოების ეს ურთიერთქმედება რთული და წინააღმდეგობრივია, რომელიც თანდათანობით იცვლებოდა ადამიანის ევოლუციის კვალდაკვალ. ბუნებრივი რესურსების გაუფრთხილებელმა და არაგონივრულმა გამოყენებამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ და მასთან დაკავშირებულმა გარემოს ძლიერმა დაბინძურებამ გამოიწვია იმ ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა ბუნებასა და საზოგადოებას შორის, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე დამყარდა და რომელიც დამანგრევლად მოქმედებდა საზოგადოებასა და გარემოზე:

1. ძუძუმწოვრების 1130 (24%) და ფრინველების 1183 (12%)

სახეობა დღეს გლობალური საფრთხის წინაშეა.

2. ოზონის ფენამ, რომელიც იცავს სიცოცხლეს ულტრაიისფერი სხივებისაგან, დღეს მიაღწია რეკორდულ დონეს. 2000 წელს ოზონის ხვრელი ანტარქტიდის თავზე 28 მლნ კვ.კმ-მდე გაიზარდა.

3. კარბონის დიოქსიდის დაგროვება, რომელთანაც დაკავშირებულია გლობალური დათბობა, 25%-ით უფრო მაღალია, ვიდრე 150 წლის წინ. ასევე მაღალია მეთანისა და ჰალოკარბონატების კონცენტრაცია.

4. მსოფლიოს 80 ქვეყანა, სადაც ცხოვრობს მოსახლეობის 40%, წყლის ნაკლებობით იტანჯება.

5. ყოველწლიურად დაახლოებით 11 000 ბავშვი იღუპება მიზეზებით, რომელთა თავიდან აცილება მარტივია, თუ გაუმჯობესდება კვების, სანიტარიული, მატერიალური, ჯანმრთელობისა და განათლების მდგომარეობა.

ეს და სხვა ტენდენციები ჩვენ განვითარებას არამდგრადს ხდის.

საზოგადოების აშკარა გამოფხიზლება გასული საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდში ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები უფრო მეტად ვითარდებოდა, ხოლო „ღარიბები“ _ ნაკლებად. მდგომარეობის გამოსწორება დაიწყო პრობლემასთან ახალი მიდგომით, რომელიც გულისხმობდა დაბალანსებულ განვითარებას.

ეკონომიკური და სოციალური განვითარება, ასევე გარემოს დაცვა არის მდგრადი განვითარების ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგამამტკიცებელი ღერძები.

მდგრადი განვითარება არის პოზიტიური ცვლილება, რომელიც არ გამოყოფს გარემოს სოციალური სისტემებიდან და რომელზეც ჩვენ ყველანი დამოკიდებულები ვართ. მდგარადი განვითარების ძირითადი მიზანია მსოფლიო ხალხისთვის ისეთი პირობების შექმნა, რათა დაიკმაყოფილონ ყველა ძირითადი მოთხოვნილება და შეიქმნან ცხოვრების უკეთესი პირობები ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ დააყენონ მომავალი თაობების ცხოვრების ხარისხი.

როგორც ავღნიშნეთ, ადამიანთა საზოგადოების განვითარება ბუნებასთან განუწყვეტელ ურთიერთობაში ხორციელდება. ადამიანს ესაჭიროება სხვადასხვა მატერიალური რესურსი, რომელიც ბუნებაზე ზემოქმედებით უნდა მიიღოს. ბუნებისა და საზოგადოების ეს ურთიერთქმედება რთული და წინააღმდეგობრივია, რომელიც თანდათანობით იცვლებოდა ადამიანის ევოლუციის კვალდაკვალ. თუ საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე ანთროპოგენური ფაქტორი სუსტი იყო (სხვა ბუნებრივ ფაქტორებთან შედარებით), შემდეგში თავისი მნიშვნელობით და მასშტაბებით გაუტოლდა მათ და გადააჭარბა კიდეც.

იშვიათი რესურსების მაღალი და მზარდი მოხმარება და დაბინძურების შედეგები დაკავშირებულია მოსახლეობის მატებასთან. მოსახლეობა იმატებს და 2025 წლისთვის, სავარაუდოდ, 8 მლრდ-ს (UNCSD, 2002) მიაღწევს. ნათელია, რომ ეკონომიკურმა განვითარებამ, რომელიც უგულებელყოფს გარემოს დაცვას და სოციალურ ფაქტორს, შეიძლება მოიტანოს ისეთი არასასურველი და გაუთვალისწინებელი შედეგები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, მტკნარი წყლის რესურსების ამოწურვა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება. განვითარების იმ ტემპმა, რომელმაც მასობრივი წარმოება და მასობრივი მოხმარება განავითარა, გამოიწვია მოვლენათა ფართო სპექტრი. მათ არა მარტო გარემოს დაბინძურებისაკენ მივყავართ, არამედ, რესურსების არასწორი და არარაციონალური ექსპლუატაციის გამო, გარემოს დეგრადაციისკენაც, რაც თავისთავად იწვევს არაერთი რესურსმოპოვების არეალის გაფართოებას.

ბოლო დროს, განვითარების მესამე მნიშვნელოვანი რგოლი გარემოს დაცვა გახდა. უკვე 80-იანი წლების დასაწყისში დაგროვდა დიდი მოცულობის ინფორმაცია, რაც ამტკიცებდა, რომ გარემოს დეგრადაცია შესაძლოა გახდეს ეკონომიკური განვითარების სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორი.

1983 წელს გაეროს ინიციატივით შეიქმნა ,,გარემოს პრობლემების და განვითარების საერთაშორისო კომისია“ (World

Commission on Environment and Development-WCED), რომელსაც უნდა დაემუშავებინა საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთობებისა და განვითარების საერთაშორისო სტრატეგია. კომისიას ხელმძღვანელობდა გრო ჰარლენ ბრუნტლანდი (შემდგომში ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი). 1987 წელს ამ კომისიამ გამოსცა შეტყობინება ,,ჩვენი საერთო მომავალი'' (ცნობილია, როგორც ბრუნტლანდ-ის შეტყობინება). WCED-მა მოგვაწოდა იმ თემების ნუსხა, რომლებიც მომავალში უნდა გახდეს მსჯელობის საგნად მდგრადი განვითარების შესახებ. ამოსავალი წერტილი კომისიის მუშაობისათვის გახდა ის ფაქტი, რომ კაცობრიობის მომავალი საფრთხეშია. დედამიწა ერთია, მაგრამ მსოფლიო კი არა. ყოველი ჩვენგანის სიცოცხლე დამოკიდებულია ერთსა და იმავე ბიოსფეროზე.

თითოეული ქვეყანა იბრძვის გადარჩენისა და განვითარებისათვის ისეთნაირად, რომ არ ითვალისწინებს სხვა ქვეყნების მდგომარეობას. ზოგიერთი იყენებს ბუნებრივი რესურსების იმ რაოდენობას, რომ არც ფიქრობს მომავალ თაობებზე. მეორენი, რომელთა რაოდენობა გაცილებით მეტია, იყენებს ბუნებრივი რესურსების იმდენად მცირე რაოდენობას, რომ მათ პერსპექტივაში ელოდებათ სიღატაკე, შიმშილი, ავადმყოფობა და სიკვდილი. იმისათვის, რომ არ მოხდეს კონფრონტაცია „ზემოხმარებისა“ ერთი მხრივ, და მზარდი გაღატაკებისა მეორე მხრივ, კომისია მოუწოდებს მსოფლიო საზოგადოებას მდგრადი განვითარებისაკენ, რომელსაც განსაზღვრავს როგორც: „განვითარების ისეთ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს აწმყოს მოთხოვნილებებს, ისე რომ არ შეიზღუდოს მომავალი თაობის შესაძლებლობა თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად“. მდგრადი განვითარება არის პოზიტიური ცვლილება, რომელიც არ გამოყოფს გარემოს სოციალური სისტემებიდან და რომელზეც ჩვენ ყველანი დამოკიდებულები ვართ. კოორდინირებული კვლევები დაგეგმვასა და პოლიტიკაში უნდა გულისხმობდეს საზოგადოების მონაწილეობას. მისი წარმატება დამოკიდებულია ადამიანი-გარემოს კრიტიკულ კავშირზე აუცილებელი ცვლილებების განხორციელებისას.

ეკონომიკური და სოციალური განვითარება, ასევე გარემოს დაცვა არის მდგრადი განვითარების ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგამამტკიცებელი ღერძები. ზოგიერთი მდგარად განვითარებას მჭიდროდ უკავშირებს ეკონომიკურ ზრდას და მოთხოვნილებას იპოვოს ეკონომიკის გრძელვადიანი გაფართოების გზები ისე, რომ არ გამოილიოს ბუნებრივი რესურსები მიმდინარე ზრდის დროს. მდგარადი განვითარების ძირითადი მიზანია მსოფლიო ხალხისთვის ისეთი პირობების შექმნა, რათა დაიკმაყოფილონ ყველა ძირითადი მოთხოვნილება და შეიქმნან ცხოვრების უკეთესი პირობები ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ დააყენონ მომავალი თაობების ცხოვრების ხარისხი.

იმისათვის, რომ აღმოიფხრას არასიცოცხლისუნარიანი, არამდგრადი განვითარების ტენდენციები WCED რეკომენდაციას უწევს შემდეგ შვიდ კრიტიკულ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია მსოფლიო მოსახლეობისადმი და რომელთა განხორციელება მათი ხარისხიანი ცხოვრების გარანტიაა (WCED, 1987):

• აღდგეს ზრდის პროცესი;

• შეიცვალოს ზრდის ხარისხი;

• განხორციელდეს აუცილებელი ქმედებები სამუშაო ადგილების მოთხოვნის, საკვების, ენერგიის, წყლისა და დასუფთავების მიმართ;

• უზრუნველყოს მოსახლეობის მდგრადი რაოდენობა;

• შენარჩუნდეს და გაიზარდოს ძირითადი ბუნებრივი რესურსები;

• მოხდეს ტექნოლოგიების რეორიენტაცია და რისკის მართვა;

• გადაწყვეტილებების მიღების დროს გაერთიანდეს გარემოდაცვითი დაეკონომიკური მოსაზრებები.

პროგრამა 21. ბრუნდტლანდ-ის შეტყობინების შემდეგ, მოვლენებისა და ინიციატივების მთელმა რიგმა მოგვიტანა მდგრადი განვითარების მრავალმხრივი ინტერპრეტაცია. ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო გაეროს კონფერენცია რიო-დე- ჟანეიროში (1992 წ.), რომელიც მიეძღვნა გარემოს დაცვასა და გან-

ვითარებას. ამ კონფერენციაში მონაწილეობდა თითქმის 180 ქვეყნის წარმომადგენელი. სამუშაო კომიტეტმა მოისმინა სახელმწიფოთა მეთაურების, გარემოს დაცვის მინისტრების გამოსვლები. კომიტეტის ფარგლებში შეიქმნა ძირითად პრობლემებთან 15 დაკავშირებული 8 საკონტაქტო ჯგუფი: ფინანსური რესურსების, ტექნოლოგიების, ატმოსფეროს დაბინძურების და კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების და ბიოტექნოლოგიების, მტკნარი წყლის რესურსების, ტყეების დაცვის. გარკვეული წინააღმდეგობების მიუხედავად კონფერენციამ მიიღო სამი ისტორიული დოკუმენტი:

- დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ,
- განცხადება ტყეების შენარჩუნებისა და მართვის შესახებ,
- XXI საუკუნის ,,დღის წესრიგი'' (პროგრამა 21).

პროგრამა 21 შეიცავს 4 განყოფილებას და 40 თავს.

I განყოფილება ეხება XXI საუკუნის სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს.

II განყოფილებაში განხილულია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები. III განყოფილება ეხება მოსახლეობის ყველა ფენის და ყველა ტიპის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვის აუცილებლობას XXI საუკუნის საპროგრამო მიზნების განხორციელებაში. IV განყოფილება პროგრამის ხორცშესხმის საშუალებებს ითვალისწინებს. ეს არის ფინანსური რესურსები, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიები, მეცნიერება, განათლება და კადრების მომზადება, დამოკიდებულება განვითარებად ქვეყნებთან და სხვა. პროგრამა 21 ითვალისწინებს მრავალ სხვა საკითხს, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ადამიანის უფლება იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და სრულ ჰარმონიაში ბუნებასთან; გარემოს დაცვა, როგორც მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილი; წინააღმდეგობების შემცირება მსოფლიო ხალხებსა და მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის; ბუნების დაცვითი კანონმდებლობის სრულყოფა; უარისთქმა მდგრადი განვითარების ხელის შემშლელ ტექნოლოგიებზე და სხვა. პროგრამა 21 ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არც

ერთ ქვეყანას არ ძალუძს დამოუკიდებლად განახორციელოს მდგრადი განვითარება. ეს უნდა მოხდეს მხოლოდ საერთაშორისო დონეზე.16 პროგრამა 21-ის მიღების პარალელურად, ევროპაში დაიწყო მოძრაობები დაფუძნებული მდგრადი განვითარების პრინციპებზე. მდგრადი განვითარების პრინციპმა მნიშვნელოვნად შეცვალა დამოკიდებულება განვითარების, კეთილდღეობისა და სხვა საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. თუ წინათ ქვეყნის კეთილდღეობა განისაზღვრებოდა უპირატესად საერთო ნაციონალური შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე, ახლებური მიდგომა ამას არასაკმარისად თვლის. ეს მაჩვენებლები უფრო ეკონომიკური აქტივობის ინდიკატორია, ვიდრე საზოგადოების განვითარების საერ- თო დონისა. მასში არ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობა, გარემოს მდგომარეობა, ბუნებრივი რესურსების ხარჯვა, საზოგადოების სოციალური და ფსიქოლოგიური მაჩვენებლები.

ეროვნულ დონეზე გარემოს დაცვითი ქმედებების დაგეგმვის ერთ-ერთ პირველ მცდელობად შესაძლოა ჩაითვალოს 1998 წელს გამოქვეყნებული მოხსენება ,,გარემოს დაცვის მდგომარეობის შესახებ''. მოხსენება მომზადებულ იქნა გარემოს დაცვის მინისტრის მეოთხე პანევროპული კონფერენციისათვის (ორჰუსი, დანია), TACIS-ის პროგრამის ფინანსური და ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოხსენება წარმოადგენს უფრო აღწერილობითი ხასიათის დოკუმენტს, ვიდრე სტრატეგიას ან გეგმას, ის განსაზღვრავს არსებულ და ახლად გამოვლენილ გარემოს დაცვით პრობლემებს ეროვნულ დონეზე, რომელთა გადასაწყვეტად შესაძლოა დასახულ იქნეს პრიორიტეტული ღონისძიებები. 2000 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტის #191 ბრძანებულებით, დამტკიცებულ იქნა გარემოს დაცვით მოქმედებათა პირველი ეროვნული გეგმა, რომელიც განსაზღვრავს გარემოს დეგრადირების იმ პრობლემებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. გეგმაში დასახულია გარემოს

დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების სფეროში სახელმწიფო მართვისა და ინსტიტუციური განვითარების მოკლე და საშუალოვადიანი მიზნები. რეგიონულ დონეზე ღონისძიებათა დაგეგმვის მაგალითად შესაძლებელია განხილულ იქნეს ამჟამად მიმდინარე საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი, რომელიც ხორციელდება მსოფლიო ბანკის, გლობალური გარემოს დაცვითი ფონდისა და ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერთ.

საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის შემუშავება დაიწყო 1997 წელს, შავი ზღვის გარემოს დაცვითი პროგრამის (BSEP) შემუშავებაზე მუშაობის დაწყებასთან ერთად. აღნიშნულმა პროგრამამ ხელი შეუწყო შავი ზღვის მოსაზღვრე ქვეყნებში სხვადასხვა ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, ღონისძიებებისა და პროექტების გატარებას, მათ შორის საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის შექმნასაც.

ეროვნული დონის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების ადაპტაციისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, რომლის 37-ე მუხლი საქართველოს ყველა მოქალაქეს ანიჭებს უფლებას ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ. ამასთანავე, ამავე მუხლის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით კანონის მე-15 მუხლის თანახმად, გარემოს დაცვითი დაგეგმვის სისტემა უნდა მოიცავდეს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას (მდგრადი განვითარების სტრატეგია), ხუთწლიან გეგმას (გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა) და საქმიანობის ობიექ-

ტებისათვის შედგენილ გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმას. კანონის თანახმად, მდგრადი განვითარების სტრატეგია შემუშავებული უნდა იქნეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ყველა დაინტერესებული უწყების მონაწილეობით და უნდა წარმოადგენდეს მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე შედგენილ სტრატეგიულ გეგმას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და გარემოს დაცვითი ინტერესების შეთავსება. თავის მხრივ, მდგრადი განვითარების სტრატეგია უნდა ქმნიდეს საფუძველს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავებისათვის. გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამები ასევე შესაძლებელია შედგეს რეგიონალურ, ადგილობრივ და უწყებრივ დონეებზე. კანონის თანახმად, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა უნდა იყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული გეგმის ნაწილი. 1996 წელს საქართველოს პრეზიდენტის 763-ე ბრძანებულებით, შეიქმნა საქართველოს მდგრადი განვითარების სახელმწიფო კომისია, რომელიც უპირველეს ამოცანად სწორედ საქართველოს მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას ისახავდა. აღსანიშნავია, რომ ,,გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, გარემოს დაცვის მოქმედებათა რეგიონალურ, ადგილობრივი და უწყებრივი პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტთა გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების შედგენის წესი და პერიოდულობა განსაზღვრული უნდა იქნეს გარემოს კანონმდებლობით. ბოლო დროს ეკონომისტთა და სოციოლოგთა მცდელობა ისეა მიმართული, რომ კეთილდღეობის სინთეზურ მაჩვენებელში ისეთი ფასეულობაც აისახოს, რომლის ფულადი გამოხატვა არ შეიძლება. ამის მაგალითია საზოგადოების ,,განვითარების ინდექსი'' (IDI), რომელიც სხვა ტრადიციულ პარამეტრებთან ერთად მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობას, განათლების დონეს, ბუნებრივი რესურსების ხარჯვას ითვალისწინებს.

შესწევთ ქვეყნებს უნარი განავითარონ მდგრადი განვითარების გზა? მდგრადი განვითარება არის თავისებური გარანტი დემოკრატიული, სოციალური სისტემებისა, რომელშიც ყველას შეუძლია მონაწილეობა, ხოლო ეკონომიკური სისტემა დამოკიდებულია საზოგადოების კეთილდღეობასა და გარემოზე, ასევე ანგარიში ეწევა სხვადასხვა კულტურათა უნიკალურობასა და ინდივიდუალურობას. იქმნება ხელშემწყობი პირობები ადამიანის უფლებათა დაცვისათვის,, მშვიდობის განმტკიცებისათვის, კულტურათშორის დიალოგისათვის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისათვის, კატასტროფებისაგან თავის არიდებისათვის, სიღარიბის დაძლევასა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებისათვის. დაბოლოს, მდგრადი განვითარება არის კურსი, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს მდგრადი განვითარების საჭიროება ეკონომიკის და გლობალური საზოგადოების განვითარებისათვის მეცნიერების გამოყენებით. კურსში აქცენტი გაკეთებულია გარემოს დაცვითი სწავლების მულტიდისციპლინარულ ბუნებაზე, გლობალურ საზოგადოებასთან კავშირზე, რომელიც აერთიანებს მეცნიერებას, ინჟინერიას, ეთიკას, პოლიტიკას და ეკონომიკას განსხვავებულ ასპექტში. ეს კურსი სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაძლებლობით მეცნიერება მიმართონ სათანადო მიზნებისაკენ. გარემოს დაცვითი მეცნიერებების ექსკლუზიური განათლება ეხმარება მათ მიაღწიონ დაბალანსებულ მომავალს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Плоский мир. Краткая история XXI века-Томас Л. Фридман (2014);

2. Исповедь экономического убийцы - Джон Перкинс (2015);

3.The Myth of Globalisation – Susan P. Douglas, Yoram Wind;

4. http://younggreens.ge

5. http://greenalt.org

6.http://public.wsu.edu/~susdev/WCED87.html

7.http://www.un.org/documents/ga/res/42/ares42-187.htm

REFERENCES:

1. Flat world. A Brief History of the XXI Century, Thomas L. Friedman (2014);
2. Confessions of an Economic "Killer" - John Perkins (2015);
3. The Myth of Globalisation – Susan P. Douglas, Yoram Wind;
4. http://younggreens.ge
5. http://greenalt.org
6. http://public.wsu.edu/~susdev/WCED87.html
7. http://www.un.org/documents/ga/res/42/ares42-187.htm.

GLOBAL REGULATION OF SUSTAINABLE DEVELOPMENT AND THE CONCEPT

Giorgi Subeliani ,
PhD Student, GTU

RESUME

The article deals with the essence of sustainable development, its importance and relevance in modern society. There are displayed the problematic issues, which are urgently needed in order to achieve a sustainable development. For example, the environmental problems. Unfortunately, many of the world, and despite the efforts of the program, it is clear that the environmental situation is not improving, but it goes towards the deterioration. The economic and social development, as well as the environmental protection and sustainable development are interdependent axles. In order to solve one problem, which is the world around us and to build a society, where all, including future generations, to be able to live with a sense of security, it should try to develop a way to focus on social justice and environmental protection. The careless and indiscreet use of natural resources, scientific and technological revolution and the associated environmental pollution caused the ecological balance of nature and society, which is a long time to form. 21th century was under severe stress in the world economy, the environment and social systems. That is why the global regulation of the sustainable development is of vital importance for the future of human existence.

Keywords: Sustainable development, Globalization, Regulation, Policy, Balance, Environment, Social system, Economy.

კომერციულ ბანკებში აქტივების ხარისხის ეკონომიკური ანალიზი

ალეკო ქუთათელაძე
სტუ-ის პროფესორი
ზურაბ ჩხაიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მატერიალური წარმოების დარგების პროდუქციის ხარისხის, სოციალური სფეროს პროდუქტებისა და მომსახურებათა ხარისხის პრობლემებზე გამოქვეყნებულია მრავალი წიგნი, მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია; თუმცა, საბანკო სფერო ითვლება ეკონომიკის თავისებურ დარგად განვითარების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებებით.

აქტივების ხარისხი წარმოადგენს იმ თვისებების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის მიერ დაბანდებული ფულადი სახსრების სრულ დაბრუნებადობას ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში და ბანკის კუთვნილი ნაზარდი ღირებულების გათვალისწინებით.

საბანკო ბიზნესის თანამედროვე თეორიაში აქტივებისა და პასივების მართვა განიხილება, როგორც საბანკო ბალანსის მართვის კოორდინირებული პროცესი, რომელიც ითვალისწინებს პროცენტის განაკვეთისა და ლიკვიდურობის ცვლილების ალტერნატიულ სცენარებს.

აქტივებისა და პასივების მართვის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი საკრედიტო პორტფელის ამჟამად გამოყენებულ მეთოდებს აერთიანებს ბანკის ბალანსის მართვის ერთიან

პროცესად და არ წარმოადგენს მისი ცალკეული ნაწილების მართვას.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკი, აქტივები, პასივები, აქტივების ხარისხი, ეკონომიკა, პროდუქციის ხარისხი, დეპოზიტები.

შესავალი

საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნილებათა და მათი წარმოებისა და რეალიზაციის გზებისა და საშუალებების მრავალფეროვნება და მათი კავშირი სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან აუცილებელს ხდის საბანკო აქტივების ხარისხსთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურ გადაწყვეტას. მთელი საბანკო საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს აქტივების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამასთან, საჭიროა იმის დადგენა, აქტივების ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს თუ არა ხელს საბანკო რესურსების ფორმირებისა და გამოყენების მექანიზმის ყველა ელემენტი. თუ ამ ელემენტების მუშაობა ამ მიმართულებით არ არის ეფექტიანი ან არის ნაკლებ ეფექტიანი, საჭიროა ბანკის საქმიანობაში ცვლილებების შეტანა, რომლებიც მიზნად ისახავს საწესდებო კაპიტალის ან მოზიდული სახსრების მოცულობის გაზრდას და სასესხო კაპიტალისა და ბაზარზე საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებათა ოპერაციების ეფექტიანობის გაუმჯობესებას. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს საბანკო პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების ზღვარი ზოგადად და საბანკო აქტივების ხარისხის გაუმჯობესების ზღვარი კონკრეტულად. ასე მაგალითად, არ შეიძლება, მისაღებად ჩაითვალოს აქტივების ცალკეული ჯგუფების (უვადო აქტივები, მოთხოვნამდე ვადით განთავსებული აქტივები) მოცულობის გადამეტებული ზრდა, დასრულებული საპროცენტო ტარიფების დადგენა და სხვ.

ძირითადი ტექსტი

დღევანდლამდე ისეთი ცნებები, როგორიცაა „პროდუქციის ხარისხი“, „საქონლის ხარისხი“, „მომსახურების ხარისხი“, და-

უსრლებელი დისკუსიების საგანს წარმოადგენს. ამ ცნებათა არსის შესახებ არსებობს მრავალი სხვადასხვა და ხშირად, ურთიერთგამომრიცხავი აზრი.

დღეს ავტორთა უმეტესობა გარკვეული დაშვებებით, ემხრობა შემდეგ განსაზღვრებას: „პროდუქციის ხარისხი არის იმ თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებს პროდუქციის უნარს, მისი დანიშნულების შესაბამისად, დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნილებები“. აღნიშნული განმარტება გამოიყენებოდა ჯერ კიდევ გეგმიური, ცენტრალიზებული მეურნეობის პირობებში, მიზანშეწონილია მისი დაზუსტება საბაზრო პირობების გათვალისწინებით.

პირველ რიგში, მოთხოვნილებები უნდა იყოს კონკრეტული, ე.ი. მითითებული უნდა იყოს ადგილი, დრო, მოცულობა და ხარისხობრივი პარამეტრები. ისინი შეიძლება, გამოხატავდეს სოციალური სისტემის რომელიმე ელემენტის (მთლიანად მოსახლეობის, სოციალური ჯგუფის, ეროვნული მეურნეობის ან მისი რომელიმე სექტორის) ან ინტერესებს, ან ამ ინტერესების რომელიმე ასპექტს.

იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტულად რა მოთხოვნილებაზეა საუბარი, შეიძლება, მივიღოთ ხარისხის ცნებათა მთელი სისტემა, რომელთაგან თითოეულ ცნებას ექნება განსაზღვრული მნიშვნელობა:

- წარმოების ცალკეული დარგების პროდუქციის ხარისხი;
- საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ხარისხი;
- საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებათა ხარისხი;
- ეკონომიკის საბანკო სექტორში არსებული აქტივებისა და პასივების ხარისხი;
- სოციალური სფეროს ქვედანაყოფებში შექმნილ მომსახურებათა ხარისხი.

თუ ყველა კონკრეტულ მოთხოვნილებათა სისტემაში დაფიქსირებულია ესა თუ ის მოთხოვნილება, მაშინ ჩნდება მისი დაკმაყოფილების ორი სხვადასხვა საშუალება. პირველი მათგანი ფიქსირდება, როგორც პროდუქციის ან მომსახურების ერთი რომელიმე სახეობა, რომელიც აკმაყოფილებს მოცემულ

მოთხოვნილებას. მეორე კი - განიხილავს იმ პროდუქტებისა და მომსახურებათა სისტემას, რომელთა დახმარებითაც კმაყოფილდება მოცემული მოთხოვნილება. მაგალითად, კონკრეტული მოთხოვნილება საბანკო სესხის მიღებაზე შეიძლება დაკმაყოფილდეს სისტემური დოკუმენტების წარდგენით სესხის გაცემისთვის საჭირო სხვა პირობებთან ერთად (გირაო, თავდებობა). ამა თუ იმ პირობის ხარისხის შეცვლამ შეიძლება არაპირდაპირი გზით (მისივე მეშვეობით) იმოქმედოს მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხზე. ამასთან, პროდუქტის ყოველი კონკრეტული სახეობა შეიძლება განვიხილოთ მისი სხვა პროდუქტით ჩანაცვლების კუთხით.

ხარისხის ცნების ძირითადი მომენტი არის სხვადასხვა სამომხმარებლო ღირებულებათა თანაზომვადობის დაშვება მხოლოდ ერთი და იგივე კონკრეტული მოთხოვნილების ფარგლებში.

განვიხილოთ კომერციული ბანკების აქტივების ჯგუფებისა და სახეობების ერთობლიობის საშუალებებზე კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილების მაგალითი. იმისდა მიხედვით, თუ ვის სარგებლობაშია ბანკის აქტივები, შესაძლებელია მათი სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფა სხვადასხვა ნიშნით. ასე მაგალითად, აქტივები, რომლებიც დროებით სარგებლობაში გადაეცემა სხვა სუბიექტებს, შეიძლება, აკმაყოფილებდეს იმ პირების მოთხოვნილებებს, ვისაც ისინი ეკუთვნის მოცემულ მომენტში, ვინც მათით სარგებლობს:

- სახელმწიფო მინისტრების, უწყებებისა და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების სახით;
- სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდები (ფედერალური, სუბფედერალური და ადგილობრივი);
- სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები;
- არასახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები;
- კერძო მეწარმეები და სხვა ფიზიკური პირები;
- უცხო სახელმწიფოები, ბანკები, ფინანსური ორგანიზაციები და სხვა არარეზიდენტები.

ყველა ამ შემთხვევაში სხვა სუბიექტებისადმი დროებით სარგებლობაში გადაცემული აქტივების სამომხმარებლო თვისებებს დამატებითი მოთხოვნები წაეყენება, რაც შეიძლება გამოიხატოს იმ თვისებათა გაზრდილი რაოდენობით, რომლებიც განსაზღვრავს აქტივების ხარისხს. მაგალითად, ბანკის აქტივების სტრუქტურა, როგორც ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, უნდა შეესაბამებოდეს პასივების სტრუქტურას, რაც გამორიცხავს რესურსების ბაზაში შესაძლო გადახრებს აქტივებზე ოპერაციების სრული მოცულობით შესრულებისას.

აქტივების სტრუქტურა სუბიექტების მიხედვით გვიჩვენებს, თუ ბანკი ეკონომიკის რომელ სექტორებში მიმართავს საკუთარ რესურსებს და რამდენად მრავალფეროვანია მისი დაბანდებები. რაც ნაკლებია ბანკის რესურსების კონცენტრაცია ერთ რომელიმე ჯგუფში, მით უფრო საიმედოდ ითვლება ბანკი. თუმცა, შევნიშნავთ, რომ თუ აქტივების გამოყენება რამდენიმე მიმართულებით ხდება (მაგალითად, მოკლევადიანი აქტივები, უვადო, ერთდღიანი, 30 დღემდე ვადით) ან არის მრავალფუნქციური თავისი დანიშნულებით (შენობები, ნაგებობები და სხვ.), მაშინ კონკრეტული მოთხოვნების ცნება შეიძლება, ეხებოდეს მოხმარების მხოლოდ ერთ სფეროს. ამასთან, ერთი და იგივე სამომხმარებლო ღირებულება შეიძლება აკმაყოფილებდეს მისი გამოყენების სხვადასხვა სფეროს კონკრეტულ მოთხოვნილებებს და ამასთან, ხასიათდებოდეს სხვადასხვა ხარისხით.

ძირითადად, დებატები მიმდინარეობს პროდუქციის ხარისხის ცნებებსა და პროდუქციის სამომხმარებლო ღირებულებას შორის არსებულ კავშირ-ურთიერთობებზე. ავტორთა ერთი ჯგუფი ხარისხს სამომხმარებლო ღირებულებისგან დამოუკიდებლად განიხილავს, უპირისპირებს რა ერთმანეთს ამ ცნებებს; სხვები მათ, როგორც იდენტურს, ისე განიხილავენ. ასეთი მსჯელობა ძირითადად ეხება მატერიალური წარმოების დარგების პროდუქციის ხარისხს, რადგან ამ შემთხვევაში ხარისხი იქმნება პროდუქციის წარმოების პროცესში და გამოვლინდება პროდუქციის მოხმარებისას. რაც შეეხება საბანკო

პროდუქტებს - კრედიტებს, ფასიან ქაღალდებსა და სხვა აქტივებს, პროდუქციის სამომხმარებლო ღირებულებისა და ხარისხის ცნებებს აქ განსხვავებული მნიშვნელობები აქვს.

ამ განსხვავების ერთ-ერთ განმსაზღვრელ მომენტად ითვლება ის, რომ სამომხმარებლო ღირებულება აერთიანებს პროდუქციის ყველა თვისებას, რომელიც დაკავშირებულია მის უნართან, დააკმაყოფილოს ადამიანური მოთხოვნილებები მაშინ, როდესაც ხარისხი ხასიათდება ამ თვისებებიდან მხოლოდ ზოგიერთი მათგანით, რომლებიც კავშირშია მოცემულ კონკრეტულ მოთხოვნილებასთან.

ხარისხის ცნების, როგორც ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი ინსტრუმენტის, გამოყენებისთვის საჭიროა, რომ ეს ცნება ითვალისწინებდეს პროდუქციისა და მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნებს. ეკონომიკის საბანკო სექტორში ასეთი მოთხოვნები დგინდება საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისას და საკრედიტო პროცესების ორგანიზებისას.

საკრედიტო პროცესის ორგანიზებაში იგულისხმება დაკრედიტების ტექნიკა და ტექნოლოგია დასრულებული საკრედიტო გარიგების ხარისხის ხარჯზე საბანკო საქმიანობის საკანონმდელო ნორმების დაცვის, საკრედიტო რისკის შემცირებისა და საკმარისი მოგების მიღების მიზნით.

დაკრედიტების პროცესი გულისხმობს რამდენიმე ეტაპის განხორციელებას, რომელთაგან თითოეულზე შესაძლებელია ბანკისთვის კრედიტის საიმედოობისა და მომგებიანობის განსაზღვრა კრედიტის ხარისხობრივი მახასიათებლების საფუძველზე, რაც თავის მხრივ, იძლევა ურთიერთობის დამყარების საშუალებას საკრედიტო განყოფილებასა და ბანკის იმ სხვა სტრუქტურულ დანაყოფებს შორის, რომელთა საქმიანობაშიც შედის კრედიტის გაცემა და კრედიტებისა და აქტივების სხვა ოპერაციების მართვა.

ზოგადად, საბანკო საქმისა და კონკრეტულად კი - დაკრედიტების პროცესის ორგანიზების უმთავრესი ამოცანაა აქტივებისა და პასივების მართვის ხარისხის შემდგომი სრულყოფის მიმართულებების შესწავლა. ეს ნიშნავს იმას, რომ მაჩვენებ-

ლებისა და მეთოდების გარკვეული სისტემის საშუალებით შეიძლება, გაიზომოს აქტივების ეფექტურობის დონე, დადგინდეს აქტივების განაწილების ისეთი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს კომერციული ბანკის ლიკვიდურობასა და მაქსიმალური მოგების მიღებას. აღნიშნული საჭიროებს საბანკო აქტივების ხარისხის თეორიის საფუძვლების მეცნიერულ დამუშავებასა და აქტივების განაწილებისა და კონვერტაციის ეფექტურობის კრიტერიუმების განსაზღვრას.

მატერიალური წარმოების დარგების პროდუქციის ხარისხის, სოციალური სფეროს პროდუქტებისა და მომსახურებათა ხარისხის პრობლემებზე გამოქვეყნებულია მრავალი წიგნი, მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია; თუმცა, საბანკო სფერო ითვლება ეკონომიკის თავისებურ დარგად განვითარების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებებით.

საბანკო საქმიანობაზე აისახება აღწარმოების პროცესის მთელი მიმდინარეობა და საქონლის განვითარების, წარმოებისა და მიმოქცევის სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. ამიტომ თეორიულ ჭრილში უკვე შედარებით დამუშავებული პროდუქციის ხარისხის თეორიის საკითხებიც კი საბანკო სექტორში შეუძლებელია მექანიკურად იქნას გამოყენებული სხვა დარგებთან მიმართებაში. აღნიშნული გარემოებების გამო საბანკო ბიზნესის მეცნიერებისა და პრაქტიკის წინაშე დგება შემდეგი სპეციფიური ამოცანა - შესწავლილი იქნას საბანკო აქტივების განთავსებისა და გამოყენების ხარისხობრივი მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ აქტივების ხარისხის კვლევა განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური კატეგორიის კვლევა.

მით უმეტეს, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს ცალკეული მონოგრაფიული თუ კოლექტიური სამეცნიერო ნაშრომები მოცემული პრობლემის შესახებ. ასეთ პირობებში აქტივების მართვის ხარისხის შეფასება კაპიტალის საკმარისობის მეცნიერულ ანალიზთან ერთად გულისხმობს შემდეგს:

- აქტივების ხარისხის, როგორც დამოუკიდებელი ეკონომ-

იკური კატეგორიის, არსის დაზუსტება;

- საბანკო აქტივების ძირითადი სახეების დახასიათება, აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის ანალიზი;
- ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლების სისტემატიზაცია აქტივების მართვის სტრატეგიის ფარგლებში;
- საკრედიტო პროცესის ორგანიზების ოპტიმალური ვარიანტების დადგენა;
- აქტივების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასება და სხვ.

აქტივების მაღალი ხარისხი, პირველ რიგში, განისაზღვრება დაბანდებული ფულადი სახსრების სრული ან პოტენციურად სრული დაბრუნებადობით. მოცემულ შემთხვევაში აქტივების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი ემთხვევა კრედიტის დაბრუნებადობის პრინციპს. გარდა ამისა, აქტივების ხარისხზე არსებით გავლენას ახდენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის დაბრუნებადობის ვადები.

და ბოლოს, აქტივების მაღალი ხარისხი უზრუნველყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უზრუნველყოფილია ბანკის მიერ დაბანდებული სახსრების სრული დაბრუნებადობა დათქმულ ვადაში ნაზარდი ღირებულებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება, გაკეთდეს დასკვნა, რომ აქტივების ხარისხი წარმოადგენს იმ თვისებების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის მიერ დაბანდებული ფულადი სახსრების სრულ დაბრუნებადობას ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში და ბანკის კუთვნილი ნაზარდი ღირებულების გათვალისწინებით.

ამ განსაზღვრების პრაქტიკული გამოყენებისთვის საჭიროა საბანკო აქტივების გადანაწილება შემდეგ ჯგუფებად:

1. სასესხო აქტივები, რომელთა წილად როგორც წესი, მოდის ყველა აქტივის საერთო ღირებულების 75%-მდე.

2. სალარო ნაშთები და ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე ცენტრალურ ბანკში და თავად კომერციულ ბანკებში. სალარო ნაშთის საკმარისო ოდენობით ქონა ბანკნოტებისა და

მონეტების სახით აუცილებელია ბანკის მხრიდან მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად და ნაღდი ფულით გადახდების საწარმოებლად ძირითადად, ფიზიკურ პირებთან ანგარიშსწორების მიზნით. იგი წარმოიქმნება სავაჭრო ორგანიზაციების ამონაგების ინკასაციის ხარჯზე, რომელსაც იღებს ბანკი ნაღდი ფულით.

3. გადაყიდვის მიზნით არსებული ფასიანი ქაღალდები და ლიკვიდურობის შენარჩუნებისთვის საჭირო სხვა ინსტრუმენტები, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება ინვესტიციები, როგორც წესი, მოკლევადიან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში, რომლებშიც შედის პროცენტიანი ვადიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში, რომლებიც ითვლება მაღალლიკვიდურ და მომგებიან აქტივებად, რადგან ხდება მათი ნაღდ ფულად სახსრებად გადაქცევა დროში მინიმალური შეფერხებით და დანაკარგის უმნიშვნელო რისკით.

4. ობლიგაციები, ვექსელები, აქციები და სხვა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც იყენებს ბანკი ისეთი შემოსავლების მიღების ანგარიშით, რომელთა ზომაც დამოკიდებული იქნება მის ტარიფზე.

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, მათ შორის შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და ქალიშვილ კომპანიებსა და სხვა მცირე ორგანიზაციებში ინვესტიციების ნარჩენი ღირებულება. მათ უკავშირდება საოპერაციო ხარჯებიც საამორტიზაციო ანარიცხებისა და ქონებაზე გადასახადების სახით, რომლებიც ითვლება ფიქსირებულ თანხებად. აღნიშნული დანახარჯები წარმოადგენს ბანკისთვის ბერკეტს, რომელიც მას აძლევს საოპერაციო შემოსავლების გაზრდის საშუალებას.

ადრე მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში მიღებული იყო, რომ ბანკს შეუძლია, განახორციელოს კონტროლი დეპოზიტების მოდინებაზე, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება, თუ ვისზე გაიცეს შეზღუდული მოცულობის ნაღდი საკრედიტო რესურსი და თუ როგორი უნდა იყოს სესხის პირობები. ასეთ მიდგომას თავისი ლოგიკა ჰქონდა, რომელიც დამახასიათებელი

იყო იმ დროისთვის: იმ დროს ნებისმიერი სახის დეპოზიტი, დეპოზიტზე შემოთავაზებული საპროცენტო განაკვეთი და იმ ფონდების სხვა წყაროები, რომელთა მოზიდვაც ბანკს შეეძლო, მკაცრად რეგულირდებოდა სახელმწიფოს მიერ.

ბანკებს ჰქონდათ შეზღუდული უფლებები სახსრების წყაროების თავისუფალი ფორმირების მიმართულებით, ხოლო ბანკის მმართველის როლი ძირითადად უკავშირდებოდა აქტივების მართვას. თუმცა, რადგან აქტივების დიდი ნაწილი კრედიტებში ბანდდებოდა, ბანკების ძირითადი მოთხოვნილებები ლიკვიდურ სახსრებზე კმაყოფილდებოდა კრედიტების გონივრული მართვის ხარჯზე.

თუმცა, კრედიტები ყოველთვის როდი ითვლება თვითლიკვიდირებად აქტივებად, განსაკუთრებით, თუ ეკონომიკა კრიზისის მდგომარეობაშია. ასეთ შემთხვევებში საჭირო ხდება ზოგიერთი სახის სესხის რესტრუქტურიზაცია, რის შედეგაც ხდება სახსრების ახალი წყაროების მოძიება მათი მხარდაჭერის მიზნით.

მიუხედავად ზემოთქმულისა, დაკრედიტების შედეგად მოგების მიღების საშუალება მაინც არსებობს: ბანკს შეუძლია, გასცეს კრედიტების გარკვეული ნაწილი ხანგრძლივი ვადით, მაგრამ ასეთი ნაბიჯისთვის საჭიროა დაფინანსების ახალი წყაროები, გარდა ტრადიციული ლიკვიდური აქტივებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისა და შედეგად, ახალი მიდგომები აქტივებისა და პასივების მართვის მიზნით.

საბანკო ბიზნესის თანამედროვე თეორიაში აქტივებისა და პასივების მართვა განიხილება, როგორც საბანკო ბალანსის მართვის კოორდინირებული პროცესი, რომელიც ითვალისწინებს პროცენტის განაკვეთისა და ლიკვიდურობის ცვლილების ალტერნატიულ სცენარებს.

აქტივებისა და პასივების მართვის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი საკრედიტო პორტფელის ამჟამად გამოყენებულ მეთოდებს აერთიანებს ბანკის ბალანსის მართვის ერთიან პროცესად და არ წარმოადგენს მისი ცალკეული ნაწილების მართვას.

ლიტერატურა:

1. ასათიანი ვლ. , ცაავა გ. – კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი - თეორია, მეთოდები და პრაქტიკა. თბილისი , გამომცემლობა ,,დანი“ 2014, - 500 გვ.

2. ბურდიაშვილი რ. – ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში. – თბილისი, გამომცემლობა ,,პოლიგრაფისტი“, 2013.

3. ელიავა ლ. – საბანკო კრიზისების პროგნოზირება. გამომც. ,,დარბეგი“, 2013 – 403 გვ.

4. ცაავა გ. – ფინანსური ინჟინერია, ლექციების კურსი – თბილისი, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, 2013 – 665 გვ.

5. ხანთაძე გ. ცაავა გ. – საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). თბილისი გამომცემლობა ,,დანი“, 2012, 400 გვ.

6. Щегорцев В Л., Таран В.А. Деньги, кредит, банки: учебник для вузов/ под ред. проф. В.А Щегорцева. - М-ЮНИТИ-ДАНЛ,2005 -223с.

REFERENCES:

1. Asatiani, G. Tsaava - Financial analysis of commercial bank's activity – Theory, Methodology and practics. Tbilisi, Publishing house "DANI" 2014, 500pg. (In Georgian Language).

2. R. Burdiashvili – Accountings in Banks. – Tbilisi, Publishing house "POLIGRAPHISTI", 213p. (In Georgian Language).

3. L. Eliava – Forecasting of banking crises. Publishing house "DARBEGI", 2013. 403pg. (In Georgian Language).

4. G. Tsaava – Financial engineering, Course of lectures – Tbilisi, Publishing house "UNIVERSALI", 2013. 665pg. (In Georgian Language).

5. G. Khantadze, G. Caava – Textbook – Banking operations. Tbilisi, Publishing house "DANI", 2012, 400pg. (In Georgian Language).

6. V. L. Shegortsev, V. A. Taran. – Textbook for Universities: Money, Credits, Banks. Publishing house "M-Unity-DANL" 2005. 223pg.

ECONOMIC ANALYSIS OF QUALITY OF THE ASSETS IN COMMERCIAL BANKS

Aleko Kutateladze, GTU, Professor
Zurab Chkhaidze, GTU, PhD Student

There are a number of books, monographs and scientific articles published about the problems of the quality of material production, social production and services. However, the banking sector is considered as a peculiar branch of economy with regularities typical to it only.

The quality of assets is the set of properties guaranteeing the recurrence of the monetary funds invested by the bank within the agreed term and by considering the accreted value due to the bank.

The modern theory of banking considers the assets and liabilities management as a coordinated process of controlling the bank balance considering the alternative scenarios of the changes in the interest rates and liquidity.

The essence of the assets and liabilities management lies in that it consolidates the currently used methods of a credit portfolio as a single process of the bank balance control rather than meaning the management of its separate parts.

Keywords: Commercial Bank, Assets, Liabilities, Asset quality, Economy, Quality of Products, Deposits.

აჭარაში ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის პერსონალის მოტივაციის კვლევის მოკლე მიმოხილვა

ნინო ხახუბია
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რ ე ზ ი უ მ ე

საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში ტურიზმისა და მასპინძლობის დარგში მოქმედი ორგანიზაციების პერსონალის მოტივაციისა და კმაყოფილების დონისა და ამ სისტემაში არსებული ხარვეზების დადგენის მიზნით, 2014 წლის ნოემბერი-2015 წლის აპრილის პერიოდში ჩატარდა კვლევა ანონიმური კითხვარების საშუალებით. ტურიზმის დარგის მზარდი განვითარების ფონზე მოსალოდნელი იყო მოტივაციის სისტემის გაუმჯობესება და დივერსიფიცირება, თუმცა სრულიად საწინააღმდეგო სურათი მივიღეთ. კერძოდ, გამოკითხულთა მხოლოდ 48% თვლის, რომ მათ ორგანიზაციაში არსებული მოტივაციის სისტემა დამაკმაყოფილებელია - ეს მაჩვენებელი საერთოა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ბრენდის სატუმროებისათვის, თუმცაღა მოსალოდნელი იყო, რომ მაღალი დონის სასტუმროებში ბევრად უფრო მრავალფეროვანი მოტივაციის სისტემა იქნებოდა გამოყენებული პრაქტიკაში. არსებული მოტივაციის სისტემის გასაუმჯობესებლად დასაქმებულნი ისურვებდნენ შემდეგი პუნქტების არსებობას: კომუნიკაციისა და მიდგომის გაუმჯობესება დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის, გაცვლითი პროგრამების განხორციელება უცხოური გამოცდილების მიღებისათვის, მეტი ტრენინგების ორგანიზება, მოქნილი სამუშაო გრაფიკის შემუშავება,

შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება, სიახლეების დანერგვა, ხელფასის მომატება სტაჟის მატებასთან ერთად და ბონუსების სისტემის მოდიფიცირება. აჭარაში მასპინძლობის ინდუსტრიაში დასაქმებულთა მცირე ნაწილი აკეთებს აქცენტს მონეტარულ მოტივირებაზე, ხოლო გამოკითხულთა უმრავლესობა კი დაინტერესებულია არამონეტარული ხასიათის მოტივატორების არსებობით.

საკვანძო სიტყვები: პერსონალი, მოტივაცია, ტურიზმი, მასპინძლობა, მონეტარული მოტივაცია, არამონეტარული მოტივაცია.

ძირითადი ტექსტი

პერსონალის მართვის სტრატეგიის შემუშავების დროს აქცენტირება უნდა მოხდეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებასა და დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასევე ყურადღება უნდა დაეთმოს კორპორატიული კულტურის შენარჩუნებისა და სამუშაო ჯგუფის ერთიანობის საკითხებს [1. გვ:25].

როგორც დიდ, ასევე მცირე ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს ახასიათებს რამდენიმე ძირითადი ფუნქცია. ამ ფუნქციების დასადგენად ადამიანური რესურსების მართვას განიხილავენ სამი მიმართულებით:

ადმინისტრაციული მომსახურება - იგულისხმება ისეთი ადმინისტრაციული ამოცანების შესრულება, როგორიცაა ახალი კადრების დასაქმება, ბენეფიტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სხვა - რათქმაუნდა, კვალიფიციური და ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდება, რაც მოითხოვს გამოცდილების არსებობას.

საქმიანი პარტნიორების მომსახურება - ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური სისტემის შემუშავება და დანერგვა ხელს უწყობს ორგანიზაციაში საჭირო უნარ-ჩვევების მქონე პირების მოზიდვას, შენარჩუნებასა და განვითარებას. სწორედ ამისათვის არის საჭირო, რომ ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტს თვითონვე სრულყოფილად ესმო-

დეს და ერკვეოდეს თუ რა სჭირდება მის ორგანიზაციას.

სტრატეგიული პარტნიორობა - იგულისხმება, რომ კომპანიის სტრატეგიაში წვლილის შეტანა შესაძლებელია არსებული და საჭირო ადამიანური რესურსების გაგებით და კომპეტენტური უპირატესობების განმაპირობებელი ადამიანური რესურსების პრაქტიკული მეთოდების გამოყენებით - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დანერგვა-განვითარება და შრომით კანონმდებლობაზე დაფუძნებული საქმიანობა [2, გვ:4-6].

ბოლო წლებში შეინიშნება, რომ რიგ ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვასთან ერთად ხდება ხარისხის მართვაც - მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომებით. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის პოზიციიდან ,,მომხმარებლად" განიხილება თვით ორგანიზაცია და მისი დეპარტამენტები, რამეთუ სწორედ ამ დანაყოფებისათვის ახდენს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ნიჭიერი და მოტივირებული თანამშრომლების მოზიდვასა და დასაქმებას. მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომებით ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ადგენს მომხმარებელთა ჯგუფებს, მომხმარებელთა მოთხოვნებს და განსაზღვრავს ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებელ ქმედებებს, რაც სამომავლოდ იქცევა ორგანიზაციის მიზნებად და წარმატების გაზომვის საშუალებებად [3, გვ:509].

მოტივაციის სისტემის შექმნა არის ადამიანური რესურსების მართვის მთავარი ინსტრუმენტი. ის ხელს უწყობს ორგანიზაციაში პროდუქტიული, მაღალხარისხიანი კადრების დაქირავებასა და შენარჩუნებას. ბუნებრივია, სისტემა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებს. მოტივაციის სიღარიბე ყოველთვის ლიდერის ბრალია, რომელიც პასუხისმგებელია ყველა პრობლემაზე და ყველაფრის შემოწმებაზე.

მოტივაცია პირდაპირ ასოცირდება საქმიანობის შესრულების ხარისხთან. კომპანიაში პერსონალის მოტივაციის სისტემის დანერგვის მიზანს წარმოადგენს დადებითი განწყობის შექ-

მნა ნაყოფიერი შრომისათვის, ორგანიზაციის მოთხოვნებისა და მიზნების გათვალისწინებით. ის ხელს უწყობს თითოეული თანამშრომლის ქცევის ხელსაყრელი ტიპის ჩამოყალიბებას და შემდგომში მის შენარჩუნებას, რათა პერსონალმა თავისი სამუშაოსათვის პასუხისმგებლობა მთლიანად აიღოს საკუთარ თავზე და მუდმივად იყოს ჩართული მართვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. დასაქმებულის სამუშაოთი კმაყოფილება პირდაპირ კავშირშია მოტივაციასთან, რომელსაც განაპირობებს 4 ძირითადი ფაქტორი: ხელფასი, კოლეგები, მენეჯერები/სუპარვაიზორები, სამუშაო დატვირთვა და კომპანიაში დამკვიდრების შესაძლებლობა. ამასთანავე, აუცილებელია, პერსონალის მხრიდან, სამუშაოში ჩართულობა და ორგანიზაციული პასუხისმგებლობის არსებობა.

საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში ტურიზმისა და მასპინძლობის დარგში მოქმედი ორგანიზაციების პერსონალის მოტივაციისა და კმაყოფილების დონისა და ამ სისტემაში არსებული ხარვეზების დადგენის მიზნით, 2014 წლის ნოემბერი-2015 წლის აპრილის პერიოდში ჩატარდა კვლევა ანონიმური კითხვარების საშუალებით. აღნიშნული კითხვარები დაურიგდათ ქალაქის მასშტაბით 11 დაწესებულების, კერძოდ კი სასტუმროების სხვადასხვა დეპარტამენტის პერსონალს. ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 114 ადამიანი, რომელთაც დაურიგდათ 30-კითხვიანი კითხვარი. მიღებული შედეგების შესწავლის შემდგომ მოხდა რესპონდენტთა დაყოფა კატეგორიებად, სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით.

იგივე მიზნით, 2011-2012 წლებშიც ჩატარდა მსგავსი კვლევა და როგორც შედეგებმა ცხადყო, იმ დროისათვის ქართული წარმატებული ორგანიზაციები და კომპანიები მოტივირების სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ, რომელთა შორის გამოირჩეოდა შემდეგი:

ხელფასის მომატება სტაჟის მიხედვით;

ხელფასის მომატება ერთჯერადი წარმატებისათვის;

მადლობის გამოცხადება;

ფინანსური ჯილდო – პრემია;

თანამდებობრივი დაწინაურება;

ტრანსპორტი – ავტომობილი ორგანიზაციის ლოგოთი.

მობილური საშუალების კრედიტის ანაზღაურება;

კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები ორგანიზაციის ხარჯზე;

კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები ორგანიზაციის ხარჯზე საზღვარგარეთ;

ორგანიზაციის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა;

ორგანიზაციის თანამშრომელთა ოჯახის წევრების დაზღვევა [4. გვ:362].

როგორც ვხედავთ, გასული წლების განმავლობაში უმეტესწილად მიმართავდნენ მატერიალურ მოტივირებას, რაც გამოკითხულ პირთა აზრით განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობით.

რაც შეეხება უკანასკნელ კვლევას აჭარის მასშტაბით, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ პერსონალი პირადად უფრო ღიად საუბრობს და ობიექტურად აფასებს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებს, ვიდრე კითხვარში. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს საკუთარი აზრის დოკუმენტურად დაფიქსირების შიშის არსებობით, რათა არ მოხდეს მისი გაცნობა ან ჩვენება დამსაქმებლისათვის.

ზოგადად კი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აჭარაში ტურიზმი ,,ახალგაზრდა" სფეროს წარმოადგენს პირდაპირი გაგებით: გამოკითხულ რესპონდენტთა 83%-ის ასაკი 18-დან 35 წლამდე მერყეობს.

ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით, მაგალითად:

ახალი, როგორც საშუალო, ასევე მაღალი დონის ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების გამოჩენა დასაქმების რეალურ შესაძლებლობად განიხილება;

აჭარაში მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებები სთავაზობენ სტუდენტებს სათანადო თეორიული ცოდნის მიღებას, რომელიც გაჯერებულია როგორც ქართველი სპეცი-

ალისტების, ასევე უცხოელი ექსპერტების პირადი გამოცდილებითა და თანამედროვე მეთოდებით;

ამასთანავე, აქამდე არსებული პრობლემა - ახალბედა კადრებში სტაჟის არარსებობა, პრაქტიკულად აღმოფხვრილია. პრაქტიკული გამოცდილების მიღება უკვე რეალობას წარმოადგენს - საგანმანათლებლო დაწესებულებები სთავაზობენ სტუდენტებს არამარტო ქართველი და უცხოელი სპეციალისტების დახმარებას თეორიული ცოდნის კუთხით, არამედ პრაქტიკის გავლასაც როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ;

გაჩნდა სტუდენტური გაცვლითი პროგრამების დიდი არჩევანი ტურიზმის მიმართულებით, ქვეყნის ფარგლებს მიღმა. აღნიშნული პროგრამები შეიძლება იყოს როგორც თვითდაფინანსებით, ასევე სტიპენდიის ან მიმღები სახელმწიფოს დაფინანსების მიღების შესაძლებლობით;

სტუდენტების უმრავლესობა ფლობს უცხო ენას - ეს შეიძლება იყოს როგორც რუსული, ასევე ინგლისური, ფრანგული, გერმანული ან თურქული ენები. თუმცა დამსაქმებლისათვის უპირატესობას წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნა, რაც ახასიათებს ახალგაზრდა თაობას, თუმცა პრობლემას წარმოადგენს მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში. კერძოდ კი 35 და მეტი წლის პირები არ ფლობენ ინგლისურ ენას, რაც ხელს უშლის მათ დასაქმებაში. შესაბამისად, ისინი ნაკლებად კონკურენტუნარიანი არიან ახალგაზრდა თაობასთან მიმართებაში.

რესპონდენტთა 79%-ის სტაჟი მერყეობს დასაქმების 1 თვიდან 48 თვემდე და მხოლოდ 21 ადამიანს გააჩნია 4 წელზე მეტი ხნის სამუშაო გამოცდილება ტურიზმის სფეროში.

რაც შეეხება ტურიზმის სფეროში დასაქმების დადებით მხარეებს, რესპონდენტები ასახელებენ პოზიტიურ სოციალურ გარემოსა და საქმიანობას, დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობას, შეღავათების პოლიტიკასა და მიღწევების წახალისებას. ასევე საინტერესოა ანაზღაურების საკითხი - ტურიზმის დარგში საშუალო ხელფასი 400-600 ლარს შეადგენს, რაც დაადასტურა გამოკითხულთა 42%-მა, ხოლო 200

ლარამდე ხელფასი აქვს 11%-ს, 200-400 ლარი - 23%-ს. მაღალი ხელფასი 600-800 ლარი გააჩნია გამოკითხულთა 16%-ს, ხოლო 800 ლარი და მეტი მხოლოდ 7%-ს.

არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობისა და დასაქმების არასტაბილურობიდან გამომდინარე, დასაქმებულთა მცირე ნაწილმა თუ იცოდა საკუთარი უფლება-მოვალეობები, თუმცა ეს მდგომარეობა გაუმჯობესდა ბოლო წლებში. როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, გამოკითხულთა 73%-მა იცის საქართველოს შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები და უფლება-მოვალეობანი და მხოლოდ 27% არ არის გარკვეული სახელმწიფოს მიერ მისთვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმი ის დარგია, სადაც დაწინაურება დამოკიდებულია პიროვნულ შესაძლებლობებზე და გაქარწყლდა ის მოსაზრება, რომ წინსვლა წარმოუდგენელია სხვა პირთა დახმარების გარეშე ანუ შეინიშნება ნეპოტიზმის შემთხვევების კლება. კერძოდ, 70% დარწმუნებულია, რომ დამოუკიდებლად შეძლებს დაწინაურებას, რაც თვითმოტივაციის მაგალითადაც შეიძლება განვიხილოთ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ არ აპირებენ სამსახურის შეცვლას, რადგან მოსწონთ დამოუკიდებლად მოქმედების დონე, თავს გრძნობენ საჭირო და მნიშვნელოვან თანამშრომლად და თვლიან, რომ კარგი ანაზღაურება აქვთ. ლოიალურობას ხელს ასევე უწყობს პერსონალსა და ხელმძღვანელებს შორის არსებული ეფექტური კომუნიკაცია, მათ მიერ გაწეული შრომის მნიშვნელობისა და სასტუმროს საქმიანობაში შეტანილი წვლილის დაფასება და აღიარება.

რაც შეეხება კვლევის მთავარ საკითხს, უშუალოდ მოტივაციის სისტემას, ამ საკითხთან მიმართებაში შედეგი უფრო ნაკლებად სახარბიელო აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ტურიზმის დარგის მზარდი განვითარების ფონზე მოსალოდნელი იყო მოტივაციის სისტემის გაუმჯობესება და დივერსიფიცირება, თუმცა სრულიად საწინააღმდეგო სურათი მივიღეთ. კერძოდ, გამოკითხულთა მხოლოდ 48% თვლის, რომ მათ ორ-

განიზაციაში არსებული მოტივაციის სისტემა დამაკმაყოფილებელია. რესპონდენტთა თანახმად, მოტივაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს თვის თანამშრომლად გამოცხადება, ბონუსების სისტემა, გამონაკლის შემთხვევებში დაწინაურება. ეს მაჩვენებლები საერთოა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ბრენდის სატუმროებისათვის, თუმცაღა მოსალოდნელი იყო, რომ მაღალი დონის სასტუმროებში ბევრად უფრო მრავალფეროვანი მოტივაციის სისტემა იქნებოდა გამოყენებული პრაქტიკაში.

დღეისათვის პერსონალის მოტივაციის მრავალფეროვანი მეთოდი არსებობს, თუმცა ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებული სიმპატიით სარგებლობს დამსაქმებლებში. პერსონალის თვალსაზრისით, ყველაზე წარმატებულ მოტივაციად მიჩნეულია ის, რომელიც უშუალოდ პერსონალისათვის არის მნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთი და იგივე ორგანიზაციის სხვადასხვა დეპარტამენტს შესაძლოა გააჩნდეს განსხვავებული სახის მოტივაციის საჭიროება, რაც ხშირ შემთხვევაში უგულვებელყოფილია დამსაქმებელთა მიერ. დიდი ორგანიზაციების ადამიანური რესურსების სამსახურის სპეციალისტები დაინტერესებული არიან ამ საკითხების შესწავლით და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სამუშაოს დიზაინისა და დაჯილდოების სისტემის მოქნილობა ხელს უწყობს ადამიანური რესურსების შენარჩუნებას, ზრდის პროდუქტიულობას და ამცირებს კადრების გადინების ალბათობას. იმ ფაქტორთაგან, რომლებიც ემსახურებიან მოტივაციის შენარჩუნებასა და გაზრდას, გამოარჩევენ შემდეგს:

დასაქმებულთათვის მეტი პასუხისმგებლობის მინიჭება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა, რაც ზრდის მათი მხრიდან კონტროლის ვალდებულებას იმ დავალებათა მიმართ, რომლებზეც არიან პასუხისმგებელნი და ამზადებს მათ ამ დავალებათა უკეთ შესასრულებლად. ამგვარად, აღმოიფხვრება შესასრულებელი დავალებებისათვის საჭირო რესურსების არქონით გამოწვეული ფრუსტრაციის გარდაუვალობა.

შემოქმედებითობა და სიახლეები/კრეატიულობა და ინოვაციები - ორგანიზაციათა უმრავლესობაში პერსონალი ერიდება საკუთარი იდეების გამჟღავნებას და ინოვაციური მეთოდებისა თუ მიდგომების გაცნობას დამსაქმებლისათვის, რათა არ მოხდეს ამ იდეებისა თუ ინოვაციების იგნორირება ან დაცინვა მათი მხრიდან. მსგავს შემთხვევებში, ორგანიზაციის მხრიდან მხარდაჭერის არსებობა და სიახლის ობიექტურად მიღება უკვე თავისთავად ახდენს პერსონალის მოტივირებას, ხელს უწყობს მოქნილი სამუშაო ძალის არსებობას, პერსონალის გამოცდილების უფრო ჭკვიანურად გამოყენებას, ინფორმაციის აქტიურ მიმოცვლას დეპარტამენტებს ან რგოლებს შორის. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, ამზადებს ორგანიზაციას იმ ცვლილებების იდენტიფიცირებისა და დანერგვისათვის, რომლებიც ახასიათებს ბაზრის ცვალებად გარემოს.

სწავლება - თუკი პერსონალს ეძლევა საშუალება მიიღოს მეტი ცოდნა, შეიძინოს ახალი ან გააუმჯობესოს უკვე დაუფლებული უნარ-ჩვევები, ის პოზიტიურად შეხვდება ასეთ სიახლეს. ორგანიზაციებს მარტივად ძალუძთ დასაქმებულთა მოტივირება სწავლების საშუალებით, რაც ორივე მხარისათვის მომგებიანი და საჭიროა. აკრედიტაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების პროგრამები დიდი პოპულარობით სარგებლობენ და ეფექტურობით გამოირჩევიან დასაქმებულებში. შემთხვევათა უმეტესობაში, ეს საშუალება აუმჯობესებს დასაქმებულთა დამოკიდებულებას როგორც უშუალოდ ორგანიზაციის, ასევე მომხმარებელთა მიმართ და ამავდროულად ზრდის საკუთარი თავის რწმენას. მისაღები ცოდნისა და დასაუფლებელი უნარ-ჩვევების სამომავლო გამოყენება პრაქტიკაში ამძაფრებს ამ ცოდნის მიღებისა და ახალი უნარ-ჩვევების დაუფლების სურვილსა და მზაობას პერსონალში.

ცხოვრების ხარისხი - გაზრდილი სამუშაო საათები წინააღმდეგობაში მოდიან პერსონალის არასამუშაო მოთხოვნილებებთან, ეს იწვევს მათი პროდუქტიულობის შემცირებასა და ორგანიზაციული მორალის შესუსტებას. რიგი ორგანიზაციებისა, ასეთ დროს მიმართავს მოქნილი სამუშაო გრაფიკის შემო-

ღებას, სამუშაო კვირის გადახედვას, სამუშაოს განაწილებას, რითაც ახერხებს როგორც ორგანიზაციული, ასევე დასაქმეულთა ინტერესების გათვალისწინებას და დაკმაყოფილებას.

მონეტარული წახალისება - მოტივატორთა მრავალფეროვან ჩამონათვალში ჯერ კიდევ ინარჩუნებს პირველ ადგილს მონეტარული წახალისება. ორგანიზაციის მოგებისა და შემოსავლის ნაწილის განაწილება ან გაზიარება დასაქმებულთან, უბიძგებს დასაქმებულს შექმნას უფრო ხარისხიანი პროდუქტი და მომსახურება, გააუმჯობესოს სამუშაო პროცესი. მონეტარული წახალისებას, როგორც წესი, მიმართავენ ხარჯების შემამაცირებელი ან პროცესის გასაუმჯობესებელი იდეების არსებობისა და განხორციელების შემთხვევებში, რაც კიდევ უფრო ზრდის პროდუქტიულობას, აუმჯობესებს სწრებადობას და მაღლა სწევს შემოსავლიანობას. მიუხედავად ამისა, მონეტარული წახალისება მოკლევადიანი მოტივატორია და შესაბამისად, ნაკლებად ეფექტურიც. ის შესაძლოა დემოტივატორადაც კი იქცეს, თუკი არ გავრცელდება ორგანიზაციის თითოეულ თანამშრომელზე, რაც შედეგად შექმნის არასამართლიანობის ეფექტს.

არამონეტარული წახალისება . მონეტარული წახალისებისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო ეფექტური და პროზიტიური შედეგის მომტანია არამონეტარული წახალისება. ის არ ბადებს უსამართლობისა და უთანასწორობის შეგრძნებას, არამედ პირიქით, ზრდის გუნდურობის გრძნობას და პატივისცემას ერთმანეთის მიმართ, ხაზს უსვამს ურთიერთდახმარებისა და პასუხისმგებლობის ფაქტორებს. ამასთანავე, არამონეტარული წახალისება უფრო გამართლებულია იმ მხრივაც, რომ ამ დროს ხორციელდება პერსონალის თვით-აქტუალიზაციის მოტივატორების გააქტიურება [5].

ადამიანური რესურსების მართვის პროცესის გაუმჯობესებისათვის მიმართავენ შემდეგ ზომებს [6. გვ:5]:

შესაბამისობა შრომით კანონმდებლობასთან,

საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა,

მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინება;

რესურსების სწორი გადანაწილება;
შესრულების მონიტორინგი;
პროგრესის მონიტორინგი;
ეფექტურობის ამაღლება;
უკუკავშირის აუცილებლობა;
პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა;
მოტივაციის სისტემის შემუშავება და დანერგვა.

ძირითად მოტივაციურ ფაქტორებად განიხილავენ პერსპექტივის არსებობას, შრომის ანაზღაურების და სტიმულირების სისტემის სამართლიანობას, შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობის რწმენას, კოლექტივის წევრთა ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სამუშაო დროის ელასტიურობას, ემოციური დაძაბულობის მოხსნას [7. გვ:3].

როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, აჭარაში მასპინძლობის სფეროში დასაქმებულთა მდგომარეობა მოტივაციის კუთხით მეტად არასახარბიელოა, რაც აშკარად ჩანს გამოკითხულთა დამოკიდებულებიდან. როგორც კვლევამ ცხადყო, ორგანიზაციები მიმართავენ საშეღავათო პოლიტიკის შემდეგ მექანიზმებს: უფასო კვება, ფასდაკლებები სასტუმროს აუზზე, სპასა და ბარში, უფასო ტრანსპორტირება, ბონუსები და დაზღვევა. თუმცა არსებული მოტივაციის სისტემის გასაუმჯობესებლად დასაქმებულნი ისურვებდნენ შემდეგი პუნქტების არსებობას: კომუნიკაციისა და მიდგომის გაუმჯობესება დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის (14%), გაცვლითი პროგრამების განხორციელება (11%), მეტი ტრენინგების ორგანიზება (14%), მოქნილი გრაფიკის შემუშავება (8%), შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება (18%), სიახლეების დანერგვა (15%), ხელფასის მომატება სტაჟის მატებასთან ერთად (12%) და ბონუსების სისტემის მოდიფიცირება (8%). როგორც ვხედავთ, აჭარაში მასპინძლობის ინდუსტრიაში დასაქმებულთა მხოლოდ 20% აკეთებს აქცენტს მონეტარულ მოტივირებაზე, ხოლო გამოკითხულთა 80% დაინტერესებულია არამონეტარული ხასიათის მოტივატორების არსებობით.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეისობით როგორც ადგილობრივი და მცირე, ასევე მსოფლიო და დიდი სასტუმროები ცდილობენ რაც შეიძლება სასიამოვნო გარემო შეუქმნან დასაქმებულებს, ამ მცდელობას შედეგი არ მოაქვს. მიზეზი, რამაც ეს მდგომარეობა განაპირობა შეიძლება იყოს მრავალგვარი: თეორიული მცდელობა, რომელიც არ ხორციელდება პრაქტიკულად, უცხოური მეთოდების შეუთავსებლობა ქართულ რეალობასთან, დასაქმებულთათვის არამნიშვნელოვანი მეთოდების გამოყენება და ა.შ.

მასპინძლობის ინდუსტრია და სასტუმრო ბიზნესი ალბათ ყველაზე დინამიურად განვითარებადი ინდუსტრიაა მთელს მსოფლიოში, რომელსაც ახასიათებს მუდმივად ცვალებადი და პრობლემური გარემო. სტუმართა უმრავლესობა მოელის განსაკუთრებულ სერვისსა და ყურადღებას, რაც დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ. მმართველ რგოლსა და მათზე დაქვემდებარებულ პირებს უწევთ მრავალფეროვან სიტუაციებთან გამკლავება, განურჩევლად მნიშვნელობისა და შინაარსისა, მუდმივი დაძაბულობის რეჟიმში, თუმცაღა მომღიმარი სახეებით [8.გვ:323]. სწორედ ამ დაძაბულ რეჟიმში მუშაობის დროს მომღიმარი სახეების შენარჩუნებას ესაჭიროება მოტივირება, რათა არ მოხდეს თანამშრომელთა დათრგუნვა, მათი ინტერესის დაკარგვა, კადრების გადინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Агамирова Е.В. - Управление персоналом в туризме и гостинично-ресторанном бизнесе. Издательство: Дашков и Ко, 2007 г. Стр. 25.

2.Noe Raymond A., Hollenbeck John R., Gerhart B.,Wright Patrick M. - Fundamentals Of Human Resource Management, The McGraw-Hill Companies, Inc.,2011. P: 4-6.

3.Noe Raymond A., Hollenbeck John R., Gerhart B., Wright Patrick M. - Fundamentals Of Human Resource Management, The Mcgraw-Hill Companies, Inc.,2011. P: 509.

4.ნინო ხახუბია, ტურიზმის დარგის ადამიანური რესურსე-

ბის მოტივაცია, V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი'', 2014, გვ: 362.

5.Source:http://www.referenceforbusiness.com/small/Di-Eq/Employee-Motivation.html#ixzz3eOmYPOQE

6.Human Resource Management, Civil Service Branch, December 1995, P: 5. [H16/E-Hrmguide-Web.Doc]

7.პერსონალის მოტივაციის სისტემის შექმნა - მოდელირება პირველად ჯანდაცვაში და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა (პროექტი); ი. ქაროსანიძე, ბ. იოსელიანი, ვ. კვანტალიანი. გვ: 3. თბილისი, 2014წ.

8. Brebbia C. - Creation Of New Motivational System For Hotels' Staff, II International Scientific-Practical Conference Proceedings ,,Tourism: Economics And Business'', 2011, P: 323.

REFERENCES:

1.Agamirova E.V. – Personnel management in tourism and hotel-restaurant business. Publisher .. Dashkov & Co, 2007, p:25.

2.Noe Raymond A., Hollenbeck John R., Gerhart B., Wright Patrick M. - Fundamentals Of Human Resource Management, The Mcgraw-Hill Companies, Inc.,2011. P: 4-6.

3.Noe Raymond A., Hollenbeck John R., Gerhart B.,Wright Patrick M. - Fundamentals Of Human Resource Management, The Mcgraw-Hill Companies, Inc.,2011. P: 509.

4.Khakhubia N. – Motivation of tourism field personnel, V International Scientific-Practical Conference Proceedings ,,Tourism: Economics and Business'',2014, p:362.(In Georgian Language)

5.Source:http://www.referenceforbusiness.com/small/Di-Eq/Employee-Motivation.html#ixzz3eOmYPOQE

6.Human Resource Management, Civil Service Branch, December 1995, P: 5. [H16/E-Hrmguide-Web.Doc]

7. Qarosanidze I., Ioseliani B., Kvantaliani V. – Creating-Modelling of the Motivation System in the Public Health Care System and Provision of Its Functioning (Project), 2014. P:3. (In Georgian Language).

8.Brebbia C. - Creation Of New Motivational System For Hotels' Staff, II International Scientific-Practical Conference Proceedings , Tourism: Economics And Business'', 2011, P: 323.

THE SHORT REVIEW OF SURVEY ABOUT PERSONNEL MOTIVATION IN THE FIELD OF TOURISM AND HOSPITALITY OF ADJARA

Nino Khakhubia,
Batumi Shota Rustaveli State University, PhD Student

R E S U M E

In order to define the level of personnel motivation in Tourism and Hospitality field of Autonomous Republic of Adjara, a survey had been held in the period of November 2014-April 2015 by the means of anonymous questionnaires. Due to the rapid and stable growth of tourism in this region, a diverse and better development of motivation system was expected, though the results revealed the opposite situation. Only 48% of the respondents agreed that motivation system of their organization is satisfactory and this attitude is common for both local and foreign brand hotels, though it was supposed that high level hotels would have been more divergent in their practices. As for the recovering of motivation system, employees have suggested the following options: improvement of relations and communication between the employer and employees, implementation of exchange programs for gaining international expertise, arrangement of more trainings for staff, defining the flexible work schedule, fulfillment of conditions in accordance with the labor agreement, rising the salary together with the years of work and modification of the bonus system. As the survey showed, employees are more interested in non-monetary motivation and self-development.

Keywords: Personnel, Motivation, Tourism, Hospitality, Monetary motivation, Non-monetary motivation.

კონკურენცია ქართულ ავიაბაზარზე და მისი რეგულირება

ილია ჯიმშელეიშვილი
თსუ სტუდენტი

ხელმძღვანელი - პროფესორი **ეთერ ხარაიშვილი**

რეზიუმე

სტატიაში დასაბუთებულია ტრანსპორტის, მათ შორის საავიაციო ტრანსპორტის როლი ეკონომიკის განვითარებაში; დახასიათებულია კონკურენტული გარემო; მასალების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ 2005 წლამდე აღნიშნული ბაზარი მონოპოლიზებული იყო. ნაშრომში შეფასებულია ავიაბაზრის მარეგულირებელი გარემო, შემოთავაზებულია სამართლებრივი ბაზრის სრულყოფის გზები; 2015 წლის მონაცემების საფუძველზე შესწავლილია „აირზენასა“ და რუსული კომპანიების, ასევე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან სხვადასხვა მიმართულებით რეგულარული რეისების საშუალებით მგზავრთა გადაყვანის სტრუქტურა. სტატიაში გაკეთებულია დასკვნები ქართული ავიაბაზრის კონკურენციის მნიშვნელოვან საკითხებზე და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ავიაბაზარი, კონკურენცია, მონოპოლია, ავიაკომპანიები, „ღია ცის პოლიტიკა“, ლიბერალიზაცია, დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიები.

შესავალი

ტრანსპორტი განსაზღვრავს წარმოების განვითარების ტემპსა და სიცოცხლისუნარიანობას. მის გარეშე წარმოუდ-

ენელია ეკონომიკის დარგების არსებობა და განვითარება, მოსახლეობის მომსახურებითა და საქონლით უზრუნველყოფა. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა (ევროპისა და აზიის გასაყარი) არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ქვეყანაში თითქმის ყველა სახეობის სატრანსპორტო საშუალებაა განვითარებული: **სახმელეთო, საზღვავო, საჰაერო, ელექტრონული და მილსადენები**.

საჰაერო ტრანსპორტით სარგებლობა ძვირადღირებული მომსახურებაა, თუმცა, იგი შეუცვლელია მალფუჭებადი ტვირთის, მგზავრთა შორ მანძილზე გადაყვანის, საფოსტო კავშირების ორგანიზების, გადაუდებელი სასწრაფო დახმარების გაწევის, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და სხვა მრავალი საქმიანობისთვის. საჰაერო ტრანსპორტი განსაკუთრებით ტურიზმსა და ბიზნეს შეხვედრების სწრაფ ორგანიზებას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, ავიაბაზარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მსოფლიოში, რომელიც უამრავი ავიაკომპანიისა და აეროპორტებზე ოპერატორი კომპანიისგან შედგება.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

1990 წლის შემდეგ, საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, დაიწყო შერეულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. დამოუკიდებლობის წარმოქმნასთან ერთად თავი იჩინა ქართული ავიაბიზნესის განვითარების აუცილებლობამ. 1993 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი ქართული ავიაცია. იმის გამო, რომ ბიზნესი ლეგალური გახდა, ავიაციის, როგორც დარგის ეკონომიკური მართვა და რეგულირება, თანდათან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს დაემყარა, კერძოდ, თავისუფალ ფასწარმოქმნას, კონკურენციასა და საკუთრების თავისუფლებას.

2005 წლამდე საქართველოს ავიაბაზარი მონოპოლიზებული იყო: მაღალი, ხელოვნურად გაბერილი ფასები, არჩევანის დაბალი დონე და მხოლოდ რამდენიმე რეისი. მომდევნო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება კონკურენტული გარემოს შესაქმნელად, კერძოდ, ერთ-ერთი უმნიშვნე-

ლოვანესი გადაწყვეტილება 2005 წელს იქნა მიღებული, რის მიხედვითაც, ქართული ავიაბაზარი ლიბერალური გახდა. ამის შედეგად, ავიაკომპანიებს თავისუფლად შეეძლოთ საქართველოს ავიაბაზარზე შემოსვლა, მგზავრებს კი სასურველი ავიაკომპანიის არჩევის შესაძლებლობა მიეცათ.

ერთადერთი ქართული ავიაკომპანია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებისთანავე შეიქმნა და დღემდე ფუნქციონირებს „აირზენა - ჯორჯიან ეარვეისია“. „აირზენა“ 1993 წელს დაარსდა და თავდაპირველად ახორციელებდა ჩარტერულ ფრენებს ემირატებში, იტალიაში, ჩინეთში, ეგვიპტეში, ინდოეთსა და სირიაში, ხოლო რეგულარულ ფრენებს - ვენაში. 2000 წლიდან კომპანიამ განაახლა ავიაპარკი ახალი „ბოინგ 737-ებით“, რომლებიც ლიზინგით აიღო კომპანია „Hapap – Lloyd“-გან. აღსანიშნავია, რომ 2005 წლამდე „აირზენა“ ქართულ ავიაბაზარს თვითონ აკონტროლებდა. მას ჰქონდა მონოპოლია ფრენებზე, შესაბამისად, ბილეთების ფასი მაღალი იყო.

2005 წელს მიღებული კანონის შესაბამისად, თბილისში არაერთი ავიაკომპანია შემოვიდა და მიწოდების გაზრდისთანავე ფასი ბილეთებზე შემცირდა, თუმცა, დღეისთვის ქართულ კომპანიას კვლავ მაღალი ფასები აქვს, რის გამოც მისი მგზავრთა რაოდენობა მცირეა. კომპანიის უპირატესობა ის არის, რომ რეისები პირდაპირია, რაც თავიდან აცილებს დიდხნიან ტრანსფერებს, თანაც ფრენები ძირითადად დღის განმავლობაში ხორციელდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის გამო იზრდება კომპანიის დანახარჯები. გარდა ამისა, კომპანია ყველა რეისზე მგზავრებს სთავაზობს კვებას და უფასო ბარგს, ეს სერვისი კი დაბალბიუჯეტიან ავიაკომპანიებს არ აქვთ.

ბილეთის თვითღირებულება მრავალი კომპონენტისგან შედგება: აეროპორტების ხარჯები, საავიაციო უსაფრთხოება, საწვავის ხარჯი, რომლის ფასებიც საქართველოში მონოპოლიზებულია, ტერიტორიაზე გადაფრენის ხარჯი, ტექნიკური მომსახურება, მეტეომომსახურება, თვითმფრინავის საიჯარო ხარჯი, მგზავრთა დაზღვევის ხარჯი და სხვა. ასე რომ, ისეთი

მცირე კომპანია, როგორიც „აირზენაა“, კონკურენტულ გარემოში გაკოტრდება, თუ არ ექნება მოგების მაღალი მარჟა.

ამჟამად „აირზენა“ რეისებს ახორციელებს ქუთაისის, ბათუმის, ვენის, მოსკოვის, პეტერბურგის, ამსტერდამის, თელავივის, ერევნის, სამარას, ოდესისა და როსტოვის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ კონტრაქტი ჰოლანდიურ ავიაკომპანია „კაიელემთან“ „აირზენას“ საშუალებას აძლევს, გაყიდოს ბილეთები აშშ-ს მიმართულებით: თბილისი - ამსტერდამის რეისზე ოპერატორი თავად არის, ხოლო აშშ-ს რეისს ასრულებს „კაიელემი“.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტურიზმის განვითარებასთან ერთად მატულობს მგზავრთა რიცხვი ქუთაისისა და ბათუმის რეისებზე, რაც აშკარად მომგებიანია. საგულისხმოა, რომ „აირზენა“ ხშირად სოციალურ პასუხისმგებლობასაც იღებს საკუთარ თავზე. იგი ხშირად ასპონსორებს, კერძოდ, სთავაზობს უფასო ფრენებს ან ფასდაკლებულ ბილეთებს სხვადასხვა ჯგუფს, რომლებსაც ქართული კულტურა გააქვთ საზღვარგარეთ.

ცხადია, მხოლოდ ორი „ბოინგ 737“-ითა და ოთხი „კანადეარით“ შეუძლებელია რეგულარული ფრენების განხორციელება შორ მანძილებზე და ბევრ ქალაქში, მაშინ, როცა სხვა კომპანიების ავიაპარკი 100-ზე მეტ ხომალდს მოიცავს.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ბოლო დროს ძალზე ბევრმა უცხოურმა ავიაკომპანიამ დაიწყო ფრენა. მათ შორისაა მსოფლიოს წამყვანი ავიაკომპანიები და დაბალბიუჯეტიანი ე.წ. „ლოუ-ქოსთ ეარლაინსები“. წამყვანი კომპანიებიდან გამოირჩევა მსოფლიოში საუკეთესო ხუთვარსკვლავიანი ავიაკომპანია „კატარ ეარვეისი“, რომელიც საქართველოში 2012 წელს შემოვიდა და მომხმარებელს სთავაზობს ტრანსფერულ ფრენებს მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ მისი ფასები დაბალი და მიმზიდველია. გრძელი ტრანსფერის შემთხვევაში კომპანია მგზავრებს უზრუნველყოფს უფასო სასტუმროთი ქალაქ დოჰაში, რაც „კატარის ავიახაზების“ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს. ფრენისას მგზავ-

რებს შეუძლიათ, ისარგებლონ პირადი სენსორული ეკრანებით და მათში ჩაწერილი სხვადასხვა გასართობით. ბორდზე, ასევე, შემოთავაზებულია საჰაერო ინტერნეტი (ვაიფაი) და ტელეფონი.

მნიშვნელოვანი საკითხია ბილეთების ფასების დინამიკა აშშ-ს მიმართულებით და მიწოდების ზრდის შედეგი. კატარის ავიახაზების შემოსვლის შემდეგ ფასი 1000 დოლარამდე შემცირდა. ერთი წლის წინ აშშ-ს მიმართულებით რეისი გახსნა „აზალმა“ - აზერბაიჯანის ავიახაზებმა, საკმაოდ დაბალ ფასად. იტალიური კომპანიის („ალიტალია“) შემოსვლამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბაზარზე და შედეგად, დღეს ინტერნეტით დაახლოებით 500-600 დოლარადაც კი არის შესაძლებელი ბილეთის შეძენა, რაც წლების წინ მიუღწეველი იყო.

გარდა კატარისა, წამყვანი კომპანიებიდან გამოირჩევიან ოთხვარსკვლავიანი გერმანული ავიაკომპანია „ლუფთჰანზა“, იტალიური კომპანია „ალიტალია“, პოლონური კომპანია „ლოტი“, ევროპის საუკეთესო კომპანიად დასახელებული „თურქიშ ეარლაინსი“, აზერბაიჯანული კომპანია „აზალი“ და რუსული კომპანია „აეროფლოტი“, რომელიც ახალი დაბრუნებულია საქართველოს ავიაბაზარზე 2008 წლის ომის შემდეგ. ასევე, მოთხოვნადია ბილეთები კომპანიებზე - „ეარრარ-კია“, „ეარ ასტანა“, „ბელავია“ და „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზები“, რომლის ფასებმა ბოლო დროს საგრძნობლად დაიკლო რუსეთ-უკრაინას შორის დაძაბული ურთიერთობების შედეგად მის ბილეთებზე მოთხოვნის შემცირების გამო. ზემოხსენებული კომპანიების საშუალებით, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, იფრინონ ტრანსფერებით სხვადასხვა ქალაქში. მათი უმრავლესობის ფასი შედარებით დაბალია, ხოლო მომსახურება - მაღალი, ვიდრე „აირზენა - ჯორჯიან ეარვეისის“, თუმცა, მიუხედავად ასეთი კონკურენციისა, „აირზენა“ ინარჩუნებს თავის ადგილს ბაზარზე და სხვადასხვა მარკეტინგული საშუალებით ცდილობს, მკაცრ საბაზრო ეკონომიკურ პირობებში შეინარჩუნოს პოზიციები და განვითარდეს.

თბილისის აეროპორტში ყველაზე მნიშვნელოვანი დაბალ-

ბიუჯეტიანი კომპანიებია: „ეარ ბალტიკი“, „ფლაი დუბაი“, „ეარ არაბია“, „ეარ ქაირო“ და განსაკუთრებით თურქული კომპანიები - „პეგასუს ეარლაინსი“ და „ატლასჯეტი“, რომლებიც წარმოუდგენლად დაბალ ფასებში თავაზობენ მგზავრებს ფრენებს. ყველაზე იაფი „პეგასუს ეარლაინსია“, რომელიც ასრულებს ყოველდღიურ რეისებს სტამბულის დაბალბიუჯეტიანი აეროპორტის, საბიჰა გოგჩენის, მიმართულებით, შემდეგ კი საქართველოს მოქალაქეს ტრანსფერით ევროპის ნებისმიერ ქალაქში შეუძლია მოხვედრა. „პეგასუსის“ ავიაპარკი თანამედროვე „ბოინგ 737-800“-ებით არის დაკომპლექტებული. მომსახურებაში არ შედის კვება, მაგრამ ბორტზე 10 ევროს ფარგლებში, შესაძლებელია საკვების ყიდვა. „პეგასუსის“ ფასები (ორი გზა) ძირითადად მერყეობს 100-იდან 400 ევროს ფარგლებში (გააჩნია სეზონს), რაც ძალიან დაბალია. ეს ხელს აძლევს დაბალშემოსავლიან საქართველოს მოქალაქეებს, რომ იმოგზაურონ საზღვარგარეთ. მაგალითად, ქალაქ ვენის მიმართულებით მომხმარებლებს აქვთ ორი ალტერნატიული არჩევანი: იფრინონ „პეგასუსით“ კვების გარეშე დაახლოებით 5-საათიანი ტრანსფერით სტამბულის აეროპორტში 212 ევროდ ან აირჩიონ „აირზენას“ პირდაპირი რეისი 500 ევროდ.[1] ზოგისთვის შეიძლება პირველი ალტერნატივა იყოს მოსახერხებელი, ზოგისთვის - მეორე. „პეგასუსს“ აქვს ჯგუფური მომსახურებაც.

ასევე, საინტერესოა საქართველოს ბაზარზე ერთი წლის წინ „აეროფლოტის“ დაბრუნების შედეგი. მოსკოვის მიმართულებით უკვე სამი ავიაკომპანია - „აირზენა“, „აეროფლოტი“ და „ეს სევენ ეარლაინსი“ დაფრინავს, მოთხოვნის რაოდენობაც მაღალია, რაც რუსეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესებამ გამოიწვია. „აეროფლოტის“ შემოსვლაზე უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ავიაკომპანია „აირზენას“ მენეჯმენტს და მთავრობისგან პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება და ქვოტების დაწესება მოითხოვა, რადგან

1 13.12.2015-ის მონაცემები რეისზე - 04.02.2016 თბილისი-ვენა, 18.02.2016 ვენა-თბილისი.

www.airzena.com

www.flypgs.com

იგი ფიზიკურად ვერ უძლებდა კონკურენციას. „აეროფლოტი“ ძალზე ძლიერი კომპანიაა და თავისუფლად შეეძლო ადგილობრივი კომპანიის დამარცხება დემპინგური ფასების გამოყენებით, „აირზენა“ კი თანაბარ პირობებს ითხოვდა. ეკონომიკის სამინისტრომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა „აირზენას“ თანამშრომელთა მოთხოვნა და რუსეთის მხარეს კვირაში 14 სიხშირე 10-მდე შეუმცირა. დღეისათვის მოსკოვის მიმართულებით ფრენებზე სამივე ავიაკომპანიას დაახლოებით ერთნაირი ფასი აქვს. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში რუსეთის მიმართულებით რუსულმა კომპანიებმა დაახლოებით 47000 მგზავრი გადაიყვანეს, „აირზენას“ კი მხოლოდ 15700 მგზავრის გადაყვანის საშუალება მიეცა, რასაც კომპანიის მენეჯმენტი უთანასწორო კონკურენციით ხსნის.[1]



ავიაკომპანია „აირზენას“ მენეჯმენტი მანამდეც გამოთქვამდა უკმაყოფილებას კონკურენტული გარემოს უთანაბრობასთან დაკავშირებით. მაგალითად, საქართველომ 2010 წელს ევროპის 27 ქვეყანასთან გააფორმა ხელშეკრულება „ღია ცის პოლიტიკის“ ფარგლებში ერთიანი საჰარეო სივრცის შესახებ, რითაც საქართველო ერთიანი ევროპული საჰარეო სივრცის სრულფასოვანი ნაწილი გახდა. ამ ხელშეკრულების თანახმად,

1 http://www.commersant.ge/?m=5&news_id=23016&cat_id=18

უცხოურ ავიაკომპანიებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ საქართველოს ავიაბაზარზე შემოსვლა და ფრენების განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა ავიაკომპანია „აირზენას“ მენეჯმენტის შეხედულება.[1] კომპანიის მმართველები მიიჩნევდნენ, რომ „ღია ცის პოლიტიკა“ არასწორად იქნა გაგებული. მათი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ორმხრივი ხელშეკრულება სახელმწიფოებს შორის თანაბარი პირობებით, თუმცა, ევროგაერთიანებასთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ევროპული კომპანიები უფრო მეტი უფლებებით სარგებლობენ საქართველოში, ვიდრე „აირზენა“ - ევროპის ქვეყნებში.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან რეგულარული რეისებით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა მოცემულია დიაგრამით:



ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის შექმნის მიზანი კონკურენციის გაუმჯობესებაა. ქუთაისში ფრენებს ახორციელებს დაბალბიუჯეტიანი პოლონური კომპანია „ვიზეარი“. იგი

1 **საქართველოს ახალი ამბების სააგენტო - GHN. 04.24.2012 - http://ghn.ge/com/news/view/64997**

მომხმარებელს თავაზობს პირდაპირ რეისებს კიევის, ვილნიუსის, კატოვიცეს, ვარშავასა და ბუდაპეშტის მიმართულებით. ამ კომპანიაზე შესაძლებელია ბილეთის ყიდვა 29 ევროდაც კი, მაგრამ მომსახურების ხარისხი ძალიან დაბალია. „პეგასუსისგან“ განსხვავებით ბარგის ჩაბარება ან კაბინაში ატანა და რეისზე რეგისტრაცია ფასიანია. გარდა ამისა, ის მომსახურებას არ თავაზობს ტრანსფერულ რეისებზე, ამიტომ სხვა ქალაქზე ბილეთის აღება რისკია: ქუთაისის რეისის დაგვიანების შემთხვევაში გადაჯდომა შეიძლება მგზავრმა ვერ მოასწროს, გადახდილი თანხა კი არ ანაზღაურდება. ასევე, შეუძლებელია ბილეთების დაჯავშნა თუნდაც 24 საათით. საქართველოში არ არის ამ კომპანიის წარმომადგენლობა, დარეკვა ფასიანია და ბილეთების ყიდვა შეიძლება მხოლოდ ინტერნეტით ან რომელიმე ტურისტულ კომპანიაში, რომელიც თავის მოსაკრებელს ამატებს მომსახურებისთვის.

ამრიგად, საქართველოში უცხოური კომპანიები ხელს უშლიან და დიდ კონკურენციას უწევენ ქართულ ავიაკომპანიებს. მიუხედავად ამისა, მათ დიდი შემოსავალი მოაქვთ საქართველოს ბიუჯეტში. პოზიტიურია ისიც, რომ ბევრი მიმართულება ხელს უწყობს ტურისტების ნაკადის ზრდას, რაც საქართველოს ეკონომიკის განმავითარებელი ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერუჩაშვილი ნ., საქართველოს გეოგრაფია - ტრანსპორტი, კომუნიკაციები, გამომცემლობა „თბილისი“, 2005.
2. http://airzena.com
3. http://www.edreams.com
4. http://www.flypgs.com
5. http://www.gcaa.ge
6. http://ghn.ge/com/news/view/64997
7. http://kutaisiairport.ge
8. http://www.qatarairways.com
9. http://tbilisiairport.com
10. https://wizzair.com

REFERENCES:

1. Beruchashvili N., Geography of Georgia – Transport, communications, publisher "Tbilisi", 2005.(In Georgian language).
2. http://airzena.com
3. http://www.edreams.com
4. http://www.flypgs.com
5. http://www.gcaa.ge
6. http://ghn.ge/com/news/view/64997
7. http://kutaisiairport.ge
8. http://www.qatarairways.com
9. http://tbilisiairport.com
10. https://wizzair.com

COMPETTION IN THE GEORGIAN AVIATION MARKET AND ITS REGULATION

Ilia Jimsheleishvili
TSU Student
Instructor – Professor ***Eter Kharaishvili***

The article analyzes the transport importance and mostly air transport's role in economic development. It describes the competitive environment of Georgian aviation market. Furthermore, based on the examination of appropriate materials, the conclusion is made that the market was monopolized before 2005. In addition, the article evaluates the regulations of civil aviation market and provides the ways of improving legal environment concerning the mentioned market. Also, according to 2015 statistics, the structure of passengers carried by "Georgian Airways" and Russian Airlines, as well as, the structure of regular direct flights from Tbilisi International Airport to different directions operated by different airlines are examined and given. Moreover, the special conclusions are made regarding to the important aspects of the Georgian aviation market competition and appropriate advices and recommendations are given.

Keywords: Aviation Market, Competition, Monopoly, Airlines, "Open sky policy", Liberalization, Low-cost Airlines.

ტურისტული კომპანიის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში (კომპანია „CITY SIGHTSEEING TBILISI"-ს სტრატეგიული ანალიზის მაგალითზე)

სოფიო სტეფანიშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომი სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ მკითხველს კომპანიის „City Sightseeing Tbilisi" საქმიანობის მიმართულებების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ და ამავდროულად შეაფასებინებს საქართველოში ტურისტული კომპანიის განვითარების შესაძლებლობებს.

სტატიაში განხილულია ტურისტული საწარმოს ირგვლივ მოქმედი ყველა ფაქტორი და პირობა, რომელიც მოქმედებს მის საქმიანობაზე და განაპირობებს მასზე რეაგირების აუცილებლობას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში, რაც უფრო დიდია ტურისტული საწარმოს საქმიანობის მასშტაბი და სფერო, მით უფრო ძლიერად განიცდის ის სხვადასხვა ფაქტორისა და პირობის ზემოქმედებას. აღნიშნული სტატია სწორედ ამ ფაქტორების და პირობების ერთობლიობას (ტურიზმის ბიზნესის შიდა და გარე გარემო) განიხილავს კომპანიის „City Sightseeing Tbilisi" მაგალითზე.

კომპანიის სტრატეგიის არსია - ახალი შესაძლებლობების შექმნა, სტრატეგიის შინაარსია - სეგმენტის გაფართოება.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიები, ტურისტული ბაზარი, კომპანიის განვითარება, ფრანჩიზა, ინოვაცია.

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

უკანასკნელი წლების მანძილზე ტურისტული ბაზრის განვითარება და ქართული ტურისტული პროდუქტის წინწაწევა და პოზიციონირება ყველაზე აქტუალური თემაა. კომპანიები, რომლებიც ეწევიან ტურისტულ ბიზნეს, უამრავია საქართველოში, თუმცა მომსახურების განმასხვავებელი ნიშნებით რომ ხასიათდებოდნენ, იშვიათია.

კომპანია City Sightseeing Tbilisi 2013 წელს შემოვიდა საქართველოში და ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტურისტულ კომპანიად იქცა. ერთადერთი ბრენდული ტურისტული კომპანიაა, რომელიც მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით ქალაქ თბილისის ექსკურსიებს ახორციელებს წითელი ორსართულიანი ავტობუსით. ქართული პროდუქტების რეალიზაციაშიც დიდ წარმატებას მიაღწია და რეალიზაციის მაღალი მაჩვენებლით მთლიან საქართველოს ტურისტულ ბაზარზე დიდი წილი მოიპოვა.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური და უდიდესი ტურისტული პოტენციალის ქვეყანაა, ვიზიტორებისათვის ერთგვარი აღმოჩენაა, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ ეს პოტენციალი ჯერ კიდევ სათანადოდ არაა რეალიზებული ტურიზმის ინდუსტრიის მიერ და შესაბამისად დღევანდელი ტურისტული პროდუქტი და ინფრასტრუქტურა არაა პოტენციალის ადექვატური.

თუმცა მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის და საქართველოს, როგორც უნიკალური ტურისტული ქვეყნის პოზიციონირებისათვის ხელშეწყობა და ტურისტული ბაზრის სხვადასხვა სეგმენტების გამოცოცხლება/დაარსება აშკარად შეინიშნება, რადგან თავისი პოტენციალით და მრავალფეროვნებით უკვე მოექცა საერთაშორისო ტურიზმის მზარდი ინტერესების სფეროში და ტურისტულმა ნაკადებმა ინტენსიურად დაიწყო გადმონაცვლება ჩვენს ქვეყანაში.

კომპანია City Sightseeing Tbilisi კიდევ ერთი ტურისტული

კომპანიაა საქართველოში და ამავდროულად გამორჩეული და ერთადერთი წარმომადგენელი-ფილიალია საერთაშორისო ქსელური კომპანია City Sightseeing Worldwide-ის. ტურიზმის ინდუსტრიის საწარმოთა მართვის ამ ფორმით ბრენდი City Sightseeing პირველად 1998 წელს სევილიაში დაარსდა. 1999 წელს ლონდონში იქნა დაპატენტებული City Sightseeing-ის ფრანჩაიზინგის უფლებები. შემდგომ, ბრენდმა მოიცვა 6 კონტინენტი, 37 ქვეყანა და 112 ქალაქი. ტურისტული ფრანჩაიზინგის სავაჭრო ნიშანი City Sightseeing Worldwide, დაარსებიდან მე-14-ე წელს კი, 2013 წლის 22 აგვისტოს საქართველოშიც იკიდებს ფეხს და ტურიზმის განვითარებას ახალ მიმართულებებს სძენს. საქმიანობის განმასხვავებელი ნიშნებით: ორსართულიანი წითელი ავტობუსებით (Hop-On Hop-Off–ის პრინციპით); საექსკურსიო-სათბომავლო ექსკურსიებით; საგანმანათლებლო ტურებით ავტობუსებზე (ერთგვარი განათლების მიღებისა და თბილისის ხედებით ტკბობის სინთეზი ბრიტანული კომფორტით) რომელთა ანალოგებიც საქართველოში არ არის , ტურისტულ ბიზნესში ახალ სიტყვას ამბობს და ორიგინალურობით გამოარჩევს.

ამ დროისათვის, მსოფლიოში, ფრანჩაიზინგი ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდია ტურისტულ სფეროში. ფრანჩიზის რისკი მინიმალურია, რაც ჩვეულებრივ პირობებში ძალიან მაღალია ორგანიზაციის განვითარების საწყის ეტაპზე. გარდა ამისა, მომხმარებლისათვის ნაცნობი სავაჭრო მარკის გამოყენებით ადვილია ბაზარზე დამკვიდრება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში, რაც უფრო დიდია ტურისტული საწარმოს საქმიანობის მასშტაბი და სფერო, მით უფრო ძლიერად განიცდის ის სხვადასხვა ფაქტორისა და პირობის ზემოქმედებას. აღნიშნული სტატია სწორედ ამ ფაქტორების და პირობების ერთობლიობას (ტურიზმის ბიზნესის შიდა და გარე გარემო) განიხილავს კომპანიის City Sightseeing Tbilisi მაგალითზე.

ტურისტული საწარმოს ირგვლივ მოქმედი ყველა ფაქტორი და პირობა, რომელიც მოქმედებს მის საქმიანობაზე და განაპი-

რობებს მასზე რეაგირების აუცილებლობას, ტურისტული ბიზნესის გარე გარემოს წარმოადგენს.

ტურიზმის ბიზნესის გარე გარემოში გამოყოფენ ორი ჯგუფის ფაქტორებს:

1. პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ ბიზნესზე და ქმნიან მიკროგარემოს. მაგალითად, სახელმწიფო რეგულირების კანონები და დაწესებულებები, ადამიანისეული რესურსები, მიმწოდებლები, მომხმარებლები და კონკურენტები და ა.შ.

2. არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორები, რომლებიც, მართალია, უშუალოდ ბიზნესზე არ არიან გამიზნულნი, მაგრამ მასზე ზემოქმედებენ. მაგალითად, ეკონომიკის მდგომარეობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ცვლილებები საზოგადოებაში, ბუნებრივ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული მაჩვენებლები. არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორები ბიზნესის მაკროგარემოს მიეკუთვნებიან.

ბიზნესის გარე გარემოში, ჩვეულებრივ, გამოყოფენ სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, სოციალურ-კულტურულ, ბუნებრივ-გეოგრაფიულ და დემოგრაფიულ გარემოს.

სამართლებრივი გარემოს შესწავლით შესაძლებელია ბიზნესისა და საზოგადოების კავშირურთიერთობათა და ურთიერთდამოკიდებულებათა შეცნობა. ეროვნული კანონები უშუალოდ მოქმედებენ ბიზნესის წარმოების პროცესზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობების დროს. საერთაშორისო ტურიზმის წარმოების პროცესში, ეროვნულ კანონებთან ერთად, გასათვალისწინებულია საერთაშორისო სამართალი, რომელიც არეგულირებს სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობებს საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და კაპიტალის მოძრაობის საკითხებში.

ტურისტულ ბიზნესზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები. პოლიტიკური სისტემა ემსახურება საზოგადოების ინტეგრაციას, ხოლო ეკ-

ონომიკური სისტემა – შეზღუდული რესურსების განაწილებასა და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. პოლიტიკური სისტემა ორი სახისაა: ტოტალიტარული და დემოკრატიული. ტოტალიტარული სისტემა ემყარება სახელმწიფო დირექტივებს. ამ სისტემაში ყველა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო.

ტურიზმის ბიზნესი გამიზნულია კონკრეტული ადამიანების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთა ძირითად შეხედულებებს, ფასეულობებსა და ქცევის ნორმებს საზოგადოება აყალიბებს. ამის გამო ტურიზმის ბიზნესის წარმატებისათვის აუცილებელია ისეთი სოციალურ-კულტურული ფაქტორების გათვალისწინება, როგორებიცაა: ზნეობრივი და რელიგიური ნორმები (მსოფლმხედველობა, მორალი, რელიგიური და ათეისტური შეხედულებები, მრწამსი), კულტურული პრინციპები და ფასეულობები (ეროვნული კულტურა და ხელოვნება, წეს-ჩვეულებები, დამოკიდებულება კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ) და ცხოვრების წესი (ცხოვრების მიზნები და ფასეულობები, ქცევა, ურთიერთობანი, სამომხმარებლო პრიორიტეტები). მომხმარებლები კომპანიაზე City Sightseeing Tbilisi მოქმედი ძირითადი ფაქტორია და თავის საქმიანობას იგი მომხმარებელთა პოზიციიდან აფასებს, მათი თვალით ხედავს. ამით ეფექტიანად მუშაობის ალბათობა მკვეთრად იზრდება. ფაქტიურად მომხმარებლები წყვეტენ, თუ რომელი პროდუქტები აწარმოონ ორგანიზაციებმა და როგორი იქნება მათი ფასი. კომპანია ბაზარზე ფლობს დიდ წილს, რაც მომხმარებლის კეთილგანწყობაზე (ლოიალურობაზე) მიანიშნებს ბრენდის და მათი მაღალხარისხიანი პროდუქტის მიმართ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (მტპ) როლი ბიზნესში დაკავშირებულია პრინციპულად ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის გაჩენასთან (მაგალითად, დაჯავშვნის გლობალური სისტემები) კონკურენციის განვითარებასთან. მტპ იძლევა ტურიზმის ბიზნესის შესაძლებლობებისა და საქმიანობის სფეროების გაფართოების, კონკურენტუნარიანობისა და ეფ-

ექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას. მტპ-ის გარეშე არ არსებობს ბიზნესის ხანგრძლივი და მძლავრი აღმავლობა.

ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში შედის ბუნებრივი პირობები და ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელშიც ხორციელდება ტურიზმის ბიზნესი. ესაა მიწის, წყლის, ბიოლოგიური, მინერალურ-სანედლეულო, სათბობ-ენერგეტიკული, კლიმატური, რეკრეაციული რესურსები და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობა; რესურსებით უზრუნველყოფა და მათი ათვისების შესაძლებლობა, ეკოსისტემის მწარმოებლურობა, წლის სეზონების ხანგრძლივობა, გარემოს დაბინძურების და ბუნებაში ბუნებრივი ბალანსის დარღვევის დონე და ა.შ.

ტურიზმის ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დამოგრაფიული გარემო, რომლის შესწავლის მიზანია ქვეყნის, რეგიონის მოსახლეობის ცვლილებების პროგნოზი სქესობრივი, ეთნიკური, ასაკობრივი, ეკონომიკური და სხვა ნიშნებით.

ბიზნესის გარემოში მოქმედი ფაქტორები და პირობები შეიძლება იყოს კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი. კონტროლირებადია ის ფაქტორები და პირობები, რომელთა მართვა საწარმოს შეუძლია (მაგალითად, ბიზნესის დაგეგმვა, მართვის სტრუქტურა, წარმოებისა და რელიზაციის ფორმების შერჩევა, რეკლამა და ა.შ.). არაკონტროლირებადია ის ფაქტორები და პირობები, რომლებიც საწარმოს მხრიდან რეგულირებას არ ექვემდებარებიან. ასეთებია: მომხმარებლები, ეკონომიკა, პოლიტიკა, სახელმწიფო მმართველობა, კონკურენტები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სხვა. ტურიზმის ბიზნესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მის გარემოში მოქმედი ყველა ფაქტორი და პირობა უნდა განიხილებოდეს მუდმივ მოძრაობასა და ურთიერთკავშირში.

ყოველი კომპანია, პირველ რიგში, მისი ხელმძღვანელობა, მზად უნდა იყოს კონკურენციული ბრძოლისათვის. წარმატება ბაზარზე მნიშვნელოვან წილად სწორედ კონკურენტებთან დაპირისპირების უნარსა და კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვებით განისაზღვრება. მენეჯერებმა საბაზრო

სტრატეგია უნდა განსაზღვრონ კონკურენტული გარემოს მიხედვით. მხოლოდ კონკურენტულ გარემოში კარგად გარკვეულ მენეჯერებს შეუძლიათ კონკურენტული ბრძოლის ქმედითი მეთოდებისა და ხერხების შერჩევა და პრაქტიკაში გატარება.

კომპანია კონკურენტებთან უპირატესობას ინარჩუნებს იმით, რომ აქტიურად იყენებს ე,წ. სტრატეგიულ ალტერნატივას - დისტრიბუციის ახალ ქსელებს. თითქმის ყველა სასტუმროსთან და ტურისტულ სააგენტოსთან საკომისიოების საფუძველზე აქტიურად თანამშრომლობს. კომპანია უშვებს საკუთრ რუკებს, რომელზედაც განთავსებულია ორსართულიან წითელ ავტობუსზე ექსკურსიის მარშრუტი. კომპანია არის ბრენდული, ცნობადი და ამიტომ ტურისტი რუკის დანახვისთანავე ცდილობს მათგან მიიღოს ჩვენს შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად. რუკა კი ყველა ტურისტს ჭირდება, ამიტომაც აქტიურად თანამშრომლობენ აღნიშნული სასტუმროები და სხვა კომპანიები.

კონკურენცია მძაფრია და ყველა სიახლეს კონკურენტები მალევე ითვისებენ. კომპანია, მიუხედავად დაბრკოლებებისა, კონკურენტულ ბრძოლას საკმაოდ ძლიერად უმკლავდება და ლიდერის პოზიცია აქვს ტურისტულ ბაზარზე.

ტურიზმის ბიზნესის შიდა გარემოში იგულისხმება ტურისტული საწარმოს სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც მოიცავს მის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს მისი ადგილმდებარეობისა და საქმიანობის სფეროს მიუხედავად, თავისი მიზნებითა და ამოცანებით, წარმოების ტექნოლოგიით, მასში მომუშავე ადამიანებს მათი უნარით, მოთხოვნილებებითა და კვალიფიკაციით. შიდა გარემოს ელემენტებია: ადამიანისეული, მატერიალური და ფინანსური რესურსები, წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, წარმოება-გასაღების საქმიანობის შედეგები.

შიდა ფაქტორების ცენტრს წარმოადგენს საწარმოს მიზნები, რადგან ისინი განსაზღვრავენ კონკრეტულ შედეგებს, რომლებსაც უნდა მიაღწიოს საწარმოს კოლექტივმა. მიზნებით განსაზღვრული ორიენტაცია უნდა დაედოს საფუძვლად

საწარმოს ხელმძღვანელობის ყველა მოქმედებას. ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე ისახება მთელი საწარმოსა და ყველა მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანები.

ორგანიზაციული სტრუქტურა მართვის დონეებისა და ფუნქციური სფეროების ისეთი ლოგიკური ურთიერთობაა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს მიზნების ეფექტიანად მიღწევას. საწარმოს მიზნების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექნოლოგია. ზოგადი სახით ტექნოლოგიაში იგულისხმება წარმოების პროცესში გამოყენებული მასალების დამუშავების, დამზადების, მათი ფორმისა და თვისებების ცვლილებათა მეთოდები. ეკონომისტთა ცნებით კი ტექნოლოგია წარმოების ფაქტორების პროდუქტად გარდაქმნის ხერხია.

საწარმოს დასახული მიზნების წარმატებას უზრუნველყოფენ ადამიანები, რომელთა ინტერესები და ფასეულობები, მოტივები და განწყობა, სტიმულები და სოციალური შეზღუდვები განაპირობებენ მათ აქტივობასა და წვლილს საქმიანობის საბოლოო შედეგებში.

მიზანი კონკრეტული საბოლოო მდგომარეობა ან სასურველი შედეგია, რომლისკენაც მიისწრაფვიან ერთად მომუშავე ადამიანები. მოცემულ კომპანიაში მიზანი ან მიზნები მუშავდება დაგეგმვის პროცესში დამფუძნებლების მიერ. ამის შემდეგ ხელმძღვანელობა მიზანს გააცნობს კომპანიის წევრებს, რითაც მათ საერთო საქმის თანამონაწილედ გადააქცევს. მიზნები უნდა მუშავდებოდეს არა მარტო მთელი ორგანიზაციისათვის, არამედ, მისი ცალკეული ქვედანაყოფებისთვისაც. ქვედანაყოფების მიზნები მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც წესი, განსხვავებულია, მაგრამ უამრავ დამატებით და შეუფერებელ საქმიანობასაც ითავსებს (ტუროპერატორი და კოორდინატორი, მარკეტინგის და გაყიდვების სამსახურის არარსებობის გამო, მათ შესასრულებელ საქმესაც ითავსებს). სინამდვილეში კი, საწარმოო ქვედანაყოფის მიზანი შეიძლება იყოს შრომის მწარმოებლურობის ამაღლება განსაზღვრულ დონემდე, მარკეტინგის ქვედანაყოფისა - უკმაყოფილო მომხმარებლების რაოდენობის შემცირება, ლოგისტიკის

ქვედანაყოფისა კი - ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მიმწოდებლების მომსახურებაზე უარის თქმა. ორგანიზაცის მიზნის (ან მიზნების) დროულად და ეფექტიანად მიღწევაში დიდ როლს ასრულებს ორგანიზაციული სტრუქტურა - ერთმანეთთან დაკავშირებული მართვის დონეები და ქვედანაყოფები.

ორგანიზაციის შიგა გარემოში მოქმედი შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექნოლოგია. ტექნოლოგიას სპეციალისტები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. უმრავლესობა ტექნოლოგიას განიხილავს, როგორც გამოგონებებთან, მანქანებთან დაკავშირებულ პროცესს. თანამედროვე გაგებით ტექნოლოგია განიხილება მასალების, ინფორმაციის სასურველ გარდაქმნათა საშუალებად.

ორგანიზაციაში მოქმედი ცენტრალური ფაქტორი ადამიანია. რაც იქმნება ორგანიზაციაში, იქმნება კონკრეტული ადამიანების და არა ზოგადად თანამშრომლების მიერ, მართვით დაკავებული კონკრეტული პიროვნებების და არა ზოგადად ხელმძღვანელობის მიერ. ორგანიზაციის მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია კონკრეტული მენეჯერების კვალიფიკაციაზე, უნარ-ჩვევებზე, პიროვნულ თვისებებზე.

კომპანია City Sightseeing Tbilisi სტრატეგიული მენეჯმენტის სკოლებიდან ყველაზე მეტად ერგება სამეწარმეო სკოლას - სტრატეგიები ყალიბდება ინტუიციურად და არსებობენ ხელმძღვანელების გონებაში გარკვეული სცენარების სახით; სტრატეგიის ფორმირების პროცესი დამოკიდებულია ხელმძღვანელების გამოცდილებაზე და ცოდნაზე; ხელმძღვანელები მიზანდასახულად ანვითარებენ თავის კონცეფციას და აკონტროლებენ მის შესრულებას; აღინიშნება ძიების მიდრეკილება; ახასიათებს მარტივი სტრუქტურა; აქვს წინმსწრები ხასიათი და ინდივიდუალურობა, რაც მნიშვნელოვანია ახალჩამოყალიბებული კომპანიისთვის; აღენიშნება შემოქმედებითობის მაღალი ხარისხი; აქვს მოვლენებზე სწრაფი რეაგირების უნარი და მართვის მარტივი მექანიზმი.

მატრიცა განსაზღვრავს თითოეული პროდუქტის შეფასე-

ბას, სტატუსის მინიჭებას, რასაც კომპანია იყენებს სტრატეგიული გადაწყვეტილებების და მარკეტინგული აქტივობების განსასაზღვრად.მატრიცა იყოფა ოთხ კატეგორიად:

ვარსკვლავი (Star) – ამ პროდუქტს აქვს მაღალი ზრდის ტემპი და კომპანიის გაყიდვებში იკავებს დიდ წილს. ამ პროდუქტზე უნდა დაიხარჯოს ბევრი ფული, რომელიც პირდაპირ აისახება გაყიდვების ზრდაზე, ანუ ეს პროდუქტი სწრაფად ზრდადია და შესაბამისად მალე მიაღწევს სიმწიფის ფაზას, სადაც უკვე გახდება ე.წ. „მეწველი ძროხა“ (Cash Cow). „მეწველი ძროხა“ (Cash Cow) – ეს პროდუქტი ჩამოყალიბებულია, შესულია სიმწიფის ფაზაში, აქვს დაბალი სტაბილური ზრდა და მაღალი გაყიდვების წილი. ასეთი ტიპის პროდუქტზე ბევრი ინვესტიცია არ იხარჯება მარკეტინგში და გაყიდვებში, რადგან ბაზარი უკვე ათვისებული აქვს და ცნობადობა მაღალია. „ძაღლი“ (Dog) – ამ პროდუქტს აქვს დაბალი ზრდის მაჩვენებელი და გაყიდვებშიც დაბალი წილი უკავია. ამ პროდუქტმა ვერ გაიარა ბრენდის განვითარების პირველი ეტაპი, ანუ გამოშვების და ვერ გადავიდა ზრდის ეტაპზე, რის შედეგადაც აჩვენა დაბალი გაყიდვები. ასეთი ტიპის პროდუქტების მინიმიზაცია უნდა მოხდეს და გარკვეული პერიოდის შემდეგ ან რებრენდინგი ან წარმოებიდან ამოღება. კითხვის ნიშანი (Question Marks) – პროდუქტები, რომლებიც აჩენენ კითხვის ნიშნებს. აქვთ მაღალი ზრდა, თუმცა კომპანიისთვის არ ტოვებენ მოგებას, აქვთ დაბალი გაყიდვების წილი. ასეთი ტიპის პროდუქტებმა თუ ზრდა შეწყვიტეს და ვერ გაზარდეს ბაზრის წილი ხდებიან ე.წ. ძაღლები და საბოლოოდ ამოსაღებია წარმოებიდან. ამ ბრენდზე უნდა დაიხარჯოს ბევრი ფული ან საერთოდ მოხდეს წარმოებიდან ამოღება.

„ზრდა-წილის“ მატრიცა, რომელიც ასევე ბოსტონის მატრიცის სახელწოდებით არის ცნობილი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმის დასადგენად თუ რა პოზიცია უკავია კომპანიას ბაზარზე. კომპანია City Sightseeing Tbilisi ბოსტონის მატრიცის მიხედვით მიეკუთვნება ე.წ. „ვარსკვლავებს“, რადგან დარგი განვითარების მაღალი ტემპით ხასიათდება და კომპანიასაც

ბაზარზე მაღალი წილი უკავია. ასეთი ბიზნესი მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს პოზიციის შესანარჩუნებლად, მაგრამ ბაზრის მაღალი წილი მასშტაბის ეფექტის საშუალებას აძლევს, რათა დაფაროს დანახარჯები მიღებული შემოსავლით. კომპანია აგრესიულ მეთოდს მიმართავს ინვესტირების განსახორციელებლად.

შემცვლელი პროდუქცია - ლიდერის პოზიცია უკავია, ვინაიდან ერთადერთი ბრენდული კომპანიაა. თუმცა არსებობს მსგავსი კონკურენტი - პატენტის ნიშნებით აღჭურვილი.

მყიდველები - საქართველოს ბაზარი მცირეა, მაგრამ მიუხედავად ამისა კომპანიამ მოსახლეობის და კორპორატიული კლიენტურის მოზიდვა მაინც შეძლო.

პოტენციური კონკურენტები - პოტენციური კონკურენტების გამოჩენის საფრთხე დიდია.

რესურსების მიმწოდებლები -კომპანია City Sightseeing Tbilisi სხვადასხვა ტურისტული პაკეტების მიმწოდებელ კომპანიებთან აქტიურად თანამშრომლობს ორმხრივი ურთიერთობებით. თუმცა მათი მხრიდან შიშის ფაქტორი დიდია. ფიქრობენ, რომ ქალაქის ან ნავის ექსკურსიის გაყიდვის შემთხვევაში მათი კლიენტურა გადაერთვება ბრენდული კომპანიის სხვა შეთავაზებებზეც, მაგრამ მოთხოვნა აქვთ და მიყიდვაზე უარის შემთხვევაში, მგზავრი თავად მოიპოვებს კომპანიის City Sightseeing Tbilisi კონტაქტებს, თვითონ კი დაკარგავენ საკომისიოს რომელსაც კომპანია სთავაზობს.

კონკურენტები ბიზნეს გარემოში მოქმედ არაკონტორლირებად გარე ფაქტორებსა და პირობებს მიეკუთვნებიან, რომლებიც დიდ საფრთხესთან ერთად დიდი სტიმულატორებიც არიან. კონკურენცია ბაზარზე არსებულ მოთამაშეებს შორის - მძფრია, მაგრამ უპირატესობა დიდი აქვს, უკავია ლიდერის პოზიცია. ზოგიერთი მათგანი აგრესიული პოლიტიკით და ამავდროულად მიბაძვით და მითვისებით ცდილობს ტურისტების გადაბირებას, ეწევიან ანტი რეკლამას და ითვისებენ ყველა სიახლეს, რასაც კომპანია იყენებს.

კომპანია კონკურენტებთან უპირატესობას ინარჩუნებს იმ-

ით, რომ აქტიურად იყენებს ე,წ. სტრატეგიულ ალტერნატივას - დისტრიბუციის ახალ ქსელებს. თითქმის ყველა სასტუმროსთან და ტურისტულ სააგენტოსთან საკომისიოების საფუძველზე თანამშრომლობს აქტიურად. კომპანია უშვებს საკუთრ რუკებს, რომელზედაც განთავსებულია ორსართულიან წითელ ავტობუსზე ექსკურსიის მარშრუტი. კომპანია არის ბრენდული, ცნობადი და ამიტომ ტურისტი რუკის დანახვისთანავე ცდილობს მათგან მიიღოს ჩვენს შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად. რუკა კი ყველა ტურისტს ჭირდება, ამიტომაც აქტიურად თანამშრომლობენ აღნიშნული სასტუმროები და სხვა კომპანიები.

კომპანია იყენებს ინოვაციური ფორმის სტრატეგიას: პირველი მისი ინოვაციური პროდუქტი იყო ქალაქის ექსკურსია ორსართულიანი წითელი ავტობუსით. თუმცა, აღნიშნული ავტობუსის ბრენდული იერსახე უნდა ყოფილიყო ღია ტიპის ავტობუსი, კომპანიამ თავდაპირველად იჯარით აიღო ორსართულიანი ავტობუსი, მხოლოდ არა ღია ტიპის, შეფუთა ბრენდული ნიშნებით და წელიწადნახევრის მუშაობის შემდეგ და დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეცვალა ძველი ნამდვილი ორიგინალით-კაბრიოლეტის ტიპის ორსართულიანი ღია ავტობუსით. კომპანიას აქვს აღებული მერიისგან იჯარით ნავი, რომელიც შეფუთულია ბრენდული ნიშნებით, რომელიც აწყობს მდ. მტკვარზე ნავით რეგულარულ ექსკურსიებს.

კომპანიის მატერიალური და არამატერიალური აქტივების როლი საგრძნობლად მზარდია. კომპანია ძირითად და დამხმარე საშუალებებს სრულყოფს და ამ გზით კონკურენციის სტრატეგიას და სტრატეგიულ პოზიციონირებას წარმატებით ახორციელებს.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

კომპანია „City Sightseeing Tbilisi“-ის სტრატეგიის შემუშავების და რეალიზაციის პროცესი იყო საკმაოდ მიზანდასახულად გათვლილი და შეიძლება ითქვას წარმატებულიც. ქმედებების განხორციელება იყო თანმიმდევრული. საკვანძო კომპეტენ-

ციები იყო მოქნილი და შეესაბამებოდა მომავლის ნებისმიერ მოთხოვნას. ის ფაქტორები ,რომლებიც იყო საკვანძო კომპანიის საქმიანობისათვის, თავის დროზე იყო გაანალიზებული და შეფასებული სწორად. ამ ფაქტორების შესახებ თანამშრომლები იყვნენ ინფორმირებული და თითეულს გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი. კომპანია ინარჩუნებს მოგებას ძალების მაქსიმალური მობილიზაციით. გამოცდილების კვალდაკვალ კომპანიის უნარი გარდაიქმნა შესაძლებლობად და შესაძლებლობა - უნიკალურ კომპეტენციად. კომპანიის თითეული სტრატეგია ეყრდნობა საკუთარი წარმატების საკვანძო ფაქტორებს და ახალი შესაძლებლობების შექმნას. შესაძლებლობებეი აქვს ყველა ტურისტულ კომპანიას, რომელიც მსგავსად იქნება ორიენტირებული მიზნებზე.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. „კორპორატიული მენეჯმენტი“- შ. მაჭავარიანი;
2. „მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები“-შ. მაჭავარიანი;
3. „ტურიზმის მენეჯმენტის საფუძვლები“ - გ. მერლანი. თბილისი-გორი-2008წ.
4. „ტურიზმის ბიზნესი“ - ლ. ყორღანაშვილი. თბილისი-2010წ.
5. „ტურიზმის ბიზნესის ორგანიზაცია“-ლ.კოჭლამაზაშვილი, მ. ჩხარტიშვილი. თბილისი-2014წ.
6. „ტურისტული პროდუქტის ფორმირების თავისებურებები საქართველოში“ - მ.მელაძე. თბილისი-2008წ.
7. „საქართველოს ავიასაწარმოების სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემები და მათი გაუმჯობესების გზები“-ნ.აჩუაშვილი. თბილისი-2012 წ.
8. „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ - ა. ოქროცვარიძე, მ. ვადაჭკორია, ლ. ოქროცვარიძე. თბილისი-2011წ.
9. „ტურიზმი“ - გ.ხომერიკი. თბილისი-2008 წ.

ინტერნეტის ვებ-გვერდები:
http://www.cstbilisi.com/
http://strategy.ge/
http://www.for.ge/
https://referat.ru/
http://www.nplg.gov.ge/
http://all-referats.com/

REFERENCES:
1. "Corporate Management"-Sh. Machavariani;
2. "Modern Management Concepts"- Sh. Machavariani;
3. "Basics of Tourism Management"-G. Marlani, Tbilisi-Gori-2008 year;
4. "Tourism Business"-L. Korghanashvili, Tbilisi-2010 year;
5. "Organization of Tourism Business"-L. Kochlamazashvili, M. Chkhartishvili, Tbilisi-2014 year;
6. "Formation Features of the Tourist Product in Georgia"-M. Meladze, Tbilisi-2008 year;
7. "Strategic Management Problems of Airlines of Georgia and Ways to their Improvement"-N. Achuashvili, Tbilisi-2012 year;
8. "Tourism and Hospitality Management"-A. Okrotsvaridze, M. Vadachkoria, L. Okrotsvaridze, Tbilisi-2011 year;
9. "Tourism"-G. Khomeriki, Tbilisi-2008 year; 10.

Internet web-sites:
http://www.cstbilisi.com/
http://strategy.ge/
http://www.for.ge/
https://referat.ru/
http://www.nplg.gov.ge/
http://all-referats.com/

THE DEVELOPMENT OPPORTUNITIES OF THE TOURIST COMPANY IN GEORGIA ON THE EXAMPLE OF THE STRATEGIC ANALYSIS OF THE COMPANY „CITY SIGHTSEEING TBILISI"

PhD student, **Sophio Stephanishvili,**
School of Economics and Business Administration, St. Andrew The First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

RESUME

The work will provide to the interested reader with the comprehensive information about developed recommendations, based on the analysis of activity direction of the company "City Sightseeing Tbilisi" and at the same time, it will assist in evaluation of development opportunities for tourist companies in Georgia. The article deals with all active factors and conditions around tourist industry, which operate on its activity and necessitate to response. However, it is noteworthy, that in conditions of market relations, the bigger the scale and sphere of activity in the tourism industry, the more powerful impact from a variety of factors and conditions it suffers. The mentioned article discusses combination of exactly those factors and conditions (Internal and external environment of tourism business) on the example of company "City Sightseeing Tbilisi". The essence of the company strategy is to create new opportunities; The strategy content is to widen the segment.

Keywords: Strategies, Touristic Market, Company Development, Franchise, Innovation.

აგრობიზნესის რისკების დაზღვევის სისტემა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

თამარ დუდაური
ედ, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში დასაბუთებულია აგრობიზნესის რისკების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა საქართველოში, რაც აგრარული სექტორის სტაბილური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ნაჩვენებია, რომ დაზღვევა არის რისკების მართვის ერთ-ერთი შესაძლო სტრატეგია. იგი გამოყენებული უნდა იქნას მაშინ, როდესაც აგრობიზნესის საწარმო მოახდენს ყველა შესაძლო რისკის იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს იმ რისკებს, რომელთა დაზღვევა იქნებოდა სასურველი.

ხაზგასმულია, რომ სადაზღვევო პროგრამის მუდმივი მონიტორინგი და შედეგების ანალიზი სადაზღვევო პირობებისა ან პროდუქტების ცვლილების ან მოდიფიცირების საშუალებას იძლევა. ასეთი მიდგომა დაეხმარება ეფექტურად გამოიყენონ, როგორც საბიუჯეტო სახსრები, ასევე უშუალოდ ფერმერთა სახსრები, რომლებიც ანაზღაურებენ დაზღვევის ღირებულებას. მონიტორინგისა და ანალიზისათვის შესაძლებელია სადაზღვევო საქმის სპეციალისტების მოზიდვა და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებთან რეგულარული კონსულტაციების გამართვა.

საქართველოში აგრობიზნესის რისკების დაზღვევის სისტემის შექმნა მასშტაბური და რთული ამოცანაა. ჯერჯერობით აგროსექტორში დაზღვევის ეფექტიანი სისტემა ჩვენს ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული. მაგრამ, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სადაზღვევო სისტემის თანმიმდევრული შემუშავება და შესაძლო სადაზღვევო პროდუქტებისა და სახელმწიფო

მხარდაჭერის ფორმების პროფესიული შეფასება საშუალებას მისცემს საქართველოს ხელისუფლებასა და სადაზღვევო სექტორს შექმნას აგრობიზნესის რისკების მართვის ისეთი სისტემა, რომელიც დაეხმარება მათ გადაწყვიტონ აგრობიზნესის სექტორში წარმოშობილი მრავალფეროვანი და კომპლექსური ამოცანები.

საკვანძო სიტყვები: აგრობიზნესის რისკების დაზღვევა, რისკების მართვა, სადაზღვევო ბაზრის რეგულატორი, სადაზღვევო პრემია, აგროდაზღვევის სისტემა, საპილოტე პროგრამა.

შესავალი

აგრობიზნესის რისკების დაზღვევის სისტემის არსებობა აგრარული სექტორის სტაბილური განვითარების ერთ-ერთ ფაქტორია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევა არის რისკების მართვის ერთ-ერთი შესაძლო სტრატეგია. იგი გამოყენებული უნდა იქნას მაშინ, როდესაც აგრობიზნესის საწარმო მოახდენს ყველა შესაძლო რისკის იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს იმ რისკებს, რომელთა დაზღვევა იქნებოდა სასურველი. აგრობიზნესის რისკების დაზღვევა დაზღვევის ერთ-ერთი რთული სახეობაა და მოითხოვს აგრონომიული სფეროს განსაკუთრებით ღრმა ცოდნას. დაზღვევის ეს სახეობა ხასიათდება რისკების მართვის განსაკუთრებული პროცედურებით, პროდუქტების დეტალური დიზაინით და საჭიროებს პროფესიონალი გადამზღვეველი კომპანიის დახმარებასა და მხარდაჭერას ამ საქმიანობის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები თავისი წარმოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან რისკებად ასახელებენ საწარმოო, ამინდის და საფასო რისკებს, ასევე რისკებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კანონმდებლობის ცვლილებასთან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს საკანონმდებლო ბაზა ჯერ

კიდევ ფორმირების სტადიაშია, ხოლო საბაზრო ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება აგრობიზნესის სექტორის მოთხოვნილებებს, ამიტომ არ უნდა ველოდოთ, რომ დაზღვევა დაეხმარება აგრობიზნესში დასაქმებულ მწარმოებლებს ამ რისკების მართვაში.

ევროკავშირის ქვეყნებში სადაზღვეო ბაზრის რეგულირების პრაქტიკაში აგრობიზნესის რისკების დაზღვევა ჩვეულებრივ ხორციელდება ქონებრივი დაზღვევის ლიცენზიის საშუალებით. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, სადაზღვევო ბაზრის რეგულატორი ვერ შეძლებს მიიღოს მონაცემები ცალკე აგრობიზნესის რისკების დაზღვევის შესახებ, ვინაიდან ამ სახის დაზღვევის ანგარიშგება არ ითვალისწინებს მაჩვენებლების გამოყოფას სახეებისა და ტიპების მიხედვით. რასაც თავის მხრივ მივყავართ იქამდე, რომ ოფიციალური სტატისტიკა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველების მიხედვით არ არსებობს. [1]

აგრარულ სეგმენტში სადაზღვევო კომპანიების საქმიანობისადმი სათანადო ზედამხედველობის არ არსებობა წარმოადგენს სადაზღვევო მომსახურების დაბალი ხარისხის, დემპინგის და ფორმალური დაზღვევის მიზეზს. საკმაოდ ხშირად განვითარებად ქვეყნებში, რომელთაც მიეკუთვნება საქართველოც, ლაპარაკობენ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების უნდობლობაზე აგრობიზნესის რისკების დაზღვევის მიმართ მთლიანობაში. მზღვეველებისადმი უნდობლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს დარგობრივი სტანდარტების უქონლობა, პრემიის განაკვეთების შემცირება, დაზღვევის ხელშეკრულებაში შემზღუდველი დათქმების შეტანა და ხელშეკრულებების რთული ტექსტები. ვინაიდან სადაზღვევო ბაზრის მარეგულირებლის თანამშრომლები უმეტესად ვერ ერკვევიან აგრარული სფეროს თავისებურებებსა და აგრობიზნესის რისკების დაზღვევის სპეციფიკაში, მათ არ შეუძლიათ კრიტიკულად შეაფასონ დაზღვევის ხელშეკრულებების ფორმულირებები და აგრობიზნესის რისკების დაზღვევის პროცედურების თავისებურებები.

საერთაშორისო პრაქტიკა გვთავაზობს აგრობიზნესის სექ-

ტორისათვის სადაზღვევო სისტემის განვითარების სხვადასხვა ვარიანტს:[1]

1. სადაზღვევო მომსახურების გაწევა კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ სახელმწიფო დახმარების გარეშე (შვედეთი);
2. სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარების გაწევა კატასტროფული დანაკარგების დასაფარავად (გერმანია, იტალია, აშშ, კანადა);
3. სახელმწიფოს მონაწილეობა აგრობიზნესის რისკების გადაზღვევაში (პორტუგალია, ესპანეთი);
4. ზოგიერთ სადაზღვევო პროდუქტზე სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება (ესპანეთი, საფრანგეთი, ავსტრია);
5. მრავალი რისკის დაზღვევის პროგრამის სუბსიდირება (multi-risk) (კანადა, აშშ და სხვა).

აგრობიზნესის სექტორისათვის დაზღვევის სისტემის შექმნისას სახელმწიფო ორგანოები კონსულტაციას გადიან კომერციული სადაზღვევო სექტორის წარმომადგენლებთან და სამუშაო ჩვეულებრივ მოიცავს რამდენიმე ეტაპს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო სისტემები არ არიან სტატიკური. ისინი იცვლებიან, ხდება პრაქტიკისა და შეცდომების გაანალიზება და სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიებთან ერთად ცდილობენ მონახონ რისკების მართვის უფრო ოპტიმალური გადაწყვეტილება.

ზოგადად სიტუაცია, როდესაც ფერმერები დარწმუნებულნი არიან, რომ ყოველთვის შეუძლიათ ჰქონდეთ სახელმწიფოსაგან ზარალზე კომპენსაციის იმედი, არ ახდენს დადებით გავლენას სასოფლო-სამეურნეო რისკების დაზღვევის განვითარებაზე. ლატვიური სადაზღვევო კომპანია BTA-ის (იგი ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევას) წამყვანი სპეციალისტი სასოფლო-სამეურნეო რისკებში აივარ სამსონსი თვლის, რომ შექმნილი სიტუაცია არასწორია. მისი თქმით - „თუ სახელმწიფო მისცემს კომპენსაციას ფერმერებს, მაშინ ფული უნდა მიიღოს ან ყველამ, ან არავინ. ეს სიტუაცია აიძულებს ფერმერებს თვითონ იფიქრონ იმის შესახებ, თუ როგორ დაიც-

ვან თავი რისკისაგან, ამით კი ხელს შეუწყობს ამ სექტორში დაზღვევის განვითარებას“.[2]

კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს რისკების ზონებისათვის სადაზღვევო პრემიის გაანგარიშება სხვადასხვა კულტურებისათვის (კულტურათა ჯგუფისათვის), ცხოველთა სახეობებისათვის და სხვადასხვა სახის სადაზღვევო პროდუქტებისათვის. ნებაყოფლობითი პროგრამული (არა სუბსიდირებული) აგროდაზღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სადაზღვევო პრემიის განაკვეთების კორექტირების საშუალება. პრემიის განაკვეთის სტრუქტურის თვალთახედვით უნდა იქნას განსაზღვრული მინიმალური დონეები, რათა არ დაზარალდეს მზღვეველის გადახდისუნარიანობა. აგროდაზღვევის თავისებურებას წარმოადგენს კატასტროფული მოვლენების დადგომის შესაძლებლობა, როცა პრაქტიკულად ყველა დაზღვეულ კლიენტს შესაძლოა გაუნადგურდეს მოსავალი. აგრობიზნესის რისკების დაზღვევის პროგრამის რეგულატორი და/ან ადმინისტრატორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სადაზღვევო კომპანიები შესძლებენ თავისდროულად დაფარონ თავიანთი კლიენტების დანაკარგები, პრემიისა და დაგროვილი რეზერვების ხარჯზე. აგრობიზნესის რისკების დაზღვევის პროგრამების ზარალიანობის დონეები ცალკეულ წლებში, ცალკეული კულტურების მიხედვით შესაძლოა აჭარბებდეს 400%-ს[3], ამის შესაბამისად სადაზღვევო კომპანიები და რეგულატორები უნდა აკონტროლებდნენ სადაზღვევო პრემიის განაკვეთის დონეებს და თავს არიდებდნენ დემპინგს.

ხშირ შემთხვევაში სადაზღვევო ბაზრის რეგულატორებს არა აქვთ შესაძლებლობა და პროფესიული ცოდნა, რათა გააკონტროლონ აგრობიზნესის რისკების დაზღვევის ზემოთ აღნიშნული ასპექტები. ამიტომ ბევრ ქვეყანაში, რომლებშიც გავრცელებულია აგრობიზნესის რისკების სუბსიდირებული დაზღვევა (აშშ, კანადა, ესპანეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ინდოეთი და ა.შ.), სადაზღვევო ბაზრის რეგულატორი ახორციელებს სადაზღვევო ზედამხედველობას სადაზღვევო

კომპანიების საქმიანობაზე. სადაზღვევო რეგულატორების საერთაშორისო ასოციაცია მხარს უჭერს სადაზღვევო ბაზრის ცალკეული სეგმენტისათვის ზედამხედველობის ფუნქციის განაწილებას რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს შორის. უფრო მეტიც ეს ასოციაცია სადაზღვევო ზედამხედველობის ორგანოებს აძლევს რეკომენდაციას ინფორმაცია მიაწოდონ აღმასრულებელ ხელისუფლებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია განხორციელდეს ბაზრის ცალკეული სეგმენტების უფრო გულმოდგინე ზედამხედველობა, რათა ამაღლდეს რეგულირების ხარისხი. [3]

საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანაა და ამიტომ აგრობიზნესის რისკების დაზღვევის სისტემის დანერგვა და განვითარება საშური საქმეა. ჩვენს ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე. საქარველოში USAID – ის პროექტის „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ მოწვევით მყოფმა ესპანეთის აგროდაზღვევის ექსპერტმა ელიზა სანჩეზ ელიზიომ შემდეგი შეფასება გააკეთა - „აგრობიზნესის რისკების დაზღვევა საქართველოში სახელმწიფოს სუბსიდირების გარეშე ვერ განვითარდება“. მისი განმარტებით - „საქართველოში არის კერძო სადაზღვევო სისტემა, რომელიც აგრორისკებს სუბსიდირების გარეშე აზღვევს. ქვეყანაში დაზღვევის კულტურის დეფიციტია. ასევე, კანონმდებლობის და კონტროლის მექანიზმის დეფიციტი“. [4]

მოსავლის და შესაბამისად, შემოსავლების დაკარგვის რისკი კვლავ რჩება ფერმერების დიდი უმრავლესობის მთავარ საზრუნავად. ყურადღება უნდა მიექცეს სადაზღვევო ბაზრის შემდგომ განვითარებას და ამგვარად შესაძლებელი გახდება ამ რისკების მართვის მექანიზმების დანერგვა. უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის დაზღვევის სისტემის დეტალური მიმოხილვა. დაზუსტდეს და გამარტივდეს მთავრობის მიერ საგანგებო სიტუაციებში ჩარევის პროცედურები და კრიტერიუმები. კერძო სადაზღვევო კომპანიებთან ერთად უნდა შემუშავდეს საპილოტე პროგრამები სადაზღვევო პროდუქტებთან

ფერმერების ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით.

საქართველოს ხელისუფლებამ 2014 წლის სექტემბერიდან (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 აგვისტოს განკარგულება №1462) აგრობიზნესის რისკების დაზღვევის ერთწლიანი პილოტური პროგრამა დაიწყო, სადაც აგროდაზღვევის ღირებულებაში სახელმწიფოს სუბსიდია 70-95%-ის ფარგლებში იყო. თუმცა 2015 წლიდან სახელმწიფომ პროექტში სუბსიდირება შეამცირა და ბიუჯეტი 5 მილიონიდან 10 მილიონამდე გაზარდა. ეს პროგრამა გაგრძელდა 2015 წლის დეკემბრამდე.

2014 წლის პროექტში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, დასაზღვევი ფართობის ლიმიტი 5 ჰექტრამდე (15 ჰექტრამდე-ხორბლის მწარმოებლებისათვის) განისაზღვრა, შემუშავდა აგროვადები. რისკის გათვალისწინებითაც ხდება დაზღვევა და შემუშავდა ზარალის შეფასების საერთო სტანდარტები პროექტში მონაწილე ყველა სადაზღვევო კომპანიისათვის. შარშან სახელმწიფოს თანადაფინანსებამ შეადგინა პოლისის ღირებულების 93%. თუმცა, 2015 წელს სახელმწიფო სუბსიდიის თანხა შემცირდა და შეადგინა საშუალოდ პოლისის ღირებულების 60%, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, უფრო ეფექტურად გადაანაწილოს შეზღუდული რესურსი. [4]

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში, 2015 წლის 1 სექტემბრისათვის გაცემულ იქნა 26,625 პოლისი. სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიის სუბსიდიის თანხამ შეადგინა 13,418,205 ლარი. დაზღვეული იყო 22,844 ჰა ფართობი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ხოლო დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ შეადგინა 186,676,471 ლარი. სულ ამ პერიოდში დაზარალდა 8,008 ბენეფიციარი, ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 10 მილიონ ლარამდე, რაც მთლიანად იქნა ანაზღაურებული. [7]

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე გამოყოფილია 9 მილიონი ლარი. [8]

სადაზღვევო პროგრამის მუდმივი მონიტორინგი და შედეგების ანალიზი სადაზღვევო პირობებისა ან პროდუქტების ცვლილების ან მოდიფიცირების საშუალებას იძლევა. ასეთი მიდგომა დაეხმარება ეფექტურად გამოიყენონ, როგორც საბიუჯეტო სახსრები იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო გადაწყვეტს ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე უშუალოდ ფერმერთა სახსრები, რომლებიც ანაზღაურებენ დაზღვევის ღირებულებას. მონიტორინგისა და ანალიზისათვის შესაძლებელია სადაზღვევო საქმის სპეციალისტების მოზიდვა და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებთან რეგულარული კონსულტაციების გამართვა.

როგორც ცნობილია სადაზღვევო პრემია გამოითვლება სადაზღვევო თანხის გამრავლებით შესაბამის ტარიფზე, რომლის ოდენობის განსაზღვრისავის საჭიროა ვიცოდეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანის ან მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების თავისებურებანი. სადაზღვევო ტარიფის ჩამოყალიბება კულტურების, პირუტყვის სახეობებისა და რეგიონების მიხედვით დიდ სირთულეს წარმოადგენს. რეგიონის ტერიტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე შესაძლოა არსებობდეს განსაზღვრული ზონები რისკის სხვადასხვა ალბათობით და საჭიროა ტარიფის გრადაცია. ზოგიერთ ქვეყანაში აგრობიზნესის რისკების დაზღვევაში გამოიყენება ტარიფების რამოდენიმე დონე და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს რისკის დაფარვის 10, 20 და 30%-იან პროგრამაში. ამრიგად, ერთის მხრივ იქმნება შესაძლებლობა შემცირდეს სადაზღვევო შენატანი, ხოლო მეორეს მხრივ გვარდება სადაზღვევო ტარიფის შემუშავების პრობლემა, რაც თავის მხრივ იძლევა სადაზღვევო პრემიის კორექტირების საშუალებას. ასევე, შესაძლებელია მოცემული რეგიონისათვის „რისკების ატლასის“ შემუშავება, რომელშიც მოცემული იქნება რისკების ალბათობების შეფასება.

მსოფლიოში მრავალ განვითარებულ ქვეყანას აქვს აგროდაზღვევის კარგად აპრობირებული მოდელი, მათ შორის ერთერთ წარმატებულს წარმოადგენს თურქეთის მოდელი. საქარ-

თველოში მის გადმოტანაზე მსჯელობენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. როგორც სოფლის მეურნეობის პროგრამების მართვის სააგენტოს, აგროდაზღვევის პროგრამის მენეჯერმა ლევან მაღრაძემ პალიტრა TV-ს გადაცემაში "საქმე" განაცხადა: "თურქეთში საკმაოდ წარმატებული მოდელი მუშაობს. არის ცენტრალიზებული ორგანიზაცია, რომელიც მართავს აგროდაზღვევის იმ პროცესებს, რაც ამ ყველაფერს თან ახლავს. ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია ამ მოდელის საქართველოში განხორციელება. ამჟამად შეფასების პროცესი მიმდინარეობს. შესაძლებელია, თურქეთის მოდელი ერთი ერთში არ გადმოვიღოთ და ეს ასე ვერც იქნება, რადგან არსებობს რიგი განმასხვავებელი გარემოებები", - შემდეგ დასძინა, რომ: „გარდა იმისა, რომ სერვისები და ხარისხი იქნება მაღალი, საქართველოში ფერმერს ეს მოდელი მრავალმხრივ შეიძლება წაადგეს: ჩვენი მომავალი პროექტი უზრუნველყოფს იმას, რომ დაფარვა იყოს მაქსიმალური, რომ ყველა რეგიონში უფრო მეტმა ადამიანმა შეიძინოს დაზღვევა. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მიღებული პრემიით სადაზღვევო კომპანიებმა გააიაფონ პროდუქტი. სუბსიდირების და ბენეფიციარის თანადაფინანსების კუთხით კი შემცირდეს გადასახადი". [9]

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ამრიგად, საქართველოში აგრობიზნესის რისკების დაზღვევის სისტემის შექმნა მასშტაბური და რთული ამოცანაა. ჯერჯერობით აგროსექტორში დაზღვევის ეფექტიანი სისტემა ჩვენს ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული. მაგრამ, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სადაზღვევო სისტემის თანმიმდევრული შემუშავება და შესაძლო სადაზღვევო პროდუქტებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმების პროფესიული შეფასება საშუალებას მისცემს საქართველოს ხელისუფლებასა და სადაზღვევო სექტორს შექმნან აგრობიზნესის რისკების მართვის ისეთი სისტემა, რომელიც დაეხმარება მათ გადაწყვიტონ აგრობიზნესის სექტორში წარმოშობილი მრავალფეროვანი და კომპლექსური ამოცანები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Шинкаренко Р. Международная практика государственного регулирования и лицензирования рынка агрострахования. 2003. http://agroinsurance.com/ru/analytics?pid=18801#_ftnref1 (20.04.15)

2. Страхование сельскохозяйственных рисков в Латвии. http://forinsurer.com/public/06/10/03/2594 (20.04.15)

3. Основные принципы страхования, стандарты, рекомендации и методология оценки. Публикация Международной Ассоциации Страховых Регуляторов. Октябрь 2011. .pdf (20.04.15)

4. „აგროდაზღვევა სოფლის მეურნეობის განვითარებას მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს“ http://www.pia.ge/show_news.php?id=21890&lang=geo (20.04.15)

5. 2015 წელს სახელმწიფომ აგროდაზღვევის დაფინანსება 33%-ით შეამცირა. http://www.bpn.ge/finansebi/10901-2015-tsels-sakhelmtsifom-agrodazghvevis-dafinanseba-33-ith-sheamcira.html?lang=ka-GE (24.10.2015).

6. დუდაური თ. აგროდაზღვევის ბაზრის განვითარების აუცილებლობა და პერსპექტივები საქართველოში. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა» #4 (10) 2010. გვ. 95-99.

7. აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს ჭარბი ნალექის შედეგად მიყენებული ზარალი აუნაზღაურდებათ. news.ge. http://news.ge/ge/news/story/153444-agrodazghvevis-programashi-chartul-benefitsiarebs-charbi-naleqis-shedegad-miyenebuli-zarali-aunazghaurdebat (24.10.2015).

8. საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები. მუხლი 15. გვ 187. http://www.mof.ge/images/File/biujetis-kanoni2016/kanoni/TAVI_VI.pdf (06.01.16).

9. საქართველოში, შესაძლოა, აგროდაზღვევის თურქული მოდელი დაინერგოს. http://www.bpn.ge/?lang=ka-GE (04.11.2015).

REFERENCES:

1. Shynkarenko R. International Practice of Agricultural Insurance Market Supervision and Licensing. 2003. (In Russian Language). http://agroinsurance.com/en/18801/

2. Insurance of agricultural risks in Latvia. (In Russian Language). http://forinsurer.com/public/06/10/03/2594

3. Basic principles of insurance, standards, recommendations and methodology of an assessment. Publication: International Association of Insurance Supervisors. (In Russian Language). 2011. http://www.eurasiancommission.org/ru/act/finpol/dofp/finance/Documents/%D0%9.pdf

4. "Agricultural insurance gives significant boost to the development of agriculture."(In Georgian Language) http://www.pia.ge/show_news.php?id=21890&lang=geo (20.04.15)

5. In 2015, the state agricultural insurance fund reduced by 33%. (In Georgian Language)http://www.bpn.ge/finansebi/10901-2015-tsels-sakhelmtsifom-agrodazghvevis-dafinanseba-33-ith-sheamcira.html?lang=ka-GE (24.10.2015).

6. Dudauri T, Agricultural insurance market development importance and perspectives in Georgia. Journal of "Social Economy", #4 (10) 2010. pp. 95-99. (In Georgian Language)

7. The beneficiaries involved in agricultural insurance program caused by excessive rainfall will be reimbursed. news.ge. (In Georgian Language) http://news.ge/ge/news/story/153444-agrodazghvevis-programashi-chartul-benefitsiarebs-charbi-naleqis-shedegad-miyenebulizarali-aunazghaurdebat (24.10.2015).

8. State budget of 2016. Allocations of State budget. Article 15. pp 187. (In Georgian Language) http://www.mof.ge/images/File/biujetis-kanoni2016/kanoni/TAVI_VI.pdf (06.01.16).

9. The Turkish model of agricultural insurance should be introduced in Georgia. (In Georgian Language) http://www.bpn.ge/?lang=ka-GE (04.11. 2015).

THE AGRIBUSINESS RISK INSURANCE SYSTEM AND ITS PERSPECTIVES OF DEVELOPMENT IN GEORGIA

Tamar Dudauri - Doctor of Economics, Associate Professor of Caucasus International University

RESUME

The availability of insurance system of agribusiness risks is one of the factors of stable development of the agribusiness sector. It is necessary to notice that insurance is only one of the possible strategy of risk management, and it is necessary to resort to it when the agribusiness entity identified all the possible risks for itself and determined the risks which are desirable for insuring.

The producers of agricultural production in the different countries, as the most significant risks for the entity specify the industrial and weather, price risks, and also the risks connected with the change of legislation.

Fixed monitoring and the critical analysis of results of the insurance program allow to change or modify the conditions of insurance products. Such approach can help to use it really effectively as a means of the government budget if the state gives a financial support, and a means of directly agricultural enterprises which pay the insurance costs. It is important to involve the specialists of insurance case to monitor and analyze, and regularly to hold consultations with the representatives of the insurance companies.

We understand that the creation of the insurance system of agro risks is a major and labor-consuming problem. The systems of effective insurance of agro sector in Ukraine aren't present so far, but we hope that, having consistently the developed system of insurance, having carried out the professional evaluation of the possible insurance products and the forms of the state support, the state and an insurance sector of Georgia will be able to create such a management system of agribusiness risks that will help to solve the various and complex problems in agribusiness sector.

Keywords: Agribusiness Risk Insurance, Risk Management, Regulators of Insurance Market, Insurance Awards, Agribusiness System, Pilot Program.

რეკრეაციული რესურსები და რეკრეაცული კომპლექსების ფორმირების პირობები

ნინო შაფათავა,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია რეკრეაციული კომპლექსების ფორმირებისთვის აუცილებელი რეკრეაციული რესურსები და პირობები, რეკრეაციული კომპლექსების ფორმები და მათი პოტენციალი.

აქტიური დასვენების მიმართ მოთხოვნა კომბინირებულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას წარმოადგენს. რამდენადაც რეკრეაცია ხელს უწყობს არა მხოლოდ ჯანმრთელობის და შრომისუნარიანობის შენარჩუნებას, არამედ, აკმაყოფილებს მომხმარებელთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნებსაც, შესაბამისად, რეკრეაციულ მომსახურებაზე მოთხოვნაც კომპლექსურია და მასში ერთიანდება პერსონიზებული მოთხოვნები.

რეკრეაციულ მომსახურებაზე მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთი გზაა რეკრეაციული კომპლექსების ფორმირება, რომლის დროსაც არანაკლებ საყურადღებოა რეკრეაციული პოტენციალი, რომელიც ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულების მქონე ბუნებრივი, სპორტულ-ტურისტული, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და სოციალურ-კულტურული ქვესისტემების ერთიან სისტემას წარმოადგენს. რეკრეაციული რესურსების აქტივაციას კი ხელსაყრელ ბუნებრივ / კულტურულ პირობებთან ერთად მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სამეურნეო დარგები განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: რეკრეაცია, რეკრეაციული კომპლექსი, აქტიური დასვენება, რეკრეაციული პოტენციალი, ინფრასტრუქტურა.

შესავალი

რეკრეაციული რესურსები ბუნებრივი და ადამიანის მიერ ხე-

ლოვნურად შექმნილი ობიექტების ერთობლიობაა, რომლებიც ხელსაყრელ გარემოს ქმნის აქტიური დასვენების მიმართ მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება მასში მონაწილე სამეურნეო სტრუქტურების აქტიურობით, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანებისა და პრობლემების გადაწყვეტას.

გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან მოყოლებული მსოფლიო ეკონომიკის განვითარების აქცენტები ადამიანისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გახდა ორენტირებული. ადამიანური ფაქტორი იქცა არა მხოლოდ ეკონომიკური შესაძლებლობების წყაროდ, არამედ, ეკონომიკის სოციალური ქმედუნარიანობის საზომადაც.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ იმ ქვეყნებმა მიაღწიეს წარმატებას, სადაც სოციალური პრობლემების მოგვარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და საზოგადოების, როგორც ერთიანი სხეულის განვითარება გახდა თავად ეკონომიკის განვითარების მთავარი მიზანი.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი - რეკრეაცია ემსახურება მოსახლეობის აქტიურ დასვენებას, ფიზიკური ძალების აღდგენას და მორალურ განტვირთვას ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოს შემდეგ. რეკრეაციული მომსახურების მოხმარების მხრივ პირველ ადგილს ევროპული ქვეყნები იკავებენ, მაგალითად, რეკრეაციული მომსახურებისა და პროდუქტების მოხმარების თვალსაზრისით ლიდერობს ავსტრია, რომელსაც ძალიან მცირე განსხვავებით ჩამორჩებიან: ნორვეგია, შვეიცარია, გერმანია და იტალია.

აქტიური დასვენების მიმართ მოთხოვნა კომბინირებულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას წარმოადგენს. როგორც სოციალური სფეროს ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, რეკრეაცია ხელს უწყობს არა მხოლოდ ჯანმრთელობის და შრომისუ-

ნარიანობის შენარჩუნებას, არამედ, აკმაყოფილებს მომხმარებელთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნებსაც.

შესაბამისად, რეკრეაციულ მომსახურებაზე მოთხოვნაც კომპლექსურია და მასში ერთიანდება ისეთი პერსონიზებული მოთხოვნები, როგორიცაა, ფიზიკური, სულიერი, ინტელექტუალური, ემოციური, და სოციალური მოთხოვნები.

თუმცა, რეკრეაციულ მომსახურებაზე მოთხოვნა ასევე ხასიათდება გარკვეული არამდგრადობით და დამოკიდებულია მოდაზე, რეკლამაზე, მომსახურებების პოპულარობაზე, მოსახლეობის კულტურულ განვითარებაზე და სხვ. რეკრეაციული მომსახურების მოთხოვნას განაპირობებს ისეთი ფაქტორების ერთობლიობა, როგორიცაა საწარმოო მოდელები, საწარმოო ურთიერთობები და მომხმარებლის გადამხდელუნარიანობა. რეკრეაციული მოთხოვნების დაკმაყოფილება სხვადასხვა სახით ხდება, რაც ძირითადად ისეთი ფორმებით გამოიხატება, როგორიცაა: გამაჯანსაღებელი დასვენება, ექსკურსიები/გართობა და საკურორტო-სანატორიული მკურნალობა.

რეკრეაციულ მომსახურებაზე მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთი გზაა რეკრეაციული კომპლექსების ფორმირება, რომლებიც, თავისმხრივ, მრავალდარგოვან და მრავალდონიან სტრუქტურას წარმოადგენენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეკრეაციული პოტენციალი ტურიზმის სოციალურ ბირთვს წარმოადგენს და შესაბამისი შიდა ორგანიზებისა და სათანადო საერთაშორისო კავშირების შემთხვევაში, იგი შესაძლოა მდიდარი ტურისტული რესურსის მქონე ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი შემოსავლიანი წყარო გახდეს.

არანაკლებ საყურადღებოა რეკრეაციული პოტენციალი, რომელიც ბუნებრივი, სპორტულ-ტურისტული, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და სოციალურ-კულტურული ქვესისტემების ერთიან სისტემას წარმოადგენს. ის ხასიათდება ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულებით და ტერიტორიული მთლიანობით, ხოლო მის აქტივაციას მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ისეთი დარგები განაპირობებს, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა, სამგზავრო ავტოტრანსპორტი და კავშირ-

გაბმულობა, ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება. რეკრეაციული პოტენციალი ეროვნული ეკონომიკის სოციალური ბლოკის განუყოფელი ნაწილია. რეკრეაციული კომპლექსის ფორმირებისას უნდა გადაიჭრას ისეთი ამოცანები, როგორიცაა:

• რეკრეაციული ობიექტების რაციონალური განთავსება ქვეყნის ტერიტორიაზე ბუნებრივ-კლიმატური და სხვა პირობების გათვალისწინებით;

• არსებული რეკრეაციული რესურსების მრავალმხრივი და ეფექტური გამოყენება;

• რეკრეაციულ სპეციალიზაციასა და თანამდევ დარგებსა და ინფრასტრუქტურას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა;

• ძირითადი კომუნიკაციების (წყალმომარაგება, გათბობა, ენერგომომარაგება და სხვ.) ლოკალური ბაზების შექმნა/გაუმჯობესება, ან უახლოესი საბაზო ტერიტორიიდან უზრუნველყოფა;

• საყოფაცხოვრებო - კომუნალური და კულტურული მომსახურების, საზკვების, სამომხმარებლო საქონლითა და სუვენირებით ვაჭრობის უზრუნველყოფა;

• მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს დამსვენებლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს მაღალი ხარისხის კვების პროდუქტებზე;

• თანამედროვე სატრანსპორტო სისტემის და თანამედროვე კავშირგაბმულობის ყველა სახეობის განვითარება, როგორც შიდა რაიონული, ისე რეგიონული თვალსაზრისით;

• ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება;

• უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისა და დამსვენებლების მოსალოდნელი ნაკადებისთვის;

• გარემოს დაცვა რეკრეაციულ ტერიტორიებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეკრეაციული რესურსები ბუნებრივი და ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი ობიექტების

ერთობლიობაა, რომლებიც ხელსაყრელ გარემოს ქმნის აქტიური დასვენებისა და მკურნალობის მიმართ მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. რეკრეაციული კომპლექსების დინამიური განვითარება მოითხოვს ორივე (ბუნებრივი და ხელოვნური) სახის რესურსების ერთობლივად არსებობას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბუნებრივი რესურსების რაიმე განსაკუთრებული მიმზიდველობის მიუხედავად, შესაბამისი კომუნიკაციების, კავშირგაბმულობის, კომუნალური ინფრასტრუქტურის და კულტურული ღირსშესანიშნავობების არარსებობის შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება მომხმარებელთა ფართო წრეზე გათვლილი რეკრეაციული მომსახურების განვითარება.

რეკრეაციული რესურსების მთავარი მახასიათებლებია:

- ბუნებრივ-კლიმატური პირობები,
- ხელმისაწვდომობა,
- მისი სამედიცინო და ფიზიკურ / ქიმიური თვისებები,
- პეიზაჟური და ლანდშაფტური ვიზუალური მახასიათებლები,

რეკრეაციული კომპლექსის ფორმირებისა და განვითარების პირობები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. საბაზისო-რესურსული პირობები - სადაც მოიაზრება ლოკალური ბუნებრივ-კლიმატური რესურსები, რომლებიც რეკრეაციული კომპლექსის ფორმირების საწყის სტადიას განაპირობებს (მაგ. მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მღვიმეები, მისთ.);

2. სივრცულ-ეკონომიკური პირობები - რომლებიც ორი ძირითადი მომენტით ხასიათდება: კომპლექსები ვითარდება ან მსხვილი ურბანული აგლომერატების ბაზაზე, მაღალი ეკონომიკური განვითარების მქონე რაიონებში, ან, სპეციპიკური გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ამა თუ იმ კონკრეტულ ტერტორიაზე;

3. სოციალურ-ეკონომიკური პირობები - რომლის დროსაც კომპლექსების განთავსებასა და განვითარების დონეს განსაზღვრავს ეროვნული, სოციალური, არქეოლოგიური, არქიტექტურული და მისთ. ფაქტორები.

ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების თვალ-

საზრისით ტერიტორიაზე არსებული განსხვავებები გარკვეულ კვალს ტოვებს რეკრეაციული კომპლექსის განვითარების ინტენსიურობაზე, მასშტაბებზე, სპეციალიზაციაზე და დარგობრივ სტრუქტურაზე.

აქვე მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ რეკრეაციული კომპლექსების სახეებიც. ამა თუ იმ რეკრეაციული დარგის ფუნქციური დანიშნულების, სპეციალიზაციის დონისა და უპირატესი განვითარების მიხედვით განასხვავებენ ტერიტორიულ-რეკრეაციული კომპლექსების სხვადასხვა სახეობებს, ესენია:

- სანატორიულ-საკურორტო,
- ტურისტულ-გამაჯანსაღებელი,
- სანატორიულ-ტურისტულ-გამაჯანსაღებელი
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი (სანადირო-სათევზაო, საფეხმავლო, ველო, საცენოსნო...),
- შემეცნებითი,
- უნივერსალური

რესურსების სოციალურ-ეკონომიკური კომპონენტის მნიშვნელობის მიუხედავად, რეკრეაციული კომპლექსის ფორმირებისა და განვითარებისთვის უმთავრესი როლი ენიჭება ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს. სწორედ ეს უკანასკნელი წაროადგენს რეკრეაციის ერთ-ერთ უმთავრეს მატერიალურ წინაპირობას. ასეთი პირობების არსებობა განაპირობებს რეკრეაციული კომპლექსების აღმოცენებას ახალ, მანამდე ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რაიონებში. რეკრეაციული მიზნით ხელუხლებელი და ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსების გამოყენება შეიძლება იქცეს ახალი ტერიტორიების არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების საწყის წერტილად, არამედ, შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს დიდი ხნის დამკვიდრებულ ტერიტორიებზეც.

დასკვნა

ამრიგად, რეკრეაციული სისტემა საკმაოდ მომთხოვნია ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის მიმართ, რამდენადაც ეს რეკრეაციული რესურსების ძირითადი კომპონენტია. თვითმყოფადი და

განუმეორებელი ბუნების გარდა, რეკრეაციის ინტერესის სფეროს წარმოადგენს არქიტექტურის, ისტორიული და კულტურული ძეგლები, საგზაო/საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ვაჭრობისა და საზკვების ობიექტები და ა.შ. რეკრეაციულ რესურსებად ასევე მიზანშეწონილია განვიხილოთ ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოგრაფიული თავისებურებები, ტრადიციები და თვითმყოფადი კულტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *barkalaia b.,* "turizmis potenciali, ganviTarebis formebi da produqti", me-2 saerTaSoriso samecniero praqtikuli konferencia "ekonomika da biznesi", baTumi, 2011;

2. George H. Siehl, The Policy Path to the Great Outdoors: A History of the Outdoor Recreation Review, 2008

3. Anze Chen, Yunting Lu, Young C.Y. Ng, The Principles of Geo-Tourism, 2015

4. Hrytsky V. Hacman M., Formation and Development of a Recreation Complex, 2015

REFERENCES:

1. Barkalaia B., "Tourism Potential, Forms of Development and Product", 2nd International Scientific Practical Conference "Economy and Business", Batumi, 2011 (in Georgian language);

2. George H. Siehl, The Policy Path to the Great Outdoors: A History of the Outdoor Recreation Review, 2008;

3. Anze Chen, Yunting Lu, Young C.Y. Ng, The Principles of Geo-Tourism, 2015;

4. Hrytsky V. Hacman M., Formation and Development of a Recreation Complex, 2015.

RECREATION RESOURCES AND CONDITIONS FOR FORMING RECREATIONAL COMPLEXES

Nino Shapatava,
PhD Student,
Georgian Technical University

RESUME

The present article "Recreation Resources and Conditions for Forming Recreational Complexes" reflects on the recreation resources and conditions to form the recreation complexes, the forms of the recreation complexes and their potential.

The demand toward the active recreation and leisure represents a combined social and economic phenomenon. As the recreation facilitates not only the improvement or maintenance of the health and labor capacity but it also meets the cultural/cognitive demands of the customers. Therefore the demand on recreation services is also complex and unites somewhat personal demands too.

One of the ways to meet the customers' demands on recreation services is to create the recreation complexes where the focus should be made upon the recreational potential that in turn represents an uniform system of the interlinked natural, sports-tourists, medical-wellness and social-cultural subsystems. The activation of the recreation resources equally depends upon the favorable natural/cultural conditions and the economic sectors tightly linked to it.

Keywords: Recreation, Recreation Complexes, Active Leisure, Recreation Potential, Infrastructure.

ფირმის ბიზნეს-გეგმა და მისი კავშირი მარკეტინგულ პროგრამასთან

ანა წულაია
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბიზნეს-გეგმა, როგორც დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ და საფუძვლიანად არის ჩამოყალიბებული კომპანიის მიზანი, მისი მიღწევის გზა, საშუალება, საბოლოო ფინანსური მახასიათებლები, ასევე ბიზნეს-გეგმის კავშირი კომპანიის მარკეტინგულ პროგრამასთან, რომელსაც აქვს უფრო განსაზღვრული მასშტაბი.

სტატიაში შესწავლილია ბიზნეს–გეგმის მარკეტინგული განყოფილების აგების პრინციპი და მისი მნიშვნელობა, თუკი საქონელზე და მომსახურებაზე არსებული მოთხოვნა წინასწარ არაა განსაზღვრული, მაშინ არანაირი კაპიტალდაბანდება და მოქმედებები ვერ დაეხმარება კომპანიას წარმატების მიღწევაში.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-გეგმა, მარკეტინგი, მარკეტინგული განყოფილება, ბაზრის კვლევა, მომხმარებელი, მარკეტინგული სტრატეგია.

შესავალი

ბიზნეს-გეგმა საწარმოს, ფირმას, საშუალებას აძლევს გაერკვეს თავისი საქმიანობის ზრდის პერსპექტივებში, განჭვრიტოს ის შესაძლო ცვლილებები და პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა მომავალში, კონტროლი გაუწიოს მიმდინარე ოპერაციებს და შეაფასოს საკუთარი ბიზნესის პროგრესული დონე.

ბიზნეს გეგმაში ერთერთ მნიშვნელოვანია ეფექტიანი მარკეტ-

ინგული გეგმის შედგენა, რომელიც მისცემს მიმართულებას კომპანიის სავაჭრო მარკას, საქონელს და საერთოდ განსაზღვრავს კომპანიის მიზანს.

ძირითადი ტექსტი

ბიზნეს-გეგმა დოკუმენტია, რომელშიც მკაფიოდ და საფუძვლიანად არის ჩამოყალიბებული კომპანიის მიზანი, მისი მიღწევის გზა, საშუალება და საბოლოო ფინანსური მახასიათებლები. ბიზნეს-გეგმა საწარმოს, ფირმას, საშუალებას აძლევს გაერკვეს თავისი საქმიანობის ზრდის პერსპექტივებში, განჭვრიტოს ის შესაძლო ცვლილებები და პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა მომავალში, კონტროლი გაუწიოს მიმდინარე ოპერაციებს და შეაფასოს საკუთარი ბიზნესის პროგრესული დონე. როგორც წესი ბიზნეს ოპერაციის დაგეგმვაში იგულისხმება არამხოლოდ ერთი ბიზნეს ოპერაციის დაგეგმვა, არამედ მთელი საქმიანობის როგორც უწყვეტი პროცესის დაგეგმვა. ჩვეულებრივ ბიზნეს-გეგმა დგება კომერციული ორგანიზაციის შექმნის, მსხვილი პროექტების დასაბუთების დროს, რომლებიც გათვალისწინებულია რამდენიმე წელზე.

ბიზნეს-გეგმა, ეს არის აუცილებელი დოკუმენტი:

როგორც მენეჯერებისათვის - რომლებიც დაინტერესებულნი არიან კომპანიის წინსვლით და მომავალი განვითარებით და შესაბამისად კომპანიის რენტაბილობით. სწორედ მათ მიერ ხდება მომავალი სამოქმედო გეგმის შედგენა, მარკეტინგის კომპლექსის დამუშავება, მართვის ორგანიზება, პარტნიორთა და დამფინანსებელთა მოძიება და სხვ.

კომპანიის თანამშრომლებისათვის - რადგან მათ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ბიზნეს-გეგემის შედგენაში. ამ დოკუმენტის გაცნობით თანამშრომლები ღებულობენ უფრო ნათელ წარმოდგენას კომპანიის მომავალ განვითარების გეგმის შესახებ რაც ერთგვარი სტიმულია მათთვის - აქტიური მონაწილეობა მიიღონ მომავალ პერსპექტიულ საქმიანობაში.

პოტენციური ინვესტორებისათვის - მათთვის ბიზნეს-გეგმა არის დოკუმენტი, სადაც ყველაფერი გულმოდგინედ არის მო-

ფიქრებული, გათვლილი და შემოწმებული.

ბიზნეს-გეგმა შეიძლება ასევე მოითხოვოს ოფიციალურმა სახელმწიფო ორგანომ, ამ დოკუმენტის გარეშე კომპანიას არ შეუძლია განახორციელოს ბიზნეს ოპერაციის განზრახული პროექტი.

ბიზნეს–გეგმაში მოცემული უნდა იყოს კომპანიის საწარმოო სიმძლავრეზე საერთო მოთხოვნილება და სტრუქტურა, მათი მოდერნიზაციის აუცილებლობა, ახალი სიმძლავრეების ამოქმედების ვადები, კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, ტექნოლოგიური პროცესი, კონკრეტული პარტნიორები და მათთან თანამშრომლობის პირობები და ა.შ; ბიზნეს-გეგმის შედგენის დროს მნიშვნელოვანია პროექტის რეალიზაციის მსვლელობის პროცესში გეგმაში წარმოდგენილი მაჩვენებლების მუდმივი კონტროლი: კერძოდ, კონკრეტული მახასიათებლების შესახებ მონაცემების მუდმივი მოძიება და პერიოდული გადამოწმება, მოსალოდნელი გადაცდომის შემთხვევაში გეგმაში კორექტირების შეტანა. ჩვეულებრივ კონტროლი ეხება: მარაგებს; საწარმოო პროცესს; პროდუქციის ხარისხს; საბაზრო წილს; დანახარჯების მოცულობას; ცალკეულ სასაქონლო ასორტიმენტის რენტაბელობას; სერვისულ მომსახურებას და ა.შ

იმისათვის, რომ ბიზნეს-გეგმამ შეასრულოს თავისი ფუნქცია, მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები:

- მკაფიოდ იყოს ფორმულირებული გეგმის მიზანი და დაწერილი მარტივი ენით;
- არ აღემატებოდეს 20-25 გვერდს;
- იყოს ყოვლისმომცვლელი და წარმოადგენდეს სრულ, ამომწურავ ინფორმაციას ინვესტორისათვის;
- ეყრდნობოდეს რეალურ მონაცემებს და კვლევებს;
- იყოს დასრულებული, კერძოდ, ასახავდეს დასახული მიზნის მიღწევის სტრატეგიას;
- იყოს კომპლექსური - მოიცვას საწარმოო, მარკეტინგული, საორგანიზაციო და ფინანსურ მახასიათებლები.
- ჰქონდეს პერსპექტიული ხასიათი - უზრუნველყოს მომავალი გეგმის განხორციელება;

- იყოს მანევრირებადი - ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა;

- ჰქონდეს კონტროლის შესაძლებლობა - სამუშაოთა მიმდინარეობის გრაფიკის მეშვეობით.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ბიზნეს–გეგმის შედგენის სტანდარტული ფორმატი არ არსებობს. სხვადასხვა სიტუაციებში ბიზნეს–გეგმა შეიძლება სხვადასხვანაერად აიგოს, ასევე განყოფილებების თანამიმდევრობაც არ იყოს ერთნაერი, მსხვილი პროექტების დასაბუთებისათვის საჭიროა დეტალური ბიზნეს-გეგმა მრავალი განყოფილებით და მაჩვენებლებით, მცირე ბიზნეს ოპერაციის ჩატარების გეგმა შეიძლება იყოს გაცილებით ნაკლებ მასშატბური, მაგრამ საერთო შინაარსი, ამოცანა ყველა გეგმისათვის ერთნაერი რჩება. პრაქტიკულად ყველა ბიზნეს–გეგმა მოიცავს განყოფილებებს: სატიტულო ფურცელი, შესავალი ნაწილი, დარგში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი, პროექტის არსი, მარკეტინგის გეგმა, საწარმოო გეგმა, საორგანიზაციო გეგმა, რისკების გეგმა, საფინანსო გეგმა, დანართები.

Bბიზნეს-გეგმაში აუცილებელია ეფექტური მარკეტინგული გეგმის შედგენა, რომელიც მისცემს მიმართულებას კომპანიის სავაჭრო მარკას, საქონელს და საერთოდ განსაზღვრავს კომპანიის მიზანს. ბიზნეს–გეგმისაგან განსხვავებით, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს უფრო ფართო შეხედულებას კომპანიის მისიაზე, სტრატეგიაზე, რესურსების გადანაწილებაზე მარკეტინგული გეგმას აქვს უფრო განსაზღვრული მასშტაბი. მარკეტინგულ გეგმაში არის კომპანიის სატრტეგიული ამოცანების გადაწყვეტის მოცემულობა, სადაც მომხმარებელი ყოველთვის არის ამოსავალი წერტილი.

მარკეტინგული გეგმით კომპანიას შეუძლია სწორად მოემზადოს ახალი საქონლი გაშვებისათვის ან სწორად განსაზღვროს არსებული საქონლის გასაღების გეგმა. აღსანიშნავია ის, რომ არაკომერციული ორგანიზაციებიც ამუშავებენ მარკეტინგულ გეგმას და ამის საფუძველზე იზიდავენ ფულად სახსრებს, ახდენენ საკუთარი პროგრამის რეალიზებას. (ასევე სახელმწიფო დაწესებულებები ადგენენ მარკეტინგულ გეგმას მაგალითად იმ

მიზნით, რომ უზრუნველყონ მოსახლეობის ინფორმირება ტურიზმის სტიმულირების მიზნით).

მარკეტინგული განყოფილება წარმოადგენს ბიზნეს–გეგმის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, რადგან მასში პირდაპირაა საუბარი წარმოდგენილი ბიზნესის შესაძლებლობები და გათვლილია მომავალ წარმატებაზე. უფრო კონკრეტულად – მარკეტინგული განყოფილება ხსნის თუ როგორ აპირებს „წარმოდგენილი ბიზნესი“ ბაზარზე არსებულ სიტუაციაზე ზემოქმედებას და საქონლის წარმატებული რეალიზაცის უზრუნველყოფას.

მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ისეთი ბიზნეს–გეგმის მომზადება, რომელიც ინვესტორში აღძრავს ამ პროექტის განხორციელების სურვილს. ბიზნეს–გეგმამ უნდა წარმოადგინოს არა მხოლოდ კონცეფცია, არამედ გაყიდოს „ბიზნესი“– როგორც მიმზიდველი წინადადება (საკრედიტო რისკის მხრიდანაც კი) ინვესტორისათვის. გარდა ამისა გეგმის მარკეტინგული პროგრამა უნდა დაიწეროს გასაგები ენით – მენეჯერებისთვის, ბანკირებისათვის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, ვენჩურული კაპიტალის მფლობელებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ კომპანიის წარმატების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პირობაა საქმიანობის მარკეტინგული კუთხით წარმართვა. არის ფაქტები, როდესაც კომპანიამ, რომელსაც ჰქონდა მომხმარებლისათვის სასურველი მაღალხარისხოვანი საქონელი/მომსახურება ბაზარზე განიცადა წარუმატებლობა მარკეტინგის ან არასათანადოდ ან საერთოდ გამოუყენებლობით. ამიტომაც ბიზნეს–გეგმის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მარკეტინგის განყოფილებას. უმეტესობა ვენჩერული კაპიტალის მფლობელებისა თვლიან, რომ – ახალი კომპანიის წარმატებას განაპირობებს საქონელზე და მომსახურებაზე არსებულ მოთხოვნაზე ყურადღების გამახვილება, თუკი ეს წინასწარ არაა განსაზღვრული, მაშინ არანაირი კაპიტალდაბანდება და მოქმედებები ვერ დაეხმარება კომპანიას წარმატების მიღწევაში.

ბიზნეს–გეგმის მარკეტინგულმა განყოფილებამ ნათლად უნდა დაგვანახოს, რომ კომპანიის საქონელი/მომსახურება იქნება მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი და ბაზარზე აითვისებს

სასურველ სეგმენტს. მარკეტინგული განყოფილება ერთგვარად არის ბიზნეს–გეგმის წინა განყოფილებების განმამტკიცებელი და ასახავს ახალი ბიზნესისათვის ბაზრის კვლევის შედეგებს, ახდენს მომხმარებელთა კლასიფიკაციას, შეისწავლის კონკურენტების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ბაზრის გეოგრაფიულ და სხვა ფაქტორებს.

– როგორც წესი მარკეტინგული გეგმა გაბნეულია მთლიან ბიზნეს–გეგმაში და მოიცავს ისეთ განყოფილებებს, როგორიცაა:

_ პროექტის მოკლე დახასიათება – რომელიც განმტკიცებული უნდა იქნას ბიზნესის მარკეტინგული შეფასებით;

– საბაზრო შესაძლებლობების ანალიზი – ბაზრის მოცულობა, კონკურენტები, მომხმარებლები;

– საწარმოო გეგმა – ბაზრის შესაძლებლობისა და არსებული რესურსები თანაფარდობა;

– სტრატეგიული საბაზრო გეგმა – მოიცავს ბაზარზე მოქმედების სტრატეგიას და ტაქტიკას;

– დანართები – რომელიც ამყარებენ ზევით წარმოდგენილ შედეგებს.

ბიზნეს საქმიანობიდან და ბაზრის სირთულიდან გამომდინარე ბიზნეს–გეგმაში მარკეტინგის გეგმა წარმოდგენილია სხვადასხვაგვარად. ზოგიერთი ბიზნესი მოითხოვს დამაჯერებელ მარკეტინგულ პროგრამას, ზოგიერთისთვის კი მარკეტინგის განყოფილების სიღრმისეული აღწერა ნაკლებ მნიშვნელოვანია. ერთი რამ კი ცხადია – ნებისმიერი ბიზნესი მოითხოვს გაყიდვების მოცულობის იმ ზომის დადგენას, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის სიცოცხლიუნარიანობას. ამიტომაც გონიერი მარკეტინგული პროგრამა თამაშობს მნიშვნელოვან როლს ბიზნესის განვითარებაში. ბიზნეს-გეგმის მარკეტინგული განყოფილების დამუშავებამდე უნდა;

1. გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემო ფაქტორებზე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბ ზეგავლენას მოახდენს ამ ბიზნესზე. მათ შორის მნიშვნელოვანია არსებული კონკურენცია, საკანონმდებლო რეგულირება .

2. ჩატარდეს ბაზრის კვლევა - თუ როგორია ბაზრის მოთხოვ-

ნა და კომპანიის მხრიდან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობები - ასევე, წინასწარ აღვწეროთ საქონელი, შევაფასოთ ბაზრის ცალკეული სეგმენტი, დავადგინოთ მოთხოვნის და გასაღების სავარაუდო მოცულობა - მართალია დეტალური ფინანსური გაანგარიშება ასახულია ბიზნეს–გეგმის ფინანსურ განყოფილებაში, მაგრამ მიმაჩნია, რომ გაყიდვების სავარაუდო მოცულობის ჩვენება მარკეტინგულ განყოფილებაშიც ეფექტურია ინვესტორისათვის, რაც დაეხმარება უფრო სწრაფად გაერკვეს ბაზარზე არსებული მდგომარეობაში, შეაფასოს წარმოდგენილი პროექტი და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

3. განვსაზღვროთ მარკეტინგის სტრატეგია, სხვაგვარად რომ ვთქვათ – უნდა განვმარტოთ თუ როგორ გამოიყენებს ბიზნესი მარკეტინგულ საშუალებებს, ანუ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა გასაღება, რეკლამა, საქონლის მოძრაობა, ფასწარმოქმნა, გაყიდვების სტიმულირება და სავაჭრო ობიექტების განლაგება და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ მარკეტინგული გეგმა დანაწევრებულია კომპანიის განვითარების ეტაპების შესაბამისად, დგება კომპანიის საქმიანობის განვითარების გრაფიკი, რომელიც მოიცავს მთლიან ბიზნეს–გეგმას და ამ გრაფიკის შესაბამის მარკეტინგულ სტრატეგიას.

მარკეტინგის გეგმა - მკაფიოდ განსაზღვრავს მარკეტინგის კომპლექსის ყველა ელემენტს და მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, ვის მიერ, როდის, რა საშუალებებია ამისათვის საჭირო. მარკეტინგის გეგმა ძირითადად მოიცავს:

- ბაზრის კომპლექსურ გამოკვლევას - ესაა გამოკვლევები პროექტის განხორციელების პროცესში (საცდელი გაყიდვები და გასაღების პირველად მონაცემები, კვლევისათვის საჭირო ბიუჯეტი);

- პროდუქციის/მომსახურების ასორტიმენტი და მოცულობის გეგმას - ბიზნეს-გეგმამ ნათლად უნდა წარმოაჩინოს ფირმის საქონლის უპირატესობა, უნიკალური თვისებები კონკურენტი ფირმების საქონლის ანალოგიურ სახეებთან შედარებით. პროექტმა უნდა წარმოაჩინოს ის სარგებელი რასაც მიიღებს მომხმარებელი ფირმის პროდუქტის შეძენით;

- სასიცოცხლო ციკლის ცალკეულ ეტაპების შესაბამისად ხარისხის სრულყოფის ღონისძიებების გეგმას, კონკურენტთა სავარაუდო რეაქციის გათვალისწინებით;

- მოთხოვნებს შეფუთვაზე, მის პარამეტრზე და გარეგნულ იერსახეზე;

- დასაბუთებულ საფასო პოლიტიკას (ცალკეულ სასაქონლო ასორტიმენტისათვის ფასების წინასწარ განსაზღვრას, ფასდაკლებების და მომხმარებელთა სავარაუდო რეაქციის გათვალისწინებით.) ;

- გასაღების დაგეგმვას (ცალკეული რეგიონების, სასაქონლო ასორტიმენტის, სეზონური და სხვა ფაქტორთა გათვალისწინებით გასაღების მოცულობის, საორგანიზაციო სავარაუდო დანახარჯების დადგენა);

- საქონლის მოძრაობის დაგეგმვას (სასაქონლო მარაგებთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან, სასაწყობო მეურნეობასთან დაკავშირებული პოლიტიკის განსაზღვრა);

- სარეკლამო პოლიტიკის დაგეგმვას (ძირითადი მიზანი, სარეკლამო არხების დადგენა, ბიუჯეტი);

- სერვისის დაგეგმვას (მისი როლი, ორგანიზების პრინციპი, შემსრულებლები, დანახარჯები);

- მარკეტინგული კონტროლის სისტემას (მაკონტროლებელი მექანიზმები, კონტროლის პერიოდულობა, გეგმასა და ფაქტს შორის გადახრის დასაშვები მოცულობის დადგენა, პასუხისმგელი პირების, თუ განყოფილებების განსაზღვრა);

- დამატებით დოკუმენტებს - მიზანშეწონილია ბიზნეს–გეგმის მარკეტინგული ნაწილი განმტკიცდეს დამამტკიცებელი დოკუმენტებით: კონკრეტული სფეროს კვლევის ამსახველი მასალებით, ბუკლეტებით საქონლის/მომსახურების შესახებ. სხვა საორგანიზაციო ელემენტებს, როგორიცაა: პაბლიკრილეიშენი, გასაღების სტიმულირება, წარმოების ბრენდიგი და სხვა ღონისძიებები მათი ბიუჯეტის გათვალისწინებით);

დასკვნა. ამრიგად, ბიზნეს–გეგმის მარკეტინგულ განყოფილებაში კარგად უნდა სჩანდეს წარმოდგენილი პროექტის მთელი მიმზიდველობა და პასუხს უნდა სცემდეს კითხვებს:

კარგად არის თუ არა შესწავლილი ბაზრის მოთხოვნები?

– დამაჯერებლად არის თუ არა წარმოდგენილი საქონლის/ მომსახურების გაყიდვების სავარაუდო მოცულობა?

– დამაჯერებელია თუ არა მარკეტინგულ განყოფილებაში წარმოდგენილი არგუმენტები ინვესტორისათვის?

– იძლევა ეს განყოფილება საფუძველს ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიის განხორციალებისათვის?

– რამდენად კითხვადი და საინტერესოდაა წარმოდგენილი ბიზნეს–გეგმაში მარკეტინგული განყოფილება?

და ბოლოს, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ბიზნეს-გეგმის მარკეტინგულმა ნაწილმა უნდა დაარწმუნოს პოტენციური ინვესტორი იმაში, რომ გეგმა მარკეტინგულად მზადაა შესრულებისათვის;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბ., 2014 წ გვ. 34;

2. Друкер ф. П. Энциклопедия Мереджмента; Москва-Санктпетербург-Киев 2004, გვ.128;

3. Котлер Ф. Маркетинг-менеджмент. Пер. с англ. М., 2005. გვ 132;

4. Котлер Ф. Маркетинг от А до Я Пер. с англ. 5-е издание М., 2013. გვ 93;

5. Филип Котлер и Гари Армстонг «Основы Маркетинга» професиональное издание 12-у шздание М2009. გვ.1018

6. Романова А.Н. Маркетинг, Москва, 1998 გვ. 422;

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://library.iliauni.edu.ge

2. http://geoeconomics.ge/

3. http://www.nplg.gov.ge

REFERENCES:

1.Abralava. A. “The Innovative Global Problems of Economy and Business” Tbilisi 2014. Publised by “Graali” page 34 (in Georgian Language);

2. Druker Peter. The Essential Drucker Selection from the Management Works; Moscow Publeshed by Viliams 2004. Page 128 (in Russian Language);

3. Kotler Ph. Marketing Management . Moscow 2005 page 132 (in Russian Language);

4. Kotler Philip “Marketing from A to W” 2013 Moscow page 93 (in Russian Language);

5. Kotler Philip, Gary Armstrong. 12th Edition. Principles of Marketing. Moscow 2009 pages 1018 (in Russian Language);

6. Romanova A.N. Marketing 1995 , page 422 (in Russian Language).

Web Resources:

4. http://library.iliauni.edu.ge

5. http://geoeconomics.ge/

6. http://www.nplg.gov.ge

THE FIRM'S BUSINESS PLAN AND ITS RELATION TO MARKETING PROGRAM

ANNA TSULAIA,
CIU , PhD Student

RESUME

The business plan is a document that includes the company's goal, the way how to achieve it and the final financial results. The firm's business plan allows the firm to understand the growth prospects of its activities, to take into account the expected changes and the problems that arise in the future, to control the operations and to assess the level of their own business progression. The referred work discusses the relationship between the business plan and the company's marketing programs. Although the business plans, by contrast, represent a broad view of the company's mission, strategy, the marketing plan for the allocation of resources has a more defined scope; But the marketing plan is the basis for the company's strategy where the customer is always the starting point.

The assessment of the business plan, the special attention is given to the marketing department, because the new company will focus on providing goods and services, if it is not determined in advance , none of the investments and actions will help the company to succeed.

Thus, an effective marketing plan for the business plan is required, which will give the direction to the company's trademarks, goods, and generally determine the company's goal.

Keywords: Business plan, Marketing, Marketing Department, Market Research, Customer, Marketing Strategy.

ONLAIN DA OFLAIN MARKETINGIS ARSI DA MATI ROLI TANAMEDROVE BIZNESSI

გიორგი ქაშიბაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის
მართვის სკოლის დოქტორანტი

რეზიუმე

ინტერნეტმა ფუნდამენტალურად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტი, ხოლო ბოლო 20 წელიწადში მიღწეულმა ტექნოლოგიურმა სრულყოფამ, ადამიანი დამოკიდებული გახადა მასზე. გამარტივდა კავშირი სამყაროსთან, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ბიზნესის შესაძლებლობები. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად, ბიზნეს სუბიექტები განაგრძობენ ონლაინ-მარკეტინგული შეთავაზებების დახვეწას, რათა მიაღწიონ უფრო დიდი რაოდენობის პოტენციურ მყიდველებამდე, ვიდრე მანამდე ჰყავდათ. სტატიაში განხილულია ონლაინ და ოფლაინ მარკეტინგის არსი, მათ შორის განსხვავება და მათი ფუნქციების ურთიერთკავშირი, ასევე წარმოდგენილია ინტერნეტ-მარკეტინგის როლი ბიზნესში.

ონლაინ-მარკეტინგული ფუნქციები და ინსტრუმენტები უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენენ არა მარტო ინტერნეტ პროდუქტებსა და მომსახურებაზე, არამედ ტრადიციულ ბაზრებზეც. ონლაინ ბაზრები დინამიკურია იმ ადგილებში, სადაც მომხმარებლები და მიმწოდებლები არიან გახსნილები, ადვილად ცვლიან ინფორმაციას და მარტივად იღებენ გადაწყვეტილებებს. ონლაინ მარკეტინგის ინსტრუმენტები ქმნიან შესაძლებლობას ახალი მიზნებისა და ამოცანებისთვის, რომლებიც ახალ სტრატეგიებს მოითხოვენ.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, ონლაინ მარკეტინგი, ოფლაინ მარკეტინგი, 4P, ბიზნესი.

შესავალი

კომპანიებმა მთელს მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც, გააცნობიერეს ინტერნეტის მნიშვნელობა, ის თუ რა ღირებულების შექმნა შეუძლია ბიზნესისთვის ტექნოლოგიურ მიღწევებს. მათ უკვე აქვთ საშუალება სწრაფად და იაფად დაუკავშირდნენ მომხმარებლებს, ასევე მიიზიდონ ახალი მომხმარებლები. დროთა განმავლობაში, მარკეტინგმა გადაინაცვლა ონლაინ რეჟიმში. ის, რაც ადრე ოფლაინ რეჟიმში იყო აქტუალური, დღეს ონლაინ რეჟიმშია პოპულარული. კომპანიებმაც აქტიურად დაიწყეს ონლაინ მარკეტინგის გამოყენება. მარკეტერებმა თავიანთი ძალისხმევა ონლაინ აქტიურობისკენ მიმართეს, რადგან ის იაფ საშუალებას წარმოადგენს. კომპანიებს შეუძლიათ სრულიად უფასოდ ატვირთონ ვიდეოები YouTube-ზე ან შექმნან საკუთარი ბლოგი და ფართო აუდიტორიას მიაწოდონ ინფორმაცია პროდუქტისა თუ კომპანიის შესახებ. გარდა ამისა, ისეთი მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებები, როგორიც არის ოფიციალური ვებ-გვერდი, უფრო იაფია, ვიდრე სატელევიზიო კამპანიაში გადახდილი თანხა. ვები კომპანიებს ასევე სთავაზობს თავიანთი მომხმარებლების გაცნობის ახალ საინტერესო შესაძლებლობებს. ინტერაქციულ სივრცეში, ინტერნეტის გამოყენებით, კომპანიებს უმარტივდებათ მომხმარებლების სეგმენტირება, დემოგრაფიის მიხედვით მონაცემების ანალიზი, მომხმარებელთა უპირატესობების შესწავლა და ონლაინ ქცევა. ეს მონაცემები საშუალებას აძლევს კომპანიებს უფრო პერსონალური გახადონ მარკეტინგული საქმიანობა და განათავსონ რეკლამები მომხმარებლების სეგმენტების მიხედვით.

ძირითადი ნაწილი

1. ონლაინ მარკეტინგი. ონლაინ მარკეტინგი აერთიანებს მარკეტინგული სტრატეგიების ფართო სპექტრს, რომელიც მოითხოვს ტრადიციული სტრატეგიების გააზრებასა და ტექნოლოგიურ განვითარებას. ბიზნესს უნდა ესმოდეს ონლაინ მარკეტინგის ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა განავითაროს შესაბამისი სტრატეგიები და მარკეტინგული გეგმის შედგენამდე ყველა ასპექტის ანალიზი მოახდინოს.

კომპანია, თავდაპირველად, განსაზღვრავს თავის პროდუქტს და სამიზნე აუდიტორიას, რათა განსხვავებული სეგმენტებისთვის სხვადასხვა სარეკლამო სტრატეგიები განახორციელოს. მას შემდეგ, რაც კომპანია შექმნის ზოგად სტრატეგიას, მას შეუძლია დაიწყოს ონლაინ-აქტივობის განვითარება. ეს შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს ვიდეოს წარმოებიდან დაწყებული ვებ-საიტების შექმნით დამთავრებული. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გარდა, ვებ-მარკეტინგი არის ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ტექსტი და ესთეტიკა. კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი მარკეტინგული შეტყობინებები ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის, მიუხედავად იმისა, რა ტექნოლოგიურ საშუალებებს იყენებენ მომხმარებლები.

ინტერნეტში რეკლამის განთავსების შემდეგ, კომპანიები ეცნობიან მათი აქტივობების შედეგებს. ვებ-მარკეტინგი კომპანიებს უადვილებს თავიანთი ვებ-გვერდების წარმატებისთვის თვალყურის დევნებას. ყოველთვის, როდესაც მომხმარებელი კომპანიის სარეკლამო ბანერს დააკლიკებს ან ნახავს ვიდეო- რგოლს, კომპანიებს ამის შესახებ სრული ინფორმაცია მისდით. თუ საიტის მიზანი მიღწეულია, მაშინ კამპანია წარმატებულად ჩაითვლება. იმ შემთხვევაში თუ აქტივობა დაბალია, კომპანიამ უნდა განაახლოს სარეკლამო სტრატეგიები. საიტის მიზანია კომპანიით ან/და მისი პროდუქტით თუ მომსახურებით დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია. ინფორმაციულ ეპოქაში, მომხმარებლები კონკრეტულ ინფორმაციას კომპანიის ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის საშუალებით ღებულობენ. საიტის მიზანს ყოველთვის არ წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება და ის შეიძლება ვიზიტორთა გაზრდისკენ იყოს მიმართული. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა კი, თავის მხრივ, კომპანიის იმიჯზე დადებით ზეგავლენას ახდენს. მაგალითად, კომპანია Sony-მ შექმნა ინტერფეისი, რომელიც ვიზიტორებს საშუალებას აძლევს საიტზე საოფისე შენობებისთვის განათების სისტემა აკონტროლონ. საიტის საშუალებით შესაძლებელი იყო ფერისა და განათების შეცვლა. ეს იყო ახალი Sony TV-ის კამპანიის ნაწილი და ონლაინში მიაღწია რეკორდულ მაჩვენებლებს.

ვებ-გვერდების განვითარებითა და დამატებითი უპირატესობების შეთავაზებით, კომპანიები ლოიალურ მომხმარებლებს იძენენ და ახალ, პოტენციურ მომხმარებლებს მიიზიდავენ.

2. ონლაინ მარკეტინგის ტიპები. ინტერნეტი არის ინტერაქტიული, მულტიმედიური სივრცე მუდმივად მზარდი მომხმარებლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს უამრავი გზა პოტენციურ კლიენტებთან მისაღწევად. სწორედ მომხმარებლებთან საურთიერთოდ გამოიყენება ონლაინ მარკეტინგული ტიპები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

Display Advertising იყენებს ბანერს და სხვა გრაფიკულ რეკლამებს ონლაინ რეჟიმში პროდუქტის გასაყიდად. მაგალითად, გერმანული მანქანების გაქირავების კომპანიამ Sixt, გამოიყენა ინოვაცია Google ads-ის დახმარებით. პატარა, ორხაზიანმა რეკლამამ კარგი შედეგები აჩვენა. იმის ნაცვლად, რომ ტექსტი განეთავსებინათ, მათ შექმნეს მანქანების პატარა სურათები.

Search Engine Marketing (SEM) - საძიებო სისტემის გამოყენებით, ინტერნეტის მომხმარებლებს ეხმარება, მოიძიონ მათთვის საინტერესო პროდუქტი ან/და სერვისი. კომპანიებს შეუძლიათ საძიებო სისტემების რეიტინგში წინა პოზიციების დასაკავებლად თანხა გადაიხადონ.

Search Engine Optimization არის უფასო საშუალება, რისი მეშვეობითაც საძიებო სისტემებში კომპანიების ხილვადობის გაუმჯობესებაა შესაძლებელი.

Social Media Marketing - მომხმარებლებთან დასაკავშირებლად გამოიყენება სოციალური მედიის ისეთი საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად, Facebook, Twitter.

Email Marketing - დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ელექტრონული წერილები, რომლის მიზანია მომხმარებელთა ყურადღების მიპყრობა და პოტენციური მყიდველების მოზიდვა. მაგალითად, სწრაფი კვების ქსელმა - Burger King, მომხმარებლებს უფასო ბურგერები შესთავაზა იმ შემთხვევაში, თუ ისინი 10 მეგობარს ელექტრონულ ფოსტას გაუგზავნიდნენ.

Referral Marketing - მომხმარებელთა ხელშესაწყობად გამოიყ-

ენება ინტერნეტ არხები, რათა შესაძლებელი გახდეს მეგობრებისა და ოჯახის წევრებისათვის პროდუქტის შესახებ რეკომენდაციების გაწევა.

Affiliate Marketing მუშაობს სხვა ბიზნესებთან ერთად, რათა მომხმარებლებს გაუადვილდეთ პროდუქტის შეძენა ონლაინ რეჟიმში.

Inbound Marketing - მარკეტინგული აქტივობა, რომლის მიზანია ვიზიტორების რაოდენობის გაზრდა საინტერესო და კრეატიული კონტენტით (ბლოგები, თამაშები და სხვა), მომხმარებლის ყურადღების მიპყრობა, ასევე კომპანიას ეხმარება, რომ ადვილად მოიძებნოს ინტერნეტში.

Video Marketing იყენებს ონლაინ ვიდეოებს სარეკლამო მიზნებისათვის. ვიდეო მარკეტინგის ნიმუშია კომპანია John Deere, რომელმაც შექმნა ვიდეოების სერია, სადაც მათი ტრაქტორის ბრენდის სიმბოლო სახეცვლილი და მოდერნიზებული იყო. ვიდეოებს ჰქონდათ ასიათასობით ნახვა.

დღესდღეობით, ბიზნეს სუბიექტები ავითარებენ თავიანთ ონლაინ პლატფორმას. უფასო ნიმუშები საიტების პროფესიონალურ დონეზე განვითარების საშუალებას იძლევა. სოციალური მედიის პროფილებიც ასევე უფასო და ხელმისაწვდომია მილიონობით ადამიანისთვის. კომპანიებისთვის, რომლებიც პროდუქტებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ყიდიან, ყველაზე მეტად მოსახერხებელია ონლაინ-მარკეტინგული აქტივობა. ზოგიერთ ბიზნეს სუბიექტს არ აქვს შესაძლებლობა დაუკავშირდეს მომხმარებლებს სხვა ქვეყანაში. დიდ კომპანიებს გლობალურ ბაზარზე გასასვლელად სჭირდებათ აგრესიული მარკეტინგული კამპანია. ამიტომ მომხმარებლებთან დასაკავშირებლად უფრო იოლი გზა არის ინტერნეტკავშირი.

3. ონლაინ და ოფლაინ მარკეტინგული ფუნქციების ურთიერთკავშირი. ყველა მარკეტინგული საქმიანობა და ინსტრუმენტი თავმოყრილია მარკეტინგულ კომპლექსში და მას “4P”-ს უწოდებენ. კოტლერის განმარტებით, 4P შემდეგ ელემენტებს მოიცავს: Product, Price, Place და Promotion (პროდუქტი, ფასი, ადგი-

ლი, სტიმულირება). იმისათვის, რომ უფრო ნათელი იყოს ონლაინ და ოფლაინ მარკეტინგის მნიშვნელობები, საჭიროა სხვადასხვა ბაზრებს შორის განსხვავებების გაანალიზება. აქედან გამომდინარე, კონკრეტული სტრატეგია და მიზანი უნდა შემუშავდეს იმ ბაზრისთვის, რომელზეც კომპანია ოპერირებს.

საერთოდ **პროდუქტი** არ შეიძლება განისაზღვროს ონლაინ ან ოფლაინ პროდუქტად (Kotler & Armstrong, 2008). ერთ მხარეს პროდუქტის მნიშვნელობა დგას და მეორე მხარეს პროდუქტის განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორია მისი ასორტიმენტი. იგი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს პროდუქტის კონცეფციის შემუშავებაზე, რომელიც განსაზღვრავს მიზნებსა და პროდუქტის მართვის სტრატეგიებს.

ონლაინ პროდუქტი ხელს უწყობს ახალი გარემოს ჩამოყალიბებას. პროდუქტზე ზეგავლენა აისახება ონლაინ და ოფლაინ მარკეტინგის ფუნქციებსა და მათ ინსტრუმენტებზე. უფრო მეტიც, ოფლაინ პროდუქტი გარდაიქმნება ონლაინ რეჟიმში. მაღაზიაში განთავსებული პროდუქტის მახასიათებლების, როგორც ფიზიკური მტკიცებულების, დრო და ადგილი განსხვავდება ონლაინ მაღაზიისგან. პროდუქტის მახასიათებლები აღარ არის წინა პლანზე და ის ჩანაცვლებულია ინფორმაციით. აქედან გამომდინარე, ონლაინ რეჟიმი უშუალოდ გავლენას ახდენს პროდუქტის გარიგების ფაზებზე, ასევე სტრატეგიაზე, ფასსა და ბევრ სხვა ასპექტზე.

ინტეგრირებული მარკეტინგული პროდუქტი რთული სტრუქტურით ხასიათდება, რომელიც ონლაინ და ოფლაინ მარკეტინგულ სტრუქტურასთანაა დაკავშირებული. მზა პროდუქტი მოითხოვს ახალი სტრატეგიების შემუშავებას ინტეგრირებული მარკეტინგული მიქსისთვის. ყველა მარკეტინგული ფუნქციისა და ინსტრუმენტის ინტეგრირება უნდა მოხდეს, რათა შესაძლებელი გახდეს მიზნების, ამოცანებისა და ახალი სტრატეგიის შემუშავება.

ფასის დადგენისას, ტრადიციულად, კომპანიამ უნდა განიხილოს 6 მნიშვნელოვანი ფაქტორი: 1. შეადგინოს საფასო მიზანი (მიდგომა, პოლიტიკა); 2. განსაზღვროს მოთხოვნა; 3. ხარჯების

შეფასება; 4. კონკურენტის ხარჯების, ფასებისა და შეთავაზებების ანალიზი; 5. შერჩევა და საფასო პოლიტიკის მეთოდის დადგენა; 6. საბოლოო ფასის დადგენა (Kotler, Keler, Brady, Goodman & Hansen, 2009).

ელექტრონული კომერციის ფასი განსხვავებულია. „ერთი ფასის კანონი" არ მოქმედებს ონლაინ ბაზრებზე (Baye, Morgan, & Scholten, 2007). ონლაინ რეჟიმში, იდენტური პროდუქტის ფასი განსხვავებულია სხვადასხვა საიტზე, ერთსა და იმავე პროდუქტს არ აქვს ერთი და იგივე ფასი ინტერნეტში, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაზარი ერთ ფასზე ვერ თანხმდება, როგორც ეს ოფლაინ ბაზარზე საცალო გაყიდვების დროს ხდება.

ინტერნეტი არის გლობალური ბაზარი, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია და გამოსაყენებლად მარტივი. საცალო მოვაჭრეთათვის ადვილია მომხმარებლებთან დაკავშირება ინტერნეტის მეშვეობით, სადაც პროდუქტის ფასი და ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. კომპანიები ონლაინში ქმნიან ისეთ ინოვაციურ საფასო სტრატეგიას, რომელიც ოფლაინ ბაზრისთვის არ არის მიზანშეწონილი (Baye, Kattuman, & Morgan, 2007).

ონლაინში მომხმარებლებს აქვთ საშუალება სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით პროდუქციები ერთმანეთს შეადარონ. ინტერნეტ კონკურენტები ძალიან მგრძნობიარეები არიან საფასო პოლიტიკის ცვალებადობის მიმართ, ამიტომ ფასის მართვა მოითხოვს მუდმივ მონიტორინგსა და შესაბამის რეაგირებას ონლაინ ბაზრებზე (Baye, Kattuman, & Morgan, 2007).

ონლაინ ბაზარი არის ძალიან დინამიკური ადგილი მომხმარებლებისა და მიმწოდებლებისთვის, რათა მოიძიონ და გამოიყენონ ინფორმაცია, რაც დაეხმარებათ გადაწყვეტილების მიღებაში. ამ დინამიკურ გარემოში საფასო პოლიტიკა არის ძალიან მოქნილი, ხოლო საფასო მგრძნობელობა მომხმარებლებისთვის - ძალიან მაღალი.

სტიმულირება. ონლაინ მარკეტინგი არის ყველაზე სწრაფად მზარდი პირდაპირი მარკეტინგი (Kotler & Armstrong, 2010). თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომ მარკეტინგული მიქსი შედგება პირდაპირი მარკეტინგისგან და სხვა ინსტრუმენტები-

სგან (Trehan & Trehan, 2007), რომელსაც კომპანიები იყენებენ სარეკლამო და მარკეტინგული მიზნების განსახორციელებლად (Armstrong, Harker, Kotler & Brennan, 2009). აქედან გამომდინარე, ონლაინ მარკეტინგი განიხილება მარკეტინგული მიქსის ნაწილად. კომპანიის მთლიანი ონლაინ მარკეტინგული პოტენციალი ორიენტირებულია ვებ-გვერდზე ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდაზე. ონლაინ სტიმულირების, როგორც ინტერნეტ მარკეტინგის გასაღების, მიზანია ხელი შეუწყოს კომპანიის პროდუქტის ან იდეის გამოყენებას (SPASIC, 2010). გარდა ამისა, ონლაინ სტიმულირებისას განხილულია ყველა ონლაინ მარკეტინგული ხელსაწყო, როგორიცაა მარკეტინგი, სოციალური მარკეტინგი, იმეილ მარკეტინგი, ვირუსული მარკეტინგი და სხვა.

დღესდღეობით ცხადია, რომ ონლაინ სტიმულირება განსხვავდება ოფლაინ სტიმულირებისგან. ამდენად, ონლაინ სტიმულირება არ არის მხოლოდ პოპულარული ვებ-გვერდის შექმნა და ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა, ეს არის უფრო კომპლექსური ონლაინ მარკეტინგული ფუნქცია.

ადგილი, ჩვეულებრივ, განისაზღვრება, როგორც პროდუქტის შეძენის შესაძლებლობა. ხშირად მას განიხილავენ, როგორც სადისტრიბუციო არხს. ოფლაინ მარკეტინგში ადგილი მოიცავს ნებისმიერ ფიზიკურ მაღაზიას, ხოლო ონლაინ მარკეტინგში - ვირტუალურ მაღაზიას.

კოტლერი და არმსტრონგი (Kotler & Armstrong, 2010) განმარტავენ, რომ ონლაინ მარკეტინგი არის პირდაპირი მარკეტინგის ერთ-ერთი ფორმა. მათ, ამ მოსაზრების გასამყარებლად, მაგალითად მოჰყავთ Amazon.com და მიიჩნევენ, რომ მომხმარებელსა და მიმწოდებელს აქვთ პირდაპირი კავშირი. შესაბამისად, ისინი ასკვნიან, რომ კომპიუტერი არის ადგილი, სადაც მომხმარებელი და მიმწოდებელი ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან და ამყარებენ კავშირს (Kotler & Armstrong, 2010).

ჩაფი და სმითი (Chaffey & Smith, 2008) თავიანთ კონცეფციაში, ადგილის განსაზღვრისას გამოყოფენ 3 მნიშვნელოვან ფაქტორს: შეძენა, განაწილება და მოხმარება. მათ გამოიყენეს სამივე ასპექტი ონლაინ რეჟიმში იმის საჩვენებლად, თუ როგორ თანამშ-

რომლობს ონლაინ ადგილი მარკეტინგულ პროდუქტებთან. ჩაფი განსაზღვრავს ონლაინ ბაზრობას, როგორც ვირტუალურ ბაზარს, სადაც არ არის პირდაპირ კონტაქტი მყიდველებსა და გამყიდველებს შორის. ამდენად, ონლაინ ბაზარი არის ქსელი (ინტერნეტში) და არა პერსონალური კომპიუტერი და ამიტომ გამყიდველს არ აქვს პირდაპირი ზეგავლენა მყიდველზე. კავშირი მყარდება ამ ორ სუბიექტს შორის კომპიუტერისა და მობილური ტელეფონების გამოყენებით ონლაინ ბაზრებზე.

დასკვნა

მარკეტინგი, მიუხედავად იმისა, ხორციელდება ონლაინ თუ ოფლაინ რეჟიმში, განხილული უნდა იქნეს ორი ასპექტის გათვალისწინებით: პრაქტიკული განხორციელება და თეორიული ინტერპრეტაცია. თეორიულ ინტერპრეტაციაში, ონლაინ მარკეტინგის ფუნქციები და ინსტრუმენტები განსხვავდება ოფლაინისგან. ონლაინ ბაზრები დინამიკურია იმ ადგილებში, სადაც მომხმარებლები და მიმწოდებლები არიან გახსნილები, ადვილად იზიარებენ ინფორმაციას და ძალიან მარტივად იღებენ გადაწყვეტილებებს.

ამდენად, შესამჩნევია ონლაინ მარკეტინგის განვითარების სწრაფი ზრდის ტენდენცია. მარკეტინგული ფუნქციები და ინსტრუმენტები უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენენ არა მარტო ონლაინ პროდუქტებსა და მომსახურებაზე, არამედ ოფლაინზეც. ეს ახალი მარკეტინგის ფორმა - ონლაინ მარკეტინგი, დაიწყო, როგორც ონლაინ სარეკლამო ინსტრუმენტი, განვითარდა და თეორიულად, დამოუკიდებელი გახდა, და უკვე აღარ არის ოფლაინ მარკეტინგის ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Armstrong, G., Harker, M., Kotler, P., & Brennan, R. (2009). Marketing an Introduction (ilustrated., p.648).

2. Baye, M. R., Kattuman, P., & Morgan, J. (2007). A Dashboard for Online Pricing. Business (pp. 1-22).

3. Chaffey, D. (2007a). E-business and e-commerce management (p. 547). Prentice Hall.

4. Chaffey, D. (2008a). Online Promotion Definition. Retrieved December 29, 2010, from

http://www.davechaffey.com/E-marketing-Glossary/Online-Promotion.htm.

5. Chaffey, Dave, & Smith, P. R. (2008). eMarketing eXcellence: planning and optimizing your digitalmarketing (3rd ed., p. 508). Butterworth-Heineman.

6. Kotler, P., & Armstrong, G. (2008). Principles of marketing (12nd ed., p. 599). Pearson/Prentice Hall,University of California.

7. Kotler, P., Keller, K., Brady, M., Goodman, M., & Hansen, T. (2009). Marketing management (p. 928).Pearson Education.

8. Kotler, P., & Armstrong, G. (2010). Principles of marketing (13rd ed., p. 613). Pearson Education.

9. Skender Mustafi, Lionel Jost, Tuan Nguyen (2011). The Relationship between Online and Offline Marketing.

10. Trehan, M., & Trehan, R. (2007). Advertising and Sales Management (p. 348). FK Publications.

THE ESSENCE OF ONLINE AND OFFLINE MARKETING AND THEIR ROLE IN MODERN BUSINESS

Giorgi Kashibadze
PhD Student,
School of Economics and Business Administration
St. Andrew the First Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia

RESUME

The Internet has fundamentally changed all aspects of our life, and technological advances achieved in the last 20 years have made people dependent on them. Connecting with the world has been simplified, which has lead to the growth of the business opportunities greatly. Hand in hand with the development of the Internet, businesses continue improving the online marketing offers to reach more potential customers than they had before. The article discusses the essence of online and offline marketing, differences between them and the interrelations of their functions. It presents as well the role of internet marketing for business. More and more, the functions and tools of internet marketing strongly influence not only on the online products and services but also on the traditional offline markets. Online markets are dynamic in the places where customers and suppliers are open, easily share information, and simply make decisions. Online marketing tools are creating the possibilities for the new objectives and goals, which, for its part, require the new strategies.

Keywords: Marketing, Online Marketing, Offline Marketing, 4P, Business.

СТРАНА ЛИДЕР В ЗАКАВКАЗИИ ПО ЭНЕРГОНОСИТЕЛЯМ

Мераб Келенджеридзе
д.э.н., ГТУ-Профессор
Абдулаев Расим
Студент, ГТУ-магистр.

Основной базовый сырьевой показатель - НЕФТЯННОЕ ТОПЛИВО и воспроизводимые из неё продукции : БЕНЗИН, НЕФТЬ, БИТУМ, ШИНЫ и мн. другие являются кллючевыми, для современной мировой цивилизации в виде, топливно – энергетического рессурса, которые и являются основой деятельности *производственных комплексов , транспортных средств, жилищно- коммунального сектора* и всего социально-экономического спектра национального хозяйства.

Значение данного - энергетического рессурса, в современном национальном хозяйстве, давно вышло за допустимые рамки технико-экономической деятельности. Нефть – не только и не столько топливо, но как *А К Т И В* , стоимость которого связана со сложными финансовыми и экономическими процессами - стал ведущим, лидирующим и определяющим индикатором состояния мировой экономики.

Этот показатель стал важнейшим механизмом передачи воздействия финансовых процессов на повседневную жизнь населения, не только посредством ценовой политики на нефтепродукты и другие энергетические показатели и услуги, но и через изменения социально – экономического положения стран и регионов в мире .

В результате колебания нефтянных цен. Очевидно такое воздействие с о стороны не до конца изученных финансовых процессов визывает большой научно – общественный интерес.

Весьма значительнное влияние на мировой рынок нефти оказывает ГЕОПОЛИТИЧЕСКОЕ процессы, инициированные государствами, занимающими выгодное географическое и экономическое

положение в том или ином регионе либо в мире в целом.

ГЕОПОЛИТИЧЕСКИЕ и ГЕОЭКОНОМИЧЕСКИЕ факторные аспекты лежат в основе ряда крупных проектов в мировой нефтегазовой отрасли , начало работ по которым не возможно обяснить только процесом ИНВЕСТИЦИОННОГО анализа.

Существующая тесная взаимосвязь ГЕОПОЛИТИКИ стран-потребителей и стран – производителей энергетических ресурсов , влияние ГЕОПОЛИТИЧЕСКИХ факторов на мировую ценовую политику на нефть , как регулятора мировой экономики –и определяет актуальность проведения исследовании .

Цены - на мировых рынках являются показателем роста и развития *Мировой Экономики.*

В настоящее время наиболее популярными являются марки :

- BRENT
- LIGHT SWEET

Увеличение спроса на нефть и ценовой политики - сигнализирует Инвестору , об оживлении в производственной сфере деятельности.

Снижение спроса - указывает на появление негативной динамики на рынке нефти, тенденция которого влечёт за собой - ухудшения ряда социально – экономических и материально – моральных показателей развития госсударства и его общественности.

Использование стоимости нефти за *1 баррель т.е. 159 литров*, как индикатор определяющий единицу ценовой политики нефти , имеет важное значение для торгов на товарных биржах и рынках , т.к. эти финансовые инструменты прямолинейно связаны с промышленным сектором деятельности.

Барель нефти сегодня стал своего рода индикатором стабильности и если рост цен на нефть на мировых биржах сопровождается активностью рыночных игроков , который считается положительным сигналом для инвестирования для рынка «ЧЕРНОГО ЗОЛОТА».

Европа за последний период начала ДИВЕРСИФИЦИРОВАТЬ свой источники, которые позволяли в не Российского энергети-

ко – экономического вынужденного воздействия на Европейский Союз (ЕС) востановливать энерго рынок объёмом поставок Энергоносителей из Норвегии и Алжира на 26% и 35%. Однако Россия по прежнему остаётся основным поставщиком Энергоносителей для Европы, доля у которого составляет - 41%. Восточной Европы Россия постепенно лишается статуса «монополиста», поскольку её прежние безальтернативные потребители открывают терминалы сжжиженного природного газа. Например Литва построила соответственный терминал и заключила договор на закупку энергоносителей , с США в соответствии СИФ цены, которые - два раза ниже, чем в Европе.

Украина заявила, что «Газпром» поставляет ему энергоносителей по цене 212 $/м3 когда в Европе её можно преобрести за 200 $/м3 т.е. на 5,67% меньше,позволяющая в двое увеличивать импорт энергоносителей из Европы направленного на востановливание своего промышленного сектора на ближайщее время.

«Газпрому» в антимонопольном законодательстве ЕС выставлены такие требования, котрые запрещают манипуляции в ценовой политике при нарушении либо игнорировании данным показателем -следовательно возникнут опасения потерять свою долю на Европейском рынке, которые сегодня соответствуют – 52% доходности. Данная опасность возрастает ещё больше, если учесть , что объёмы потребления энергоносителей в Европе- сокращаются - отчасти благодаря развитию устойчивой энергетики. «Газпром» пытается вести переговоры по строительствнового газопровода в Германию под названием «Северный поток - 2» в обход Украины.

Однако данный проект встретил политическое сопротивление в ЕС, в связи с тем, что его оценочная стоимость (ориентировочно – 9,9 милиарда евро), весьма велика учтывая сегодняшнюю ценовую политику на энергоносителей. И если «Северный поток - 2» будет реализован в Европе , лишь по политическим мотивам : Россия «желает» Украину лишить роли транзита энергоносителей. Не смотря на то, что Европа на сегодня не очень то нуждается в его наличии и тем более его большой стоимости. Анализ геополитиче-

ской ситуации в мировом сообществе и в его отдельных регионах , многие из которых представляют собой «горячие точки - планеты», показывает, что развернувшаяся в конце XX – и в начале XXI века острая конкурентная борьба за источники энергетических рессурсов - создали множество кризисных ситуации и экономико - политических конфликтов, переходящих порой в опасное противостояние.

Претерпели значительные изменения и стали более жёсткими взаимоотношения между странами – производителями, транзитными странами и странами-потребителями энергорессурсов.

В этой связи, одной из важнейщих экономико – политических задач мирового сообщества является решение проблемы энергетической достаточности и глобальной безопасности мира в целом и отдельных его регионов.

Одним из ключевых факторов , определяющих и влияющих факторов на формирование глобальной энергетической политики и отвечающий по поводу достаточности мирового потребительского сообщества - энергонасителями, является состояния его :

- Добычи
- Потребности
- Остаточной извлекаемости его запасов
- Распределение по континентам, регионам и странам в мире.

Изучение динамики этих показателей во времени, выявление определённых и наиболее характерных и объективных тенденции позволяет международным юридическим структурам , в области энергетики и экономики заключать

перспективные краткосрочные и долгосрочные прогнозы и выводы, принимаемые в основу формирования энергетической политики и оценки ситуации в конкретных странах мира.

С этой целью немаловажно охарактеризовать реального состояния мировой добычи энергоносителей мира и её потребления: (см. диаграму)

· Мировое потребление энергорессурсами в год составляет – 9,0 млрд.тон.

· Сегодня добыча энергорессурсов в Азербайджане составляет

ориентировочно - 56,5 миллионов м3 из них 19,5 милионов м3 приходится на долю разрабатываемых Госсударством месторождении.

Азербайджан, обладая значительными объёмами запасов энергорессурсов, которая ориентировочно составляет-4,0 миллиардов тон,играет ведущую роль .



Распределение Энерго ресурсов (нефте – газ) на Каспийском регионе

Энерго ресурсы Каспийского региона играют ведущую роль в обеспечении в мировой глобальной энерго обеспеченности. В связи с тем, что многие годы Азербайджан была известна как поставщик «Чёрного золота» ,сегодня страна имеет статус - «Газового экспортёра» , который не первый год «экспортирует и поставляет – голубое топливо» в: Грузию, Турцию и в Россию.

Напряжённым остаётся отношения между Азербайджаном и Туркменией. «Яблоком раздора» являются территориальные месторождения на стыке национальных секторов Каспийского моря. Переговоры по этому поводу идут с 1997 г. И то оказываются в тупиковой ситуации то нет, и который тормозит решение *ТРАНС-КАСПИЙСКОГО ГАЗОПРОВОДА,* активно лоббируя Западом. Эти



Мировые Иннвестиционные % в добыче Энерго ресурсов

страны явно настроены на решение спора, тем более, что с каждым годом сотрудничество этих госсударств в других областях весьма – Интенсифицируются . В настоящий момент, Азербайджан является крупным поставщиком углеводородов на Европейские рынки, хотя проблема наращивания экспортируемых объёмов энергоносителей на фоне интересов Европейского Союза (ЕС) - по прежнему актуальна. Следовательно страна Азербайджан имеет все шансы получить многоотраслевой промышленный комплекс и стать страной – лидером, южно – кавказского региона в Закавказии, в целом.

REFERANCES:

1 Armstrong. M. “Human Resource Management Practice”, Tbilisi 2002.p.601-602

2. Paichadze . N. “Personnel Management”, Tbilisi, TSU , 203,p.465, 2002

3. www. Statistics.ru

4. kotler.M. “Management for 3 thousand land”, RF Perm, ”Luch” 2005

5. Kelenjeridze. M “Bio- repeatedly “”, RF Perm, ”Economic” 2006

6. Htpp://www.counterpuncy.org/havery 03152007.html)

ქვეყანა ლიდერი ამიერკავკასიაში ენერგომატარებლების მიხედვით

მერაბ კელენჯერიძე, ემდ, პროფესორი
რასიმ აბდულაიევი, სტუ მაგისტრანტი

რეზიუმე

ნავთობის საწვავისა და მისი სხვადასხვა ვარიაციები, ანუ ენერგეტიკული რესურსები, თანამედროვე მეურნეობაში - დიდი ხანია გავიდა დასაშვებ ტექნიკურ - ეკონომიკური სფეროდან. ნავთობის ენერგრტიკულმა რესურსებმა დღეისათვის მიიღო *აქტივის* სახე, რომელთა ღირებულება გადაიქცა - წამყვან, ლიდერ, და განმსაზღვრელ ინდიკატორად - მსოფლიო ეკონომიკაში.

ნავთობის ენერგო რესურსების ფასების მერყეობა (კლებითობის პროცესი) დღეისათვის უდიდეს სამეცნიერო-საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს.მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს საერთაშორისო ბაზარზე წარმოადგენს მისი **გ ე ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი** პროცესები.

გ ე ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი და **გ ე ო ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი** ფაქტორული ასპექტები საფუძვლად დაედო, მსოფლიო ნავთობ-გაზის სფეროში არსებულ მსხვილ პროექტებს, რომელთა მნიშვნელობა დღეისათვის ისაზღვრება მხოლოდ მათი *საინვესტიციო ანალიზის* შედეგად. **გ ე ო პ ო ლ ი ტ ი კ ა** - ენერგო რესურსების მომხმარებელ და მწარმოებელ ქვეყნებს შორის, დღეისათვის გახდა საერთაშორისო-ეკონომიკური სფეროს პოლიტიკის მსოფლიო რეგულატორის ტოლფასი.

ენერგო რესურსების მსოფლიო საფასო/მოცულობითი პოლიტიკა დღემდე ითვალისწინებდა, თითქოს და დედამიწის სფეროდან მისი მოპოვების პროცესი 40 – 45 წლის შემდეგ „ამოწურება“. 2013 კალენდარული წლის სამეცნიერო- პრაქტიკულ - ეკონომიკური მონაცემებით მისი პროგნოზირება შეიცვალა „TICHT OIL“ ანუ „მზარდი ნავთობი“, რომელთა მაჩვენებლები არ განსხვავდება ტრადიციული ენერგო რესურსებისაგან და რაც განთავსებულია - დედამიწის სფეროს მეტად მკვეთრ, დაბალი შეღწევადობის ნიადაგში.

LEADER COUNTRY IN ENERGY RESOURCES IN CAUCASUS

Merab Kelendjeridze,
Phd, GTU, Professor;
Rasim Abdulaev,
GTU, Student of Master's Program

RESUME

In the present article are considered fundamentally the important issues , such as : the role of Azerbaijan in reality of its functionality, in the real existence of energy not only in the Caucasus region but also the provided arguments determine its leading role - in the international reality.

The standard methods are impossible to be used in the process of HUMAN FACTOR-management, as it is of development art. HUMAN FACTOR-management is considered as the unity of duties, rights, responsibilities as well as of the personality characteristics taking into account the person's spiritual management feelings and disposition, emotional outlook or future mood.

Thus, in any organization in the process of human resource management the top-managers should take into consideration the fact that human management is an art. The management process is defined not only by technologies, procedures or documents, but also by its function selection, employment, evaluation; and hiring of the staff is defined by the increase of work-force value, skills, knowledge and requirements of the job accuracy.

Furthermore, the article describes the national corporate governance models for a comparative analysis of other countries.

Keywords: Joint Stock Company, Governance models , Technologies, Procedures, HUMAN FACTOR-management, Spiritual Management, Function Selection, Management Process , Disposition, Emotional Outlook .

EL ESTADO ACTUAL DE LAS PEQUEÑAS Y MEDIANAS EMPRESAS EN AMÉRICA LATINA (THE CURRENT STATE OF SMALL AND MEDIUM BUSINESS IN LATIN AMERICA)

Kiknadze Mikheil,
PHD student, Georgian Technical University

RESUME

The article is dedicated to the research of small and medium businesses in Latin America, the region which is insufficiently studied in the Georgian science. The paper examines the current state of small and medium business, its evolution and role in the region's economy. It also presents the advantages and disadvantages of Latin-American small and medium-sized enterprises (SMEs), outlines the main principles and directions of SMEs development.

Palabras claves: América Latina; las micro, pequeñas y medianas empresas (pymes); emprendimiento;

Keywords: Latin America; Small and Medium Business; Entrepreneurship.

Las pequeñas y medianas empresas juegan un papel central en el potencial de crecimiento de América Latina. Su importancia se manifiesta de varias formas en los paises, tales como su participación en el número total de empresas o en la creación de puestos de trabajo de mayor calidad. Actualmente, representan la mayoría de las empresas privadas en la región (99%) y generan más de dos terceras partes (67%) del empleo.[1] .

De manera general tenemos que en Latinoamérica la mayor proporción de las pequeñas empresas, se dedican a la actividad comercial 40%, siguiendo servicios 30% y transformación 27%.[2]

---

1 Programas públicos de apoyo a las pymes en América Latina: ¿cómo mejorar su eficacia? Adrián Blanco Estévez ARI 13/2016 - 29/1/2016

2 Banco Mundial (2015), Enterprise Surveys, disponible en: www.enterprisesurveys.org

Sin embargo, su contribución al PIB es baja, lo que revela deficiencias en los niveles de productividad de las mismas. Por ejemplo, las empresas grandes en la región tienen niveles de productividad hasta 33 veces la productividad de las microempresas y hasta seis para las pequeñas. Mientras que solamente cerca de 10% de las pymes latinoamericanas exportan parte de su producción, en Europa la fracción de pymes exportadoras asciende al menos a 40% del total. Las pymes en América Latina forman un conjunto muy heterogéneo, que varía desde las microempresas de autoempleo en situación de informalidad hasta la empresa innovadora con alta eficiencia y capacidad de exportación.[1]

También es necesario considerer ciertas ventajas y desventajas comunes que presentan las pymes en América Latina.

La primera ventaja es que Latinoamérica es el espacio geográfico en el que se encuentran, es rico en vegetación y clima favorable para generar diversas actividades económicas, la población es muy grande y suficiente que requiere y demanda trabajo. Los costos de producción son bajos.La inserción y creación de empresas favorece a esta región.

Los proveedores son nacionales en su mayoría, que en su mayoría son negocios para adquirir ingresos económicos que puedan solventar y sostener a las familias, por tanto, la gran mayoría son pymes locales y en pocos casos son regionales.

La mayoría de las pequeñas y medianas empresas en América Latina, tienen la oportunidad de entrar y promocionar sus productos en internet, pues se cuenta con una base ya instalada de recursos electrónicos.

Aunque la mayoría de las pymes en Latinoamérica, se desenvuelven en una gran parte del sector comercio y del sector servicios, se puede estimular a base de programas sociales vía gubernamental, la generación de nuevas pymes que satisfagan la industria maquiladora o la industria de transformación.

Además, el mercado Latinoaméricano, es muy homogéneo; Las pymes de generar empleos, proveen de bienes y servicios básicos que require la población para su sustento y sus actividades cotidianas. los

1 OCDE/CEPAL (2012), Politicas de pymes para el cambio estructural perspectivas economicas de América Latina 2013, Cadiz

precios y la calidad de los productos son estándar.

En cuanto a los principales obstáculos para las pymes son los siguientes:

- Participación limitada en el comercio exterior. El mayor porcentaje de las pequeñas empresas en Latinoamérica atienden al mercado local y en algunos casos al mercado regional y en un bajo porcentaje 5% son empresas que llegan a los mercados internacionales.
- Los aspectos más importantes en cuanto a desventaja, son bajo nivel educativo y la falta de capacitación y especialización, falta de tecnología suficiente. Esto hace que las pymes no sean capaces de competir en volumen y producción, esto también es uno de los motivos por los que se concentran las pymes en el sector comercio y servicios y en menor participación, pymes dedicadas a la transformación por la falta de acceso de tecnología para la transformación de productos y materiales, por este motivo las empresas grandes son las que se dedican a la investigación y aplicación de nuevas tecnologías y a las actividades de transformación.
- Por otra parte, la baja productividad, suele ser consecuencia de aplicar técnicas administrativas tradicionales, como lo podemos observar en las distintas regiones de Latinoamérica, así mismo, el margen de utilidad es poco debido a la falta de herramientas que le ayuden a la administración y toma de decisiones.
- Otra problema fundamental que enfrentan las pymes para su desarrollo es el acceso al financiamiento. Sólo cerca de 12% del crédito total en la región se destina a las pymes, en contraste con los países de la OCDE, donde reciben 25%.[1] Una de cada tres pequeñas empresas en América Latina identifican el acceso al financiamiento como una restricción seria. Las pymes están también en desventaja frente a las grandes empresas en cuanto al costo de financiamiento bancario a largo plazo, pues obtienen tasas de interés mucho más altas, que en ocasiones duplican el costo de capital de las empresas de mayor tamaño en varios países.

En América Latina la generación de pymes está en crecimiento, y que la mayor parte de las empresas en las economías latinoamericanas sean

1 OCDE/CEPAL (2012), Politicas de pymes para el cambio estructural perspectivas economicas de América Latina 2013, Cadiz

pymes, es porque son proveedoras de bienestar económico y desarrollo al interior de sus economías.

Esto principalmente es porque son economías que no son capaces de crear grandes empresas para sostener el crecimiento y el empleo, y la mayoría de las empresas que se generan son pymes, de las cuales dependen económicamente para la recaudación fiscal, para el empleo y la producción, ante este hecho son economías abiertas a la inversion extranjera, para que puedan colocarse empresas grandes foráneas en sus economías, esto es evidentemente significativo, pero también es de suma importancia para las economías generar el desarrollo y el crecimiento, la cual, parte de este se genera con la entrada de capitales e inversiones extranjeras, y la otra parte la tiene que generar las economías a nivel interno.

Acompañadas de un marco adecuado de políticas, estas empresas y en particular sus segmentos potencialmente más dinámicos, pueden erigirse en una palanca de transformación de las economías latinoamericanas, a través de los siguientes pasos:

1)En primer lugar, las políticas públicas deben facilitar el desarrollo de las pymes y eliminar las barreras a las que se enfrentan, lo que permitiría cerrar las brechas con otras empresas, con el objetivo de que actúen como agentes del cambio estructural.

2)En segundo lugar, es necesario fortalecer el currículo de la formación técnica y profesional. Es necesario poner mayor énfasis en determinadas competencias técnicas y, principalmente, en el ámbito de las "competencias blandas", incluyendo así competencias generales, transversales, que permitan integrarse al ámbito profesional, así como adaptarse a las exigencias cambiantes del mercado laboral y a entornos de trabajo con una mayor presencia de tecnologías.

3)En tercero lugar, es necesario fomenter el acceso al financiamiento para pymes. Para suplir el escaso crédito de largo plazo de los bancos comerciales, las instituciones financieras públicas están incrementando su apoyo a través de varios instrumentos tales como la provisión de garantías, líneas de crédito a largo plazo y otros adaptados a las necesidades de las pymes.

4)Por ultimo, desarrollar un papel importante en la creación de aglomeraciones productivas, concebidas como una colaboración entre agentes económicos e instituciones en el plano local, y cuyo propósito es la generación de un beneficio competitivo. Esta interacción permite a las empresas involucradas lograr niveles de producción más elevados, incorporar tecnologías con mayor facilidad, acelerar procesos de aprendizaje y, en definitiva, conseguir un nivel de eficiencia colectiva que no sería alcanzable por una firma individual.[1]

Bibliografía:

1) Banco Mundial (2015), Enterprise Surveys, disponible en: www.enterprisesurveys.org

2) CEPAL (2015), Estudio Económico de América Latina y el Caribe, 2015, Naciones Unidas, NU

3) CIPI. (s.f.). Observatorio Pyme. Recuperado el 29 de Noviembre de 2010, de Principales resultados: http://www.cipi.gob.mx/html/observatorio.html

4) OCDE/CEPAL (2012), Politicas de pymes para el cambio estructural perspectivas economicas de América Latina 2013, Cadiz

5) Dini, M., C.Ferraro y C. Gasaly (2007), "Pymes y articulación productiva. Resultados y lecciones a partir de experiencias en América Latina", Serie Desarrollo Productivo No. 180 (LC/L.2788-P), Comisión Económica para América Latina y el Caribe, Santiago de Chile.

6) Ferraro, C. (compilador) (2010), Clusters y políticas de articulación productiva en América Latina, CEPAL –FUNDES, Santiago de Chile.

7) Regalado Hernández, R. (2007). Las MIPYMES en Latinoamérica. Estudios e Investigaciones de la Organización Latinoamericana de Administración. Latinoamérica: Organización Latinoamericana de Adminitración.

1 Ferraro, C. (compilador) (2010), Clusters y políticas de articulación productiva en América Latina, CEPAL –FUNDES, Santiago de Chile.

CONCLUSIÓN

Las pymes latinoamericanas pueden transformarse en agentes importantes del cambio estructural y del aumento de la productividad. Un esfuerzo de esta naturaleza requiere de un cambio de enfoque en las políticas públicas hacia las pymes. Para que estas sean efectivas, se necesita una mayor coherencia, articulación y coordinación entre las políticas de infraestructura, la provisión de servicios y las políticas sectoriales. En particular, las políticas en los ámbitos de financiamiento, competencias y formación, sistemas de innovación y difusión tecnológica, y las políticas de articulación productiva pueden ayudar a las pymes a superar sus barreras. Es necesario considerar las especificidades sectoriales, institucionales y territoriales. A su vez, su diseño debe de tomar en cuenta la heterogeneidad del conjunto de pymes en la región, ya que sus necesidades y potencial de desarrollo son muy diferentes. Para estas tareas hay que contar con instituciones capaces de liderar procesos complejos y con la flexibilidad para adaptarse a los cambiantes requerimientos del sector productivo.

მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობა ლათინურ ამერიკაში

მიხეილ კიკნაძე,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიის თემა საკმაოდ აქტუალურია, რადგან დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან, საქართველოსთვის ჯერ კიდევ არასათანადოდ შესწავლილ რეგიონთან-ლათინურ ამერიკასთან.

სტატიაში განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა ლათინურ ამერიკაში.ნაჩვენებია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი რეგიონის და ქვეყნების ეკონომიკაში,მცირე და საშუალო ბიზნესის უპირატესობები და ნაკლოვანებები, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები ლათინურ ამერიკაში.

საკვანძო სიტყვები: ლათინური ამერიკა; მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები; მეწარმეობა.

საინვესტიციო პროექტი, როგორც მართვის ობიექტი

ალეკო ქუთათელაძე,
სტუ პროფესორი
თემური მატუა,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ინვესტირების პროცესის კონცეპტუალური საფუძველია ინვესტირების თეორია, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, რამეთუ მოიცავს პრობლემების საკმაოდ ფართო სპექტრს.

ქართველი და უცხოელი მეცნიერების ავტორობით ინვესტირების თეორიაში არსებული შრომების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე ინვესტიციები შეიძლება, განვიხილოთ, როგორც სხვადასხვა სახის ობიექტში დაბანდებული კაპიტალი საკმარისად ხანგრძლივი (ერთ წელზე მეტი) ვადით, რაც აუცილებელია ინვესტირების გარკვეული მიზნის მისაღწევად. თავის მხრივ, „კაპიტალში“ უნდა ვიგულისხმოთ ყველაფერი, რასაც კი შემოსავლის მოტანა შეუძლია, ან ადამიანების მიერ საქონლისა და მომსახურეობის წარმოების მიზნით შექმნილი რესურსები.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, საინვესტიციო პროექტი, კაპიტალი, საინვესტიციო რისკი, ეკონომიკური კრიზისი, ფინანსური რესურსები, საინვესტიციო ციკლი.

ძირითადი ტექსტი

ინვესტიციების ცნების განხილვისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის ფაქტი, რომ ინვესტიციას მიმდინარე დაფინანსებისგან განასხვავებს დაბანდების შედარებით ხანგრძლივი პერიოდი (როგორც წესი, ერთ წელზე მეტი). ამასთან დაკავშირებით, ცნება „ინვესტიციის“ ერთ-ერთ მდგენელს წარმოადგენს დაბანდებების დროითი ასპექტი. ინვესტიციების

დროითი ასპექტის განსაზღვრას უკავშირდება შემდეგი ცნებები:

1. კაპიტალის დროითი ღირებულების ცნება. ინვესტიციებთან დაკავშირებულ ანგარიშებში გამოიყენება დაბანდებებისა და შემოსავლის სამომავლო ღირებულება (Accumulated of Future Value) და მიმდინარე ღირებულება (Present Value), ანუ ინვესტიციების ღირებულება აწმყოში; ანგარიშები კი წარმოებს დისკონტირების მეთოდების გამოყენებით.

2. საინვესტიციო რისკის, ანუ კაპიტალის ღირებულების სამომავლო ცვლილებასთან დაკავშირებული გაურკვევლობის ცნება. თუმცა, ფორმალურად არსებობს განსხვავება რისკსა და გაურკვევლობას შორის, პრაქტიკაში ეს ორი ტერმინი იხმარება ან როგორც სინონიმები, ან გამოიყენება ერთმანეთის ასახსნელად. ამიტომ საინვესტიციო რისკი უნდა განისაზღვროს, როგორც ინვესტიციების დაბრუნების სიჩქარესთან დაკავშირებული გაურკვევლობის გაგება.

3. ინფლაციური მდგენელი. რამდენადაც დროის შუალედი ინვესტირებისას საკმაოდ დიდია, დაბანდების ვადაში ინფლაციის ტემპმა შეიძლება შეცვალოს კაპიტალის დაბანდების სიჩქარე. დროითი ასპექტის სამივე ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოს საინვესტიციო მიზნების ფორმირებისას.

ინვესტირების პროცესი ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი ჯაჭვის სახით (ნახ. 1.).

ურთიერთქმედებათა ამ ჯაჭვის რეალიზების პრაქტიკული ნაბიჯები, ანუ ინვესტიციების რეალიზება წარმოადგენს ინვესტირების პროცესს. განვიხილოთ სურათზე მოცემული ჯაჭვი. ჯაჭვში შეიძლება, გამოვყოთ საწარმოში ინვესტირების პროცესის განხორციელების ძირითადი ეტაპები.

ეტაპი 1 - რესურსების გარდაქმნა დაბანდებებად. ეს არის ინვესტირება, ანუ ინვესტიციების ტრანსფორმაციის პროცესი ინვესტირების ობიექტებში;

ეტაპი 2 - ინვესტიციების ტრანსფორმაციის პროცესის დასრულება ინვესტირების ობიექტებში, ახალი სამომხმარებლო



ნახ. 1. საწარმოს ინვესტირების პროცესის სტრუქტურული სქემა

ღირებულების გაჩენა;

ეტაპი 3 - საბოლოო მიზნის რეალიზაცია, შემოსავლის მიღება ინვესტირებიდან.

ეს ჯაჭვი მესამე ეტაპით როდი სრულდება; იგი გრძელდება შემოსავალი-რესურსების ახალი ურთიერთკავშირით, რომელიც ასახავს საინვესტიციო მოთხოვნის დაგროვების და ფორმირების პროცესებს. ამგვარად, ხორციელდება ინვესტიციების წრებრუნვა.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ინვესტირების პროცესის შესაძლებლობები. ინვესტიციების მკვეთრი დაცემის შემდეგ ეკონომიკის ლიბერალიზაციის პარალელურად დაიწყო საინვესტიციო გარემოს მცირედი გაუმჯობესება. დასაბუთებულია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს საინვესტიციო რეიტინგზე. ეკონომიკური კრიზისის გამო საქართველოს საინვესტიციო რეიტინგის დაქვეითებამ მოზიდული უცხოური ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურაზეც იმოქმედა. არადამაკმაყოფი-

ლებელია საზღვარგარეთელი ინვესტორების დაინტერესება განათლების სფეროთი, ჯანმრთელობის დაცვით და სოფლის მეურნეობით. ეს საქართველოს ეკონომიკის არაეფექტიანი სტრუქტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ნებისმიერ შემთხვევაში, ინვესტირების სფეროში კრიზისის საბოლოოდ დაძლევაზე საუბარი ნაადრევია. ბიუჯეტის დეფიციტის, შიდა ბაზარზე ვალის ნასესხობათა „ფასის“, საპროცენტო განაკვეთებისა და ბოლოს, ინფლაციის დონის შემცირება უდავოდ აუცილებელი, მაგრამ აბსოლუტურად არასაკმარისი პირობებია ინვესტიციების გასაზრდელად. საკმარის პირობებს პირველ რიგში, უნდა მივაკუთვნოთ წარმოების მნიშვნელოვანი გამოცოცხლება. ცხადია, რომ მხოლოდ მზარდ შიდა მოთხოვნა-მიწოდებას შეუძლია, დამატებითი რესურსების უზრუნველყოფა კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად. მეორე - ფინასური სტაბილიზაციის დასრულება და ამასთან, არა მხოლოდ მაკრო-, არამედ, ძირითადად, მიკროდონეზე (საწარმოთა დონეზე), ე.ი. წარმოების ლიკვიდობის ამაღლება და მისი რეალური ფინანსური გაჯანსაღება. სწორედ აი, ეს საკმარისი პირობები არ არსებობს და, მიუხედავად შექმნილი აუცილებელი წინაპირობებისა, ინვესტირების პროცესი ფერხდება.

თანამედროვე ინვესტიციების ობიექტია საწარმოები, რომლებიც საჭიროებენ ინვესტიციების მოზიდვას შემდგომი არსებობისთვის ან განვითარებისთვის. ასეთ საწარმოებს „რეციპიენტებს“ ვუწოდებთ.

განვითარებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში ინვესტიციების წყაროებად შეიძლება მოგვევლინოს როგორც საკუთარი, ისე სასესხო საშუალებები. ნახ.2.-ზე ნაჩვენებია ფინანსური სახსრების მოძრაობა ინვესტორიდან რეციპიენტამდე.

უფრო დეტალურად განვიხილოთ მე-2 სურათზე წარმოდგენილი #1 დამოკიდებულება. ფინანსური სახსრების მოძრაობა ინვესტორიდან რეციპიენტამდე შეიძლება განხორციელდეს გამორჩეულად დაბრუნების საფუძვლით. ამ შემთხვევაში ნებისმიერი ინვესტორი ყოველთვის არის დაინტერესებული მოგების მიღებით.

ამასთან, ამ მოგების დონე უნდა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ფინანსური ინსტრუმენტების ერთობლიობით მიღებული შესაძლო მოგების დონეა. დამოკიდებულება #2 ახასიათებს კაპიტალის მოძრაობას, როგორც დაბრუნებადი, ისე არადაბრუნებადი საფუძვლით. უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფოს (საქართველოს მთავრობას, ფინანსთა სამინისტროს ან სხვა სახელისუფლებო ორგანოს) შეუძლია, უბრალოდ, გამოყოს სუბსიდიები სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.



ნახ. 2. ფინანსური რესურსების მოძრაობის სქემები

ფინასური რესურსების შემოდინება შეიძლება მოხდეს როგორც პირდაპირი გზით, ისე ფინანსური შუამავლების (ბანკების, საინვესტიციო ფონდებისა და სხვ.) დახმარებით. ამასთან, ეს უკანასკნელი დამახასიათებელია როგორც პირდაპირი, ისე

ფინანსური ინვესტიციებისთვის. დღეს საქართველოში საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების ქრონიკული დეფიციტის პირობებში კავშირის „ინვესტორი-რეციპიენტის“ განმტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ინვესტირების შერჩეული მიმართულებების რეალიზება ასახვას პოულობს საინვესტიციო პროექტში. ამიტომ შემდგომში აუცილებელია ამ მნიშვნელოვანი ცნების არსის განსაზღვრა. იგი არის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომელიც მოიცავს დაპროექტებას, მშენებლობას, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის შეძენას, კადრების მომზადებას და სხვ., რომლებიც მიმართულია ახალი საწარმოს შექმნისკენ ან უკვე მოქმედის მოდერნიზაციისკენ, რის მიზანსაც ეკონომიკური ან სხვა სახის სარგებლის მიღება წარმოადგენს. დღეს საინვესტიციო პროექტი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც აუცილებელია დროის განსაზღვრულ პერიოდში და დადგენილი ბიუჯეტით დასახული ეკონომიკური ამოცანების განსახორციელებლად, რომლის დროსაც საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის მიზნები ნათლადაა განსაზღვრული.

ათვისებადი ინვესტიციების სახეების მიხედვით, საინვესტიციო პროექტები შეიძლება იყოს სხვადასხვა შემადგენლობისა და ზომის (პროგრამის სხვადასხვა მასშტაბით), ქონდეთ მიზნის მიღწევის სხვადასხვა პერიოდი (განხორციელების ვადა), სირთულის ხარისხი, მიღწევადი ხარისხი და სხვ.

ათვისებადი ინვესტიციების სახეობის მიხედვით, საინვესტიციო პროექტი შეიძლება, იყოს კომერციული, ფონდწარმომქმნელი (ორიენტირებული ძირითადი ფონდების შექმნაზე ან მოდერნიზებაზე), ინოვაციური, სამეცნიერო-კვლევითი.

შინაარსითა და ზომით საინვესტიციო პროექტი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

- მცირე საინვესტიციო პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს მცირე ზომის საწარმოების შექმნას (მშენებლობას) ან მოქმედი წარმოებების მოდერნიზაციასა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. ასეთ პროექტებში ინვესტირების მო-

ცულობა როგორც წესი, შეადგენს არა უმეტეს 10 მილიონ აშშ დოლარის;

- საშუალო ზომის საინვესტიციო პროექტები; უმეტეს შემთხვევაში ასეთი პროექტები შედგება მცირე საინვესტიციო პროექტების ნაკრებისგან, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 10-დან 100 მლნ. აშშ დოლარს;
- მსხვილი საინვესტიციო პროექტები; ასეთ პროექტებში ფინანსური დაბანდებების მოცულობა როგორც წესი, 100 მლნ. აშშ დოლარს აჭარბებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო პროექტის ღირებულების ზრდა ამ პროექტს ინვესტორისთვის პრაქტიკულად ყოველთვის ნაკლებ მიმზიდველს ხდის. ეს ძირითადად შეიძლება აიხსნას ორი მიზეზით:

პირველი, რაც მეტია საინვესტიციო პროექტის რეალიზებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, როგორც წესი, მით მეტია პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა;

მეორე, პროექტის პერსპექტივები უფრო ბუნდოვანია, მოგების მიღების მომენტი დროში „გადაიწევს“ და იზრდება რისკები, მათ შორის სავალუტოც.

რეალიზაციის ვადების მიხედვით, საინვესტიციო პროექტებს ყოფენ სამ სახეობად:

- მოკლევადიანი (რეალიზაციის პერიოდით 3 წლამდე);
- საშუალოვადიანი (3-5 წელი);
- გრძელვადიანი (რეალიზაციის 5 წელზე მეტი ვადით).

საინვესტიციო პროექტის განხორციელება საჭიროებს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გარკვეული ერთობლიობის განხორციელებას. ასეთი ღონისძიებებია: წინასწარი საინვესტიციო კვლევების ჩატარება, რეალიზაციის შესაძლებლობათა ანალიზი, რიგი კონტრაქტების გაფორმება, დაფინანსების ორგანიზება, რესურსული უზრუნველყოფა, მშენებლობა, ობიექტის ექსპლუატაციაში ჩაბარება. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია საინვესტიციო პროექტების სტრუქტურულად დაყოფა გარკვეული რაოდენობის ურთიერთდაკავშირებულ სტადიებად. ასეთი დაყოფის მიზანია

სხვადასხვა სტადიებზე განსახორციელებელი მმართველობის ოპტიმიზაცია. ჩვეულებრივ, არსებობს სამი ძირითადი ფაზა (სტადია):

- წინასაინვესტიციო;
- საინვესტიციო;
- ექსპლუატაციის (წარმოების).

დეტალურად განვიხილოთ თითოეული სტადია. წინასაინვესტიციო სტადია, როგორც წესი, შედგება ქვესტადიების გარკვეული ნაკრებისგან, მაგრამ ყოველი კონკრეტული საინვესტიციო პროექტის შემთხვევაში მათი შემადგელობა შეიძლება წარმოდგენილი იქნას არა სრული მოცულობით, სხვადასხვა თანმიმდევრობით, სხვადასხვა პრიორიტეტებითა და დამუშავების სხვადასხვა ხარისხით. ამ ქვესტადიებს უნდა მივაკუთვნოთ:

- საინვესტიციო პროექტის განხორციელების შესაძლებლობის დადგენა, კვლევა და ანალიზი;
- საინვესტიციო პროექტის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი ეკონომიკური, ფუნქციონალური, კონსტრუქციული მახასიათებლებით და მათ საფუძველზე საინვესტიციო პროექტის წინასწარი შერჩევადა წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;
- დასკვნა საინვესტიციო პროექტის შესახებ და გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ (შეფასებითი დასკვნა).

შესაბამისად, წინასწარი სტადიის ძირითადი მდგენელია საპროექტო ანალიზის ჩატარება, რომლის არსიც უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს საინვესტიციო პროექტის დანახარჯებისა და პროექტის რეალიზაციით მიღებული სარგებლის შედარებაში. კომერციული საინვესტიციო პროექტების შემთხვევაში ყოველთვის ტარდება შემდეგი სახის ანალიზი:

- ფინანსური. ამ ანალიზის მიზანს წარმოადგენს შედეგების შესწავლა პროექტის კონკრეტულ მონაწილეებთან დაკავშირებით;
- ორგანიზაციული. მიზანს წარმოადგენს რეკომენდაციების შემუშავება მმართველობის სტრუქტურის ნაწილში;

- ტექნიკური. მიზანს წარმოადგენს ტექნიკური ალტერნატივების, საწარმოს ადგილმდებარეობისა და განხორციელების ვადების შესწავლა.

სახელმწიფოს მონაწილეობით განხორციელებული საინვესტიციო პროექტები, გარდა ზემოჩამოთვლილი ანალიზისა, საჭიროებს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ანალიზებსაც.

შევაჯამოთ ზემოთ თქმული: წინასწარი სტადია იწყება დროის იმ მომენტში, როდესაც ინვესტორმა განახორციელა ფინანსური რესურსების პირველი დანახარჯი წინასწარი კვლევების ჩასატარებლად ან სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. ამ სტადიის დასასრული შეესაბამება დროის იმ მომენტს, როდესაც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება პროექტის ინვესტირების ან მასში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ.

საინვესტიციო პროექტის მეორე სტადია გულისხმობს შემდეგი სახის ღონისძიებების განხორციელებას: საპროექტო ორგანიზაციის შერჩევა, აუცილებელი ნახაზების, მოდელებისა და დეტალიზებული ხარჯთაღრიცხვის შედგენა. შესრულებული ანგარიშები იძლევა შესაბამისი ტექნოლოგიისა და მშენებლობის შესაბამისი ორგანიზაციის შერჩევის საშუალებას.

ამგვარად, მოცემული სტადია იწყება დეტალური დაპროექტების მომენტით და სრულდება ობიექტის ექსპლუატაციაში შეყვანით.

მესამე სტადიაზე საინვესტიციო პროექტის დასკვნითი სტადიის დასრულების მომენტის შესახებ უამრავი განმარტება არსებობს. ასე მაგალითად, ეკონომისტთა და ფინანსისტთა ერთი ჯგუფი საუბრობს „პროექტის დახურვაზე“; ამასთან, გაუგებარია, რა იგულისხმება სიტყვა „დახურვაში“. სხვები საინვესტიციო პროექტის დასრულებას უკავშირებენ საწარმოს ექსპლუატაციის დაწყებას. თუმცა, ცნება „ექსპლუატაცია“ ხშირად არ შეესაბამება დასახული მიზნების მიღწევას. მხოლოდ საწარმოს გასვლა დაგეგმილ საპროექტო სიმძლავრეებზე შეიძლება ნიშნავდეს საინვესტიციო პროექტის დასრულებას.

საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული საინვესტიციო

პროექტების განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დროის ფაქტორს. ამიტომ ქვემოთ განვსაზღვრავთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნების - საინვესტიციო ციკლის - არსს.

საინვესტიციო ციკლი შეესაბამება დროის იმ ინტერვალს, რომელიც აუცილებელია საინვესტიციო პროექტის სამივე სტადიის რეალიზებისთის. ანუ შეიძლება, ითქვას, რომ ერთი საინვესტიციო ციკლი დროში ახასიათებს ერთ საინვესტიციო პროექტს.

ერთი საინვესტიციო ციკლის მანძილზე ხდება ფინანსური რესურსების ბრუნვა რეალური წარმოების ინვესტირებითა და შექმნილი მატერიალური პროდუქციის გარდაქმნით ფულად საშუალებებად - მოგებად მისი რეალიზაციის გზით. ამგვარად, საინვესტიციო ციკლიც იწყება დროის იმ მომენტში, როდესაც ინვესტორმა საინვესტიციო პროექტის განხოციელების მიზნით განახორციელა სახსრების პირველი დანახარჯი. საინვესტიციო ციკლის დასასრული შეესაბამება ბიზნეს-გეგმით განსაზღვრული საპროექტო სიმძლავრეების მიღწევას. უნდა აღინიშნოს, რომ რაც ადრე გამოავლენს ინვესტორი საინვესტიციო პროექტის არაეფექტიანობას, მით ნაკლები ფინანსური რესურსი დაიხარჯება წინასწარ სტადიაზე.

საინვესტიციო პროექტების შერჩევასთან დაკავშირებით დაფინანსების ამოცანების გადაჭრა წარმოადგენს საინვესტიციო პროცესის მთავარ მდგენელს, რომელიც კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის ნაწილს წარმოადგენს.

როგორც წესი, საინვესტიციო პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს წყვეტს მმართველი. ამასთან დაკავშირებით, მმართველისა და მისი ჯგუფის წევრების კვალიფიკაცია უმთავრესი ფაქტორია, რომელიც მოქმედებს პროექტის განხორციელების პროცესში მის დასაბუთებასა და შედეგების მიღწევაზე.

პროფესიონალი მმართველის ფუნქციებში შედის: კონტრაქტორების შერჩევისას საკონსულტაციო მომსახურეობის გაწევა ინვესტორისთვის; წინასაპროექტო დასაბუთებების

შესრულება, კონტრაქტების გაფორმებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, სამუშაოების შესრულების ვადების, ღირებულებისა და ხარისხის კონტროლი. მმართველის ყველა უფლება და ვალდებულება განისაზღვრება „პროექტის მართვის“ კონტრაქტით, სადაც ჩამოთვლილია გასაწევი მომსახურეობის სახეები და მათი ანაზღაურების პირობები.

დასკვნა

საქართველოს მეცნიერებისა და პრაქტიკოსების ნაშრომებს შორის, რომლებიც იკვლევს საინვესტიციო პროექტების მართვის საკითხებს, საინტერესოა „მეთოდური მითითებები“, რომლებიც ორიენტირდება საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდების უნიფიცირებაზე.

რეკომენდაციები შეიძლება გათვალისწინებული იქნას საინვესტიციო პროექტების ყველა მონაწილისათვის, საკუთრების ნებისმიერი ფორმის საწარმოსათვის, საინვესტიციო პროექტების შემმუშავებელი პირებისათვის, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის, საინვესტიციო პროექტების შემუშავებისა და განხორციელების სხვა მონაწილეებისათვის და ასევე, იმ პირებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ატარებენ ასეთი პროექტების ექსპერტიზას. რეკომენდაციები ორიენტირებულია საინვესტიციო პროექტების შემუშავების პროცესში ამ პროექტების განხორციელებადობისა და ეფექტიანობის შეფასებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტაზე, ინვესტორების საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მიზანშეწონილობის დასაბუთებით, პროექტების იმ ვარიანტებთან შედარებით, რომლებიც ხორციელდება საინვესტიციო პროექტების სახელმწიფო, დარგობრივი და სხვა სახის ექსპერტიზის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ. საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები საქართველოში. თბ. 2009. 191 გვ.

2. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“: საქართველოს პარლამენტი, თბ., 2006.

3. სიჭინავა ა., გოგორიშვილი ი. საერთაშორისო საინვესტიციო საქმე და ტრანსნაციონალური კორპორაციები, CD – 733, 2012. 302 გვ. (ელ. ვერსია).

4. სიჭინავა ა., ქუთათელაძე ა., ქალიაშვილი მ. ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები საქართველოში. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია; „განათლების თანამედროვე გამოწვევები“; გორი, 2013წ. გვ. 290–295.

REFERENCES:

1. E. Baratashvili, D. Magraqvelidze. – Improvement Principles of investement conditions in Georgia. Tbilisi 2009. 191pg.

2. Law of Georgia about “Support for investment by government”. Tbilisi, Parliament of Georgia 2006.

3. A. Sitchinava, I. Gogorishvili. - International investment and transnational corporations. Tbilisi 2012. 203pg. (e-version).

4. A. Sitchinava, A. Kutateladze, M. Kaliashvili. – Future prospects of attracting investments in Georgia. Gori national university’s 6th international conference; “Modern educational challenges”. Gori 2013. 290-295pg.

INVESTMENT PROJECT, AS THE OBJECT TO MANAGE

Aleko Qutateladze, GTU, Professor
Temuri Matua, GTU, Phd Student

RESUME

The conceptual route of the investment process is the investment theory, which represents one of the important directions in science, because of containing the wide spread of complex challenges or problems.

Based on analysis of researches in investment theory, performed by Georgian and Foreign scientists, we can regard the investment as the input of capital in various activities with more than one year in timeline, to achieve the definite goal of investing. Furthermore we should regard "capital" as everything which can bring the revenue, value, or bringing the resources to humans needed to produce the product or service.

Keywords: Investment, Investment Projects, Capital, Investment Risks, Economic Crisis, Financial Resources, Investment Cycle.

ორგანიზაციის კულტურის ფორმირება

ქეთევან კიწმარიშვილი
სტუ, ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ორგანიზაცია – ესაა სისტემაში მოყვანილი ადამიანთა მოქმედებების შეგნებული გაერთიანება, რომლებიც ისწრაფვიან გარკვეული მიზნების მისაღწევად. ორგანიზაციის კულტურა. იგი წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ გაცხადებული ფასეულობების სახით შექმნილ და ორგანიზაციის წევრების მიერ მიღებულ ყველაზე მნიშვნელოვან ვარაუდების კომპლექტს, რომლებიც ორიენტაციას უწევენ ადამიანებს ყოველდღიურ საქმიანობაში.

საკვანძო სიტყვები: სოციოემოციური საშუალებები; ხეპინინგების ორგანიზაცია, სიმფოლიზაცია, მოფოლოგიზაცია. ინსტრუმენტური საშუალებები: ორგანიზაციული სწავლება, პერსონალის შეფასება, ქცევის საჭირო ფორმების სტიმულირება, საჭირო თანამშრომლების აყვანა.

შესავალი

ორგანიზაცია ესაა სისტემაში მოყვანილი ადამიანთა მოქმედებების შეგნებული გაერთიანება, რომლებიც ისწრაფვიან გარკვეული მიზნების მისაღწევად. დასახული მიზნების შესასრულებლად, საორგანიზაციო კულტურამ შეიძლება ითამაშოს გადამწყვეტი როლი ორგანიზაციის ყველა რესურსის მობილიზებაში, თუმცა, შეუძლია შეაფერხოს კიდეც მისი შემდგომი განვითარება

ძირითადი ნაწილი

ბარბაროსების დაპყრობილ ტერიტორიაზე რომაელები მაშინათვე აგებდნენ გზებს, აგებდნენ ღარხიდებს (აკვედუკებს) და აგრძელებდნენ გზას. უკან მობრუნებულებს ყოველთვის ყველაფერი დანგრეული ხვდებოდათ. კითხვაზე რატომ? ისინი იღებდნენ ერთსა და იმავე პასუხს: არ ვიცით, ვანგრევთ და მორჩა.

ორგანიზაცია – ესაა სისტემაში მოყვანილი ადამიანთა მოქმედებების შეგნებული გაერთიანება, რომლებიც ისწრაფვიან გარკვეული მიზნების მისაღწევად[1].

თუ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ორგანიზაციას აქვს სული, მაშინ ეს "სული" წარმოადგენს ორგანიზაციულ სტრუქტურას (ნახ. 1.).

დასახული მიზნების შესასრულებლად, საორგანიზაციო კულტურამ შეიძლება ითამაშოს გადამწყვეტი როლი ორგანიზაციის ყველა რესურსის მობილიზებაში, თუმცა, შეუძლია შეაფერხოს კიდეც მისი შემდგომი განვითარება.



ნახ. 1. ორგანიზაციის პერცეპტიული მოდელი.

ორგანიზაციის კულტურა წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ გაცხადებული ფასეულობების სახით შექმნილ და ორგანიზაციის წევრების მიერ მიღებულ ყველაზე მნიშვნელოვან ვარაუდების კომპლექტს, რომლებიც ორიენტაციას უწევენ ადამიანებს ყოველდღიურ საქმიანობაში (ქცევები, მოქმედებები), ე.ი. კულტურა, რომელიც ვლინდება ორგანიზაციის წევრებს შორის ღრმა ზემოქმედებას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ინდივიდი სიტუაციას ორგანიზაციის შიგნით და მის გარეთ და რა მოქმედებებს განახორციელებს ან არ განახორციელებს იგი. თუმცა,

1 **ტ.ი. ბაზაროვი, პერსონალის მართვის მეთოდები/სოციალური ფსიქოლოგია: პრაქტიკუმი, სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის/ტ.ვ. ფოლომეევას რედაქციით, М.: Аспект Пресс, 2006.**

ამ ურთიერთობების განმარტებების უმეტესი ნაწილი იშვიათად არის გაცნობიერებული თვით თანამშრომლების მიერაც კი.

თვით სიტყვა "კულტურის" (ცულტურე) ცნება უკავშირდება "კულტივირების" (ცულტივატე) ცნებას – გაზრდა, განვითარება, დანერგვა, მოხმარებაში შეყვანა.

ორგანიზაციული კულტურა – ორგანიზაციის ინტეგრალური დახასიათება (მისი ფასეულობების, ქცევის ნიმუშების, საქმიანობის შედეგების შეფასების წესების), მოცემულია განსაზღვრული ტიპოლიგიის ენაზე (ცხრილი 1, 2)

კორპორატიული კულტურა – ესაა კონკრეტული ორგანიზაციის თანამშრომლების უმრავლესობის მიერ გარემოსთან ადაპტაციის და შიდა ინტეგრაციის პრობლემების გადაწყვეტის დროს გადმოღებული, შემთხვევით აღმოჩენილი ან რაიმე სხვა გზით მიღწეული და დამტკიცების გარეშე მიღებული ვარაუდების რთული კომპლექსი, რომელიც ძალიან ეფექტურად გამოადგა ორგანიზაციას და აღიარებული იქნა ქმედითად, დამტკიცების და ორგანიზაციის წევრების ახალი თაობისთვის გადაცემის ღირსად.

კორპორატიული კულტურის ელემენტებია: მისია, ხედვა, ფასეულობები და ნორმები, ორგანიზაციის იმპლიციტიური თეორიები, ორგანიზაციასთან იდენტიფიკაცია.

ცხრილი 1. კულტურის კლასიფიკაცია ერთობლივი საქმიანობის ტიპების მიხედვით[1]

კულტურა	**ერთობილი საქმიანობის ტიპი (ლ.ი. უმანსკის მიხედვით)**
ბიუროკრატული	ერთობლივ – თანმიმდევრული: დასაწყისში დადის ერთი, შემდეგ სხვა
ორგანული	ერთობლივ – ურთიერთმოქმედი: ყველა ერთად აკეთებს ერთი და იგივეს
სამეწარმეო	ერთობლივ – ინდივიდუალური: კონკურენცია
პარტიციპატული	ერთობლივ – შემოქმედებითი: საერთო მიზნისთვის თითოეულის შემოქმედება

კორპორატიული კულტურის ფაქტორები: საქმიანობის ტექნოლოგია, პერსონალი, კომპანიის პირველი პირი და ხელმძღვანელობა, წარმოშობა, ფირმის შექმნის ისტორია და ძირითადი მოვლენები.

1 **პერსონალის მართვა ტ.ი. ბაზაროვას და ბ.ლ. ერიომინას რედაქციით...**

კორპორატიული კულტურის დანერგვის/წახალისების ხერხები: სოციოემოციონური საშუალებები; ხეპინინგების ორგანიზაცია, სიმფოლიზაცია, მოფოლოგიზაცია. ინსტრუმენტური საშუალებები: ორგანიზაციული სწავლება, პერსონალის შეფასება, ქცევის საჭირო ფორმების სტიმულირება, საჭირო თანამშრომლების აყვანა (შერჩევა).

ცხრილი 2. ორგანიზაციული კულტურების ტიპები

ორგანული	სამეწარმეო	ბიუროკრატული	პარტიციპატიული
ორგანიზაცია საქმიანობა			
საერთო იდეაზე შეთანხმებით	თავისუფალი ინიციატივით	ძლიერი ხელმძღვანელით	მრავალმხრივი განხილვებით
პრობლემების გადაწყვეტა ხდება შემდეგ საფუძველზე			
საწყისი შეთანხმებით მიზნებთან და ამოცანებთან	ინდივიდუალური შემოქმედებით	მკაფიო და გულისყურით მოფიქრებით	ღია ურთიერთობით
ლიდერობა ეფუძნება			
გაზიარებულ შეხედულებებს საერთო მიმართულებით მოძრაობასთან დაკავშირებით	ავტორიტეტს და აღიარებას	ძალაუფლებას და მდგომარეობას	კონტაქტებისა და თანამშრომლების ხელშეწყობას
ფუნქცია და პასუხისმგებლობა			
რეალიზდება თითქმის ავტომატურად	ისეთია, როგორსაც ქმნიან ადამიანები	უწესდებათ და უმტკიცდებათ	იყოფა და იცვლება აუცილებლობის შემთხვევაში
კომუნიკაციები (კავშირები)			
შეზღუდულია და არაარსებითი	იცვლება ინტენსიურობის მიხედვით და ძნელი სავარაუდოა	ფორმალურია და ემორჩილება წესებს	ღიაა და გაჯერებული
ცალკეული ადამიანების სურვილები და ინტერესები			
ფასდება ორგანიზაციის მიზნებთან მათი შეთანხმებულობის ხარისხის მიხედვით	ითვლება უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე ორგანიზაციის ინტერესები	ემორჩილება ორგანიზაციის ინტერესებს	უთანხმდება ორგანიზაციის ინტერესებს მოლაპარაკებების გზით
ხელმძღვანელობა			
იძლევა კონტექსტს და მიზანს. დანარჩენ საქმიანობაში ერევა მინიმალურად	საშუალებას აძლევს ადამიანებს გააკეთონ ისე, როგორც მათ სურთ	განსაზღვრავს ლიდერებს და განვითარების შესაძლო მიმართულებებს	მოქმედებს როგორც ჯგუფური ურთიერთქმედების და თანამშრომლობის კატალიზატორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაიჭაძე ნ., შრომის ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ. 2000 წ.

2. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ფარესაშვილი ნ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ., 2011 წ.

3. ქ. კიწმარიშვილი. პერსონალის მართვა. გამ. „სამართლიანი საქართველო“. 2013 წელი.

4. Т.Ю. Базарова, Б.Л. Еремина. М.: Управление персоналом: Учебник для вузов / ЮНИТИ-ДАНА, 2001.

5. Базаров Т.Ю. Психологические грани изменяющейся организации. М.: Аспект пресс, 2007.

REFERENCES:

1. Paichadze N., “Labour Economics” Textbook, Tb. 2000y. (In Georgian Language).

2. Paichadze N., Chokheli E., Faresashvili N. Human Resources Management. Tb.,2011y. (In Georgian Language).

3. Kitsmarishvili Q. Personnel Management. Publishing House “Samartliani Sakartvelo”. 2013y. (In Georgian Language).

4. Bazarova T.Y., B.L. Eremina. Personnel Management. Textbook for Univesrities. Publishing House “ M.: ЮНИТИ-ДАНА”, 2001y.

5. Bazarov T.Y. Psychological verge of changing the organization. M .: Aspekt Press, 2007.

FORMATION OF ORGANIZATIONAL CULTURE

Qetevan Kicmarishvili,
GTU, Associate Professor

RESUME

The Organization _ is a structured social unit of people, who are dedicated to pursue the collective goals. Organizational behavior represents a complex of most important assumptions that are the organization's stated values and also established by the members of the organization. Those suppositions provide orientation to the Members for daily activities. Organizational culture is a set of beliefs shared by the people in an organization. Organizational culture can be considered a system because it has input and output. Every organization's culture is different. Some key indicators of an organization's culture are the dress code, furniture, topics of discussion and etc.

Keywords: Organizational Culture; Formation; Assumptions; Goals.

მიგრაციული პროცესების მართვის საკანონმდებლო ბაზა საქართველოში

გიორგი ცინცაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე სამყაროს მიგრაციის პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოების წინაშე მდგარი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე, მის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე.

სტატიაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული შიგა და გარე მიგრაციის, ემიგრაციისა და იმიგრაციის საკითხები.

ასევე განხილული და წარმოდგენილია 2016- 2020 წწ. საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის დაახლოებას ევროკავშირთან.

საკვანძო სიტყვრბი: მიგრაცია, ეკონომიკური განვითარება, სტაბილურობა, უსაფრთხოება.

შესავალი

სუვერენული ქვეყნის სახელმწიფოებრიობა ეფუძნება მის ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს, რომელთა დაცვა აუცილებელია მისი არსებობისა და უსაფრთხოებისთვის, მისი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის. ქვეყნის ფუნდამენტური ღირებულებები დაცული უნდა იყოს ყველა არსებული კანონიერი საშუალებით, ეს ფუნდამენტური ღირებულებებია: დამოუკიდებლობა, თავისუფლება, დემოკრატია და კანონის უზენაესობა, კეთილდღეობა, მშვიდობა, უსაფრთხოება.

სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და არსებობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი ყველა ეს საკითხი, როგორც წესი, ასახულია ქვეყნის მთავარ კანონში, კონსტიტუციაში.

ძირითადი ტექსტი

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციის შემუშავების საფუძვლად კონსტიტუცია და საერთაშორისო შეთანხმებები შეიძლება მივიჩნიოთ.

საქართველოს უზენაეს კანონში, კონსტიტუციაში ნათლადაა გამოვლენილი სახელმწიფოს ნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ძირითადი პრინციპების შესახებ. მკაფიოდაა ჩამოყალიბებული შიგა და გარე მიგრაციის, ემიგრაციისა და იმიგრაციის საკითხები: „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.“ „ყველას ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან.“ ამასთან, „ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.“ „საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.“[1]

კონსტიტუციაში აგრეთვე განმარტებულია, რომ: „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“ „საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.“[2]

ამჟამად, საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების პროგრესირებადი ტენდენცია ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც დაუყოვნებლივ რეაგირებას

1 საქართველოს კონსტიტუცია, თავი 2, მუხლი 22
2 საქართველოს კონსტიტუცია, თავი 2, მუხლი 47

საჭიროებს.

საქართველოში მიგრაციის სტრატეგიასთან დაკავშირებული პირველი დოკუმენტი 1997 წელს იქნა პრეზიდენტის მიერ დამტკცებული[1], სადაც ასახული იყო სახელმწიფო ხედვა იმიგრაციული პროცესების რეგულირებისა და შიდა მიგრაციის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ კონცეფციას არ გააჩნდა განხორციელების მექანიზმის კონკრეტული სამოქმედო გეგმა. გარკვეულწილად შიძლება ჩაითვალოს, რომ ამ დოკუმენტის საფუძველზე რაიმე ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

2010 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია ქვეყანაში მიგრაციის პოლიტიკის კოორდინაციის მიზნით, რომელიც თავის მხრივ 13 სახელმწიფო უწყებას აერთიანებს. აგრეთვე საკონსულტაციო სტატუსი აქვთ მინიჭებული მიგრაციის საკითხებზე მომუშავე 7 საერთაშორისო და 5 არასამთავრობო ორგანიზაციას.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის 13 წევრი თავიაანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ კომისიის ფუნქციონირებას. ესენია:

- იუსტიციის სამინისტრო, რომელიც მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას თავმჯდომარეობს. იუსტიციის სამინისტრო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან ერთად გასცემს ვიზებსა და ბინადრობის ნებართვებს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ იმიგრანტთათვის. აგრეთვე უზრუნველყოფს სამგზავრო დოკუმენტებით ლტოლვილებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.
- შინაგან საქმეთა სამინისტრო არის მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარე. მისი შესაბამისი სამსახურები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მათი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ კონტროლს ქვეყნის საზღვრების დაცვასა და საზღვრისპირა მიგრაციის მართვაში. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნ-

1 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების და განკარგულებების კრებული, 22, თბ. 1997წ.

ველყოფს რეადმისიის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პროცედურული და ორგანიზაციული საკითხების შერსრულებას; აწაროებს ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის, ადამიანებით ვაჭრობის, არალეგალური მიგრაციის ფაქტების გამოვლენასა და აღმოფხვრას; ბირთვული მასალების, იარაღის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მოძრაობის აღკვეთას.

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- რეგიოონული განვითარებისა და იმფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

2013 – 2015 წლების მთავრობის მიერ დამტკიცებული მიგრაციის სტრატეგიით მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება საკანონმდებლო ბაზის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებისკენ, რომლის საფუძველზეც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სხვა ქვეყნებთან ჩამოყალიბდა მჭიდრო თანამშრომლობა ლეგალური მიგრაციის გაფართოებისა და არალეგალური მიგრაციის პრევენციის მხრივ. განსაკუთრებული ყურადღება იქნა დათმობილი საქართველოს მოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნებასა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესისადმი. მოცემული სტრატეგიის მიხედვით: საქართვე-

ლო მიგრაციული პროცესების განვითარების კუთხით წარმოადგენს, როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულებისა და სატრანზიტო მნიშვნელობის ქვეყანას. ბოლო წლებში, საფუძველი ჩაეყარა ისეთ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ რეფორმებს (ეკონომიკა, განათლება, პოლიცია, ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან, ზრუნვა ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე და სხვ.), რამაც შედარებით სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური პირობები შექმნა ქვეყანაში. შესაბამისად, 2006-2008 წლების უარყოფითი მაჩვენებლის შემდეგ, 2009-2011 წლებში წმინდა მიგრაციის მაჩვენებელი გახდა დადებითი. გარდა ამისა, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა იმიგრანტთა უფლებების დაცვის კუთხით, კერძოდ, შრომითი მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებისას, გამოყენებულია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფორმატი..“[1]

წინამდებარე სტრატეგიის საფუძველზე მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა ახალი 2016-2020 წლების მიგრაციის გრძელვადიანი სტრატეგია. სადაც აღნიშნულია: „ბოლო წლებში საქართველოს ჩართულობა გლობალურ მიგრაციულ პროცესებში საგრძნობლად გაიზარდა. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მიგრაციის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ ჭრილში. მიგრაციის ეფექტიანი მართვა ქვეყნის უსაფრთხოების და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა, იგი ასევე წარმოადგენს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიგრაციის პოტენციალის გამოყენებას. სწორედ ამიტომ, მიგრაციის პოლიტიკის სწორი დაგეგმვა და მისი მართვის ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.“[2]

ამ სტრატეგიის ძირითადი პრინციპები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1 საქართველოს მთავრობის დადგენილება # 59, თბ. 2013
2 საქართველოს მთავრობის დადგენილება # 622, თბ. 2015

„სტრატეგიის ყველა მიზანი უნდა შესრულდეს ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პრინციპების სრული დაცვით.

- საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, მიგრანტების უფლებების დაცვა;
- საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების დაცვა;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ადამიანის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის და უკანონო მიგრაციის სხვა ფორმების დაუშვებლობა;
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში იმიგრანტების და ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის გამყარება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე;
- საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა მდგრადი რეინტეგრაციის ხელშეწყობა.“[1]

შემუშავდა და დამტკიცდა მთლი რიგი კანონებისა:

- 2014 წელს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ;“ რომელიც არეგულირებს მოქალაქეობის მიღების, მინიჭებისა და დაკარგვის წესებს;
- აგრეთვე 2014 წელს: „უცხოელთა მოქალაქეობის და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ;“ კანონი რეგულირებას უწევს უცხოელთათვის საქართველოში შემოსვლის, დარჩენის, გასვლის, ტრანზიტისა და დეპორტაციის სამართლებრივ საფუძველსა და მექანიზმებს.
- 2015 წელს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“. ამ კანონით განისაზღვრება შრომით მიგრაციას მიკუთვნებული საკითხები, ურთიერთობები და სუბიექტები, მმართველობის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოები, მათი უფლე-

1 საქართველოს მთავრობის დადგენილება # 59, თბ. 2013

ბები და მოვალეობები.

2003 წლიდან ეტაპობრივად ხორციელდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის დახვეწა ადამიანის ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და საზღვრის უკანონო კვეთის კუთხით.

● „შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ“[1]. საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულების მიზანია ტრეფიკინგის, მონობისა და ექსპლუატაციის პრევენცია. ხოლო, კანონში ტრეფიკინგის წინააღმდეგ მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივი სტატუსი, მათი დაცვის სამართლებრივი და სოციალური გარანტიები.

● კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ ადგენს პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება და რეგულირდება სახემწიფო სახმელეთო საზღვარის, ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, განსაკუთრებული ტერიტორიული ზონებისა და შელფის საზღვრის კვეთის წესები.

აგრეთვე მიგრაციის სფეროს რეგულირების საკანონმდებლო აქტებია:

▪ საქართველოს კანონი - „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ (1993 წ.);

▪ საქართველოს კანონი - „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ (1996 წ.);

▪ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ (1998 წ.);

▪ საქართველოს კანონი - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (2006 წ.);

▪ საქართველოს კანონი - „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (2008 წ.);

▪ საქართველოს კანონი - „ლტოლვილისა და ჰუმანიტარუ-

1 საქართველოს კონსტიტუცია, თავი 2, მუხლი 30.

ლი სტატუსების შესახებ“ (2011 წ.);

- საქართველოს კანონი - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2011 წ.);
- საქართველოს კანონი - „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ (2011 წ.).

იმისათვის, რომ ეფექტურად განხორციელდეს მიგრაციის სტრატეგია, მნიშვნელოვანია იგი შეესაბამებოდეს ქვეყნის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებს და გაითვალისწინოს ქვეყნის მომიჯნავე, არანაკლები მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო მიზნები, რომელიც აისახა კიდეც შემდეგ დოკუმენტებში:

- „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია“ (2015-2018 წ.წ.);
- „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგია“ (2014-2018 წ.წ.);
- „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია“ (2014–2020 წ.წ.);
- „ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგია“ (2014-2017 წ.წ.);
- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“ (2014-2020 წ.წ.);
- „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგი“ (2014-2016 წ.წ.);
- „საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია“ (2013-2020 წ.წ.);
- „საქართველოს დიასპორებთან ურთიერთობის სტრატეგია“ (2015 წ. პროექტი);
- „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია“ (2015-2017 წ.წ.).

2020 წლისთვის საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის მიზანია ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის დაახლოებას ევროკავშირთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიქმნა მიგრაციის პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელიც ასე ჩამოყალიბდა:

ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა:

ა. სავიზო და ბინადრობის პოლიტიკის დახვეწა;

ბ. შრომითი მიგრაციის ხელშეწყობა და რეგულირება;

გ. ემიგრაციის აღრიცხვის გაუმჯობესება;

დ. განათლების სექტორის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა:

ა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის გაუმჯობესება;

ბ. უკანონო მიგრაციასთან ბრძოლა;

გ. ტრანსსასაზღვრო და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა;

დ. რეადმისიის ხელშეკრულების განხორციელება და ახალი შეთანხმებს ინიცირება;

თავშესაფრის სისტემის განვითარება:

ა. საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა;

ბ. ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება;

გ. ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

იმიგრანტთა ინტეგრაციის და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა:

ა. იმიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ბ. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაცია;

მიგრაცია და განვითარება:

ა. მიგრაციის პოტენციალის გამოყენება;

ბ. ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობა;

გ. დიასპორის და ემიგრანტების საინვესტიციო პოტენციალის მობილიზება;

მიგრაციის მართვის გაუმჯობესება:

ა. მიგრაციის პოლიტიკის კოორდინაციის გაუმჯობესება;

ბ. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდების გაუმჯობესება;

გ. მიგრაციის რისკების ანალიზისა და თემატური კვლევე-

ბის პრაქტიკის დანერგვა და განვითარება;

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება:

ა. საზოგადოებრივი აზრის კვლევა;

ბ. მედია კამპანიების შემუშავება;

გ. სამიზნე აუდიტორიასთან რეგულარული კომუნიკაცია;

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება:

პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება;

დასკვნა. უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო ბაზის მეტნაკლებად დარეგულირების მიუხედავად, საქართველოში მაინც გადაუჭრელ პრობლემად რჩება მოსახლეობის გადინება ქვეყნიდან. 1991 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ეს დარგი მივიწყებული იყო, არ ჩატარებულა არც ერთი საფუძვლიანი კვლელვა მიგრაციის პრობლემებთან დაკავშირებით. ისიც ფაქტია, რომ მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებით ეს რპობლემა თავისთავად არ მოგვარდება, აუცილებელია გადაიდგას შემხვედრი ნაბიჯები, გატარდეს გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური პროგრამები (გამოცდილებამ ცხადყო, რომ მოკლევადიან, ერთჯერად სოციალურ პროექტებს შედეგი არ მოაქვს), შეიქმნას სამუშაო ადგილები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის მონაცემებით წინა წელთან შედარებით მოსახლეობა 16.95% – ით შემცირდა, რაც ფრიად საგანგაშო მაჩვენებელად შეიძლება ჩაითვალოს.

2015 წლის დეკემბერში ევროკავშირთან მოპოვებული სავიზო რეჟიმის გამარტივების (ვიზალიბერალიზაციის) მიღებისა (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ამჟამად საქართველო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის დასკვნით ფაზაშია) და ძალაში შესვლის შემდეგ აუცილებელი იქნება კიდევ უფრო დიდი ყურადღება მიექცეს მოსახელობის ემიგრაციას ევროპის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების და განარგულებების კრებული 22. თბ.1997წ.
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება 59, თბ. 2013წ.
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება 622, თბ. 2015წ.

REFERENCES:

1. Constitution of Georgia.
2 Collection of Edicts and Decrees of Georgia's President 22. Tb .1997.
3. Resolution of Georgia's Government 59, Tb. 2013.
4. Resolution of Georgia's Government 622, Tb. 2015.

LEGISLATION BASES OF MANAGEMENT OF THE MIGRATION PROCESSES IN GEORGIA

Giorgi Cincadze,
GTU, PhD Student

RESUME

The article examines the will of the state for human rights and fundamental freedom. One of the important issue in globalization conditions is the problem of migration faced the modern world. It should be noted that migration has important influences as in social-economical development, as well in its stability and security.

In the article is clearly described the issue of internal and external migration, emigration and immigration questions. Of the supreme law, the Constitution is clearly identified the state's will for human rights and fundamental freedoms.

Also is discussed and presented the Migration Policy Action Plan of the 2016- 2020 years, which aims is to create a legal framework, that will ensure the country closer to the EU.

Key Words: Migration, Economic Development, Stability, Security.

ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის უზრუნველყოფაში საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ნაციონალისტური ხედვის მიხედვით

გიორგი ხიდეშელი,
გოჩა ლობჟანიძე
თსუ, სტუდენტები

შესავალი

გასული საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებს ახასიათებდათ ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების გამიჯვნა და მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესწავლა. შედეგად მივიღეთ სისტემა, სადაც როგორც სუზან სტრეინჯი იტყოდა ადგილი ჰქონდა „ორმხრივი უგულებელყოფის“ შემთხვევას[1]. თუმცა აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ომის შემდგომ მსოფლიოში სადაც ეკონომიკური ზრდა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება სერიოზულ ხელშეწყობას საჭიროებდა, თავი იჩინა ეკონომიკური კრიზისების წარმოშობის საფრთხემ. ამერიკაში შექმნილმა ფინანსურმა დაძაბულობამ, ნავთობის კრიზისმა თუ ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოუკიდებელი მესამე სამყაროს პრობლემებმა შეამზადა ნიადაგი იმისთვის, რომ მთავრობებს აქტიურად დაეწყოთ ფიქრი ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების კომბინირებულად წარმართვაზე. შედეგად კი მივიღეთ სისტემა, სადაც პოლიტიკური პროცესები განსაზღვრავდა

1 Strange, Susan. "International economics and international relations: a case of mutual neglect." International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944-) (1970): 304-315.

ეკონომიკურს და პირიქით, ანუ ამ ორმა სახელმწიფოებრივმა საქმიანობამ კომბინირებულად მოქმედების უნარი შეიძინა. თუმცა საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეკონომიკისა და პოლიტიკის ინტეგრაცია რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული კუთხით წარიმართა, რასაც მოწმობს საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიკაში არსებული სამი თეორიული მიდგომა: ნაციონალიზმი, მარქსიზმი და ლიბერალიზმი. მიუხედავად იმისა, რომ სამივე მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანია და დიდი წვლილი მიუძღვით მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ახსნაში, ჩვენ ყურადღებას ნაციონალისტურ ან როგორც იტყვიან მერკანტილისტურ ხედვაზე შევაჩერებთ.

საკვანძო სიტყვები: ინდუსტრიალიზაცია, ეკონომიკური ნაციონალიზმი, მშპ.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკური ნაციონალიზმი, როგოც საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის თეორია, მრავალ ასპექტს მოიცავს, რომლებიც დაკავშირებულია საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური პროცესების ურთიერთქმედებასთან. ეკონომიკური ნაციონალიზმის მიხედვით ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფოს მიზნებსა და ინტერესებს. ეს უკანასკნელი კი საერთაშორისო სისტემაში გამუდმებით ცდილობს მოიპოვოს, რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური რესურსი, რომლებიც მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებია ეროვნული ძლიერებისათვის. კონკურენტულ საერთაშორისო სისტემაში ჩაბმული სახელმწიფოები ერთგვარად სპეციალდებიან ვაჭრობასა და წარმოებაზე, საიდანაც მიღებული შემოსავალით შესაძლებლობა ჰქონდათ გაეზარდათ სამხედრო პოტენციალი.

ეკონომიკური ნაციონალიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას ინდუსტრიალიზაციის შედეგად მიღებულ სარგებელზე აკეთებს. ალექსანდრე ჰამლტონისა და ფრიდრიხ ლისტის მოსაზრებები ინდუსტრიალიზაციაზე გარკვეულწილად განვითარდა, დაიხვეწა და მერკანტილისტების ნაშრომებში ხშირად

დომინირებდა. ამ უკანასკნელთა აზრით კი ეფექტური ინდუსტრია ქვეყნის განვითარების სამ ასპექტზე აისახება დადებითად:

• ნაციონალისტებს სწამთ რომ ინდუსტრია ახდენს გარდამტეხ ეფექტს ეკონომიკაზე და მას მივყავართ ეკონომიკის სრულ განვითარებამდე;

• ნაციონალისტებისთვის განვითარებული ინდუსტრია ასოცირდება ეკონომიკურ თვითუზრუნველყოფასთან და პოლიტიკურ ავტონომიასთან;

• ინდუსტრია არის სამხედრო სიძლიერისა და შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოების საფუძველი[1].

ვინაიდან სამივე პრინციპს მართებულად მივიჩნევ, შევეცდები თითოეული მათგანის დადასტურებას სხვადასხვა ემპირიული მასალებითა და არგუმენტებით, რაც საბოლოოდ ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ნაციონალისტური ხედვის თანახმად კარგად განვითარებული ინდუსტრიული კომპლექსი შედეგად ეკონომიკის სრულ განვითარებას გვაძლევს. ამ არგუმენტის გასამყარებლად ჩინეთის მაგალითის მოყვანა სავსებით გამართლებულია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჩინეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა განვითარების გეგმა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკიდან განცალკევებას, ინდუსტრიალიზაციასა და ეკონომიკაზე სახელწიფოს დომინანტობას გულისხმობდა. აღნიშნულმა რეფორმებმა ეკონომიკური წინსვლა იმდენად დააჩქარეს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მონაცემებით 1980 (9.9%) და 1990 (10,3%) წლებში ჩინეთი მსოფლიოში მოწინავე პოზიციაზე აღმოჩნდა. მშპ-ში ინდუსტრიის წილი კი 1964-2004 წლების შუალედში 34% დან 46% მდე გაიზარდა და დღემდე 46%-ს წარმოადგენს[2]. სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამ, მასობრივმა

1 ნინო ჟვანია. "საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია." (2006).

2 **Kniivilä, Matleena. "Industrial development and economic growth: Implications for poverty reduction and income inequality." Industrial Development for the 21st Century: Sustainable Development Perspectives (2007): 295-333.**

ინვესტირებამ ინფრასტუქტურის განვითარების მიზნით და დიდმა შრომითმა რესურსებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩინეთის განვითარების რამდენიმე ათეულ წლიან პროცესში, რამაც საბოლოო მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს ჩინეთის ეკონომიკა რიგით მეორეა მსოფლიოში და მისი მშპ 10.36 ტრილიონი დოლარია[1].

თუმცა აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე, ნაციონალისტური ხედვის კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ გადაჭარბებული აქცენტი მრეწველობაზე ხშირად სოფლის მეურნეობის უგულებელყოფის მიზეზი ხდება, რაც სავსებით დაუშვებელია. მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობა ქმნის მნიშვნელოვან დოვლათს სახელმწიფოში, სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე არცერთი საზოგადოება არ განვითარებულა. კრიტიკოსები იმ არგუმენტსაც იშველიებენ, რომ ინდუსტრიული ქვეყნები სოფლის მეურნეობის შესანარჩუნებლად მისდამი პროტექციონიზმის პოლიტიკას ატარებენ. კარგი იქნება თუ ასევე ჩინეთის მაგალითზე დაყრდნობით შევამოწმებთ ამ საპირისპირო მოსაზრების მართებულებას და დავადგენთ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება ქონდეს რესურსების მაქსიმალურად მრეწველობაზე მიმართვას. მაშინ როცა 1964-2004 წლებში ინდუსტრიის ხვედრითი წილი მშპ-ში 10%ით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის აღნიშნული მაჩვენებელი 38%-იდან 13%-მდე დაეცა. მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, მოსახლეობის უმეტესობა კვლავ სიღარიბეში ცხოვრობდა და მრეწველობიდან შემოსული თანხები მოსახლების ცხოვრების მაჩვენებელზე პოზიტიურად ვერ აისახებოდა. მთავრობის მიერ გატარებულმა მიწის რეფორმამ სიღარიბის პრობლემა მეტნაკლებად დაძლია, ერთგვარი მფარველობითი პოლიტიკის გატარების შემდეგ 2006 წელს სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის 44% იყო

1 The Statistics Portal, "China: gross domestic product (GDP) at current prices from 2010 to 2020 (in billion U.S. dollars)", http://www.statista.com/statistics/263770/gross-domestic-product-gdp-of-china/ (ბოლო ნახვა, ოქტომბერი 22, 2015).

ჩართული. მართალია ინდუსტრიალიზაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, რაც მისსავე ეკონომიკურ სიძლიერეზე აისახა, თუმცა მხოლოდ მრეწველობის წახალისებით შეუძლებელია მოსახლეობაში კეთილდღეობის შენარჩუნება და ამ მიზნით სოფლის მეურნეობა გარკვეულ მფარველობას საჭიროებს.

განვითარებული ინდუსტრია არამარტო ეკონომიკის სრული განვითრების, არამედ ეკონომიკური თვითუზრუნველყოფისა და პოლიტიკური ავტონომიის მიღწევის საშუალებასაც იძლევა. მაგალითისთვის, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი იაპონია ავიღოთ რომელიც ეკონომიკურად არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში იყო, მშპ ერთ სულ მოსახლეზე 380 დოლარს შეადგენდა, რასაც ემატებოდა პოლიტიკური დამოკიდებულება გამარჯვებულთა კოალიციაზე და განსაკუთრებით ამერიკაზე. ეს უკანასკნელი კი ლიბერალური პრინციპების დანერგვითა და ეკონომიკური ცვლილებების გატარებით საკმაოდ დიდ გავლენას ინარჩუნებდა იაპონიაზე. 1952 წლიდან, რომელსაც ისტორიაში იაპონიის რეკონსტრუქციის ერის დასაწყისად მიიჩნევენ, შემუშავდა სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ინდუსტრიალიზაციასა და საერთაშორისო თანამეგობრობაში ხელახლა დამკვიდრებაზე აკეთებდა[1]. თუ საწყის ეტაპზე იაპონური წარმოება ამერიკული პროდუქციის შესწავლასა და მისი იდენტურის შექმნას გულისხმობდა, უკვე 1980 წლიდან ინდუსტრიული პროცესები დაეფუძნა კვლევისა და განვითარების პრინციპს, რასაც სრულიად ინოვაციური ახალი ტექნოლოგიები მოჰყვა. იაპონიამ შეძლო არამარტო საკუთარი ბაზრის არამედ საერთაშორისო სავაჭრო სივრცეში თვითდამკვიდრება, როგორც მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელი ქვეყანა. მაგალითად თუ იაპონური ავტომობილების მწარმოებელი ქარხნები წელიწადში უშვებდნენ 31,597 ავტომობილს, ეს ნიშნული ოდნავ აღემატებოდა ამერიკაში ერთ დღეში ნაწარმოებ პროდუქციას. იაპონური

1 Ichimura, Shinichi. Political economy of Japanese and Asian development. Springer Japan, 1998.

მანქანების მაღალი ფასი და შედარებით დაბალი ხარისხი ვერ უწევდა კონკურენციას ამერიკულ პროდუქციას, თუმცა სწორი ინდუსტრიული პოლიტიკის გატარების შემდეგ, 1977 წლისთვის უკვე იაპონური ნაწარმის თითქმის 50% ექსპორტზე გადიოდა და ადგილობრივი ბაზარი თითქმის ათვისებული იყო[1]. მართალია, ამ კონკრეტულ შემთხვევას ვერ განვაზოგადებთ მრეწველობის ყველა დარგზე, თუმცა ნაწილობრივ იგი კარგად წარმოაჩენს თუ რა შედეგები მოიტანა იაპონიაში ინდუსტრიალიზაციამ. განსხვავებით გასული საუკუნის შუა პერიოდისა დღეს იაპონიის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 38, 633 დოლარია. მას შემდეგ იაპონიის ეკონომიკამ მსოფლიოში მოწინავე ადგილზე აღმოჩნდა გაიზარდა მისი პოლიტიკური როლი რეგიონშიც და გლობალური მასშტაბითაც. თუმცა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ იაპონიის ეკონომიკური გაძლიერება პროპორციულად ამცირებდა მის აშშ-ზე დამოკიდებულების ხარისხს.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობების ლოგიკურ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ნაციონალისტების მოსაზრება, რომ ინდუსტრია არის საშუალება სამხედრო ძლიერებისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ცხადია სამხედრო ძლიერების მისაღწევად აუცილებელია კონკრეტულად სამხედრო მრეწველობის განვითარება, რომელიც მთლიანი ინდუსტრიის ნაწილად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ხსენებული მოსაზრების დასასაბუთებლად ნაცისტური გერმანიის მაგალითს მოვიშველიებთ, რომელმაც ეტაპობრივად შეძლო შეექმნა სამხედრო ინდუსტრია და აღესრულებინა მილიტარისტული მიზნები. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ვერსალის ზავის მიხედვით მას 33 მილიარდი დოლარის ექვივალენტი კონტრიბუცია უნდა გადაეხადა. ამას თან დაერთო აშშ-ში მომხდარი „დიდი დეპრესია“ რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ევ-

1 Mitsloan Management Review, “Manufacturing Innovation: Lessons from the Japanese Auto Industry”, http://sloanreview.mit.edu/article/manufacturing-innovation-lessons-from-the-japanese-auto-industry/ (ბოლო ნახვა, ოქტომბერი 22, 2015).

როპულ ქვეყნებზეც. ინფლაციის, უმუშევრობისა და სხვა ეკონომიკური პრობლემის დაძლევის შემდეგ, რაც ნაცისტების მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას მოჰყვა, დაიწყო მთელი ქვეყნის მასშტაბით საწარმოების მშენებლობა. 1933 წელს, ნაცისტების მთვარობაში მოსვლის საწყის ეტაპზე ქვეყნის ინდუსტრია შემოიფარგლებოდა ნედლეულის გადამუშავებით, ძირითადად ფოლადისა და ქვანახშირის, მოგვიანებით დაიწყო მანქანათმშენებლობის დარგების დაწინაურება, რაც თავისთავად ქმნიდა ახალი ტექნოლოგიების შექმნის საფუძველს. ამ ყველაფერს კი მოჰყვა სამხედრო მრეწველობის განვითარება, თუ საწყის ეტაპზე 1933 წელს, გერმანიის მშპ-ს მხოლოდ 3% იხარჯებოდა სამხედრო წარმოებაზე, უკვე 1939 წლისთვის ეს ნიშნული კი 32% გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში მოსახლეობის 22% იყო დასაქმებული[1]. ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობამ კარგად განვითარებული სამხედრო მრეწველობა წარმოქმნა, რომლის შედეგის ნაწილი ცხრილების[2] სახით არის წარმოდგენილი.

Power	*Tanks & SPGs*	*Armored vehicles*	*Other vehicles*	*Artillery*	*Mortars*	*Machine guns*
Germany	67,429	345,914	159,147	73,484	674,280	1,000,730

Power	*Carriers*	*Battleships*	*Submarines*	*Landing craft*	*destroyers*
Germany	1	2	1,152	540	17

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინდუსტრიალიზაცია განვითარების გარკვეული ეტაპის შემდეგ გვაძლევს საშუალებას შეიქმნას ისეთი სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსი, რომელიც სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას რამდენჯერმე გაზრდის და ეროვნული უსაფრთხოების მთავარ იარაღად იქცევა.

1 The History Learning Site, "Nazi Germany and the Economic Miracle", The History Learning Site, http://www.historylearningsite.co.uk/nazi-germany/nazi-germany-and-the-economic-miracle/ (ბოლო ნახვა ოქტომბერი 22, 2015).

2 Academic Dictionaries and Encyclopedias, "Military production during World War II", Academic Dictionaries and Encyclopedias, http://en.academic.ru/dic.nsf/enwiki/691636 (ბოლო ნახვა, ოქტომბერი 22, 2015).

თუმცა მეორე საკითხია, როგორ იყენებენ ქვეყნები სამხედრო მრეწველობის ნაყოფს, ვინაიდან ნაცისტური გერმანიის მაგალითი ცხადყოფს, რომ იგი არა მარტო თავდაცვისთვის, არამედ მილიტარისტული და ექსპანსიონისტური მიზნების მისაღწევადაც შეიძლება იყოს გამოყენებული.

დასკვნა

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ნაციონალისტური ხედვის დამოკიდებულება ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობასა და სარგებლიანობაზე სამართლიანია, რაც ჩვენს მიერ მოყვანილი ფაქტების საშუალებით დასტურდება. უმჯობესი იქნება თუ მერკანტილიზმის მომხრეები თავიანთ შეხედულებებში გაითვალისწინებენ იმ რისკებს, რაც შეიძლება გარგად განვითარებულ მრეწველობას შეიძლება მოჰყვეს, თუ ხელისუფლება მილიტარისტული და ექსპანსიონისტური იდეოლოგიითა შეპყრობილი, რა თქმა უნდა მხედველობაში დიდი სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსის მქონე ნაცისტური გერმანია მაქვს. ასევე აუცილებელია გადაისინჯოს ნაციონალისტების დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის მიმართ, რომლის უგულებელყოფაც მხოლოდ ნეგატიურ ნაყოფს იძლევა. მართალია ინდუსტრიის მშენებლობა მერკანტილისტური იდეების მომხრე მთავრობის ძირითადი პრიორიტეტია, თუმცა სავსებით შესაძლებელია სოფლის მეურნეობს ხელშეწყობაც. მიუხედავად იმისა რომ ნაციონალისტური ხედვა ეკონომიკის მრავალ ასპექტს მოიცავს, აღნიშნულ ნაშრომში შევეცადე გარკვეულ ქეისებზე დაყრდნობით შემემოწმებინა ამ უკანასკნელის შეხედულებები ინდუსტრიალიზაციასთან და აღმომეჩინა სუსტი მხარეები, რომელთა მოგვარებაც უფრო მეტ სრულყოფილებას შესძენდა ხსენებულ თეორიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

• Academic Dictionaries and Encyclopedias, "Military production during World War II", Academic Dictionaries and Encyclopedias, http://en.academic.ru/dic.nsf/enwiki/691636

• Matleena Kniivilä. "Industrial development and economic growth: Implications for poverty reduction and income inequality." *Industrial Development for the 21st Century: Sustainable Development Perspectives* (2007): 295-333.

• Mitsloan Management Review, "Manufacturing Innovation: Lessons from the Japanese Auto Industry", http://sloanreview.mit.edu/article/manufacturing-innovation-lessons-from-the-japanese-auto-industry/

• Shinichi Ichimura. *Political economy of Japanese and Asian development*. Springer Japan, 1998.

• Susan Strange. "International economics and international relations: a case of mutual neglect." *International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944-)* (1970): 304-315.

• The History Learning Site, "Nazi Germany and the Economic Miracle", The History Learning Site, http://www.historylearningsite.co.uk/nazi-germany/nazi-germany-and-the-economic-miracle/

• The Statistics Portal, "China: gross domestic product (GDP) at current prices from 2010 to 2020 (in billion U.S. dollars)", http://www.statista.com/statistics/263770/gross-domestic-product-gdp-of-china/

• ნინო ჟვანია. „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია." (2006). **Nino Zhvania. "International Political Economy". 2006. (In Georgian Language).**

THE SIGNIFICANCE OF INDUSTRIALIZATION IN THE PROVISION OF THE POLITICAL AND ECONOMIC STRENGTH OF A COUNTRY ACCORDING TO THE NATIONALISTIC IDEA OF THE INTERNATIONAL POLITICAL ECONOMY

Giorgi Khidesheli
Gocha Lobjanidze
Tbilisi State University, Students

RESUME

This article discusses how the economic nationalism explains the role of industrialization in the development of the state's economic and political strength. We will try to assert the economic nationalism's approaches toward this issue by several arguments. We will use the cases of states from the history in order to make our discussion more overt. Finally, we will offer the readers the critics of industrialization viewed by the economic nationalism.

Keywords: Industrialization, Economic Nationalism, GDP.

საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ეკონომიკური აქტორი: BRICS მოქმედებაში, მისი პოტენციალი და პერსპექტივები

სალომე ონიანი, ზურა გამთენაძე, ამზა ჩარგაზია, თამთა კავლელაშვილი, თინათინ ბეშკენაძე
თსუ, ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები.

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია ერთ-ერთი მსხვილი ეკონომიკური კავშირის **BRICS**-ის ეკონომიკურ-ფინანსური მახასიათებლები. ნაშრომში შემოთავაზებულია ახსნა იმისა თუ რა მიზნებით შეიქმნა აღნიშნული კავშირი, რა მიმართულებებით მუშაობს და რომელ რეგიონებსა თუ სფეროებზეა უფრო მეტად ორიენტირებული. კავშირის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღებისთვის ნაშრომში ცალკეულ თავებად არის წარმოდგენილი თითოეული წევრის, ბრაზილიის, ინდოეთის, ჩინეთის, რუსეთისა და სამხრეთ აფრიკის ეკონომიკური განვითარების მოკლედ მიმოხილვა და დღევანდელი მდგომარეობა, ასევე ფინანსური ფოკუსირების არეალები. ნაშრომში დამატებით გაანალიზებულია კავშირის წევრებს შორის ურთიერთობები, რომლებიც მოიცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს, ხოლო ბოლოს შემოთავაზებულია **BRICS**-ის განვითარების შესაძლო სცენარები.

საკვანძო სიტყვები: BRICS, ალტერნატიული სისტემა, ფინანსური დახმარებები, ვაჭრობა.

შესავალი

21 საუკუნეში მსოფლიო ასპარეზზე გამოჩნდა 5 ახალი ინდუსტრიული ქვეყნის – ბრაზილიის, ინდოეთის, ჩინეთის, რუსეთისა და სამხრეთ აფრიკის კავშირი **BRICS.** ეს სახელმწიფოები წარმოადგენს 5 ძლიერ ეკონომიკას, რომელთა მთლიანი შიდა პროდუქტი 1 ტრილიონ დოლარს აღემატება. ბრიქსის ქვეყნების 2013 წლის დურბანის სამიტზე სამხრეთ აფრიკაში შეთანხმდნენ,

რომ შექმნიდნენ "ახალი განვითარების ბანკს" (New Development Bank), რომელიც მსოფლიო ბანკის წმინდა დასავლურ საფინანსო ინსტიტუციის დომინირების შესამცირებლად უნდა შექმნილიყო. 2014 წლის 15 ივლისს ფორტალეზაში, ბრაზილიაში ამ ბანკმა მუშაობა ოფიციალურად დაიწყო და დღეს ორგანიზაცია მოიცავს მსოფლიო მოსახლეობის 40%-სა (2.8 მილიარდი ადამიანი) და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით (16 ტრილიონი დოლარი) მსოფლიო GDP-ის მაჩვენებლის 1/4-ს.[1] აღსანიშნავია ის, რომ შეინიშნება ბრიქსის წილის ზრდა მსოფლიო ექსპორტში, თუ 1980-წლისათვის იგი მხოლოდ 4%-ს წარმოადგენდა, 2010 წლისათვის ამ ციფრმა უკვე 15%-ს მიაღწია , რაც ქმნის ორგანიზაციას გლობალურად გადაწყვეტილების მიმღებად და გავლენის მომხდენად მსოფლიო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, როგორებიცაა - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო ბანკი (WORLD BANK) და სხვა ეკონომიკურ ინსტიტუციებსა თუ საფონდო ბირჟებზე.[2] ამავდროულად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბრიქსის წევრ ქვეყნებში უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკური ვითარება ორგანიზაციისთვის არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობას ქმნის. ისინი დგანან გამოწვევების წინაშე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბრიქსის სამომავლო განვითარებაში.

ძირითადი ტექსტი

BRICS. 2013 წელს BRICS-ის მეხუთე საერთაშორისო სამიტზე სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში გამოითქვა აზრი ორგანიზაციის მიერ სავალუტო ბანკის მსგავსი პროექტის შექმნის აუცილებლობის შესახებ ფორტალეზაში 2014 წლის 15 ივლისს. BRICS-ის სამიტზე გადაწყდა ახალი განვითარების ბანკის შექმნა. ბანკის მისიაა შეითვისოს ის ნიშა, რაც სამხრეთ ნახევარსფეროში არსებობს ეკონომიკური აღმავლობის სფეროში და დაეხმაროს წევრ

1 GLOBAL SHERPA, BRIC Countries _ Background, Latest News, Statistics and Original Articles. http://www.globalsherpa.org/bric-countries-brics

2 Alejandro Lavopa, Industrialization Lessons from BRICS: A Comparative Analysis http://ftp.iza.org/dp7543.pdf

ქვეყნებს, მიაღწიონ უფრო ეფექტურ ეკონომიკურ მულტილატერალიზმს სხვადასხვა სფეროში – იქნება ეს ვაჭრობა, ფინანსური სესხები და ა.შ. გეოგრაფიულად ბანკის ფუნქციონირება მოიცავს დაბალი და საშუალოდ განვითარებული ქვეყნების ბაზრებს (საჰარის ქვეყნები, შუა აღმოსავლეთი და ოკეანეთის ქვეყნები). ნიშანდობლივია, რომ ტროპიკული აფრიკის ქვეყნებისთვის ეს ბანკი კრედიტის მიმწოდებელი ერთადერთი ორგანიზაციაა, ვინაიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდს, როგორც ჩანს, ამ რეგიონის განვითარების მიმართ სკეპტიკური თვალთახედვა აქვს. გარდა ამისა, ,,ბრეტონ ვუდსის წესრიგის" მიხედვით, სავსებით აშკარაა საერთაორისო საფინანსო ორგანიზაციებზე დღესდღეობით აშშ-სა და ევროპის გავლენა (World Bank, IMF). განვითარების ახალი ბანკი კი ამ მხრივ პირველი ალტერნატივაა, 1940-იან წლებში დაფუძნებულ ინსტიტუციებთან საბრძოლველად. ფინანსურ შესაძლებლობებს რაც შეეხება, ,,ახალი განვითარების ბანკს" თავის რეზერვებში აქვს 50 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით საწყისი კაპიტალი (10 მილიარდი თითოეული წევრისგან), ამ ორგანიზაციის პარტნიორ ეკონომიკურ კონცესიას (RCA) კი 100 მილიარდი (აქედან 41%-ჩინეთის კონტრიბუციაა, 18% რუსეთის, ინდოეთისა და ბრაზილიის, ხოლო 5% სამხრეთ აფრიკის). ჯამში მათი რესურსი 150 მილიარდი $-მსოფლიო ბანკის (232 მილიარდი) და საერთაშორისო მონეტარული ფონდის (755 მილიარდი) მეხუთედია. ბანკის მთავარი ოფისი შანხაიშია[1].

საინტერესოა, რომ აფრიკის ქვეყნებს, სადაც ე.წ. დიქტატორული რეჟიმებია, სესხს არავინ აძლევს. ახალი განვითარების ბანკს კი არ აქვს ,,მაღალი სტანდარტები" სესხის გასაცემად. იგი შეიძლება მოგვევლინოს მესამე სამყაროს იმედად. ამის პრაქტიკული მაგალითები უკვე არსებობს – ჩინეთი სუდანის მთავრობას ეხმარება ინფრასტრუქტურის შექმნაში (რკინიგზების მშენებლობა, ადმინისტარიული ნაგებობების გამართვა). ჩინეთი უკვე განიხილება აფრიკის ქვეყნების მთავარ ეკონომიკურ პარტ-

1 Dingding Chen, The Duplomat, 3 Reasons the BRICS' New Development Bank Matters http://thediplomat.com/2014/07/3-reasons-the-brics-new-development-bank-matters/

ნიორად, ყიდულობს მიწებს აფრიკული ქვეყნებიდან და ხსნის საწარმოებს, იყენებს იაფ მუშა ხელს (იმაზე იაფს, ვიდრე თავად ჩინეთში). ცხადია, რომ ჩინეთი ახდენს აფრიკის „ეკონომიკურ კოლონიზაციას".[1] იმისთვის, რომ ორგანიზაციას როლი ნათელი გახდეს, მნიშვნელოვანია ბრიქსის ქვეყნების ახლანდელი ეკონომიკური პოტენციალის განხილვა.

ჩინეთი. ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში მეორეა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით. იგი, მსოფლიო ბანკის 2014 წლის მონაცემების მიხედვით, აგრეთვე არის მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა წლიურად ეკონომიკის მოცულობის 10%-იანი ზრდით უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. ეს ყველაფერი სოციალიზმის ეკონომიკური მოდელისა და „ჩინური კომუნიზმის" დამსახურებაა, რომელმაც შეძლო სწრაფად გადართულიყო კაპიტალიზმის სავაჭრო სისტემაზე. იგი აგრეთვე არის მსოფლიოში ნაწარმის უდიდესი ექსპორტიორი, მეორე ადგილზეა იმპორტის მოცულობით, ხოლო საბაზრო მოთხოვნა ჩინეთში ყველზე სწრაფად იზრდება.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ჩინეთმა მოახერხა შეემცირებინა მთლიან მოსახლეობაში სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა წილი. 1979 წელს, როდესაც მან წამოიწყო საბაზრო რეფორმები, მოსახლეობის 80%-ზე მეტი ცხოვრობდა სიღარიბეში. 2013 წლისთვის კი ეს წილი დაეცა 10%-ზე დაბლა.[2]

ჩინეთი უდიდეს როლს თამაშობს მსოფლიო ვაჭრობაში, აქვს რა დამყარებული სავაჭრო ურთიერთობები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან, აწარმოებს მაღალი და დაბალი ხარისხის პროდუქტს. აქ გახსნილია მსოფლიო ტრანსნაციონალური კორპორაციების უდიდესი საწარმოები (რაც ნაწილობრივ მუშა ხელის სიიაფის, ხოლო, მეორე მხრივ, კი ბაზრის მოთხოვნითაა განპირობებული). სიტუაცია შეიცვალა მე-20 საუკუნეში, როდესაც ჩინეთი მევალე

1 James Raymond Vreeland, What the new bank of BRICS is all about http://www.washingtonpost.com/blogs/monkey-cage/wp/2014/07/17/what-the-new-bank-of-brics-is-all-about/

2 Barone Barbara and Robert Bendini, China: Economic Outlook, 2015, (European Union, 2015). http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2015/549063/EXPO_IDA(2015)549063_EN.pdf

ქვეყნიდან იქცა სესხების გამცემ ქვეყანად. Aაშშ-საც კი ჩინეთის ტრილიონობით დოლარი ვალი დაუგროვდა უკანასკნელ წლებში. [1] ჩინეთი 2001 წელს გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (World Trade Organization) წევრი, ხოლო 2010 წლიდან „ასაენთან" გაფორმებული ექსკლუზიორი ორმხრივი ხელშეკრულებით ამ ორგანიზაციასთან მოვაჭრე უდიდესი სუბიექტია. ქვეყანა 2049 წლისათვის გეგმავს განვითარებული ქვეყნების რიცხვში შესვლას, სოციალური ფონის გაზრდას, კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

მართალია, ჩინეთის შთამბეჭდავი ეკონომიკური მიღწევები აქვს, თუმცა, მეორე მხრივ, ბოლო პერიოდში მასზე აღინიშნება გლობალური კრიზისის გავლენის ნიშნები. ჩინეთის მშპ-ს ზრდის მაჩვენებელმა თავის მაქსიმუმს მიაღწია 2007 წელს, როდესაც ეს მაჩვენებელი იყო 14.2 %. ამ დროიდან მოყოლებული, აღინიშნება ამ მაჩვენებლის ყოველწლიური კლება. მაგალითად, 2014 წელს იყო 7.4% ხოლო 2015 წლის პირველ კვარტალში 6.8%.[2]

ინდოეთი. ინდოეთი დღესდღეობით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით მსოფლიოში მე-10 ადგილზეა. იგი არის ექსპორტ-იმპორტის რაოდენობით მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა. ჩინეთის მსგავსად, ინდოეთსაც გააჩნია უდიდესი დემოგრაფიული პოტენციალი და ჰუმანიტარული რესურსები, რაც გამოიხატება კვალიფიციური კადრების არსებობაში, რომელთაც უნდა შექმნან ქვეყნის მომავალი ეკონომიკური წარმატება. ქვეყანა თანდათანობით ერთვება აგრარული ქვეყნის ტიპიდან ინდუსტრიალიზაციისაკენ და მიდის უფრო შორსაც – ინდოეთში ბოლო წლებში დაწინაურდა ე.წ „Hi-tech" წარმოება, აქ იქმნება მსოფლიოს ტრანსნაციონალური კორპორაციების („ტნკ") ქარხნული წარმოების პროდუქტი. ქვეყნის ეკონომიკის 20%-მდე წარმატებით გადართულია ტექნოლოგიის წარმოებაზე.[3]

1 The World Bank, China Overview http://www.worldbank.org/en/country/china/overview

2 Barone Barbara and Robert Bendini, China: Economic Outlook, 2015, (European Union, 2015). http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2015/549063/EXPO_IDA(2015)549063_EN.pdf

3 Trade Economy, India GDP Annual Growth Rate http://www.tradingeconomics.com/india/gdp-growth-annual

ყოველივე ზემოთთქმულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყანას ეკონომიკის მხრივ არასტაბილურობა ახასიათებს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ის თავისი მშპ-ის წლიური ზრდის მაქსიმალურს 2010 წელს აღწევს და შეადგენს 10.4%-ს, თუმცა 2011 წლიდან უკვე ეს მაჩვენებელი მკვეთრად ეცემა – 6.6%-მდე, 2012 წლისთვის არის 5.1%, მაგრამ მომდევნო წლიდან კვლავ მატება აღინიშნება და 2014 წლისთვის ეს მაჩვენებელი არის 7.3%.[1]

ბრაზილია. მიუხედავად იმისა, რომ 60-იან წლებში ბრაზილიის ეკონომიკა საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდებოდა, მთავრობის ახალმა პოლიტიკამ, რომელიც ცნობილია, როგორც ,,განვითარების ბრაზილიური მოდელი", მნიშვნელოვნად დააჩქარა ეროვნული ეკონომიკური პოტენციალის წინსვლა. ეს ქვეყანა დღესდღეობით მსოფლიოში მეშვიდე ქვეყანაა მშპ-ის მოცულობით. მას აქვს აბსოლიტურად თავისუფალი საბაზრო სივრცე და ლიბერალური კანონმდებლობა, რაც ეკონომიკის განვითარების კარგ მიკროკლიმატს ქმნის. უკანასკნელ დეკადში ბრაზილიამ ააღორძინა ტექნიკური მანქანათმშენებლობის დარგები, ატლანტის ოკეანის შელფურ ზონაში აღმოჩნდა ნავთობის მსხვილი უბნები, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

თუმცა, ბოლო პერიოდში ნაკლოვანებები მის ეკონომიკასაც ახასიათებს, მაგალითად, 2015 წლის უკანასკნელი მონაცემებით ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი 10%-ით გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი 7.9%-ს გადასცდა.[2]

რუსეთი.რუსეთის ეკონომიკა მეტწილად დამოკიდებულია ნავთობის ფასებზე, მსოფლიო საფონდო ბირჟებზე და გაზის ექსპორტზე. გარდა იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა რუსულ გაზზეა დამოკიდებული, ქვეყანა უდიდეს

1 The World Bank, GDP GWORTH, (Accessed December 21, 2015) http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?page=1

2 CNBC, Brazil's Economy Takes The Good With The Bad (Accessed December 20, 20015). http://www.cnbc.com/2015/11/19/brazils-economy-takes-the-good-with-the-bad.html

ბაზარზე – ჩინეთში ექსპორტზე გავიდა. გარდა ამისა რუსეთი აქტიურად თანამშრომლობს ცენტრალური აზიის გაზის რესურსებით მდიდარ ქვეყნებთან (თურქმენეთი, უზბეკეთი) და არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ რუსულმა გაზპრომმა ამ ქვეყნების რესურსების რეალიზაციის უფლება შეითვისოს ,,ევროპულ ფასებში" და დარჩეს დომინანტი ამ უმნიშვნელოვანესი რესურსის ბაზარზე.

ამჟამად კი რუსეთის ეკონომიკა მეექვსეა მსოფლიოში მოცულობით, ხოლო 2000 წლიდან 2012 წ. ქვეყნის ექსპორტი 160%-ით გაიზარდა. თუმცა, უახლოეს მონაცემებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 2015 წელს რუსეთის ეკონომიკაში მკვეთრი უარყოფითი ტენდენციები შეინიშნება – თუ 2010-2014 წლებში მისი მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი ყოველთვის დადებითი იყო, 2015 წელს ის უარყოფითია და მე-3 კვარტალში დაახლოებით – 4.5%-ს აღწევს.[1]

სამხრეთ აფრიკა. BRICS-ის წევრი სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სამხრეთ აფრიკის ეკონომიკა რეგიონული მაშტატებებისაა, მას ააქვს შესაძლებლობა გაბატონდეს კონტინენტზე, თუმცა არ მოეპოვება რესურსები, ითამაშოს მსოფლიო ეკონომიკურ გიგანტის როლი. მიუხედავად ამისა, იგი მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევა და წარმოადგენს ტიპურ სამხრეთულ ძალას. 1990 წლის ბოლოდან დღემდე სამხრეთ აფრიკის ეკონომიკის მოცულობა გაიზარდა 3 ჯერ, მიაღწია რა 450 მილიარდიან ბიუჯეტს. ქვეყანაში ეკონომიკის პირველადი და მეორადი დარგები დომინირებენ (ჯამში 65%), რაც შესაძლოა გარკვეულ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდეს ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.[2]

2015 წლის მონაცემებით სამხრეთ აფრიკა მე-2 უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა აფრიკის რეგიონში. ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით და არის პლატინის, ოქროს, რკინისა და

1 The National Interest, Russia's Economy: What Do The Numbers Tell Us? (Accessed December 21, 2015). http://nationalinterest.org/blog/the-buzz/russias-economy-what-do-the-numbers-tell-us-14300

2 Statistics South Africa, Economic Growth http://beta2.statssa.gov.za/?page_id=735&id=1

ქრომის წამყვანი მწარმოებელი. 2015 წლის პირველ სამ კვარ-ტალში აქ შეინიშნება მშპ-ის 0.75-იანი ზრდა, რამაც აღმოფხვრა ამ მაჩვენებლის 1.3%-იანი კლება წინა პერიოდში. მშპ-ს ზრდის ტემპი სამხრეთ აფრიკაში 1993 წლიდან 2015 წლამდე საშუალოდ 2.99% იყო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სულ რამდენიმე წლის წინ მას ამ მაჩვენებლის ზრდის საკმაოდ მაღალი უარყოფი-თი მონაცემები ჰქონდა და ეს იყო 2009 წლის პირველ კვარტალში, -6.1%.[1]

ორგანიზაციის ახალი განვითარების ბანკის სამიზნე არეალი სწორედ აფრიკის განვითარებადი ქვეყნებია. ორგანიცაზიის სამიტებზე მთავარი განსახილველი საკითხები იყო ტექნიკური მანქანათმშენებლობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის მესამეული დარგების განვითარებისათვის მჭიდრო კოოპერაცია წევრ სახელმწიფოებს შორის, რათა მიღწეულ იქნეს მათი როლის გაზრდა უახლოეს მომავალში საერთაშორისო სისტემაში. განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა ენერგეტი-კულ სფეროში თანამშრომლობასა და ვაჭრობის სექტორს.[2]

BRICS-ის როლი მნიშვნელოვნად იზრდება ,,სამხრეთ-სამხრე-თის თანამშრომლობაში" (South-South Cooperation) სამი მიმარ-თულებით, ესენია: პოლიტიკური დამოუკიდებლობა ეკონომი-კური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისაგან, ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობა, ტექნოლოგიური Know-how-ის მიღწევების გაცვლა. ბრაზილია მოიაზრება სამხრეთ ამერიკის რეგიონალ ლიდერად, აქვს ეკო-ნომიკური შეთანხმებები სამხრეთ ამერიკის 11 ქვეყანასთან. ის ეხმარება განვითარებად ქვეყნებს, ყოველწლიურად გამოყოფს ბიუჯეტიდან თანხას, რითაც ცენტრალური რეგიონების ქვეყ-ნების (პარაგვაი, ბოლივია) ეკონომიკა ივსება.Bბრაზილიას თა-ვად აწუხებს სოციალური პრობლემები, თუმცა, ქვეყანაში სო-ციალური ფონი მაინც უმჯობესდება. რუსეთის კაპიტალი და

1 South Africa GDP Growth Rate, Trading Economics, (Accessed December 21, 2015). http://www.tradingeconomics.com/south-africa/gdp-growth

2 European Parliament, The role of the BRICS in the World, http://www.ab.gov.tr/files/ardb/evt/1_avrupa_birligi/1_9_politikalar/1_9_8_dis_politika/The_role_of_BRICS_in_the_developing_world.pdf

ფინანსური რესურსები ძირითადად მიმართულია ცენტრალური აზიის რეგიონისა და საჰარის სამხრეთი აფრიკის ქვეყნებისკენ. ინდოეთი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსახელობის მესამედზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, დახმარებას უწევს ნეპალს, ბუტანს, შრი-ლანკას, მიანმარსა და მალდივს. ინდოეთი აფრიკის "განვითარების ინიციატივაში" (New Partnership for Africa's Development - NEPAD) არის მსხვილი მონაწილე. აგრეთვე ტექნიკურ დახმარებას უწევს ინდოეთ-აფრიკული თანამშრომლობის ორგანიზაციას, აწვდის ტექნოლოგიებს და ა.შ. ჩინეთის განვითარების ბანკი ძირითადად აფრიკაზეა ორიენტირებული. ის მოქმედებს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ანგოლაში, სუდანში. შწორედ ამ ქვეყნებშია ყველაზე მეტი "ჩინური კრედიტი", შესაბამისად, განუხრელად იზრდება ჩინეთის გავლენაც რეგიონში. სამხრეთ აფრიკა კი 2008 წლის "უბუნტუს დიპლომატიის" ფარგლებში ცდილობს მეზობელს ქვეუნებს დაეხმაროს სოციალური ფონის ამაღლებასა და მშვიდობის უზრუნველყოფაში.[1]

„BRICS MAGAZINE" BRICS -ის სამომავლო განვითარების 4 შესაძლო სცენარს გვთავაზობს:

1. BRICS-ი სამომავლოდ შეინარჩუნებს განვითარებადი ერების კლუბის სტატუსს.

2. გაიზრდება მისი გავლენა საერთაშორისო დღის წესრიგზე პოლიტიკური ინტეგრაციის ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორებიცაა გაფართოება და პოლიტიკური ალიანსის შენება.

3. გაფართოვდება მისი ეკონომიკა და წევრებს შორის ვაჭრობა, მათი ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერებით და სრულფასოვანი ეკონომიკური კავშირის შექმნით.

4. BRICS-ი განახორციელებს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ და კულტურულ ინტეგრაციასაც. თუკი ეკონომიკური ინტეგრაცია მნიშვნელოვნად გაიზრდება, ეს წევრ

1 Geetanjali Sharma, Regionalism and BRICS: Understanding BRICS' Trade Policy Agenda in the Era of Growing

Regional Trade Agreements http://www.jgls.edu.in/JindalGlobalLawReview/pdf2/8.pdf

ქვეყნებს საშუალებას მისცემს მიაღწიონ საკმარის გლობალურ კონკურენტულ უპირატესობას.[1]

თუ გავითვალისწინებთ იმ გამოწვევებს, რომლებზეც ნაშრომში გავამახვილეთ ყურადღება და იმ მზარდ პრობლემებს, რომელთა წინაშეც წევრი სახელმწიფოები აღმოჩნდენ, ლოგიკურია ეჭვი შევიტანოთ ჩამოთვლილი დებულებების სიცხადეში.

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ გავლენიანი გამოცემები წერენ ბრიქსის ეკონომიკურ პრობლემებზე. ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთის, ჩინეთისა და სამხრეთ აფრიკის მცდელობა, რომ ერთმანეთს დაუკავშირონ საკუთარი ეკონომიკები საკმაოდ სარისკო ქმედებაა. ჩინეთი, რომელიც თავისი მზარდი ეკონომიკით მოწინავე პოზიციებს იკავებდა მსოფლიო ბაზარზე, ახლა მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად იქცა გაერთიანებაში. ამან გლობალური ფინანსური ბაზრის ცვლილება და ქვეყნების ფინანსური მდგომარეობის გადაჯაჭვა გამოიწვია.

არსებობს ვარაუდიც, რომ ბრაზილია და ჩინეთი მალე სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დადგებიან. სამხრეთ აფრიკის ვაჭრობის მინისტრი აცხადებს, რომ ურთიერთობები და სიტუაცია წევრ ქვეყნებს შორის გაცილებით გართულდა, ახალი გამოწვევის წინაშე დგომა თვალსაჩინოა და ზომებიც აუცილებლად მისაღები.[2]

დასკვნა

BRICS წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო შემთხვევას საერთაშორისო სისტემაში, ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ემყარება ხუთი განსხვავებული ტიპის ქვეყნის ერთობას და ასევე მოიცავს ვრცელ გეოგრაფიულ არეალს. რუსეთის, ჩინეთის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ბრაზილიისა და ინდოეთის კავშირმა ამ ქვეყნების ეკონომიკური პერსპექტივებიდან გამომდინარე შეძლო მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა და მრავალმხრივი

1 http://bricsmagazine.com/en/articles/imagine-brics-four-scenarios-of-the-future

2 http://www.usnews.com/news/articles/2015/09/15/brics-bloc-faces-cloudy-future

ურთიერთობების განვითარება. ექსპერტთა წრეებში საუბარი მის განვითარების კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებზე ნამდვილად არაა საფუძველს მოკლებული, მაგრამ ამავდროულად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბრიქსის წევრების ეკონომიკური მდგომარეობა მიმდინარე პერიოდში მნიშვნელოვან კითხვის ნიშნებს ბადებს. რათქმაუნდა, წევრი ქვეყნების სიძლიერე განსაზღვრავს მთლიანად გაერთიანების სიძლიერეს და ქმედითუნარიანობას, ამ ყველაფრის გარეშე მისი არსეობა შესაძლებელია სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ამ დრომდე ბრიქსი საერთაშორისო სისტემაში უფრო და უფრო ძლიერდება, რაც ტექსტში მიმოხილული მონაცემებითაც ჩანს, მაგრამ ამავდროულად ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ სამომავლო პერსპექტივაში წევრ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები მის სიძლიერეს და ქმედითუნარიანობას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- BARONE, Barbara, and Roberto BENDINI. 2015. *China: Economic outlook, 2015*. Accessed Janurary 30, 2016. http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2015/549063/EXPO_IDA(2015)549063_EN.pdf.
- n.d. *BRIC Countries _ Background, Key Facts, News and Original Articles.* Accessed February 1, 2016. http://globalsherpa.org/bric-countries-brics/.
- Chen, Dingding . 2014. *3 Reasons the BRICS' New Development Bank Matters.* July 23. Accessed January 30, 2016. http://thediplomat.com/2014/07/3-reasons-the-brics-new-development-bank-matters/.
- 2015. *China.* The World Bank.
- Desai, Raj M. , and James Raymond Vreeland. 2014. *What the new bank of BRICS is all about.* July 14. Accessed January 30, 2016. https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2014/07/17/what-the-new-bank-of-brics-is-all-about/.
- 2015. *Economic Growth.* Statistics South Africa.
- n.d. *GDP growth (annual %).* The World Bank. Accessed Janu-

ary 28, 2016. http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?page=1.

● Kissi, Dawn . 2015. *Brazil's economy takes the good with the bad.* November 22. Accessed January 29, 2016. http://www.cnbc.com/2015/11/19/brazils-economy-takes-the-good-with-the-bad.html.

● MORAZÁN, Pedro. 2012. *THE ROLE OF BRICS IN THE DEVELOPING WORLD.* DIRECTORATE-GENERAL FOR EXTERNAL POLICIES OF THE UNION .

● Naudé, Wim, Adam Szirmai, and Alejandro Lavopa. 2013. "Social Science Research Network." *http://papers.ssrn.com/.* August. http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2314838.

● Sharma, Geetanjali . 2014. "Regionalism and BRICS: Understanding BRICS' Trade Policy Agenda in the Era of Growing Regional Trade Agreements." *Jindal Global Law Review* 5 (1). Accessed January 25, 2016. http://www.jgls.edu.in/JindalGlobalLawReview/pdf2/8.pdf.

● 2015. *Trading Economics.* November 30. Accessed January 28, 2016. http://www.tradingeconomics.com/india/gdp-growth-annual#.

● 2015. *Trading Economics.* November 24. http://www.tradingeconomics.com/south-africa/gdp-growth.

● Wilson, William . 2015. *Russia's Economy: What Do the Numbers Tell Us?* November 10. Accessed January 28, 2016. http://nationalinterest.org/blog/the-buzz/russias-economy-what-do-the-numbers-tell-us-14300.

THE NEW ECONOMIC ACTOR OF INTERNATIONAL RELATIONSHIPS: BRICS IN ACTION, ITS POTENTIAL AND PROSPECTS

Salome Oniani, Zura Gamtenadze, Amza Chargazia, Tamta Kavlelashvili, Tinatin Beshkenadze
TSU, Bachelor Students , Third and Fourth Year.

RESUME

In this article is given an analysis of one of the largest economic union, "BRICS" and its economic-financial characteristics. There will be shown an explanation, in which purposes was this union created, in which directions it works and on which regions or spheres it is oriented more. For providing the detailed information about "BRICS", there will be chapters about each member: Brazil, India, China, Russian Federation and South Africa, a brief review and current condition of them, as well as their focus areas. In addition, there will be analyzed the relationship between member countries, which covers political and economic aspects. In the end we will offer some possible options of developing "BRICS".

Key Words: BRICS, Alternative System, Financial Assistance, Trade.

მცირე და საშუალო ბიზნესი ბრაზილიაში

მიხეილ კიკნაძე,
სტუ, დოქტორანტი

რეზიუმე

ბრაზილია ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოა ლათინურ ამერიკაში, რომლის ეკონომიკური კეთილდღეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებასთან.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოები (ქვეყანაში რეგისტრირებული მთლიანი საწარმოების და კომპანიების 99%.-ს შეადგენს, რომლებშიც მუშაობს ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის 57%(დაახლოებით 18 მლნ.სამუშაო ადგილი) და ქმნის ქვეყნის მშპ-ის 22%-ს..

სტატიაში განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა ბრაზილიაში, მცირე და საშუალო ბიზნესის თავისებურებები, ნაჩვენებია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკაში, მოცემულია ბრაზილიის მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებელები, ამ კატეგორიის საწარმოების კლასიფიკაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის გამოცდილება, ბრაზილიაში მცირე და საშუალო ბიზნესის მთავარი მხარდამჭერი ორგანოების საქმიანობა, განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ძირითადი პროგრამები, მცირე და საშუალო ბიზნესის უპირატესობები და ნაკლოვანებები, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ლათინური ამერიკა, ბრაზილია, მცირე და საშუალო საწარმოები, სექტორი, მეწარმეობა, დასაქმება.

ძირითადი ტექსტი

მცირე და საშუალო ბიზნესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლათინური ამერიკის ქვეყნების მდგრადი ეკონომიკური და

სოციალური განვითარებისათვის.ამ კონტექსტში, ამ რეგიონის ერთი-ერთი ლიდერი ქვეყნის-ბრაზილიის მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის ანალიზი, ძალზედ აქტუალურია ქვეყნაში უკანასკნელ წლებში გატარებული ეკონომიკის მოდერნიზაციის პირობებში.

ბრაზილიაში მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 1990-იანი წლების ბოლოს, რასაც საფუძვლად დაედო განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის გამოცდილება და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მექანიზმები , რომლებიც სოციალური პრობლემების გადაჭრის მიზნით დანერგილ იქნა პრაქტიკაში .

ამასთან, ქვეყნის ხელისუფლებამ სრულად ვერ უზრუნველყო დასახულის პრაქტიკული განხორციელება, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ისეთმა ფაქტორებმა როგორიცაა: ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტი, მასშტაბური კორუფცია, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა, არაკომპეტენტური ბიუროკრატია, ურთულესი საგადასახადო და საბაჟო სისტემები.

აღსანიშნავია, რომ 1999 წლამდე ბრაზილიის საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობდა რაიმე ნორმატიული აქტი, რომელიც ერთის მხრივ განსაზღვრავდა თუ რა იყო მცირე და საშუალო ბიზნესი და, მეორეს მრხივ, განსაზღვრავდა პოლიტიკას ამ სექტორის საწარმოების მიმართ.

ბრაზილიაში საბაზო ნორმატიულ სამართლებრივ აქტს წარმოადგენს 1999 წლის კანონი მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ (The Micro and Small Statute).

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ზოგადი ნორმები განსაზღვრულია ქვეყნის ფედერალური კონსტიტუციის 146, 170, 179. მუხლებით.

მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსი ასევე განისაზღვრება 2006 წელს მიღებული № 123 ზოგადი კანონით, მიკრო და მცირე საწარმოების შესახებ (Lei Geral), 2008 წლის19 დეკემბერს მიღებული № 128 კანონით და ახალი № 139/2011 კა-

ნონონით, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 1 იანვრიდან. კანონში შეტანილი იქნა არსებითი ხასიათის ცვლილებები. კერძოდ, ახალი კანონის თანახმად დღეისათვის ბრაზილიაში მცირე და საშუალო საწარმოები განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

მცირე საწარმოები – დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა სამრეწველო სექტორში - 19 ადამიანამდე, ხოლო ვაჭრობისა და მომსახურეობის სფეროში 9 ადამიანამდე.წლიური ბრუნვა 60 ათასიდან 360 ათას რეალამდე(ბრაზილიური ვალუტა).

საშუალო საწარმოები[1] –დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა სამრეწველო სექტორისათვის 20-დან 99 ადამიანამდე. ვაჭრობისა და მომსახურეობის სფეროსთვის 10 -დან 49 ადამიანამდე; წლიური ბრუნვა 360 ათასიდან, 3.6 მილიონ რეალამდე.

მსხვილი საწარმოები -დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მრეწველობაში:500 და მეტი ადამიანი და დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობასა და მომსახურობის სფეროში: 100 და მეტი ადამიანი

ინდივიდუალური მეწარმე – წლიური ბრუნვა 60 ათას რეალამდე.[2]

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად ხდება ბიზნესის კრიტერიუმების განსაზღვრა, თუმცა არსებობს ერთი საერთო დეფინიციაც.ძირითადად მაინც ყურადღება ექცევა საწარმოს ბრუნვასა და დასაქმებულთა რაოდენობას, რომელიც ხშირად სხვადსხვაა ეკონომიკური საქმიანობის სექტორების მიხედვით, როგორც ბრაზილიის ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიაში რამდენიმე წლის წინ ფორმალიზებული იქნა ბიზნესის კიდევ უფრო მარტივი ფორმა-ინდივიდუალური მეწარმის სტატუსი. ამიერიდან, ფიზიკურ პირს

1 მსს (მცირე და საშუალო საწარმოები)

2 **ESTRUCTURA POR SECTOR EN BRASIL 2001 Fuente: Elaboración propia con datos del IBGE, Instituto Brasileño de Geografía y Estadística.**

შეუძლია მარტივად და სწრაფად გაიაროს რეგისტრაცია საგადასახადო ორგანოში, ყოველთვიურად გადაიხადოს ფიქსირებული 30 აშშ დოლარი და აწარმოოს ბიზნესი. [1]

ამასთან ერთად, მეწარმეს შესაძლებლობა მიეცა სამუშაოზე აიყვანოს ერთი დამხმარე თანამშრომელი. რეგისტრაციის შემდეგ, ადამიანი გამოდის ჩრდილოვანი ბიზნესიდან და იძენს პენსიისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის – ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებელები.მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფაში.ბრაზილიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული ბანკისა(BNDES)[2] და ბრაზილიის მიკრო და მცირე საწარმოების ხელშეწყობის სამსახურის მონაცემებით (Serviço Brasileiro de Apoio às Micro e Pequenas Empresas, SEBRAE)[3], ბრაზილიაში დღეისათვის ფუნქციონირებს 7.6 მლნ-მდე მცირე და საშუალო საწარმო. (ქვეყანაში რეგისტრირებული მთლიანი საწარმოების და კომპანიების 99%., რომლებშიც მუშაობს ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის 57%. (დაახლოებით 18 მლნ.სამუშაო ადგილი) და ქმნის ქვეყნის მშპ-ის 22%-ს..[4]

ეს საწარმოები, ტერიტორიალურად შემდეგნაირად არიან განაწილებულები: ჩრდილოეთით – 5%, ჩრდილო–აღმოსავლეთით – 19%, ცენტრში – 8%, სამხრეთ–აღმოსავლეთით 49%, სამხრეთით – 19%.

ამის გარდა, ქვეყანაში 10 მილიონამდე არაფორმალიზებუ-

1 Entrepreneutship.org Brazil's entrepreneurship boom http://www.entrepreneurship.org/en/resource-center/brazils-entrepreneurship-boom.aspx

2 ბრაზილიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული ბანკის ოფიციალური საიტი (Banco Nacional de Desarrollo Económico y Social) http://www.bndes.gov.br/Site

3 ბრაზილიის მიკრო და მცირე საწარმოების ხელშეწყობის სამსახურის ოფიციალური საიტი (Serviço Brasileiro de Apoio às Micro e Pequenas Empresas,) www.sebrae.com.br

4 Business Development and SME Support Service in Brazil: the role of SEBRAE. Dr Carlos Alberto dos Santos Technical Director of SEBRAE. http://www.eeba2013.com.br/2009/20120822110044767659a.pdf

ლი საწარმოა.მცირე ბიზნესი ქვეყანას აძლევს სამუშაო ადგილების 57%-ს[1].

მცირე ბიზნესის სექტორი, მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმეები და ასევე მიკრო და მცირე საწარმოები – იურიდიული პირები თავმოყრილია ძირითადში ვაჭრობის და მომსახურების სფეროში, შესაბამისად (49% и 31%) მცირე და საშუალო საწარმოების მთლიანი რაოდენობიდან[2].

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საწარმოები, როგორც წესი წარმოდგენილი არიან უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების სფეროებში-გადამამუშავებელ მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში. მათზე მოდის დაახლოებით 10%, 5% და 5% წილი შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოების მთლიანი რაოდენობიდან.

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ვაჭრობის სფეროში1 082 139 მიკრო საწარმო ფუნქციონირებს, რომლებშიც 5 ადამიანზე ნაკლებია დასაქმებული, ამ კატეგორიის საწარმოებში მომსახურების სფეროში 454 133[3] ადამიანი მუშაობს.

ამავე დროს, საწარმოებში, სადაც 6-19 ადამიანია დასაქმებული ვაჭრობაში 159 543 ადამიანი მუშაობს, მომსახურების სფეროში-280 176.საწარმოებში, სადაც 20-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული ვაჭრობის სფეროში მუშაობს 10 929 ადამიანი, მომსახურების სფეროში-57 645.[4]

საყურადღებოა, რომ საოჯახო ბიზნესში, ვაჭრობაში დასაქმებულია 43.93% , მომსახურების სფეროში 47.56% მცირე ბიზნესში დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან.

მთლიანობაში, ქვეყანაში, საწარმოებში სადაც 5 ადამიანზე ნაკლებია დასაქმებული ვაჭრობაში მუშაობს 2 299 677 ადამიანი, მომსახურების სფეროში-659 267.

რაც შეეხება საწარმოებს, სადაც 6-19 ადამიანია დასაქმე-

1 http://leigeral.sp.sebrae.com.br/

2 ბრაზილიის გეოგრაფიის და სტატისტიკის ინსტიტუტის ოფიციალური საიტი www.ibge.gov.br

3 ბრაზილიის გეოგრაფიის და სტატისტიკის ინსტიტუტის ოფიციალური საიტი www.ibge.gov.br

4 Ibidem

ბული ვაჭრობაში 1 366 044 ადამიანი მუშაობს, მომსახურების სფეროში-1 308 829.საწარმოებში, სადაც 20-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული ვაჭრობის სფეროში მუშაობს 308 135 ადამიანი, მომსახურების სფეროში-1 354 718.

გარდა ამისა, 2012 წლის მარტში ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 2, 189, 617 ინდივიდუალური მეწარმე.[1] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მსხვილი საწარმოები შეადგენენ მთლიანი საწარმოების მხოლდ 1%-ს.საყურადღებოა, რომ მცირე საწარმოებზე მოდის ქვეყნის მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 2%, მაშინ, როდესაც ექსპორტიორების 96% მცირე საწარმოებს წარმოადგენენ..

უნდა აღინიშნოს, რომ 18 დან 64 წლამდე ბრაზილიის მოსახლეობის 30 მილიონამდე ადამიანმა უკვე გახსნა საკუთარი საწარმო ან აპირებს ბიზნესის დაწყებას.

ასეთი ციფრებია მოყვანილი „მეწარმეობის გლობალური მონიტორინგის მოხსენებაში“, რომელსაც ერთობლივად ყოველწლიურად აქვეყნებენ მსოფლიოს წამყვანი ბიზნეს სკოლები. ეს ნიშნავს, რომ ბრაზილიის შრომისუნარიანი მოსახლეობიდან ყოველ მეოთხე ადამიანს შეუძლია თავი მეწარმედ ჩათვალოს.

ამრიგად, ერთ სულ მოსახლეზე მეწარმეთა რაოდენობით ბრაზილიამ მესამე ადგილი დაიკავა 54 ქვეყანას შორის.რაც შეეხება ბრაზილიის სახელმწიფო კვლევითი სააგენტოს(Ipea)[2] მიერ ჩატარებულ კვლევებს, გამოირკვა, რომ მიკრო საწარმოებმა, რომელთა თანამშრომელთა რაოდენობა 10-მდეა, ქვეყანაში უკანასკნელ წლებში შექმნა 40 მილიონამდე დამატებითი სამუშაო ადგილი. ხოლო, ბოლო 10 წელიწადში დაახლოებით ამდენივე ადამიანი იქნა გამოყვანილი უკიდურესი სიღარიბიდან.

ბრაზილიის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს კერძო საწარმოების განვითარების პროგრამას საქონლის წარმოების

1 Quora, How many small businesses are there in Brazil? 2012. https://www.quora.com/How-many-small-businesses-are-there-in-Brazil

2 ბრაზილიის გეოგრაფიის და სტატისტიკის ინსტიტუტის ოფიციალური საიტი www.ibge.gov.br

და მომსახურების სფეროში.უკანასკნელ 3 წელიწადში მიკრო და მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 32%-ით გაიზარდა. **ბრაზილიის გეოგრაფიის და სტატისტიკის ინსტიტუტის** -IBGE, მონაცემებით, მიკრო და მცირე საწარმოების პროდუქციის ბაზრის გაფართოება წელიწადში შეადგენს 10%-ს, მაშინ როდესაც მსხვილი საწარმოების -7%-ს .. [1]

აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის სწრაფი ტემპით განვითარების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მოქალაქეთა აქტიურობა, სწრაფვა გახსნან საკუთარი ბიზნესი, მეურნეობა, ფირმა ან ბიურო და აწარმოონ დამოუკიდებელი ბიზნესი თავისუფალი ბაზრის წესების საფუძველზე. სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის აქტიურმა ჩატარებამ გამოიწვია მსხვილი ქარხნებისა და ფაბრიკების სამუშაო ადგილების მკვეთრი შემცირება, რამაც ასევე გავლენა მოახდინა მცირე საწარმოების რაოდენობრივ ზრდაზე. ბიზნესის ორგანიზაციის საკანონმდებლო ბაზამ, ფინანსურმა და ფისკალურმა წესებმა , კონკურენციის გაძლიერებამ გამოიწვია ის, რომ ახლადშექმნილი საწარმოების 15% -მა ფეხი ვერ მოიკიდეს ბაზარზე და გაკოტრდნენ.

თუმცა, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებამ, რომელიც მიმართული იყო გადასახადების შემცირების, საინვესტიციო დახმარების, არენდის გადასახადის შემცირებისაკენ კერძო ფირმებს საშუალება მისცეს განევითარებინათ წარმოება და თავდაჯერებულად ემუშავათ ბრაზილიის საქონლის და მომსახურების ბაზარზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა.მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება და განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებობს მრავალი სახელმწიფო და საერთაშორისო პროექტები და პროგრამები ამ მიმართულებით.

ბრაზილიაში მცირე ბიზნესის ძირითად მხარდამჭერ ორგანოს წარმოადგენს SEBRAE – ბრაზილიის მიკრო და მცირე

1 Ibidem

საწარმოების ხელშეწყობის სამსახური (Serviço Brasileiro de Apoio às Micro e Pequenas Empresas, SEBRAE), აღნიშნული ორგანო შეიქმნა ბრაზილიის მთავრობის მიერ 1972 წელს.

ბრაზილიის ტერიტორიაზე შექმნილია 27 რეგიონალური ოფისი და ბიზნესის განვითარების 858 ცენტრი. [1]

SEBRAE ეხმარება მიკრო და მცირე საწარმოებს და ასწავლის მათ, როგორ გახადონ საწარმოები წარმატებული.ორგანიზაცია, კერძო პირებს ეხმარება ახალი ბიზნესის დაწყებაში, ბიუროკრატიასთან საგადასახადო, ფინანსური და სხვა ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში,

გამოვყოთ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ძირითადი მეთოდები ბრაზილიაში, რომელიც ხორციელდება SEBRAE. -ს დახმარებით ქვეყანაში.[2]

1. კონსულტაციები. დახმარება ეწევათ როგორც სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ სუბიექტებს, ასევე იმ ადამიანებს ვისაც სურვილი აქვთ დაიწყონ თავისი საქმე.კონსულტაციები ხორციელდება 24 საათის განმავლობაში, მ.შ. ტელეფონის და ინტერნეტის მეშვეობით.

2. გრანტები და დაფინანსება.ბრაზილიის მცირე საწარმოების ხელშეწყობის სამსახური წარმატებით იყენებს მხარდაჭერის შემდეგ ინსტრუმენტებს:

- ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა. (Pappe – Program for Supporting Research in Enterprises). აღნიშნული პროგრამის დახმარებით მცირე საწარმოებს ეძლევათ გრანტები სამეცნიერო კვლევების ჩატარებისთვის, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისათვის.
- ექსპორტზე ორიენტირებული მცირე საწარმოების მხარდაჭერის პროგრამა – (PROGEX – Export Technology Support Program).

ამ პროგრამის ჩარჩოში სუბსიდირება ხდება ტექნოლოგიურ

1 Business Development and SME Support Service in Brazil: the role of SEBRAE Dr Carlos Alberto dos Santos Technical Director of SEBRAE. http://www.eeba2013.com.br/2009/20120822110044767659a.pdf

2 Introduction to Sebrae, Karolina Puin. http://thebrazilbusiness.com/article/introduction-to-sebrae The Brazil business.

კონსალტინგის, ლოჯისტიკური მომსახურების დანახარჯების, ასევე, პროდუქციის მოდიფიკაციაზე დახარჯული თანხებისა.

3. საგანმანათლებლო პროგრამები. SEBRAE სთავაზობს მეწარმეობასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან კურსებს: ფინანსურ დაგეგმვაზე, კერძო მეწარმეობაზე, ინტერნეტის ქსელში მცირე ბიზნესის განვითარებაზე, გაყიდვების ტექნოლოგიის განვითარებაზე, კლიენტების მომსახურებაზე, ადამიანურ რესურსებზე.

4. ტექნიკური ინფორმაცია.SEBRAE მეწარმეებს აწვდის ინფორმაციას ბაზრების, ბიზნესის მართვის, გაყიდვების და ბიზნესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ, ქვეყნის უდიდესი ტელეკანალების--Pequenas Empresas, Grandes Negócios, თავისისაკუთარი კანალის, ინტერნეტის და რადიოს მეშვეობით.

5. შიდა და გარე ბაზრებზე დაწინაურებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად SEBRAE მცირე მეწარმეებს ეხმარება მოხვდნენ ბაზარზე, ხელს უწყობს მათ მონაწილეობას გამოფენებსა და ბაზრობებში, საქმიან პარტნიორებთან, მომწოდებლებთან და პოტენციურ მყიდველებთან ურთიერთობებში.

SEBRAE ეხმარება უცხოელ მოქალაქეებს, რომლებსაც სურვილი აქვთ გახსნან საკუთარი ბიზნესი ბრაზილიაში, თუმცა, ყველა მომსახურების გაწევა ხდება პორტუგალიურ ენაზე, ამიტომ ემის ცოდნა სავალდებულო მოთხოვნაა.

SEBRAE-ს ბიუჯეტმა 2010 წელს შეადგინა 1.24 მილიარდი აშშ დოლარი. [1]

მცირე მეწარმეობის სტიმულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბრაზილიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული ბანკი (BNDES), რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მიკრო და მცირე საწარმოების შეღავათიანი კრედიტებით დახმარება. ბანკი 10-ზე მეტ სხვადასხვა პროგ-

1 Business Development and SME Support Service in Brazil: the role of SEBRAE Dr Carlos Alberto dos Santos Technical Director of SEBRAE. http://www.eeba2013.com.br/2009/20120822110044767659a.pdf

რამას, ანხორციელებს, რომლებიც ხელს უწყობენ სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას ბრაზილიაში.მათ შორის გამოირჩევა Programa Brazil Empreendedor, BNDES-Automotivo, BNDES-Progrem, BNDESPAR, Prograna de Credito Produtivo Popular. ბანკი აქტიურად ურთიერთქმედებს ინდივიდუალურ მეწარმეთა კრედიტების ასოციაციასთან. BNDES ბანკი ითვლება მცირე საწარმოების გაძლიერების სახელმწიფო პროგრამების აგენტად (Programa fortaleciemnto das MPEs). ამ პროგრამიდან გამოიყოფა, სუბსიდიები მსს განვითარებისთვის, რომელიც შეადგებს 8 მილიარდ ბრაზილიურ რეალს (დაახლოებით 4 მილიარდი ამერიკული დოლარი).

ამის გარდა, ბრაზილიაში მიკრო და მცირე საწარმოების საკითხებით დაკავებულია რიგი სამინისტროები და უწყებები. ბრაზილიის განვითარების, მრეწველობის და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობისა და მომსახურების სამდივნო, მრეწველთა ეროვნულ კონფედერაციაში (Confederação Nacional de Indústria, CNI) შექმნილია მიკრო და მცირე საწარმოების თემატური საბჭო (Conselho Temático de Micro e Pequena Empresa, COMPEM), ექსპორტის და ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტო (Apex-Brasil), ბრაზილიის საერთაშორისო ბიზნეს-ცენტრების ქსელი, (Rede Brasileira dos Centros Internacionais de Negócios, Rede CIN), რომელიც ბრაზილიური საქონლის და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში ეხმარება მათ საერთაშორისო ბაზარზე გასვლაში.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ბრაზილიის მთავრობამ მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმები განახორციელა, შეზღუდა ბიზნესში სახელმწიფო ორგანოების ჩარევა, ბიუროკრატიზმი და კორუფცია, გაამარტივა მცირე და საშუალო საწარმოების რეგისტრაციის პროცედურები, შეამცირა მათი რაოდენობა, ვადები და რეგისტრაციის ღირებულება. თუმცა, ბრაზილია მსოფლიო ბანკის 2016 წლის ბიზნესის

კეთების "Doing Business"-ის ყოველწლიურ რეიტინგში მცირე ბიზნესის კეთების სიადვილის მონაცემებით მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის 116 ადგილი უკავია. (შარშანდელი მონაცემებით ქვეყანა იმყოფებოდა 120 ადგილზე). ეს მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ბრაზილიაში ბიზნესის კეთება ოდნავ გაადვილდა, თუმცა ქვეყანა საგრძნობლად ჩამორჩება არა მარტო მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, არამედ ბევრ თავის მეზობელ ქვეყნებსაც. ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის 32 ქვეყანას შორის ბრაზილია 21 ადგილზე იმყოფება მსოფლიო რეიტინგში. [1]

ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივის მაჩვენებლებით რეიტინგში ბრაზილია 167-ე ადგილს იკავებს, მშენებლობის ნებართვის სიმარტივის მაჩვენებლით ბრაზილია 169 ადგილზეა, ელექტროენერგიით მომარაგების მაჩვენებლით 22-ე ადგილზეა რეიტინგში, კერძო საკუთრების რეგისტრაციის პარამეტრებით ბრაზილია 130-ე ადგილზეა, კრედიტების მიღების მაჩვენებლით 97-ე ადგილი უკავია, მინორიტარული ინვესტორთა დაცვის მხრივ ბრაზილია 29 პოზიციაზე იმყოფება. გადასახადების გადახდის მხრივ ყველაზე ცუდი სიტუაცია ბრაზილიაშია(178 ადგილი), აღსანიშნავია, რომ მხოლოდ უკანასკნელ წლებში იქნა მიღებული სპეციალური კანონი მიკრო და მცირე საწარმოების გადასახადებთან მიმართებაში, თუმცა, ბრაზილიელი მეწარმეების ძირითადი პრობლემა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რთული საგადასახადო სისტემის პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება. ამჟამად, თავი მოეყარა მრავალიცხოვან დანაწევრებულ გადასახადებს ერთ მთლიან, ე.წ. ბუღალტრული აღრიცხვის „სუპერ მარტივ" გადასახადში (Super Simples).[2] თუმცა ზემოაღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ სიტუაცია კვლავ რთულია.ვაჭრობა საზღვრებს შორის-საერთაშორისო ვაჭრობის პარამეტრებით ბრაზილია ცუდად გამოიყურება რეიტინგში(145 ადგილი), კონტრაქტის აღსრუ-

1 Doing Business. Rankings, 2016. http://www.doingbusiness.org/rankings

2 The Brazil business. Income tax in Brazil by Rebeca Duran, 2013. http://thebrazilbusiness.com/article/income-tax-in-brazil

ლების თვალსაზრისით ბრაზილია 45-ე პოზიციაზე იმყოფება, გადახდისუუნარობის მაჩვენებლით ბრაზილია 62-ე ადგილზეა რეიტინგში. მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის წინამდებარე მიმოხილვა ნათელყოფს იმ ტენდენციებს, რაც ქვეყანაში ბოლო წლებში ვითარდება. მცირე და საშუალო ბიზნესი მძიმე საგადასახადო ადმინისტრირების და წნეხის პირობებშია, რომლის განვითარებას, მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის არასტაბილური საგადასახადო სისტემა.ადმინისტრირების და ბიზნესის დაწყების სირთულე, არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და ბიზნეს გარემო, ფინანსებზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, ადამიანური რესურსების დაბალი კვალიფიკაცია და სხვა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელი ამოცანაა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ტრანსფორმირება, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა საქმიანობის რადიკალურად გამარტივება, საგადასახადო სისტეების შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნულის შედეგად ახლო მამავალში შესაძლებელი გახდება მაქსიმალური შედეგის მიღწევა ეკონომიკური აქტივობის, სიღარიბის შემცირების, დასაქმებისა და ბრაზილიელების კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ბრაზილიის გეოგრაფიის და სტატისტიკის ინსტიტუტის ოფიციალური საიტი www.ibge.gov.br

2) ბრაზილიის მიკრო და მცირე საწარმოების ხელშეწყობის სამსახურის ოფიციალური საიტი (Serviço Brasileiro de Apoio às Micro e Pequenas Empresas,) www.sebrae.com.br

3) ბრაზილიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული ბანკის ოფიციალური საიტი (Banco Nacional de Desarrollo Económico y Social) http://www.bndes.gov.br/Site

4) Business Development and SME Support Service in Brazil: the role of SEBRAE Dr Carlos Alberto dos Santos Technical Director of SEBRAE. http://www.eeba2013.com.

br/2009/20120822110044767659a.pdf

5) Doing Business. Rankings, 2016. http://www.doingbusiness.org/rankings

6) Introduction to Sebrae, Karolina Puin. http://thebrazilbusiness.com/article/introduction-to-sebrae The Brazil business.

7) Quora, How many small businesses are there in Brazil? 2012. https://www.quora.com/How-many-small-businesses-are-there-in-Brazil

8) The Brazil business. Income tax in Brazil by Rebeca Duran, 2013. http://thebrazilbusiness.com/article/income-tax-in-brazil

REFERENCES:

1. www.ibge.gov.br

2. Serviço Brasileiro de Apoio às Micro e Pequenas Empresas, www.sebrae.com.br

3. Banco Nacional de Desarrollo Económico y Social) http://www.bndes.gov.br/Site

4.Business Development and SME Support Service in Brazil: the role of SEBRAE Dr Carlos Alberto dos Santos Technical Director of SEBRAE. http://www.eeba2013.com.br/2009/20120822110044767659a.pdf

5.Doing Business. Rankings, 2016. http://www.doingbusiness.org/rankings

6.Introduction to Sebrae, Karolina Puin. http://thebrazilbusiness.com/article/introduction-to-sebrae The Brazil business.

7.Quora, How many small businesses are there in Brazil? 2012. https://www.quora.com/How-many-small-businesses-are-there-in-Brazil

8.The Brazil business. Income tax in Brazil by Rebeca Duran , 2013. http://thebrazilbusiness.com/article/income-tax-in-brazil.

SMALL AND MEDIUM BUSINESS IN BRAZIL

Kiknadze Mikheil,
PHD Student, GTU

RESUME

Brazil is one of the largest countries in Latin America, whose economic prosperity is inextricably linked with the development of small and medium enterprise (SME) sector. It is worth noting that SME represent over 99% of the formal enterprises in Brazil. In this sense, the article provides an overview of the Brazilian small and medium business, investigates the importance of the SME sector size measured by the share of the SME employment in total employment, and the level of human capital in the SME sector. Furthermore, it reviews the experience of state support of small and medium business in Brazil, the advantages and disadvantages are identified, and some suggestions are given for possible improvement of the sector.

Key words: Latin America; Brazil; Small and Medium Enterprises; Sector; Employment;

ქართული ფირმების ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის სტრატეგიები

ნათია დაღელიშვილი,
თსუ, დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქართული ფირმების ინტერნაციონალიზაციის პროცესი ევროკავშირის ბაზარზე. აქცენტი გაკეთებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების და მისი განუყოფელი ნაწილის - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) გავლენაზე ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის სტრატეგიებზე. ნაშრომში გაანალიზებულია ძირითადი პრობლემები, რომელსაც აწყდებიან ქართული ფირმები ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ამასთანავე, მოკლედ მიმოხილულია სხვადასხვა თეორიები.მოცემულია ქართული ფირმების ინტერნაციონალიზაციის, საექსპორტო საქმიანობის შესასწავლად ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: ინტერნაციონალიზაცია, შეღწევის სტრატეგიები, ქართული კომპანიები, ასოცირების შესახებ შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA).

შესავალი

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა მოხდა 2014 წლის 27 ივნისს, რაც ასევე გულისხმობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ამოქმედებას. DCFTA სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის ქართული კომპანიებისთვის მსოფლიოში უმსხვილეს ბაზარზე საექსპორტო საქმიანობის დივერსიფიკაციისთვის. ქართული ფირმებისათვის შესაძლებელი გახდება ევროკავშირის 28 ქვეყანასთან უპრეცედენტო ვაჭრობის ლიბერალიზაცია საქონელსა და მომსახურებაზე სატარიფო ბარიერების სრული

აღმოფხვრით[1]. არსებული საგარეო თუ შიდა გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია. საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების გაფორმება შესაძლებლობაა, გახდეს მოდერნიზებული ქვეყანა, განახორციელოს რეფორმები, განვითარდეს და ისარგებლოს იმ პრივილეგიებით, რომლებიც ევროკავშირთან თანამშრომლობას მოაქვს. დროთა განმავლობაში, ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, განხორციელებული რეფორმების საფუძველზე, საქართველო ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების კუთხით ევროპულ ქვეყნად ჩამოყალიბდება.

ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაცია გულისხმობს ხანგრძლივ რეფორმირების პროცესს. შემუშავდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია ასოცირების შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელების პრიორიტეტები 2014-2016 წლებისთვის. საქართველომ უკვე აიღო ვალდებულებები და დაიწყო შეთანხმების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ეროვნული კანონმდებლობის ფუნდამენტური გადახედვა, მისი გაუმჯობესება და ევროკავშირის კანონმდებლობსთან შესაბამისობაში მოყვანა.

ასევე საქართველო ევროკავშირისგან დახმარებას მიიღებს არასატარიფო ბარიერების დაძლევის პროცესში. გამომდინარე აქედან, ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ფირმებისთვის ახალი შესაძლებლობების გამოყენება და სამომავლო პერსპექტივების სწორად დაგეგმვა. ნაშრომში გაანალიზდება ის ძირითადი პრობლემები, რასაც აწყდებიან ექსპორტიორი კომპანიები წარმოების თუ რეალიზაციის პროცესში, გამომდინარე იმ ახალი რეგულაციებიდან, რასაც გულისხმობს ასოცირების დღის წესრიგი. საბოლოო ჯამში, შემუშავებულ იქნება რეკომენდაციები ქართული ფირმებისთვის ღრმა და ყოვლისმომ-

1 ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის. კარი IV. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, მუხლი 26, „იმპორტზე საბაჟო გადასახადების გაუქმება".

ცველი სავაჭრო სივრცის მთელი რიგი უპირატესობების გამოყენების და არასატარიფო ბარიერების დაძლევის შესახებ.

ძირითადი ტექსტი

1. **ინტერნაციონალიზაციის პროცესის მიმოხილვა.** მიუხედავად უკანასკნელ წლებში საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა, რომლებიც მიმართული იყო ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ბიზნესისთვის მიმზიდველი და გამარტივებული გარემოს შექმნისკენ, ბიზნესი (განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესი) კვლავ გამოწვევების წინაშე დგას.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კონტექსტით, უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით. კერძოდ, 2014 წლის თებერვალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეგიდით შეიქმნა მეწარმეობის განვითარების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოები, რომელთა საქმიანობაც დადებით ასახვას ჰპოვებს ზოგადად ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაბალია მეწარმეების ინფორმირებულობის დონე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, რომლის წილიც ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში ჯერ კიდევ მცირეა (დაახლოებით 20%), მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვას ბიზნესის ბრუნვის 50% უკავია, ხოლო სამიდან ყოველ ორ სამუშაო ადგილს ეს სეგმენტი ქმნის. საქართველოს მსგავს, განვითარებად ან გარდამავალი ეკონომიკის მქონე, ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოებს საწარმოთა 90%-ზე მეტი უკავია, თუმცა მათი წვლილი ეკონომიკაში მცირეა (არ აღემატება 20%-ს).

კვლევის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად დავისახეთ იმის გარკვევა, თუ როგორ ხდება ქართული კომპანიების ინტერნაციონალიზაციის პროცესი ევროკავშირის ბაზარზე, განსაკუთრებით საინტერესოა იმის ანალიზი, თუ რა გავლენას ახდენს

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ქართული ფირმების ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის პროცესზე.

ზოგადად, ტერმინი „ინტერნაციონალიზაცია“ პასუხს სცემს კითხვებს თუ რატომ, როდის და როგორ ერთვება ფირმა საერთაშორისო ბიზნესში. თუ განვიხილავთ თითოეულ კითხვას, ვნახავთ, რომ ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე გასვლით ფირმები აღწევენ მოგების მაქსიმიზაციას, საერთაშორისო გამოცდილების შეძენას, ბაზრის დივერსიფიკაციას და ა.შ., რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, ვინაიდან ფირმები იხდიან მეტ გადასახადებს, ასაქმებენ მეტ ადამიანს, ქმნიან ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამის პროდუქციას. კითხვაზე, თუ „როდის“ მიმართავენ ფირმები ინტერნაციონალიზაციას, პასუხი ცალსახაა - მაშინ, როდესაც ისინი მზად არიან უპასუხონ ევროკავშირის ბაზრებზე არსებულ გამოწვევებს. გეოგრაფიულად დაშორებულ ბაზრებზე შესვლასთან დაკავშირებულ პერსპექტივები იხსნება მაშინ, როდესაც ფირმასა და ბაზარს შორის ინფორმაციული ნაკადების ხელმისაწვდომია (იოჰანსონი, ვალნე 1977).[1] დაბოლოს, თუ „როგორ“ გადის ფირმა ევროკავშირის ბაზრებზე, პასუხი უკავშირდება შეღწევის იმ სტრატეგიას, რომელიც უფრო ხელსაყრელია კომპანიისთვის კონკეტულ ბაზარზე დამკვიდრების პროცესში. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, ძირიდად სტრატეგიას წარმოადგენს პირდაპირი ექსპორტი. რაც უფრო ვითარდება ბიზნესგარემო ქვეყანაში, მით უფრო შეღწევის კომპლექსურ ფორმებს მიმართავენ ფირმები (როგორიცაა საზღვარგარეთული ფილიალი, კომპანიის მფლობელობაში არსებული საწარმო, ერთობლივი საწარმო, ფრანჩაიზინგი და სხვ.).

ტერმინი ლიტერატურაში გამოყენებულია ზოგადად კომპანიის ოპერაციების ზრდის დასახასიათებლად გარე ბაზრებზე.

1 Johanson, J. & J-E Vahlne (1977) ”The Internationalization Process of the Firm – a Model Of Knowledge Development and Foreign Market Commitment”, Journal of International Business Studies, 8, 90.

წინამდებარე კვლევის პირველი ნაწილი დაეთმობა ქართული ფირმების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ანალიზს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. შემდეგ ნაწილში აქცენტი გაკეთდება ქართული ფირმების საექსპორტო საქმიანობის დივერსიფიკაციის შეფასებას. შესაბამისად, იკვეთება კვლევის პროცესში აქტუალური პირველი ფუნდამეტური შეკითხვა:*როგორ ხდება ქართული ფირმების ინტერნაციონალიზაციის პროცესი? შელწევის რომელ სტრატეგიებს მიმართავენ ქართული კომპანიები ევროკავშირის ბაზრებზე?*

2. კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა მიზნად ისახავს ექსპორტის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლას, ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტიორი კომპანიების ინტერნაციონალიზაციის პროცესის შეფასებას, აგრეთვე ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების გავლენას ექსპორტიორ კომპანიებზე.

კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები. რაოდენობრივი მეთოდებიდან მივმართეთ გამოკითხვის მეთოდს, ხოლო თვისებრივი მეთოდებიდან კი - ფოკუს-ჯგუფს. შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენდა მასობრივი გამოკითხვის ტიპის - ანკეტირების საშუალებით წინასწარ შედგენილი კითხვარის შევსება. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი (რომელიც მოიცავდა 29 კითხვას) შედგება შემდეგი ბლოკებისაგან: I ბლოკი - **ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ;** II ბლოკი - **ფირმების ინტერნაციონალიზაციისა და ექსპორტის დივერსიფიკაციის ხარისხის შეფასება**; III ბლოკი - **ექსპორტის მხარდამჭერი პროგრამების გავლენა** და IV ბლოკი - **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) გავლენა საექსპორტო საქმიანობაზე**.

კითხვარი მოიცავდა როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის კითხვებს.

რაოდენობრივი გამოკითხვის შემდეგ ჩავატარეთ ფოკუს-ჯგუფი, სადაც მონაწილეობა მიიღო საკვლევი თემატიკის გარშემო დისკუსიაში სფეროს წარმომადგენელმა სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარემ, მათ შორის, სხვადასხვა ექსპერტები,

ექსპორტიორთა განვითარების ასოციაციის წარმომადგენელი, ევროკავშირი-საქართველო ბიზნეს საბჭოს წარმომადგენელი და სხვ.

კვლევისთვის შემუშავებულ იქნა ელექტრონული კითხვარი, კითხვარის საშუალებით მიღებული ინფორმაცია დამუშავებულ იქნა სტატისტიკური პროგრამის SPSS გამოყენებით და Excel პროგრამის აქტიური თანამონაწილეობით.კითხვარი დაეგზავნათ საქართველოს ექსპორტიორ კომპანიებს (150-მდე ექსპორტიორი კომპანია), რომელთა ბაზაც მოგვაწოდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, ასევე გამოყენებულ იქნა ინტერვიუების მეთოდი. კვლევაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 75-მდე ექსპორტიორმა.

არ არსებობს შერჩევა ცდომილების გარეშე. კვლევის პროცესში ცდომილებად მივიჩნიეთ 3-იანი ვარიაცია.

3. **კვლევის შედეგები.**კვლევაში მონაწილე კომპანიათა 67%-სთვის საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა და ძირითად მიმართულებად გამოყოფილ იქნა ღვინისა და თხილის წარმოება/რეალიზება. 21%-ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა მრეწველობა, ხოლო საქმიანობის სხვა კატეგორიაში გაერთიანებულია რესპოდენტთა 11 % (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თუ როგორ ახდენენ ქართული კომპანიები ევროკავშირის ბაზრებზე შეღწევას, ძალიან საინტერესოა ის სტიმულები, რაც მათ უბიძგებთ ახალ ბაზრებზე გასასვლელად. კვლევის შედეგად მიღებული მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება: ძლიერ მასტიმულირებელ კატეგორიას წარმოადგენს - 1. გაყიდვების ზრდა (გამოკითხულთა 58%); 2. ბაზრების დივერსიფიკაცია (რესპონდენტთა 41%); 3. შიდა ბაზართან შედარებით მაღალი ფასი - სამიზნე კომპანიების 27%. შედეგები თანაბრად გადანაწილდა საერთაშორისო გამოცდილების შეძენასა და შიდა ბაზარზე გაყიდვების შემცირების კომპონენტებს შორის და შეადგინა დაახლოებით 5-5%. საშუალო დონის სტიმულად დაასახელეს რესპონდენტთა თითქმის თანაბარმა მაჩვენებელმა თითოეული ალტერნატივა. რაც შეეხება სუსტ სტიმულს, ამ შემთხვევაში უმაღლესი მაჩვენებელი მიიღო საერთაშორისო გამოცდილების შეძენამ, ხოლო ბაზრების დივერსიფიკაციასა და გაყიდვების ზრდას საერთოდ არ მიუღიათ შეფასება, რომ „არ წარმოადგენს სტიმულს“ (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 2

კომპანიის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ სტრატეგიაზე, რომელსაც ის ირჩევს მაშინ, როცა დგება საკითხი უცხოურ ბაზარზე ექსპორტირებისა. რეალურად

ვხვდებით ისეთ შეღწევის სტრატეგიებს, როგორიცაა: კომპანიის მფლობელობაში არსებული საცალო მაღაზიების ქსელი; არაპირდაპირი და პირდაპირი ექსპორტი; საზღვარგარეთული სავაჭრო და მარკეტინგული ფილიალი; ერთობლივი საწარმო (სამრეწველო და მარკეტინგული); ფრანჩაიზინგი; ლიცენზირება; მმართველობითი კონტრაქტი; ელექტრონული კომერცია. კვლევამ ცხადყო, რომ ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის სტრატეგიებს შორის აქტიურად გამოიყენება პირდაპირი ექსპორტი - 78 %-სთვის სასურველ სტრატეგიად აღიქმება.

ამასთან ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე იქნა დანერგილი ევროკავშირის ბაზარზე, რომლის მიზანია მაქსიმალურად იქნას დაცული ადგილობრივ მოქალაქეთა სამომხმარებლო უფლებები და შეიქმნას ბაზარზე კონკურენციის სამართლიანი პირობები, რაც გულისხმობს მაქსიმალურად შეზღუდვას იმ პროდუქციის, რომელიც არ პასუხობს ევროკავშირის სტანდარტებს (იხ. დიაგრამა 3) .



დიაგრამა 3
პროდუქციის ექსპორტირებისას წარმოქმნილ დამატებით მოთხოვნათა პროცენტული განაწილება

ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის იმპორტის დამაბრკოლებელ ფაქტორად შესაძლოა იქცეს პროდუქციის ტექნიკური

სტანდარტი და სერტიფიცირების მოთხოვნა, ხარისხის კონ-ტროლი, მომხმარებელთა დაცვა და სხვა. რესპოდენტთა 51% აცხადებს, რომ დამატებით მოთხოვნას პროდუქციის ექსპორ-ტირებისას ადგილი არ ჰქონია რაც შეეხება დანარჩენ 49%-ს მათ დაადასტურეს ამგვარი მოთხოვნების არსებობა და დად-გინდა, რომ პროდუქციის შეტანისათვის კონკრეტულ უცხოურ ბაზარზე რესპოდენტთა 44%-ს დასჭირდა ისეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება, როგორიცაა ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენა, სპეცშეფუთვის მოთხოვნა წაეყენა 15%-ს, მარკირება გაიარა 19%-მა, ჯანმრთელობის სერტიფი-კატი მოითხოვეს ექსპორტიორთა 11%-გან.

ექსპორტიორი კომპანიების გასვლას კონკრეტულ უცხო-ურ ბაზარზე წინ უსწრებს ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპის გან-ხორციელება, როგორიცაა ბაზრის შესწავლა და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება/დამუშავება, სწორედ ამ-იტომ ჩვენს რესპონდენტებს მივეცით საშუალება, გამოეყოთ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტატუსის მქონე ისეთი სა-კითხები, რომელთა შესახებაც ინფორმაციის არსებობა მნიშ-ვნელოვნად განსაზღვრავდა კომპანიის ნაწარმის გასვლას ბა-ზარზე (იხ. დიაგრამა 4).



დიაგრამა 4

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ნიუანსები: განსაკუთრებით მაღალი მნიშვნელობის მქონე საკითხად დასახელდა ინფორმაცია ბაზრის მახასიათებლების შესახებ, რასაც რესპონდენტთა 68%-მა დაუჭირა მხარი; მას მოსდევს ტარიფები და გადასახადები - 54%; სტანდარტები და სერთიფიკატები - 48%, პოლიტიკური გარემო - 30% და თანაბრად გადანაწილდა მონაცემები ძირითად ეკონომიკურ ინდიკატორებსა და იმპორტიორებისა და სავაჭრო აგენტების/წარმომადგენლების საკონტაქტო ინფორმაციას შორის, შესაბამისად 24-24 %. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ტიპის ინფორმაცია აქტუალურია ქართველ ექსპორტიორებს შორის, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სავაჭრო აგენტების/წარმომადგენლების საკონტაქტო ინფორმაცია, რასაც რესპონდენტთა 4% მიიჩნევს უმნიშვნელოდ.

კვლევის პროცესში ასევე დავინტერესდით ექსპორტიორ კომპანიათა შეხედულებებითა და მოლოდინებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედების შემდეგ. შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. დიაგრამა 5).



დიაგრამა 5

დადგინდა, რომ კომპანიათა მხოლოდ თითქმის 4% აღიქვამს მას მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში, მაშინ, როცა დანარჩენი ძალიან დადებითად ახასიათებს მას და მიიჩნევს, რომ ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში და ზოგადად ვაჭრობის სფეროში ქვეყანაში.

დასკვნა

ასოცირების შესახებ შეთანხმება დიდ გავლენას მოახდენს საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პრიორიტეტების შეცვლაზე. თანდათანობით მოხდება ასოცირების შესაძლებლობების ათვისება ქართული კომპანიებისა თუ უცხოური ინვესტორების მიერ, რაც ქართულ კომპანიებს გაუადვილებს ევროკავშირის ბაზარზე შელწევის პროცესს. ასევე განვითარდება ერთობლივი საწარმოები მესამე ქვეყნებთან. გაიზრდება წარმოების კულტურა და განვითარდება მაღალტექნოლოგიური კონკურენტული საქონლის წარმოების ტრადიცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Johanson, J. & J-E Vahlne (1977) ”The Internationalization Process of the Firm – a Model Of Knowledge Development and Foreign Market Commitment”, *Journal of International Business Studies*, 8, 90.

2. Romer, P. M. (1990), “Endogenous technological change”, Journal of Political Economy (98)5: 71-102.

3. Acemoglu, D. and F. Zilibotti (1997), “Was Prometheus unbound by chance? Risk diversification and growth”, Journal of Political Economy 105(4): 709-751.

4. Romer, P. M. (1990), “Endogenous technological change”, Journal of Political Economy (98)5: 71-102.

5. Hausmann, R. and B. Klinger (2006), Structural transformation and patterns of comparative advantage in the product space, Cambridge, MA, Center for International Development at Harvard University, CID Working Paper No. 128.

6. Hwang, J. (2006), Introduction of new goods, convergence and

growth, Cambridge, MA, Harvard University Job Market Paper.

7. Klinger, B. and D. Lederman (2004), *Discovery and development: An empirical exploration of "new" products*, Washington, DC, World Bank Policy Research Working Paper 3450.

8. Love, J. (1986), "Commodity concentration and export earnings instability: A shift from crosssection to time series analysis", *Journal of Development Economics* (24)2: 239-248.

9. Gutiérrez-de-Piñeres, S. A. and M. Ferrantino (2000), *Export dynamics and economic growth in Latin America: A comparative perspective*, Burlington, VT, Ashgate.

10. Levin, A. and L. K. Raut (1997), "Complementarities between exports and human capital in economic growth: Evidence from the semi-industrialized countries", *Economic Development and Cultural Change* 46(1): 155-174.

11. Feenstra, R. C. and H. L. Kee (2004), *Export variety and country productivity*, Cambridge, MA, National Bureau for Economic Research, NBER Working Paper 10830.

12. Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova. CASE, ECORYS. Rotterdam. 2012. p 250.

13. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf

14. http://transparency.ge/post/corruption-perception-index-cpi/2014-tslis-msoplios-koruptsiis-aghkmis-indeksi-2014

15. www.geostat.ge

16. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_ka.htm

17. http://www.enpi-info.eu/main.php?id=403&id_type=2

18. http://www.ei-lat.ge/vin-vin-aris/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebis-qronologia.html?lang=ka-GE&start=16

19. http://www.economy.ge/

20. Eastern Partnership Civil Society Forum - Georgian National Platform - http://eapnationalplatform.ge/

MARKET PENETRATION STRATEGIES OF GEORGIAN FIRMS TO THE EU MARKET

Natia Daghelishvili
TSU , PhD student

RESUME

This paper analyzes on the one hand the process of internalization of Georgian firms to the EU market and on the other hand outlines the obstacles to access to the EU market. The main emphasis are put on the signed Association Agreement and uses a range of opportunities of the Deep and Comprehensive Trade Area (DCFTA) and overcoming non-tariff measures. In addition, the brief analysis of different theories are provided.

The chapter two – key findings of the survey – presents the results of the research made in order to study the internalization process of Georgian firms.

Keywords: Internationalization, Penetration Strategies, Georgian Firms, Association Agreement, Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA).

გლობალური უთანასწორობა: მოდერნიზაციისა და დამოკიდებულების თეორიის ანალიზი

ნანა ლობჟანიძე, ქრისტინე ჯინჭველეიშვილი,
ანი კენჭაშვილი, სალომე ლომსაძე
თსუ, ბაკალავრიატის მე-3 კურსის სტუდენტები.

რეზიუმე

ისტორია გვასწავლის, რომ უთანასწორობა - უსამართლო განსხვავება ადამიანთა ჯგუფებს შორის, როდესაც ზოგიერთი ფლობს სიმდიდრის, სტატუსისა და შესაძლებლობების უფრო მეტ ოდენობას, რაც იწვევს არათანაბარ განაწილებასა და ურთიერთობის ბუნებას - გახლავთ მნიშვნელოვანი მიზეზი რადიკალური სოციალური თუ პოლიტიკური მისწრაფებისა. გლობალური უთანასწორობა, რაც ძირითადად იგრძნობა შემოსავლების უთანასწორობაში მსოფლიოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული უთანასწორობა მრავალ პრობლემას წარმოქმნის, რომელთა ემპირიული მაგალითები მრავლად მოიპოვება, შესაბამისად აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრის გზები შემოთავაზებული გახლავთ ხოლმე სხვადასხვა თეორიული დისკურსების მიერ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრებებისა და რჩევების შემცველი გახლავთ მოდერნიზაციის თეორია და დამოკიდებულების თეორია. ისინი საკითხის მრავალი ასპექტის გარშემო საპირისპირო/საწინააღმდეგო ვარაუდებს ავითარებენ. კერძოდ ძირითადი მათი საკვანძო მოსაზრებები მდგომარეობს იმაში, რომ დაბალ-შემოსავლიანი სახელმწიფოები განიცდიან ინდუსტრიალიზაციის ნაკლებობას და, რომ მათ შეუძლიათ გაუმჯობესება თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობისა კულტურული ღირებულებებისა და დამოკიდებულებების მორგება/შეთავსებით ინდუსტრიალიზაციასთან და, ეკონომიკური ზრდის სხვა ფორმების განვითარების უზრუნველყოფით. ხოლო დამოკიდებულების თეორიის ძირითადი ვარაუდი

გახლავთ ის, რომ გლობალური უთანასწორობა გამოწვეულია „ბირთვი სახელმწიფოების“ მიერ „ნახევრად-პერიფერიული“ და „პერიფერიული“ სახელმწიფოების ექსპლოატაციით და, რომ „ბირთვი“ ექსპლოატაციას უწევს „პერიფერიას“, ის ამ უკ-ანასკნელის ბაზარზე ყიდის საკუთარ ძვირადღირებულ წარ-მოებულ პროდუქციას, მაშინ როდესაც „პერიფერია“ ყიდის მხოლოდ იაფ ნედლ მასალასა და სამუშაო ძალას, რაც ხელს უწყობს არათანაბარ კაპიტალის გაცვლას. შესაბამისად სწო-რედ ამ ორი თეორიის შედარებითი ანალიზი სხვადასხვა ზოგა-დი თუ კონკრეტული მაგალითების გამოყენებით წარმოადგენს მთავარ საფუძველს იმისა, რომ პასუხი გაეცეს ზემოთ ჩამოყა-ლიბებულ მთავარ საკვლევ კითხვებს და წარმოადგენს ნაშრო-მის ძირითად მიზანს.

საკვანძო სიტყვები: ბირთვი სახელმწიფოები, ნახევრად-პერიფერიული და პერიფერიული სახელმწიფოები, პირველი მსოფლიო, მესამე მსოფლიო, დამოკიდებულება, დაქვემდება-რება, განვითარება, გლობალური უთანასწორობა, დამოკიდე-ბულების თეორია, მოდერნიზაციის თეორია.

შესავალი

შემოსავლებისა, თუ ზოგადად გლობალური უთანასწორო-ბა არის დღესდღეობით ერთ-ერთი მთავარი განხილვის საგანი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მიხედვით, რაც დაკავშირებულია მსოფლიო სიმდიდრის განაწილების თავი-სებურებებთან. 2011 წლის მოხსენებაში, მსოფლიო ეკონომ-იკურმა ფორუმმა შეადგინა სია, სადაც უთანასწორობა, გა-ნიხილებოდა, როგორც ყველაზე შეუფასებელი გლობალური ტენდენცია.[1] უახლესი შვეიცარიული ანგარიში აფასებს, რომ მსოფლიო მოსახლეობის მდიდარი ნაწილი, რომელიც შეად-გენს მსოფლიო მოსახლეობის ერთ პროცენტს, ფლობს დაახ-ლოებით მსოფლიო სიმდიდრის ნახევარს, მაშინ როდესაც, უმ-დაბლესი/უღარიბესი ნაწილი მსოფლიო მოსახლეობისა ფლობს

1 Armer, J. Michael and John Katsillis. 2010. “Modernization Theory.” Encyclopedia of Sociology, edited by E. F. Borgatta. Retrieved January 5, 2012

მსოფლიო სიმდიდრის ერთ პროცენტზე ნაკლებს.[1] ეს გახლავთ გლობალური უთანასწორობის დიდი სურათის მხოლოდ მცირე ნაწილი. არსებობს მრავალი თეორია, რომლებსაც მკვლევარები ავითარებენ აღნიშნული მოვლენის შესასწავლად. ორი ყველაზე ფართოდ აღიარებული პერსპექტივა გახლავთ გლობალური სტრატიფიკაციისა და უთანასწორობის შესახებ მოდერნიზაციისა და დამოკიდებულების თეორია.

შესაბამისად, ისმის მრავალი კითხვა უთანასწორობასთან დაკავშირებით. რა იწვევს ღარიბი ქვეყნების კიდევ უფრო გაღარიბებასა და მდიდარი სახელმწიფოების კიდევ უფრო გამდიდრების ფაქტს? არსებობს თუ არა აღნიშნული ზოგადი ფაქტი რეალურად? რომელი თეორია, მოდერნიზაციისა თუ დამოკიდებულების თეორია აღწერს და გვთავაზობს უკეთეს ანალიზსა და პრობლემის გადაჭრის გზებს აღნიშნული საკითხის ირგვლივ? რა გახლავთ აღნიშნული თეორიული დისკურსების მთავარი კრიტიკა და სხვ.

ნაშრომის მიზანი გახლავთ, კონკრეტული უგანდასა და იტალიის მარტივის მაგალითის საფუძველზე მოდერნიზაციისა და დამოკიდებულების თეორიის ვალიდურობის იდენტიფიკაცია. და უფრო ზოგად ჭრილში, ნაშრომის მიზანია აღნიშნული ორი თეორიული დისკურსის შედარებითი ანალიზი მესამე სამყაროს სახელმწიფოების ზოგადი ჯგუფის საფუძველზე.

ძირითადი ნაწილი

მოდერნიზაციის თეორია შეიცავს ვარაუდს, რომ დაბალ-შემოსავლიანი სახელმწიფოები განიცდიან ინდუსტრიალიზაციის ნაკლებობას და, რომ მათ შეუძლიათ გაუმჯობესება თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობისა კულტურული ღირებულებებისა და დამოკიდებულებების მორგება/შეთავსებით ინდუსტრიალიზაციასთან და, ეკონომიკური ზრდის სხვა ფორმების განვითარების უზრუნველყოფით.[2] აღნიშნული თეორია სიღა-

1 Ibid,

2 Graig, A., Hulme, D. and Turner, M. (2007) Challenging global inequality: development theory and practice in the 21st century. London: Palgrave Macmillan

რიბესა და დაქვემდებარებას განიხილავს, როგორც ტრადიციული კულტურული სისტემის შედეგს, რომლის მთავარი მახასიათებლები გახლავთ სტაგნაცია, უცვლელი „სტატუს კვო“, სულიერი ღირებულებების დომინანტობა, არაპროგრესული და არაინოვაციური ბუნება და მათი ცხოვრების საარსებო საშუალებების თავისებურებები. მოდერნიზაციის თეორიისთვის სიღარიბიდან დაღწევის მნიშვნელოვანი საშუალებაა თანამედროვედ გახდომა. იყო „თანამედროვე“ ნიშნავს იყო „ტრადიციულის“ საწინააღმდეგო. თანამედროვე საზოგადოება გახლავთ ისეთი საზოგადოება, რომელიც შეიცავს დინამიურ, პროგრესულ, ინოვაციურ, ინდივიდუალურ მახასიათებლებს და, რომელიც მისდევს ცხოვრების კაპიტალისტურ გზას.[1] აღნიშნული თეორიის მომხრეები იზიარებენ დეტერმინისტულ ხედვას - ყველა ტრადიციული საზოგადოება საბოლოოდ ჩამოყალიბდება „თანამედროვე“ მახასიათებლების მატარებლად.

რაც შეეხება დამოკიდებულების თეორიას, ეს უკანასკნელი შეიქმნა მოდერნიზაციის თეორიის დასავლურ-ცენტრული მოსაზრების საპასუხოდ. დამოკიდებულების თეორია შეიცავს მოსაზრებას, რომ გლობალური უთანასწორობა გამოწვეულია „ბირთვი სახელმწიფოების“ მიერ „ნახევრად-პერიფერიული“ და „პერიფერიული“ სახელმწიფოების ექსპლოატაციით.[2] აღნიშნული თეორია ეფუძნება მარქსის მოსაზრებებს, რომელიც თავის ნაშრომებში აღნიშნავდა, რომ ისტორია არის კლასებს შორის ბრძოლა და, განსაკუთრებით, იმ ერთეულებს შორის, რომლებიც, ერთი მხრივ, ფლობენ წარმოების საშუალებებს, რომლებიც იწოდებიან, როგორც „ბურჟუაზები“ და, მეორე მხრივ, იმათ შორის, რომლებიც არ ფლობენ აღნიშნულ საშუალებებს და იწოდებიან, როგორც „პლორეტარიატები“.[3] დამოკიდებულების თეორიაში აღნიშნული კონცეფცია მთავარ ადგილს იკავებს.

1 Isbister, J. (2001) Promises not kept: the betrayal of social change in the thirds world. 5th ed. Bloomfield: Kumarian press.

2 Hendricks, John. 2010. “Dependency Theory.” Encyclopedia of Sociology, edited by E.F. Borgatta. Retrieved January 5, 2012

3 Burchill, S., Devetak, R., Linklater, A., Paterson, M., Reus-Smit, Ch., and True, J. (2001) Theories of international relations. 2nd ed. London: Palgrave

აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, „ბირთვი სახელმწიფოები“ ფლობენ ტექნოლოგიურ და საწარმოო ძალაუფლებას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს აწარმოონ ღირებულების შემცველი პროდუქტები და იქონიონ კაპიტალის დაგროვების/აკუმულაციის მაღალი პოტენციალი. „პერიფერიულ“ სახელმწიფოებს, თავისმხრივ, შეუძლიათ მხოლოდ ნედლი მასალისა და სამუშაო ძალის შეთავაზება. „ბირთვი“ ექსპლოატაციას უწევს „პერიფერიას“, ის ამ უკანასკნელის ბაზარზე ყიდის საკუთარ ძვირადღირებულ წარმოებულ პროდუქციას, მაშინ როდესაც „პერიფერია“ ყიდის მხოლოდ იაფ ნედლ მასალასა და სამუშაო ძალას, რაც ხელს უწყობს არათანაბარ კაპიტალის გაცვლას.[1] აღნიშნული თეორიის მომხრეების თანახმად განგრძობადმა არათანაბარმა გაცვლამ კიდევ უფრო გააღარიბა მესამე სამყაროს სახელმწიფოები და აგრძელებს მათ გაღარიბებას დღემდე. როგორც ვხედავთ, მოდერნიზაციისა და დამოკიდებულების თეორია აღქმულია, როგორც ერთმანეთის კონკურენტი პერსპექტივები, რომლებიც ხსნიან განვითარების საკითხებს, როგორებიცაა დაქვემდებარება, უთანასწორობა და სიღარიბე. მართლაც, მათ აქვთ განსხვავებული ხედვები და მიდგომები ხაზგასმული საკითხების თაობაზე. ასევე მრავლად მოიძებნება ორივე თეორიის ფარგლებში მრავალი ემპირიული მაგალითები აღნიშნული თეორიების ვალიდურობის შესამოწმებლად.

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ბრანკო მილანოვიჩის მოსაზრების განხილვა, რომლის მიხედვითაც უთანასწორობა ერებს შიგნით იზრდება, მაგრამ უთანასწორობა გლობალური კონტექსტით ნელი ტემპით მცირდება, რადგან საშუალო კლასი ჩნდება მრავალ სახელწმიფოში, მაგალითად ჩინეთში, ინდოეთში და, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მრავალი ოჯახის შემოსავლები განიცდის სტაგნაციას და, უფრო მეტიც, ინფლაციის შემდგომ მცირდება.[2] მეორე მხრივ, როგორც მო-

1 Ibid, (fn 3)

2 Milanovic, Branko. Worlds Apart: Measuring International and Global Inequality. Princeton, NJ: Princeton UP, 2005. - See more at: http://www.gc.cuny.edu/branko-milanovic#sthash.ThEU7y9L.dpuf

გეხსენებათ, დამოკიდებულების თეორია გულისხმობს, იმას, რომ განვითარებული სახელმწიფოები, რომლებიც აგრძელებენ აწარმოონ ღირებულების შემცველი პროდუქცია მათივე ტექნოლოგიური უპირატესობისა და მაღალკვალიფიციური მუშახელის მაღალი რაოდენობის მეშვეობით, შედეგად ვიღებთ იმას, რომ აღნიშნული პროდუქცია უფრო ძვირადღირებულია ვიდრე ნედლი მასალა.[1] განვითარებადი სახელმწიფოების ძირითადი საექსპორტო ნაწარმი გახლავთ სწორედ აღნიშნული ნედლი მასალა, მაშინ როდესაც, მათი იმპორტი შეიცავს სწორედ ზემოთ ნახსენებ ძვირადღირებულ წარმოებულ პროდუქციას, რაც თავისთავად ქმნის უთანასწორობას.[2]

დამოკიდებულების თეორია კარგად ესადაგება უგანდასა და იტალიის მაგალითებს. უგანდას ეკონომიკა ყვაოდა სანამ ყავის მსოფლიო ფასი გახლდათ მაღალი, თუმცა, მას შემდეგ რაც ყავის ღირებულება გლობალურ ბაზარზე შემცირდა, შესუსტება დაიწყო უგანდას ეკონომიკამაც.[3] აღნიშნული მაგალითი ასახავს არა მარტო მგრძნობელობასა და დამოკიდებულებას ნედლ მასალაზე, არამედ აღწერს იმასაც, თუ რა შეადგენს მისი საგარეო ექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს. რაც შეეხება იტალიასა და მისი ყავის ტრადიციებს, ყავის ბიზნესი არის არსებითი ქვეყანაში ყავის დამუშავებიდან და შეფუთვიდან დაწყებული ყავის გადამამუშავებელი აპარატების წარმოებით დასრულებული. იტალიაში, აღსანიშნავია, რომ ყავა არ იზრდება. ყავის მარცვლების, როგორც ნედლი მასალის, იმპორტირება ხდება იტალიაში შედარებით იაფად მთელი მსოფლიოდან, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებიდან, რომლებიც ყავის მოსავლიანობით დომინანტი სახელმწიფოებია, როგორებიცაა ბრაზილია, ვიეტნამი, ინდოეთი და სხვა სახელმწიფოები უგანდას ჩათვლით. იტალიამ გამოიმუშავა ყველაზე ბალანსირებული გზა ყავის დამუშავებისა და ასევე შეფუთვისა, რაც

1 Ibid, (fn, 3)

2 Ibid, (fn, 3)

3 Dever, J. (2010). The Italian coffee market 2010 (online).http://gain.fas.usda.gov/Recent%20GAIN%20Publications/The%20Italian%20Coffee%20Market%202010_Rome_Italy_12-3-2010.pdf

უზრუნველყოფს მათ შენახვას, როგორც ახალი. ეს ღირებულების შემცველი კომპონენტები განსაზღვრავს დიდ წილად მის ექსპორტ-იმპორტის გაცვლას სხვა სახელმწიფოებთან. დამატებით, იტალია აწარმოებს ყავის საუკეთესო გადამამუშავებელ აპარატურას, რომელთათვისაც შესაძლოა გადაიხადონ 70-დან 1000 ამერიკულ დოლარამდე. ყავის მარცვლები, თავისმხრივ, შესაძლოა ფასობდეს 75 ცენტი ერთ ფუნტი ყავის მარცვლისთვის. შესაბამისად, დამუშავებული და შეფუთული ყავის ერთი შეკვრა, შესაძლოა, ფასობდეს 8-დან 20 ამერიკულ დოლარამდე.[1] რამდენად თანასწორია აღნიშნული გაცვლა, მაშინ როცა გაცვლა არ არის პირდაპირი უგანდასა და იტალიას შორის იმპორტ/ექსპორტში? ერთი ნათელი გახლავთ, რომ ღირებულება-შემცველი პროდუქცია ფლობს შედარებით მაღალ შემოსავლის პოტენციალს, რაც გახლავთ მთავარი რამ რაც აკლიათ განვითარებად სახელმწიფოებს. ისინი, ჩვეულებრივ, განიცდიან აღნიშნული ღირებულება-შემცველი პროდუქციის წარმოების უნარის ნაკლებობას, რაც შესაძლოა უკეთ აისახოს თავიანთ საგარეო გაცვლის ბალანსზე. მიუხედავად იმისა, რომ დამოკიდებულების თეორია ვერ უზრუნველყოფს მყარ და ნათელ პრობლემის გადაჭრის გზებს, მთავარი აღსანიშნავია, რომ ღირებულება-შემცველი პროდუქცია განიხილება, როგორც ლოგიკური გადაწყვეტა.

უფრო ზოგადი კონტექსტით, მესამე სამყაროს სახელმწიფოებში დაქვემდებარების მიზეზების იდენტიფიკაცია შესაძლებელია მოიძებნოს ორივე, მოდერნიზაციისა და დაქვემდებარების თეორიებში. ორივე თეორია უპირისპირდება ერთმანეთს იმ მიზეზების იდენტიფიკაციისას, რომლებიც წარმოადგენენ პასუხებს სხვადასხვა კითხვებზე, მათ შორის, კითხვაზე რატომ განიცდიან მესამე სამყაროს სახელმწიფოები განვითარების სიმცირეს.[2] პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზები გახლავთ შემოთავაზებული მოწინააღმდეგე თეორიების მიერაც, რომლებიც ასევე განსხვავებულ სტრატეგიებს სთავაზო-

1 Ibid,

2 Ibid, (fn, 4)

ბენ მესამე სამყაროს სახელმწიფოებს.

თავდაპირველად, აღსანიშნავია თავად „დაქვემდებარებისა“ და „განვითარების“ კონცეფციების განმარტება. ვოლტერ როდნეის მიხედვით, განვითარება ადამიანთა საზოგადოებაში გახლავთ მრავალმხრივი პროცესი. ინდივიდუალურ დონეზე ის შეიცავს გაზრდილ უნარებსა და საშუალებებს, მზარდ თავისუფლებას, შემოქმედებითობას, თვითდისციპლინასა და სხვ. საზოგადოება ვითარდება ეკონომიკურად, რადგან მისი წევრები ზრდიან უნარებს გაუმკლავდნენ გარემოს. განვითარება, თავის მხრივ, გახლავთ დაწყვილებული ეკონომიკურ ცვლილებასთან და ნებისმიერი ეკონომიკური პროგრესი არეკვლას ჰპოვებს განვითარებაზეც.[1]

დაქვემდებარება განხილება როგორც საწინააღმდეგო ვითარება განვითარებისა, თუმცა ის შესაძლოა იქნეს განხილული უფრო რეალისტური იდეებიდან, როგორც არაადეკვატურობა ვიდრე სრულყოფილი ნაკლებობა. ვალტერ როდნეის მიხედვით, დაქვემდებარება არ გახლავთ განვითარების არარსებობა და, რომ დაქვემდებარება იძენს მნიშვნელობას მხოლოდ, როგორც განვითარების შედარებითი დონეების საშუალებად.[2]

მოდერნიზაციის თეორია აყალიბებს მოსაზრებას, რომ მესამე სამყარო იმყოფება დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, რომლის მიზეზიც გახლავთ ისტორიული მარცხი, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიის მოდერნიზებისა და ინდუსტრიალიზაციის ნაკლებობასთან. აღნიშნული მტკიცება ასევე გულისხმობს, რომ მესამე სამყაროს სახელმწიფოები დარჩენილნი არიან პირველი სამყაროს მიღმა, ეს უკანასკნელი კი მოიცავს დასავლურ ევროპულ და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოებს და, რომ მესამე სამყაროს ქვეყნებმა უნდა დაეწიონ ამ უკანასკნელ ქვეყნებს იმ საშუალებებისა და ზომების გათავისებით, რასაც პირველი სამყაროს ქვეყნები ფლობენ/ავითარებენ. თეორია ასევე აღწერს პრობლემას, რაც ვითარდება იმ ტრა-

1 Rodney, W. (1973). How Europe Underdeveloped Africa. Dar-Es-Salaam: Bogle-L'Overture Publications, London and Tanzanian Publishing House

2 Ibid,

დიციებისა და სოციალური პრაქტიკის არსებობით, რაც ხელს უშლის სახელმწიფოებს მოდერნიზაციასა და განვითარებაში.

მესამე სამყაროს სახელმწიფოები საჭიროებენ დანარჩენი მსოფლიოსთან გათანაბრებას განვითარების იმ ხუთი სტადიის თანახმად, რომელსაც ბილ როსტოუ გვთავაზობს. უკან დარჩენის კონცეფცია გულისხმობს, რომ მოძრაობა დაქვემდებარებიდან (რაც გახლავთ პრიმიტიული) განვითარებისკენ (რაც გახლავთ, სავარაუდოდ, თანამედროვე) არის აუცილებელი. აქედან გამომდინარე, შედეგი გახლავთ ის, რომ ტრადიცია არის თანამედროვეობასთან კონფლიქტი, რომ ტრადიცია უნდა იქნას აღქმული, როგორც შეზღუდულად „ბოროტი“, მაშინ როდესაც მოდერნიზაცია გახლავთ ყველაზე ლოგიკურად მიღებული მეთოდოლოგია დიდი პერსპექტივის გათვალისწინებით.[1] იდეოლოგიურ აღქმაში, დასავლური კაპიტალიზმის სიმცირე გახლავთ ცენტრალური ელემენტი დაქვემდებარებისა და იდეოლოგიური კონვერტაცია საზოგადოებაში გახლავთ ასევე მთავარი ელემენტი განვითარებისა ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოებისთვის.

რაც შეეხება ბილ როსტოუს ხუთ საფეხურს, საინტერესოა რას გვთავაზობს თითოეული საფეხური. „ტრადიციული საზოგადოების“ საფეხური, რომელიც გახლავთ პირველი საფეხური, შეიცავს რწმუნებას, რომ წარმოება არის ძირეულად აგროკულტურული სოციალურ ინსტიტუტებთან, როგორებიცაა თემებისა და კლანების ფორმა, სადაც არსებობს ფინანსური კაპიტალისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა. ამას მოყვება „გადასვლის წინაპირობის“ საფეხური, რომელშიც ფინანსური კაპიტალისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა საბოლოოდ მიღებულია საგარეო დახმარების სქემების საშუალებით, უცხოური ინვესტიციებით. შემდეგი გახლავთ „გადასვლის“ საფეხური, რომლის განმავლობაშიც არსებობს კულტურული კონვერტაცია, როგორც ძველი პრაქტიკა, რომელიც ადგილს უთმობს სასარგებლო თანამედროვე საქმიანობებს. მეოთხე საფეხუ-

1 **Irwin, Patrick. 1975. “An Operational Definition of Societal Modernization.” Economic Development and Cultural Change 23:595–613**

რი გახლავთ „მოძრაობა მომწიფევულ სტადიამდე“, როდესაც ნედლი მასალისა და წარმოებული პროდუქტების ექსპორტი მიმდინარეობას იწყებს, მაშინ როდესაც სახელმწიფო აყალიბებს თავის პოზიციას მსოფლიო სავაჭრო ბაზრებზე. შემდგომ ამისა, „მაღალი მასობრივი მოხმარების პერიოდი“, გახლავთ ბოლო საფეხური, რომელშიც ურბანიზაცია სრულდება და სოციალური კეთილდღეობა უმაღლეს სტადიას აღწევს. [1]

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის სხვა გზებს რაც შეეხება, მოდერნიზაციის თეორია გვთავაზობს სამ განზომილებიან ცვლილებას მესამე სამყაროს სახელმწიფოებს შიგნით. აღნიშნული განზომილებები შეიცავს ინფრასტრუქტურულ განზომილებას, სოციალურ განზომილებასა და პოლიტიკურ განზომილებას. შესაბამისად, ინფრასტრუქტურული ცვლილებები მოიცავს ისეთ მაგალითებს, როგორებიცაა კაშხლები და გზატკეცილები; სოციალური ცვლილებები მოიცავს აღქმული ტრადიციული რწმენებისა და პრაქტიკისაგან განთავისუფლებასა და საგანმანათლებლო სისტემების მოდიფიცირებას თანამედროვე საზოგადოებისა და რაციონალურობის მახასიათებლებზე დაყრდნობით; პოლიტიკური ცვლილება მოიცავს ეფექტური ბიუროკრატიის შექმნასა და სახელმწიფო აპარატის მოდიფიცირებას.[2]

თუმცა, არსებობს მოდერნიზაციის თეორიის მრავალი კრიტიკა იმ თეორიებს შორის, რომელთა მეთოდოლოგია სასურველ მიზნების მიმართ არის დაფუძნებული კონფორმისტულ იდეალებზე. თეორიის ვარაუდები გახლავთ ის, რომ საჭიროა მესამე სამყაროს სახელმწიფოებისთვის განვითარების სტრატეგიების შეთვისება, რომლებიც განვითარებულია დასავლური სამყაროს მიერ. შარმილა ჯოში გადმოცემს აღნიშნულ ვარაუდს შემდეგი არგუმენტის გამოყენებით, რომ ვესტერნიზაცია გახლავთ შენიღბული და, რომ მისი ბუნებრივი პროგრესი მხოლოდ ხელოვნურია და მიყვება დასავლეთ ევროპისა და

1 Rostow, W. W. 1960. The Stages of Economic Growth,a Non-Communist Manifesto . Cambridge, UK: Cambridge University Press, 1960

2 Ibid, (fb, 1)

ჩრდილოეთ ამერიკის ტრაექტორიას.[1] როგორ გარდაიქმნენ და „განვითარდნენ“ ისინი ასევე გახლავთ განხილვისა და დავის კიდევ ერთი მხარე დანარჩენი მსოფლიოსთვის. უფრო მეტიც, თეორია არის სტრუქტურირებული ძირძველი ტრადიციული ღირებულებებისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ, რაც ტრადიციებს განსაზღვრავს, როგორც კატეგორიად, რომელიც აუცილებელია რომ უარყოფილ იქნეს მესამე სამყაროს საზოგადოების მიერ. შესაბამისად, აღნიშნული ვარაუდები ნათელს ხდის, რომ მოდერნიზაციის თეორია არის დისკრიმინატორული ტრადიციების მიმართ.[2]

დამოკიდებულების თეორია, როგორც ვახსენეთ, ასევე განიხილება, როგორც თეორია, რომელიც ასევე საწინააღმდეგოს წარმოადგენს მოდერნიზაციის თეორიისა. დამოკიდებულების თეორიის მიხედვით მესამე სამყაროს მდგომარეობა არის შედეგი პირველი სამყაროს სახელმწიფოებში დაჩქარებული ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარებისა. თეორია წინა პლანზე წამოწევს ექსპლოატაციის დინამიკას, რომელშიც „მეტროპოლიტ“ სახელმწიფოებში განვითარებამ შეარყია „სატელიტ“ სახელმწიფოებში განვითარება. ეს აღნიშნავს, რომ მდიდარი კვლავ მდიდარი ხდება გაღარიბების ხარჯზე, სხვა სიტყვებით, კი „დამოკიდებულება“ გულისხმობს მდიდარი ქვეყნების მდიდარი წარმომადგენლები „დამოკიდებულნი“ არიან გაღარიბებული სახელმწიფოების სიღარიბეზე. [3]

დამოკიდებულების თეორია თავს ესხმის მოდერნიზაციის თეორიის მიერ შემოთავაზებულ პრობლემის გადაჭრის გზებს. დამოკიდებულების თეორია ნათელს ჰფენს დამახინჯებულ დამოკიდებულებას. ჯეიმს მიდგლის მიხედვით, დამახინჯებული დამოკიდებულება გახლავთ მარცხი განცდილი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნების ჰარმონიულობის მიღწევის მცდელობასთან და, ასევე იმის მტკიცებასთან, რომ

1 Joshi, S. (2005).Theories of development: Modernisation vs Dependency. Retrieved fromhttp://infochangeindia.org/defining-development/theories-of development-modernisation-vs-dependency.html

2 Ibid,

3 Ibid, (fn, 5)

ეკონომიკური სარგებლიანობის განვითარება მთლიან მოსახლეობას ხვდება წილად.[1]

მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის გზა, რომელიც დასახა დამოკიდებულების თეორიამ, არის არ-დაკავშირება. ეს უკანასკნელი ნიშნავს სოციალური რევოლუციის მიღწევას, რაც ასევე გულისხმობს დრამატულად კავშირის გაწყვეტას დასავლურ კაპიტალიზმთან, რომელიც განიხილება, როგორც ექსპლოატაციის წყარო და, რომელიც გულისხმობს პოლიტიკური ძალაუფლებისა და რესურსების ფლობის უფლების გადაცემას მომუშავე კლასისთვის.[2] ამას გარდა, დამოკიდებულების თეორია აღნიშნავს, რომ პრობლემის გადაჭრის შიდა გზები/საშუალებები ასევე საჭიროა მნიშვნელოვნად განვითარებისთვის.

კრიტიკა დამოკიდებულების თეორიის მიმართ არის შემდეგი, რომ აღნიშნული თეორია გეოგრაფიული ბუნებისაა საკუთარ ვარაუდებში, რომელიც ცდილობს შეარყიოს დასავლური პირველი მსოფლიოს სახელმწიფოების მნიშვნელობა. მეორეს მხრივ, დასავლური ექსპლოატაციის დადანაშაულების საკითხები არის შეფარდებით მართალი, რადგან დაქვემდებარების მიზეზები მესამე სამყაროს სახელმწიფოებში არ არის მხოლოდ იმ შედეგებთან დაკავშირებული, რომლებიც დასავლური საზოგადოების სარგებელს უზრუნველყოფენ. [3]

დასკვნა

ორივე თეორია აყალიბებს განსხვავებულ პერსპექტივებს მესამე სამყაროს სახელმწიფოებში განვითარების შესამცირებლად. მთავარი არგუმენტები შემდეგია: მოდერნიზაციის თეორია ვარაუდობს, რომ დაქვემდებარება არის ტრადიციის შედეგი, რომელიც მესამე სამყაროს სახელმწიფოებს არიდებს პროგრესს განვითარების უნივერსალური საფეხურების მეშ-

1 Midgley, J. (1995).Social Development: the development perspective in social welfare. London: Sage Publications

2 Ibid,

3 Ibid, (fn, 19)

ვეობით.[1] ამის საპირისპიროდ კი, დამოკიდებულების თეორია აღნიშნავს, რომ პრობლემა მდებარეობს პირველი სამყაროს სახელმწიფოების მიერ მესამე სამყაროს ქვეყნების ხარჯზე განვითარების განგრძობად ბუნებაში. მოდერნიზაციის თეორია მიიჩნევს, რომ საგარეო გადაჭრის გზები უნდა იქნას განხორციელებული, მაშინ როდესაც დამოკიდებულების თეორია გულისხმობს, რომ მხოლოდ შიდა გადაჭრის გზები მოიტანს ცვლილების საფუძველს განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. [2]

REFERENCES:

1. Armer, J. Michael and John Katsillis. 2010. "Modernization Theory." *Encyclopedia of Sociology*, edited by E. F. Borgatta. Retrieved January 5, 2012

2. Burchill, S., Devetak, R., Linklater, A., Paterson, M., Reus-Smit, Ch., and True, J. (2001) Theories of international relations. 2nd ed. London: Palgrave.

3. Caniels, Marjolein, C.J. Roeleveld, and Adriaan Roeleveld. 2009. "Power and Dependence Perspectives on Outsourcing Decisions." *European Management Journal* 27:402–417. Retrieved January 4, 2012

4. Dever, J. (2010). The Italian coffee market 2010 (online).http://gain.fas.usda.gov/Recent%20GAIN%20Publications/The%20Italian%20Coffee%20Market%202010_Rome_Italy_12-3-2010.pdf

5. Graig, A., Hulme, D. and Turner, M. (2007) Challenging global inequality: development theory and practice in the 21st century. London: Palgrave Macmillan.

6. Heilbroner, Robert. 1985.*The Nature and Logic of Capitalism*. New York: W. W. Norton

7. Hendricks, John. 2010. "Dependency Theory." *Encyclopedia of Sociology*, edited by E.F. Borgatta. Retrieved January 5, 2012

1 Milanovic, Branko. Income Inequality and Poverty During the Transition from Planned to Market Economy. Washington, DC: World Bank, 1998. - See more at: http://www.gc.cuny.edu/branko-milanovic#sthash.ThEU7y9L.dpuf

2 Ibid,

8. Hewitt, T. (2000) "Half a century of development", in Poverty and Development into the 21st Century, Allen, T., Thomas, A. (eds), Oxford: Oxford University Press

9. Irwin, Patrick. 1975. «An Operational Definition of Societal Modernization." *Economic Development and Cultural Change* 23:595–613

10. Isbister, J. (2001) Promises not kept: the betrayal of social change in the thirds world. 5th ed. Bloomfield: Kumarian press

11. Joshi, S. (2005).*Theories of development: Modernisation vs Dependency*. Retrieved fromhttp://infochangeindia.org/defining-development/theories-of development-modernisation-vs-dependency.html

12. Kriauzaite, N. (2011) The Pacific Development Diary. Unpublished draft work.

13. Lehmann, D. (1997) An opportunity lost: Escobar's deconstruction of development,Journal of Development Studies, 33(4): 568-578

14. Midgley, J. (1995).*Social Development: the development perspective in social welfare.* London: Sage Publications

15. Neckerman, Kathryn and Florencia Torche. 2007. "Inequality: Causes and Consequences." *Annual Review of Sociology* 33:335–357.

16. Rodney, W. (1973). *How Europe Underdeveloped Africa*. Dar-Es-Salaam: Bogle-L'Overture Publications, London and Tanzanian Publishing House.

17. Rostow, W. W. 1960. *The Stages of Economic Growth,a Non-Communist Manifesto* . Cambridge, UK: Cambridge University Press, 1960

18. Sachs, W. (2010) The development dictionary. London: Zed Books.

19. Sahle, 2010. Eunice N. *World Orders, Development and Transformation.* New York: Palgrave Macmillan

20. United Nations Development Programme. 2010. "Millennium Development Goals." Retrieved December 29, 2011

21. Wallerstein, Immanuel. 1979. *The Capitalist World Economy*. Cambridge, England: Cambridge World Press.

GLOBAL INEQUALITY: THE ANALYSIS OF MODERNIZATION AND DEPENDENCY THEORY

Nana Lobzhanidze, Kristine Jinchveleishvili,
Ani Kenchashvili, Salome Lomsadze
TSU, Bachelor Students , Third Course

RESUME

History teaches that the inequality – unfair difference between groups of people whereas some of them possess the greater amount of wealth, status or opportunities, that creates the unequal exchange and unequal form of relations between them – is the major cause of radical social or political upheavals. Global inequality, that relates income inequality, is considered to be one of the most debated issues in the world. This inequality causes many problems that are measured by many empirical or theoretical examples from the history of humankind, therefore the solutions of these problems are offered by many theories. Between them, the most important assumptions are developed in Modernization Theory and Dependency Theory. They somehow develop contrast assumptions about the different aspects of this issue. Namely, their key claims include that for the Modernization Theory it is important to call for modernization, which is nothing else but transformation from subsistent living to labor division and market exchange that will stimulate the economic growth. It sees the poverty and underdevelopment as a result of traditional society system. As for the Dependency Theory it is built on the concepts of Marx that the history is a struggle of classes. The "core" like the "bourgeoisie" possesses the technological and manufacturing power that allows the production of value-added products and has a higher potential for capital accumulation. The main purpose thus of our report is to identify the compared analyses of the contribution of Modernization and Dependency Theory.

Key concepts: "Core" States, "Semi-peripheral and Peripheral" States, First World, Third World, Dependence, Underdevelopment, Development, Global Inequality, Dependency Theory, Modernization Theory.

ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი ე.წ. სამხრეთის ქვეყნების განვითარებაში. ქეისი: ჩინური კორპორაციები აფრიკაში

სალომე ონიანი, ზურა გამთენაძე,
თამთა კავლელაშვილი,
თსუ, ბაკალავრიატის მე-3 და
მე-4 კურსის სტუდენტები.

რეზიუმე

ტრანსნაციონალური კორპორაციები დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო მზარდი გავლენით სარგებლობენ. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციასთან ერთად იზრდება იმ მოქალაქეებისა და მთავრობების წილი, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ ასეთი ტიპის ორგანიზაციების მიმართ და მათ სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვაში ადანაშაულებენ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან ტენ სიაოფინის მეთაურობით თანდათან გადადის საბაზრო ეკონომიკაზე, თუმცა სახელმწიფოს როლი მაინც დიდია ამ ქვეყნის ცხოვრებაში. ბოლო ათწლეულია ჩინური ტრანსაციონალური კორპორაციები გაიზარდნენ, გაძლიერდნენ და რეგიონულ აქტორებად ჩამოყალიბდნენ, რომელთაც ძალუძთ ამა თუ იმ რეგიონზე ძლიერი ზეგავლენის მოპოვება. სტატიაში აღწერილა იმ რეგიონული კორპორაციების საქმიანობა და მათი ხასიათი, რომლებიც ორიენტირებულნი არიან განვითარებად ქვეყნებზე, უშუალოდ კი აფრიკის კონტინეტზე. დეტალურადაა აღწერილი მათი დადებითი და უარყოფითი შედეგები აფრიკული სახელმწიფოებისა და მოსახლეობის ცხოვრებაზე.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური კორპორაციები, რესურსების ათვისება, ჩინეთის ეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, მოსახლეობის კეთილდღეობა.

შესავალი

გლობალური ეკონომიკური პროცესებისადმი თვალის მისადევნებლად და იმ დინამიკის შესასწავლად საჭიროა ამ პრო-

ცესებში ჩართული აქტორების ანალიზი, რომლებიც ქმნიან და ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკურ პროცესებსა და გლობალურ მოვლენებზე. აღნიშნული საკითხის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე საინტერესოდ მივიჩნიეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ტრანსნაციონალური კორპორაციების ფენომენზე, უშუალოდ კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებულ მსხვილ კორპორაციებზე, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან გლობალურ ეკონომიკურ თამაშში და საკუთარ სიტყვას ამბობენ პლანეტაზე მიმდინარე პროცესებზე. სტატიაში დახასიათებულია განვითარებად ქვეყნებში არსებული ჩინური კორპორაციები და აღწერილია მათი სამოქმედო საშუალებები-რამდენად თანასწორ რეჟიმში მოქმედებენ ჩინური კომპანიები აფრიკის კონტინენტზე, რა შეიტანეს მათ ღარიბი, ჩამორჩენილი ქვეყნების ყოველდღურ ცხოვრებაში? ეს ის ძირითადი თემებია, რაზეც გამახვილებული იქნება სტატიაში ყურადღება, ამავდროულად ჩინური კორპორაციებისა და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობა საინტერესოა ბოლო პერიოდში განვითარებული ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებით, მათზე დაკვირვება და კომპანიების მოქმედების ზოგადი ხასიათის აღწერა საინტერესო იქნება მკითხველთათვის და სამომავლოდ შესაძლოა გასათვალისწინებელიც.

ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა საინტერესო ფენომენია, რომელიც ბევრნაირად იყოფა, დღესდღეობით ის შედგება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციებისგან, რომელთა სიმდიდრე წლიდან წლამდე იზრდება, მათი გავლენა კი უკვე აღემატება ბევრი სახელმწიფოს, ამის გარდა საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის დაყოფის მხრივ ამერიკელი ეკონომისტი ჯოან სპირო გვთავაზობს სამი შემადგენელი ქვესისტემის გამოყოფას, ეს დაყოფა არის პირობითი, რათა გაგვიმარტივდეს მსოფლიო ეკონომიკური პროცესების ახსნა. პირველი არის დასავლეთის ქვესისტემა, რომელშიც შედიან მსოფლიოში ყველაზე მაღალგანვითარებული კაპიტალსტური ქვეყნები, რომლბიც ერთმანეთთან მჭიდროდ

არიან დაკავშირებული უამრავი ეკონომიკური კავშირით. მეორეა აღმოსავლეთ - დასავლეთის ქვესისტემა, რომელიც დღეს ფაქტობრივად აღარ არსებობს, ე.წ. სოციალური ბანაკის დაშლისა და მისი წევრების უმრავლესობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამო. ეს იყო გეგმიურ ეკონომიკისა და საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ქვესისტემა. მესამე და ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ჩრდილოეთ - სამხრეთის ქვესისტემა. მისი ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ შეინიშნება მკვეთრი დაპირისპირება და დაქვემდებარება ე.წ. განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის, მათ შორის არსებობს ძალზე განსხვავებული განვითარების დონე. სამწუხაროდ, ეს სხვაობა კიდევ უფრო ღრმავდება. დაქვემდებარება ანუ უთანასწორო ეკონომიკური ურთიერთობები და ბაზრის კონიუნქტურის მიმართ ძალზე განსხვავებული მგრძნობიარობა მკვეთრად შესამჩნევია ამ ქვევსისტემაში.

დაქვემდებარებას აქვს სხვადასხვა ფორმა, პირველ რიგში ეს გამოიხატება ვაჭრობაში, განვითარებადი სახელმწუფოების უმრავლესობა მცირე, არატევადი შიდა ბაზრის მქონეა და დიდად არიან დამოკიდბულნი „ჩრდილოეთის ქვყნების“ მძლავრ შიდა ბაზრებზე.მათი მოსახლეობის მაღალ მსყიდველობით უნარზე. ამის გამო „სამხრეთის“ ქვეყნები ფაქტობრივად სრულად არიან დამოკიდებულნი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. იმდენად დიდია მათი დამოკიდებულება ამ მხრივ, რომ თუ «სამხრეთის» ქვეყნები ვერ მოახერხებენ ძირითადი საქსპორტო პროდუქციის გაყიდვას, მოხდება მათი ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება და შესაძლოა, კატასტროფამდეც კი მივიდნენ.

დაქვემდებარების თეორიის მიხედვით საერთაშორისო სავაჭრო (ჩAთთ) და სავალუტო- საფინანსო (ბრესტონ - ვუდის) სისტემა არახელსაყრელი აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნებისთვის, ხელი შეუწყო ისედაც განვითარებული ქვეყნების აღმავლობას, მეოერენი კი უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. გაერო-ს ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისიის ექსპერტებმა და მეცნიერებმა, რომელთა ლიდერი არგენტინელი რაულ პრებიში

იყო, ახალი ეკონომიკური წესრიგის მოთხოვნების იდეოლოგიას დაუდო სათავე. მათი აზრით, განვითარებადი ქვეყნები დიდად არიან დამკიდებულნი ექსპორტზე და შესაბამისად ბაზრის კონიუქტურაზე, ამიტომ, მათი მდგომარეობის გამო, გარკვეული შეღავათები უნდა გაეწიოთ განვითარებული ქვეყნბის მხრიდან.

რაც შეეხება მარქსიზმს, იგი წარმოიშვა, როგორც მერკანტილიზმზე რეაქცია. ის უარყოფს ლიბერალიზმის შეხედულებებს. მარქსისტები თვლიან, რომ განვითარებული სახელმწიფოები ეფექტურად იყენებენ თავიანთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ უპირატესობას, გავლენას ახდენენ განვითარებად სახელმწიფოებზე და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას იყენებენ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისთვის. ექსპლუატირებული, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები, რომლებიც ძირითადად გლობალურ სამხრეთში მდებარეობენ, ვერ ვითარდებიან და კიდევ უფრო ღარიბდებიან, რადგან კაპიტალისტური სისტემა ხელს უწყობს ძლიერს და ამონებს სუსტს.

ტნკ-ები ახალი ფენომენი არაა მსოფლიო ეკონომიკაში, მაგრამ გლობალიზაციის ეპოქაში ისინი განვითარდნენ და ახალი მნიშვნელობაც შეიძინეს. ისინი ჭეშმარიტად ტრანსნაციონალურ, უსაზღვრებო, უეროვნებო და უსახელმწიფო ორგანიზაციებად იქცნენ. ტნკ-ებს გააჩნიათ მრავალგვარი სტრუქტურა და მოიცავენ ყველა დარგს. რთულია ეკონომიკურად და პოლიტიკურად სუსტად განვითარებულმა ქვეყანამ გააკონტროლოს მრავალეროვნული კორპორაცია. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზეც, რომ ტნკ-ები მოქმედებენ არა ყველა ჩამორჩენილ ქვეყანაში, არამედ მათ მცირე ნაწილში იმის მიხედვით, რამდენად მომგებიანი იქნება მათთვის იქ მუშაობა. ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მოღვაწეობა განივრცო განვითარებადი სამყაროს ტერიტორიებზეც და დიდ გავლენას ახდენს იმგვარი ეკონომიკური სტრუქტურის ფორმირებებზე, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება, უპირველეს ყოვლისა, თავად ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესებს. საწარმოო და მთელი სამრეწველო კომპლექსები დაკავშირებულია უპირველესად არა მოცემული ქვეყნის სამეურვეო სისტემასთან, არამედ იმ საწარმოებთან, რომლებიც შედიან

ტრანსნაციონალური კორპორაციის შემადგენლობაში მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად. ხდება ისეც, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები განვითარებად ქვეყნებში ეროვნულ წარმოებას ართმევენ სამუშაო ძალის ყველაზე კვალიფიციურ ნაწილს და დეფიციტურ ნედლეულს. სარგებლობენ რა ადგილობრივ, კაპიტალის ბაზრის მომსახურებით, ტრანსნაციონალური კორპორაციები ახდენენ არაერთგვაროვან გავლენას განვითარებადი, «ჩრდილოეთის» ქვეყნების კვლავწარმოებით კავშირებზე, აყალიბებენ შრომის საერთაშორისო დანაწილების იმგვარ ტიპს, რომელსაც გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია მოახდინონ ამ ქვეყნებში ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის ხელშეწყობა. ხაზი უნდა გაესვას, რომ კორპორაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების კონკურენციის მიზანი მოგებაა და არა საბაზრო ეკონომიკის სტაბილურობა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს თუ რატომ არის ლიბერალური ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი ტრანსეროვნული კომპანიები სოციალისტურ ჩინეთში. ჩინეთის სახელმწიფოს მესვეურები დროულად მიხვდნენ უზარმაზარი მოსახლეობისთვის სოციალიზმის შეუსაბამობას და დაიწყეს ეკონომიკური რეფორმები. ჩინეთის ეკონომიკამ განიცადა და დღემდე განიცდის ტრანსფორმაციის რამდენიმე ეტაპს. თავდაპირველი რეფორმები წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა, უკვე 90-იანებიდან მოყოლებული ეკონომიკური რეფორმების წარმატება ხელშესახები გახდა ჩინეთის მოსახლეობისთვის. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება კერძო თუ სახელმწიფო კომპანიების განვითარება და გაძლიერება, რამაც უკვე დეკადის შუა პერიოდში, კერძოდ 1996 წლისთვის, მოგვცა ორი ჩინური ტრანსნაციონალური კორპორაცია. ჩინური კორპორაციების სწრაფ ეკონომიკურ გაძლიერებას ძალიან შეუწყო ხელი პროდუქტებზე დიდმა მოთხოვნამ, რაც ჩინეთის უზარმაზარი მოსახლეობით იყო გამოწვეული.

„სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის“ შექმნას, როგორც ჩინეთის ეკონომიკას უწოდებენ, სტიმულს აძლევდა უზარმაზარი მოთხოვნა შიდა ბაზარზე, რაც დაეტყო კიდეც კორპორაციების რაოდენობის ზრდას. ამ უზარმაზარ „საშინაო“ სტიმულს დაე-

მატა „საგარეო“ სტიმულიც, რაც გამოწვეული იყო 2001 წლის 11 დეკემბერს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით. ჩინეთის გაწევრიანებას მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში მხარს უჭერდა აშშ, რადგან 1996-2001 წლებში ამერიკა-ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები 100 მილიარდ დოლარზე მეტს წარმოადგენდა, გაწევრიანების შემდეგ თავისთავად კიდევ უფრო გაიზრდებოდა. აღნიშნული ფაქტი ორივე ქვეყნის ინტერესებში იყო, თუმცა, გაწევრიანების შემდეგ ჩინეთმა უფრო „მკაცრი“ პირობები მიიღო, ვიდრე სხვა განვითარებადმა ქვეყნებმა, რადგან, ფაქტობრივად, ჩინეთის ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორი დაწყებული საბანკო სისტემიდან დასრულებული ტელეკომუნიკაციებით მთლიანად გაიხსნა უცხოური ინვესტიციებისთვის. ამ დროიდან მოყოლებული, ჩინური კერძო თუ სახელმწიფო ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი თითქმის 8-ჯერ გაიზარდა (2001 წელს 11 კორპორაცია, 2013 წელს 85) .

ჩინური ტრანსნაციონალური კორპორაციების ასეთი სწრაფი ეკონომიკური გაძლიერება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განპირობებული იყო ჩინეთის უზარმაზარი მოსახლეობის მხრიდან თითქმის ყველა სახის პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნით, მაგრამ არსებობდა და არსებობს მეორე ფაქტორიც, რომელმაც ასევე დიდი როლი ითამაშა კომპანიების განვითარებაში, ეს არის იაფი მუშახელი. ცხოვრების მინიმალური სტანდარტები დაბალი იყო ჩინეთში, რაც თავისთავად იწვევდა მინიმალური ხელფასის დაწევასაც, ეს კი უკუპროპორციული იყო და არის კორპორაციების მოგებაზე. აღნიშნული ფაქტორი მიმზიდველს ხდიდა არა მარტო ჩინურ კორპორაციებს, არამედ ამერიკულ და ევროპულ მწარმოებლებს, რაც ერთი მხრივ ზრდიდა კონკურენციას ჩინურ და უცხოურ კორპორაციებს შორის და ხვეწდა ჩინური წარმოების პროდუქციას, მეორე მხრივ კი, ჩინური კორპორაციები იძულებული ხდებოდნენ საშინაო ბაზარზე დაკარგული პოზიციები საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციებით „შეევსოთ“. ამ შემთხვევაშიც, ჩინეთის თითქმის ყველა კომპანია პირდაპირ ინვესტიციებს ახორციელებდა იქ, სადაც, როგორც ჩინეთში, იაფი მუშახელი იყო. ასეთი რეგიონები კი პირველ რიგში აფრი-

კა და აზია იყო, თუმცა, ჩვენ მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ მხოლოდ აფრიკის საკითხს, ჩინური კომპანიების მიერ განხორციელებულ პროექტებს და ვეცდებით დავასკვნათ საბოლოო ჯამში რა დადებითი და უარყოფითი გავლენა იქონიეს აფრიკული ქვეყნების ეკონომიკებზე.

ჩინეთის სწრაფად მზარდ ეკონომიკას, განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობას სჭირდებოდა ბუნებრივი რესურსების უზარმაზარი მარაგები, ასეთი კი, რა თქმა უნდა, მინერალებით მდიდარი აფრიკაა. მიუხედავად ორმხრივი სურვილისა ჩინეთისა და აფრიკის ქვეყნების მხრიდან, რომ ჩინურ კორპორაციებს ჩაედოთ ინვესტიციები აფრიკულ ბუნებრივ რესურსებში, წინააღმდეგობა მაინც არსებობდა. ეს უმთავრესად უკვე დამკვიდრებული და საკმაოდ კონკურენტუნარიანი ამერიკული და ევროპული, კერძოდ ბრიტანულ-ფრანგული, კომპანიები იყვნენ, რომელთაც ნამდვილად არ სურდათ ჩინეთის სახით ახალი და საკმაოდ მძლავრი კონკურენტის შეძენა. პეკინის მთავრობის ნომერი პირველი პრიორიტეტული სფერო იყო ენერგეტიკა და პირველ რიგში სწორედ ამ სფეროში ჩინეთის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ცდილობდა. ვეცდებით სტატისტიკური მონაცემებისა თუ სხვა საშუალებებით ვაჩვენოთ, თუ რა შედეგებით მოღვაწეობენ ჩინური სახელმწიფო კუთვნილების საერთაშორისო კორპორაციები აფრიკულ სახელმწიფოებში. როგორც 2005 წლის დავოსის ფორუმზე ელიზაბეთ ეკონომმა თქვა, ჩინეთმა აფრიკულ ეკონომიკას ახალი სიცოცხლე შთაბერა. ვნახოთ რამდენად რეალურია ეს განცხადება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2007 წელს ჩინეთ-აფრიკის სავაჭრო ტვირთ-ბრუნვამ 73 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა, ხოლო უკვე 2014 წელს ამ მაჩვენებელმა 300 მილიარდს გადააჭარბა. ვაჭრობის თითქმის ხუთჯერ გაზრდა შვიდ წელიწადში ერთი მხრივ ძალიან კარგია, თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს. მართალია, ჩინეთი მასპინძელ ქვეყნებში დიდ ფულს აბანდებს, მაგრამ ის მოგება, რასაც მასპინძელი ქვეყანა ღებულობს, რჩება მხოლოდ პოლიტიკურ ელიტაში, ხოლო უბრალო მოსახლეობისთვის არაფერი იცვლება. ამას ემატება ისიც, რომ ჩინური კომპანიები

ძირითადად ჩინელ მოსახლეობას ასაქმებენ, რაც, ერთი მხრივ, ბუნებრივია, არ ზრდიდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და უმუშევრობის შემცირებას, მეორე მხრივ, კი ზრდიდა სოციალურ დაპირისპირებას ადგილობრივ და ახალჩამოსულ ჩინელ მოსახლეობას შორის. უნდა გამოიყოს ის ფაქტი, რომ ჩადში, ჩინური ინვესტიციები ძირითადად ხმარდებოდა ჩადის ხელისუფლების ერთგული მხარდამჭერების სამხედრო წვრთნებსა და იარაღის ყიდვას, ხოლო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კვლავაც წერა-კითხვის უცოდინარი და სიღარიბის ზღვარს მიღმა რჩებოდა. შედეგად, რეგიონში ჩადი ერთ-ერთი ძლიერი სამხედრო პარტნიორია ჩინეთისთვის.

ჩინეთის ეკონომიკისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ჰიდროენერგია. ამ შემთხვევაშიც ჩინური კომპანიები არ იშურებენ ინვესტიციებს და სადგურებს აშენებენ, რათა მეტი და მეტი ენერგია მიიღონ, სანაცვლოდ კი მასპინძელ ქვეყნებში „ტოვებენ“ საავადმყოფოებს, გზებსა და რკინიგზებს, თუმცა, საინტერესოა, რამდენად ხელმისაწვდომია ეს ყველაფერი მოსახლეობისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩინეთმა ანგოლაში 150-მდე ჯანმრთელობის ცენტრი და ორი უნივერსიტეტი ააშენა. ამ შემთხვევაში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა გაცილებით უფრო მეტად სარგებლობს ,ვიდრე მანამდე განხილული სახელმწიფოების მოსახლეობა. მაგრამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ის ჰიდროელექტროსადგურები, რასაც ჩინური კომპანიები აშენებენ კონგოში და არა მარტო აქ, კანონდარღვევებით ხორციელდება, რაც უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისა და გარემოსთვის. მსგავსი სიტუაციაა ნიგერიაშიც, რომელთანაც ჩინეთს დაახლოებით 12 მილიარდიანი სავაჭრო ტვირთ-ბრუნვა აქვს.

ზემოთმოყვანილი სახელმწიფოების გარდა, ჩინეთის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორი აფრიკის კონტინენტზე არის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, რომელსაც თავად აქვს რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი და ძლიერი ტრანსნაციონალური კორპორაცია. აფრიკის ამ სახელმწიფოში ჩინეთი „სამართლიანად“ ვაჭრობს, მაგრამ ეს სულ არ არის იმით განპირობებული, რომ პეკინის

მთავრობას სამხრეთ აფრიკის მოსახლეობისთვის კარგი უნდა, არამედ იმიტომ, რომ ეს ქვეყანა მდიდარია და იცის, რომ ჩინეთს სჭირდება მათი ეს სიმდიდრე, ამისთვის კი შრომისა და გარემოს დაცვის მინიმალურ სტანდარტებს ამაღლებს, რაც, ერთი მხრივ, ჩინეთს კმაყოფილს ტოვებს, რადგან პეკინი სასურველს იღებს ბუნებრივი რესურსების სახით, მეორე მხრივ კი, ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლოატაცია არ ხდება, არამედ, პირიქით, მდიდრდება, თანაც ისე, რომ გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდეა შემცირებული.

დასკვნა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვესისტემა, სადაც აშკარად ვლინდება ე.წ. სამხრეთის ეკონომიკური და პოლიტიკური დაქვემდებარება ე.წ. ჩრდილოეთზე, ხოლო ამ დაქვემდებარების განმახორციელებელი ძალა ტრანსნაციონალური კომპანიებია, სავსებით შეესაბამება ჩინეთ-აფრიკის სავაჭრო ურთიერთობებს. ამ სავაჭრო ურთიერთობებში ჩინეთი თავისი უზარმაზარი მოსახლეობის მოთხოვნილებისა და სწრაფად მზარდი ეკონომიკის შესანარჩუნებლად მუდმივად ეძებს ენერგიის იაფ წყაროებს, ასეთი კი აფრიკის პოლიტიკურად და ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფოებია, რომელთაც არ აქვთ ძალა წინააღმდეგობა გაუწიონ ჩინური კორპორაციების მხრიდან აფრიკის მოსახლეობისა და აფრიკული რესურსების ექსპლოატაციას. მიუხედავად იმისა, რომ პეკინის კუთვნილი თუ კერძო კორპორაციები აფრიკულ ქვეყნებში ინფრასტრუქტურას ავითარებენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ მოხდეს რესურსების სწრაფი და იაფი გადაადგილება დანიშნულების ადგილამდე. თუმცა, მიუხედავად ამ სავალალო მდგომარეობისა, არის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შემთხვევაც, როცა ჩინური ინვესტიციები ორივე მხარისთვის უზარმაზარ მოგებას იძლევა.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, იმისთვის რომ ორმხრივი თანამშრომლობის დროს ორივე მხარემ მაქსიმალური მოგება მიიღოს, უნდა იყოს პოლიტიკური ნება, რომ მოხდეს მასპინძელი ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანსფორმირება, სახ-

ელმწიფო მართვის სისტემა მიმართული უნდა იყოს მოსახლეობისთვის სარგებლის მოტანაზე და არა პოლიტიკური ელიტის გამდიდრებასა თუ სამხედრო გაძლიერებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა / REFERENCES:

1. Adams, N. (1993). *Worlds Apart: The North-South Divide and the International System.* London: Zed.

2. Alden, C., & Davies, M. (თებერვალი 2006). *Chinese Multinational Corporations in Africa.* Von http://www.cctr.ust.hk/materials/conference/china-africa/papers/Chris_Alden_Chinese_Multinational_Corporations.pdf abgerufen

3. Besliu, R. (26. დეკემბერი 2013). *Chad: How China Created an African Power*. Von The Globalist: http://www.theglobalist.com/chad-china-created-african-power/ abgerufen

4. *China Becomes Tougher For MNCs, But All Is Not Lost*. (2014). Von http://www.forbes.com/sites/ckgsb/2014/09/10/china-becomes-tougher-for-mncs-but-all-is-not-lost/ abgerufen

5. Cissé, D., Anthony, R., & Anthony, R. (ივლისი/აგვისტო 2013). *Chinese state-owned enterprises in Africa: Entrepreneurs or the long arm of the state?* Von Ivey Business Journal: http://iveybusinessjournal.com/publication/chinese-state-owned-enterprises-in-africa-entrepreneurs-or-the-long-arm-of-the-state/ abgerufen

6. Corkin, L., Burke, C., & Davies, M. (2008). *China's Role in the Development of Africa's Infrastructure.* Washington, DC: Centre for Chinese Studies, Stellenbosch University.

7. E. Meyer, K. (16. ივლისი 2014). *How China's MNCs Can Build Trust Abroad*. Von The Forbes: http://www.forbes.com/sites/ceibs/2014/07/16/how-chinas-mncs-can-build-trust-abroad/ abgerufen

8. Knox, P., & Angrew, J. (1989). *The Geography of the Word Eqonomy.* London.

9. Spero, J., & Hart, J. (1997). *The politics of International Economic Relations.* New York: St. Martin's Press.

10. *The challenge of globalization for Chinese MNCs*. (2013). Von Pedersen and Partners: https://www.pedersenandpartners.com/articles/challenge-globalization-chinese-mncs abgerufen.

THE ROLE OF TRANSNATIONAL CORPORATIONS IN THE DEVELOPMENT OF THE SOUTHERN COUNTRIES. CASE: CHINESE CORPORATIONS IN AFRICA

Salome Oniani, Zura Gamtenadze,
Tamta Kavlelashvili,
TSU, Bachelor Students,
Third and Fourth Year.

RESUME

There has been rising an influence of transnational corporations in today's world. With the international financial institutions TNCs have a huge impact on the economic processes, sometimes even more than the nation states or international organizations have. In the last decade Chinese TNCs have grown and become the strong regional actors that can spread their influence on the region. The article suggests the detailed examination of the characteristics of regional corporations whose focus is mostly oriented on the developing countries, more precisely on the African continent. The advantages and disadvantages that they can have in terms of monetary stability, economic sovereignty and formation of the labor market are analyzed in the social and political aspects. According to the rising influence of Chinese TNCs on the south Caucasus and Eastern Europe the article will be useful for interested people in these issues.

Key words: Transnational Corporations, Exploitation of Resources, Economy of China, International Trade, Welfare of Population.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 15.01.2016წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.01.2016 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,125